ცხოვრება და მოძალადობა წმიდისა

ნეტარისა ანდრია ქრისტესთვის სალოსისა

ცხოვრება და მოქალაქობა
წმიდისა ნეტარისა
ანდრია ქრისტესთვის სალოსისა

გამომცემლობა "მწიგნობარი"
თბილისი
2022

უაკ (UDC) 27-36
ბ - 37.

ტექსტი აღებულია 1906 წლის გამოცემიდან:
“ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა ნეტარისა
ანდრია ქრისტესთვის სალოსისა”

დაიბეჭდა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრისა და
მამათა მონასტრის მღვდელმსახურის, არქიმანდრიტ
ილიას (კავსაძე)
ლოცვა-კურთხევით.



ტექსტზე იმუშავეს, რედაქტირება და გამოსაცემად მოამზადეს:
ნანა ბახსოლიანმა და ჯუანშერ ამირანაშვილმა

წინამდებარე თხზულება მეათე საუკუნის ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლში მოღვაწე წმიდა ბერს ანდრია სალოსის ცხოვრებას ეძღვნება. მისი მარტვილობა გადმოცემულია იმ პერიოდში მოღვაწე ცნობილ სასულიერო და საერო პიროვნებებთან ურთიერთობაში, რომლებიც ისტორიულ წყაროებში არიან მოხსენიებულნი. თხზულების თითოეული თავი დამოუკიდებელ ეპიზოდებს გვამცნობს. თხრობა ცოცხლად მიმდინარეობს და იმ პერიოდის ყოფა-ცხოვრების არაერთ საინტერესო და ყურადსაღებ მოვლენას გადმოგვცემს.

აღსანიშნავია რომ სამოცდამეათე თავში (გვ. 170) მოტანილია ცნობა იმის შესახებ, რომ ცეცხლი წყლიანი ჭიქის (როგორც ჩანს ლუპის ფორმის) დახმარებით, მზის სხივის ფოკუსირებით დაანთეს (რედაქტორები).

გარაკანზე: ანდრია სალოსის ხატის ფრაგმენტი.
გადაღებულია სვეტიცხოვლის ტაძარში
ანუკი შატაკიშვილის მიერ

ISBN - 978-9941-498-61-9

წ ი ნ ა თ ქ მ ა

ქრისტესთვის სალოსი ნეტარი ანდრია X საუკუნეში, ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლში მოღვაწეობდა. ის ღვთისმშობლის მფარველობით იყო ცნობილი. მისი ხსენების დღე 15 ოქტომბერია (ძვ. სტ. 2 ოქტომბერი).

წარმოშობით სკვითი ანდრია კონსტანტინეპოლში დიდმოხელე თეოგნოსტას მონობაში ცხოვრობდა. თეოგნოსტა იმპერატორ ლეო VI დიდის (886-912 წწ) პროტოსპატარიოსი (პირველი მახვილის მპყრობელი) იყო.

წმიდანს სულიერ მამობას აია სოფიას მღვდელმსახური ნიკიფორე უწევდა.

ნეტარ ანდრიას ღვთის ეკლესია და წმინდა წერილების კითხვა უყვარდა. ძლიერი სურვილი თავისი თავი ქრისტესთვის მიეძღვნა, მან სულისშემძვრელი, უჩვეულო და ასკეტური ცხოვრებით იტვირთა, იგი ისე მოქმედებდა, თითქოს სულელი ყოფილიყო.

შენიშნეს რა მისი სიგიჟე, ანდრია წმიდა ანასტასიას მონასტერში განსაკურნებლად მიავლინეს. აქ მას წმიდა ანასტასია გამოეცხადა და ასკეტური მოღვაწეობის გაგრძელებისაკენ მოუწოდა. მალე წმიდა ანდრია ეკლესიიდან გამოაძევეს, შეიტყვეს რა მის მიერ გამოგონილი სიგიჟის შესახებ. ამიერიდან, ქრისტესთვის სალოსს მშიერსა და ნახევრად შიშველს დედაქალაქის ქუჩებში უწევდა ცხოვრება. მრავალი წლის განმავლობაში წმიდანი დაცინვას, შეურაცხყოფასა და ცემას მოთმინებით იტანდა. ის მოწყალებას ითხოვდა და შემდეგ ღარიბებს ურიგებდა, წმიდა ანდრიას მათხოვრები ფულს ზიზღით ართმევდნენ. ის კი თავმდაბლობით იტანდა დამცირებას და მათთვის ლოცულობდა.

მისი სიბრძნე და სულიერი სიმაღლე მაშინ გამოაშკარავდა, როდესაც მან საიდუმლო სულიერ მამასთან, აია სოფიას პრესვიტერ ეპიფანესთან საუბრისას გაამჟღავნა.

თვითკონტროლისა და თვინიერების გამო, წმიდანმა უფლისაგან წინასწარმეტყველებისა და სიბრძნის ნიჭი მიიღო, რითაც მან უამრავი ადამიანი სულიერი საფრთხისაგან იხსნა. პავლე მოციქულის მსგავსად, წმიდა ანდრია მეცხრე ცაში იქნა აყვანილი, სადაც მან უფალი იესო ქრისტე, მთავარანგელოზები და წმიდანები იხილა.

ქრისტესთვის სალოს ანდრიას თავის მოწაფე ეპიფანესთან ერთად ვლაქერნის ტაძარში ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მლოცველი ეჩვენა. სვინაქსარის თანახმად, წმიდა ანდრიამ ეპიფანეს მიმართა: „ხედავ ძმაო, ღვთისმშობელი მთელი მსოფლიოსათვის ლოცულობს!“ ეპიფანემ უპასუხა: „ვხედავ მამაო, და მე საშინელი ვარ“.

ნეტარი ანდრია სალოსი 66 წლის ასაკში, 936 წელს აღესრულა.

წმიდა ანდრიას ცხოვრება ნიკიფორე კონსტანტინეპოლელმა X საუკუნეში იმ დროს დაწერა, როდესაც წმიდანმა თავის მოწაფე ეპიფანეს სამყაროს აღსასრულის წმიდა საიდუმლო გაუმხილა.

ბიზანტიის იმპერიის დროს არაერთი მწერალი აპოკალიფსს კონსტანტინეპოლის დაცემას უკავშირებდა. მიუხედავად იმისა, რომ XIV-XV სს-ში იმეორებდნენ, მათი წარმომავლობა X საუკუნით თარიღდება. ამ დროს აღმოსავლეთ რომის იმპერია ჯერ კიდევ ძლიერი იყო. კონსტანტინეპოლის დაცემა გადმოცემულია წმიდანის ცხოვრების სტრიქონებს შორის. ტექსტის მიხედვით, აია სოფია წყალდიდობას გადაურჩებოდა. ანდრია განმარტავს, რომ მხოლოდ სვეტი დარჩებოდა უვნებლად, რადგან მის საძირკველში ქრისტეს ჯვარცმის დროს გამოყენებული წმიდა ლურსმნები იყო დავანებული. ანდრია სალოსი წინასწარმეტყველებდა, რომ მსოფლიოს დასასრული კონსტანტინეპოლის დაცემიდან მოკლე დროში დადგებოდა. თხზულების თანახმად, მოკლე დრო 100-დან 1000 წლამდე პერიოდს გულისხმობდა*.

---

* The Oxford Dictionary of Byzantium, New York and Oxford, 1991, p. 93.

ცხოვრება და მოქალაქობა ნეტარისა ანდრიასი, რომელი იქმნა სალოს ქრისტესთვის

თავი პირველი

ძმანო ჩემნო, საყვარელნო და მონანო ღმრთისანო! ისმინეთ ვედრებისა ჩემისა და გაუწყო საქმე ესე, რამეთუ არს ტკბილ, ვითარცა თაფლი და საყნოსელად სუნნელ და ჰამო. და განმზადენით გულნი სმენად, რათა მე უფროსღა განვძლიერდე და ვიწყო თხრობად კაცისათვის საკვირველისა მოღვაწეობათა და შრომათა.

მეფობასა ქრისტეს მოყვარისა დიდისა ლეონისასა იყო კაცი ვინმე წარჩინებული ქალაქსა შინა კონსტანტინეპოლეს, სახელით თეოღონოსტოს, და აქუნდა პატივი პროტოს-პატრობისა მეფის მიერ ლეონისა. იგი შემდგომად მცირედთა დღეთა იქმნა სტრატილატ (მმართველად) კერძოთა აღმოსავლეთისათა. და იყო იგი მდიდარ ფრიად, და ჰყვა მრავალნი მონანი, და იყო მათ მონათა შორის ყრმა ერთი, შვილი წარმართისა, ჰასაკითა მცირე, და იყო იგი სახით შვენიერ. და ვითარცა ნათელ-სცეს მას, უწოდეს სახელი მისი ანდრია და უყვარდა იგი ფრიად უფალსა თვისსა. ვითარცა შვილი ეპყრა იგი და მისცა სასწავლოდ საღმრთოთა წიგნთა განსაბრძნობელად. ხოლო იყო ყრმა იგი გონიერი და მორჩილი და მოკლეთა ჟამთა ისწავლა ფსალმუნი დავით წინასწარმეტყველისა სრულებით, და რიცხვი სათვალავისა, და გონიერებასა მისსა ზედა განკვირვებულ იყო მოძღვარი მისი, არა გვემა (სცემდა, სჯიდა), არამედ იყო იგი ბუნებით ფრთხილ და წესიერ, მოსწრაფე გამოწულვით სწავლისა. ხოლო უფალმან, სრულისა გონიერებისა მისისა დაჯერებითა, გამოიყვანა სასწავლისაგან და დაადგინა სამსახურებელსა თვისსა. და უყვარდა ფრიად დედოფალსაცა, ცოლსა უფლისა

თვისისა და ყოველთა სახლეულთა მისთა, და მოსვიდეს სამოსლითა თვისითა (შვენიერთა), რომელთა იხილიან თქვიან „უკეთეს და უშვენიერეს არს უფროის უფლისა თვისისა ყრმა ესე“ და მოსწრაფე იყო ყრმა იგი კითხვად საღმრთოთა წიგნთა, და უფროსღა წმიდათა მოწამეთასა, და ცხოვრებასა და მოქალაქობასა ღმერთშემოსილთა მამათასა. და დაეთესეოდა თესლი კეთილი გულსა მისსა, და უკვირნ მოქალაქობა შრომათა მათთა და მიერითგან იწყო ხელყოფად და მიმსგავსებად საქმეთა მათსა, და აქვნდა შური საღმრთოსა სიყვარულისა მათისა გულსა შინა თვისსა.

თავი მეორე

ღამესა ერთსა აღსდგა ყრმა იგი ანდრია ცხედრისაგან თვისისა და დასდგა ლოცვად, სიტყვისაებრ დავით წინასწარ-მეტყველისა, ვითარმედ „შუაღამე აღვსდეგი აღსარებად შენდა, განკითხვათათვის სიმართლისა შენისათა“. ხოლო იხილა რა ეშმაკმან, აღიშურვა (აღიღო შური) ვითარცა არს ჩვეულება ბრძოლად კეთილისა საქმისა, მოვიდა და დაურეკა კარსა მისსა ფიცხლად. მაშინ შეკრთა ყრმა იგი შიშისაგან მის რეკისა და დაუტოვა ლოცვა და აღვიდა სარეცელსა თვისსა შეძრწუნებული და დაიმალა საგებელსა შინა თვისსა.

ხოლო ვითარცა იხილა ეშმაკმან მან, გაიხარა და სთქვა სიცილითა მოყვასთა თვისთა: „იხილეთ, რომელი სჭამს ხორცსა და სვამს ღვინოსა, ამას ნებავს ჩემად ბრძოლად ჩემდა?“ შემდგომად წარსვლისა მის ეშმაკისა, მიერულა ყრმასა მას შიშისაგან და იხილა ჩვენება, ვითარმედ სდგა იგი ადგილსა ვაკესა, სახედავსა მას, რომელსა ჰქვიან კაპილონი-იპოდრომი. და იხილა ვაკესა მას შინა ერთ-კერძო კაცნი მრავალნი, მოსილნი სამოსლითა სპეტაკითა, და მათ შინა მღვდელნი,

რომელთა ემოსათ სამოსელი სამღვდელო. და მეორესა კერძოსა სხვანი კაცნი შავნი და უშვერნი, ურიცხვნი ფრიად და ერჩდეს სპეტაკოსანთა მათ და ეტყოდეს ვითარმედ „მოიყვანენით კაცნი და გვარკინენით (დაგვაჭიდენით) ანუ ვრბიოდეთ, და ვინმე უსწრობდეს ურთიერთას?!“ ხოლო იყო შავთა მათ შორის კაცი საშინელი და უდიდესი ყოველთასა ასაკითა, რომელი იყო ასისთავი ერისა მის ეშმაკთასა და ნეტარი ანდრია ვითარცა განიცდიდა მას, იხილა, რამეთუ ყრმა ერთი შვენიერი ზეცით გარდამოხდა და ეპყრნეს ხელთა მისთა გვირგვინი სამნი: ერთი მათგანი ოქროსა წმინდისა თვალითა პატიოსნითა შემკული, და მეორე იგი ოქროთა და მარგარიტითა შემკული, და მესამე იგი ყოვლითა ფერადფერადითა ყვავილითა ნაყოფთაგან სამოთხისითა და დაუჭნობელთა, რომელი არავის კაცთაგან უხილავს, რამეთუ საშინელებისა მისისა მითხრობად ვერვინ შემძლებელ არს. წადიერ უკვე იქმნა ანდრია და იტყოდა გულსა შინა თვისსა „ვიძიო, რათა მოვიღო ერთი ამათ გვირგვინთაგანი“. მაშინ მივიდა ანდრია ყრმისა მის შვენიერისა, რომელსა ეპყრნეს გვირგვინნი იგი და ჰრქუა მას, ვითხოვ მე გვირგვინთა მაგათ შვენიერთა, დაღაცათუ მე ვერ შემძლებელ ვარ მოსყიდვად თავით ჩემით, არამედ ვუთხრა უფალსა ჩემსა და რაოდენიცა ოქრო გენებოს მოგცეს შენ და იყიდოს და მომცეს მე შენგან.

განიღიმნა ჭაბუკმან მან და ჰრქუა მას „გრწმენინ ჩემი საყვარელო! უკეთუ მომართვა ყოვლისა ქვეყნისა ოქრო, ამათ გვირგვინთა არცა შენ მოგყიდი და არცა სხვასა ვის, რამეთუ გვირგვინნი ესე არა არიან ამის სოფლისანი, არამედ ზეცისა საუნჯისა გვირგვინთასა არიან, და არავინ არს ღირს დადგმად ამათდა, გარნა იგი ხოლო, რომელი ერკინოს და სძლიოს შავსა ამასა, რომელსაცა ჰხედავ და დათრგუნოს იგი. ხოლო შენ უკეთუ გნებავს მოღებად ამათგანი, მოვედ დაერკინე და დასთრგუნე იგი, და უკეთუ სძლო მას, სხვანიცა რაოდენნი გენებოს მოგანიჭო

შენა. ხოლო რაჟამს ესმა ესე ნეტარსა ანდრიას, შეძრწუნდა, გარნა განიხარა მათ გვირგვინთა მიღებისათვის და რქვა ჭაბუკსა მას გრწმენინ ჩემი უფალო! რომელიცა მრქუა, ვჰყო, გარნა მასწავე შენვე, ვითარ ვეზრძოლო?

მიუგო ყრმამან მან, რქვა: „შენ ეგერა რომელსა ხედავ, მოქადული (კვეხნა, მოტრაბახე) არს და უსუსური და მოშიშიცა ფრიად. რამეთუ ყოველი მოქადული უსუსური არს და მოშიში. ნუგეშინინ ჰასაკისა მისისა სიდიდისაგან, რამეთუ არს იგი უძლურ, ვითარცა მხალი“. და ვითარცა ჰრქუა ესე, უპყრა ხელი და ასწავა ბრძოლა მისი და რქვა: „რაჟამას შეგიპყრას შავმან იმან უშვერმან, შენ ნუ შეძრწუნდები, არამედ ხელნი გაიპყრენ ჯვარისა სახედ და ეგრეთ ერკინე და მერმე იხილო დიდება ღვთისა“.

მაშინ წარემართა ღირსი ანდრია ბრძოლად მისსა და ხმა-ჰყო ხმითა დიდითა და ჰრქუა მას: „მოვედ შეჩვენებულო, რათა ვირკინნეთ!“ მაშინ მოუხდა შავი იგი განრისხებული შეპყრობად მისსა. მყისვე განიპყრა ხელნი თვისნი ღირსმან ანდრიამან ჯვარის სახედ და დასცა შავი იგი ქვეყანასა ზედა, მყის უჩინო იქმნა. მაშინ იქმნა სიხარული დიდი ერსა მას შორის სპეტაკითა მოსილსა და ამბორს უყვეს ანდრიას და ჰსცხეს მას ნელსაცხებელი კეთილსუნნელი. მაშინ უჩინო იქმნეს შავნი იგი და განქარდეს ვითარცა ნისლი პირისაგან ქვეყანისა.

და მოვიდა ყრმა იგი გვირგვინითა მით და მისცნა სამნივე იგი გვირგვინნი ანდრიას. შეიტკბო და ამბორს უყო და ჰრქვა მას: „ამიერითგან საყვარელი ძმა ჩემი ხარ, ისწრაფე სრბად გზასა კეთილსა, განშიშვლებულმან სალოსად ჩემთვის“.

ხოლო ყრმა იგი, თვით მაცხოვარი იყო დიდებისა, რომელი გვირგვინთა მიანიჭებდა და კვალად ჰრქვა მაცხოვრმან: „ვითარცა მეუფებამან ჩემმან, დიდთა კეთილთა უფალ გყო შენ“. და ვითარცა განიღვიძა წმიდამან ანდრია, განკვირდა ხილვისა

მისთვის და რაჟამს განთენა, მოვიდა ჩემდა, უღირსისა ამის მოძღვრისა თვისისა, და მაუწყა ჩვენება ესე, რომელი ეხილვა. ხოლო მე ესე რაჟამს მესმა, ფრიად შევსძრწუნდი და მეცემოდა მისგან სული რაიმე სუნნელებისა, რომელი არა სადა მეხილვა. და ვეტყოდი, თუ რაი არს, ანუ ვითარ იყოს განსრულებაჲ ჩვენებისა შენისა, რომელი გიბრძანა უფალმან, ვითარმედ „დიდსა კეთილსა უფალ გყო შენ? ვითარითა სახითა უფალ იქმნე დიდთა კეთილთა? რამეთუ მონა ხარ და მონაზონებად არა გიტევებს უფალი შენი, არამედ სალოს ყოფა ღვთისათვის ჯერ არს (საქნელია) რამეთუ მაგისთვის გიბრძანა სიტყვა იგი!“

თავი მესამე

ღამესა ერთსა, ჟამსა შუაღამისასა, აღსდგა ლოცვად წმიდა ანდრია და რაჟამს აღასრულა ლოცვა, აღიღო დანაკი (ზომიერი დანა) წარვიდა წყაროსა ზედა, რომელი იყო სახლსა უფლისა თვისისასა. და განიძარცვა სამოსელი თვისი და დაშთა ყოვლად შიშველი. და იწყო ჭრად სამოსლისა მის დანაკითა მით ყოვლადვე, ვითარ ნაღვლიანმან (ბნედიანმან) და თანავე უბნობდა, ვითარცა ხელი (გიჟი), და ყოვლითურთ აღიმაღლებნ ხმასა თვისსა.

ხოლო მზარეული უფლისა თვისისა აღსდგა კაზმად (მზადებად) სანოვაგეთა, და ვითარცა მივიდა წყაროსა მას აღმოვსებად წყლისა, ჰპოვა მუნ ანდრია შიშველი და ხმა ჰყო: ვითარმედ ანდრია განხელებულ (გაგიჟებულ) არს და ვითარცა ესმა ხმა, მზარეულისა მის უფალსა მისსა, შესწუხდა ფრიად, აღსდგა და გამოვიდა ხილვად მისსა, და ერი ყოველი სახლისა მისისა. რაჟამს იხილეს, ჰგონებდეს, ვითარმედ ჭეშმარიტად გახელდა, და იწყეს ტირილად მწარედ და ვითარცა განთენდა, წარსცა (გაგზავნა, წააყვანინა) იგი უფალმან მისმან წმიდისა

მოწამისა ანასტასიას ეკლესიასა, სადა არიან სამარტვილონი (მოწამეთა სასაფლაო) მისნი და ეკლესია მისი აღშენებულ არს ლეონ მეფისა მიერ, რომელი იყო პირველ მაკელარი (მეუნჯე, მზრუნველი) და ბრძანა, რათა შესვან იგი ჯაჭვთა შინა. მისცნა მსახურთა ეკლესიისათა, რამეთუ ფრიად უყვარნ ყრმა იგი. და იყო იგი ეკლესიასა შინა დაბმულ ჯაჭვითა. დღისი ზრახავნ, ვითარცა ნაღვლიანი (ბნედიანი), ხოლო ღამე ყოვლად ილოცავნ და შესტირინ ღმერთსა და ევედრებინ წმიდასა მოწამესა ანასტასიას, რათა გამოუცხადოს მას რაჲ ყოფად არს სალოს ყოფისა მისისათვის. და ვითარცა მცირედ განისვენა, იხილა მღვდელი მოკაზმული და მისთანა დედანი ხუთნი, და მოვიდეს ხილვად სულთა მათ, და მერმე მოვიდეს ანდრიასა პირველ მღდველი იგი და შემდგომ წმიდანი იგი დედანი. მიხედნა მღვდელმან, განიღიმნა და ჰრქვა წმიდასა მოწამესა ანასტასიას ვითარ არა განკურნებ ამასაცა?

მიუგო წმიდამან მოწამემან მღვდელსა და ჰრქვა მასწავლელმან მაგისმან, რომელი მოვიდა პირველად მაგისსა, მან განკურნა ეგე. და არღარა უხმს კურნება ჩემ მიერ და არცა ვის სხვისა, არამედ, რომელმან ჰრქვა მაგას, ვითარმედ „იქმენ ჩემთვის სალოს და დიდსა კეთილსა მთავარ გყოს მეუფებამან ჩემმან, არამედ იქმნა ეგე ჭურ რჩეულ კურთხევისა და საყვარელ სულისა წმიდისა“.

რქვა მღვდელმან წმიდა ანასტასიას „ვუწყი მეცა ფრიად და რაჟამს აღასრულეს უბნობა ესე, თაყვანისცეს ღმერთსა აღმოსავალით და დასწერეს ჯვარი, და შევიდეს ეკლესიად ლოცვად“. მაშინ განკვირდა ნეტარი ანდრია, რამეთუ ცხადი ხილვა იყო ესე და არა ჩვენება სიზმრისა და ადიდებდა ღმერთსა, და წმიდასა მოწამესა მისსა ანასტასიას, რამეთუ გულსავსე (გულდაჯერებული) ჰყო იგი საქმისა მისთვის, რომლისა ხელ ეყო. და ზინ ყრმა იგი ჯაჭვითა მათ შინა უზმად (უჭმელი),

ხოლო ღამე აღსდგის და დადგის ლოცვად ვიდრე განთენებამდე და ევედრებოდა ღმერთსა და წმიდასა მოწამესა ანასტასიას.

თავი მეოთხე

ღამესა ერთსა აღსდგა ლოცვად წმიდა ანდრია და მოვიდა მისა ეშმაკი სახით ბერისა კაცისა მოხუცებულისათა, შავი, და იყვნეს მისთანა სხვანიცა მრავალნი ეშმაკნი და ეპყრათ ხელთა მათთა მახვილები და ზოგთა დანაკები, სხვათა ხრმლები, და სხვათა ჰოროლები, და სხვათა საბლები. და შავი იგი მთავარი ბრდღვინვიდა და იზახდა ფრიად საშინელად. და მოუხდა წმიდასა მას, რათამცა სცა მახვილითა მით, რომელი ეპყრა ხელთა მისთა და ყოველნი იგი შეუდგეს მას. ხოლო ნეტარმან ანდრია აღიპყრნა ხელნი თვისნი ღვთისა მიმართ და სთქვა: „უფალო! ნუ მისცემ მხეცსა სულსა, რომელმან აღგიაროს შენ“ და კვალად თქვა: „წმიდაო იოანე მახარობელო და ღვთისმეტყველო, შემეწიე ბრძოლასა შინა ამის მტერისასა!“ და მსწრაფლ ვედრებისა მის აღსრულებისა ოდენ, ესმა ხმა, ვითარცა ერისა მრავლისა. მოვიდა კაცი მოხუცებული ჰასაკითა დიდი და თვალითა შვენიერი და პირი მისი ბრწყინვიდა, ვითარცა მზე და შეუდგა მას ერი მრავალი, აღიმაღლა მარჯვენე თვისი და დასწერა ჯვარი ჰაერთა მიმართ. და მერმე მიუგო (მიუბრუნდა) ერსა მას, რომელნი იყვნეს მისთანა და რქვა: „დახშენით კარნი, ნუ უკვე განვიდეს ერთიცა მათ შავთაგანნი გარეგან ბჭეთა!“ ხოლო მათ ჰყვეს ეგრეთ და რაჟამს დახშეს ბჭენი, იწყეს ეშმაკთა ურთიერთარს სიტყვად „ვაი ჩვენდა, რამეთუ იოანე არს კაცი ძნელი და უწყალოდ ტანჯვად ვართ მის მიერ!“ უბრძანა პატიოსანმან მოხუცებულმან „განუხვენით ბჭენი და გამოუხვენით ჯაჭვნი ანდრიას და მომგვარენით აქა!“ ხოლო თვით იგი განვიდა გარეგან ბჭეთა მათ დახშულთა და უბრძანა, რათა თითოეულად

მოჰგვარონ შავნი იგი. პირველად მოიყვანონ თავადი იგი შავთა მათ და დასცენ ქვეყანასა და განართხეს და მიამთხვიეს (დაარტყეს) ასი არგანი (ჯოხი) და მოიყვანეს კვალად სხვა და ჰყვეს ეგრეთვე და ყოველნი ეგე სახედ დასცხეს ქვეყანასა. და ესმოდა წმიდასა ანდრიას ხმა ტირილისა და ვაებისა მათ ეშმაკთასა და განიცინა მან და აღივსო სიხარულითა დიდითა. ხოლო ეტყოდეს მცემელნი იგი ეშმაკთა მათ, "წარვედით და უჩვენენით წყლულნი თქვენნი მამასა თქვენსა სამოელსა, რათა დაჯერებულ იქმნეს შრომისა თქვენისათვის წარმომგზავნელნი თქვენნი და განიბნინეს ყოველნი იგი ეშმაკნი".

თავი მეხუთე

და მოვიდა პატიოსანი იგი მოხუცებული მონისა ღვთისა წმიდა ანდრიას მიმართ, და კვალად დასდვა რკინა იგი ქედსა მისსა და ჰრქვა „იხილეა, რამეთუ სწრაფად მოვედ შეწევნად შენდა, და მყურვების (მეურვე, პატრონი) შენთვის! რამეთუ მიბრძანა მე ღმერთმან და რაცა გნებავს მაუწყე მე, რათა ვჰყო კეთილი შენთანა. რამეთუ უყვარს მაცხოვარსა კაცი კეთილი და ცხოვრება სულისა უხარის. დაითმინე მცირედ ჟამ და წარწყმდენ ტანჯვანი ეგე და მოიგნე საუკუნენი განსვენებანი და შვებანი, და შენ მცირეთა დღეთა განთავისუფლდე და სადაცა ენებოს თვალთა შენთა, მუნ იქცეოდე".

მიუგო წმიდამან ანდრია მოციქულსა: „უფალო, ვინ ხარ შენ მაუწყე?" ხოლო მან ჰრქვა: „მე ვარ იოანე მახარებელი, რომელი მივეყრდენ საღმრთოსა მას და ცხოველსმყოფელსა მკერდსა მაცხოვარისა ჩვენისა იესო ქრისტესსა" და ვითარცა ესე თქვა, მიეფარა თვალთაგან მისა. ხოლო იგი განკვირვებული ადიდებდა ღმერთსა და ეტყოდა: „დიდება შენდა ღმერთო, რომელი ხარ შემწე მოღვაწისა და ბრძოლასა შინა, მიხსენ მე

პირისაგან მახვილისა და განმარინე ხელთაგან ეშმაკისათა. მაცხოვარო იესო ქრისტე დიდ არს ძალი შენი და შეწევნა შენი, რამეთუ მე საწყალობელი ესე არა უგულებელსმყავ, დამიცევ მე ღმერთო სიმართლითა შენითა და ღირს მყავ მე პოვნად წყალობისა, მრავალ მოწყალეო ღმერთო“.

თავი მეექვსე

კვალად ღამესა ერთსა ილოცვიდა რა წმიდა იგი, მიეძინა მცირედ და იხილა პალატი მეუფისა. და იყო იგი მდგომარე შორის პალატთა მათ. მოუწოდა მეფემან და ჰრქვა მას: „გნებავსა მსახურებად ჩემდა ყოვლითა გულითა შენითა? და გყო შენ დიდებულ შორის პალატისა ჩემისა“. მიუგო წმიდამან და რქვა: ვინ არს იგი მეუფეო, რომელსა არა ენებოს კეთილი თვისი? მე ფრიად მსურის მსახურებად შენდა და მოღებად შენმიერ კეთილისა. მიუგო მეუფემან: „უკეთუ გნებავს, ისწავე მეუფებისაგან ჩემისა“. და გამოიღო ხელითა თვისითა სპეტაკი რაიმე, ვითარცა თოვლი და მისცა და რქვა: „იხილე გემო!“ ხოლო მან მიიღო და შეჭამა და იყო ტკბილი და ჰამო, რომელ არა სადა შესაძლებელ არს მითხრობად გემო მისი. და რაჟამს გემო იხილა, ევედრებოდა და ითხოვდა, რათა მისცეს კვალად მისგანი. ხოლო მან მისცა სხვა იგი, რომელი იყო ვითარცა კიდონატი (შავი ქვა ოქროსა და ვერცხლის გამოსაცნობი) და ჰრქვა „მიიღე და შეჭამე!“ და აღიღო და შეჭამა, და იყო ფრიად მწარე და ფიცხელ, ვითარცა აბზინდი (მწარე ბალახი). და რაჟამს იხილა გემო მისი, დაავიწყდა გემო პირველისა მის.

ხოლო ვითარცა იხილა მეუფემან, ვითარმედ ემწარა გულკლებულ იქმნა და ჰრქვა მას, „ვითარ ვერ იტვირთე სიმწარე ეგე გემოსა მაგის? რამეთუ ეგე ტკბილი და მწარე სახე არს გზისა მის იწროჲსა და საჭიროსა, რომელმან მოითმინოს სიმწარე, მან იხილოს გემო ტკბილისა მის!“

რქვა წმიდამან ანდრია: მწარე იყო, მეუფეო, მეორე ესე, რომელი მომეც, რომელ ვერვინ შემძლებელ არს ჭამად ამისსა და მსახურებად შენდა. მიუგო მეუფემან: „მწარე გახსოვს და ტკბილი დაგავიწყდა? არა მოგეცა პირველად ტკბილი და მერმეღა მწარე?“ მიუგო წმიდა ანდრიამ და ჰრქვა: „წმიდაო მეუფეო, მივიღე გარნა სიფიცხლემან სიმწარისამან დამავიწყა ტკბილი იგი. მიუგო მეუფემან: ნუ იტყვი მაგას! უკეთუ არა განასწორო ტკბილი და მწარე, ვითარ უძლო შესვლად გზასა კეთილსა? რამეთუ მწარე არს ღვაწლი და შრომა და ტკბილ არიან საწადელნი კეთილნი ჩემნი და უოხჭნოთა (საბოლოო) საყოფელთა უკუნისამდე განსვენებანი და ყოველთა თანა წმიდათა ნუგეშინისცემანი. რამეთუ არა სადა შესაძლებელ არს მარტოდ ჭამად ტკბილისა მის, არამედ შეზავებული (ჰშვენის) ხამს ჭამად ორთავე გემოთა: ოდესმე იგი და ოდესმე ესე. და აწ ვითარ გნებავს, მითხრა მე, რათა ვუწყოდე? მიუგო ნეტარმა ანდრია: – მომეც კვალად ორთაგანვე, რათა ვიხილო გემო და გითხრა შენ ჭეშმარიტი. მაშინ მისცა კვალად მწარისა მისგან და მერეცა ტკბილისაგან. და ვითარცა შეჭამნა ორნივე, სიფიცხლისაგან მწარისა მის შეძრწუნდა. მიუგო ანდრია და ჰრქვა ვერ შემძლებელ ვარ მსახურებად შენდა მწარითა ამით? განიღიმნა მეუფემან და მოიღო კვალად ფარაგოსაგან (ჯიბე) თვისისა, ხილვითა წითელი რაიმე, ვითარცა შანთი ბრწყინვალე, მშვენიერი და ჰამო ფრიად და ჰრქვა: „აღიღე და შეჭამე ესეცა, დაგავიწყოს გემონი ყოვლად ჭამადთანი, რაიცა ოდენ გიხილავსა. მაშინ მიჰყო ხელი წმიდამან ანდრია, აღიღო და შეჭამა. ხოლო სიამისა და გემოვნებისაგან მისისა ჟამ რავდენვე ვერ უძლო სიტყვის თქმად. და ვითარცა მოეგო ცნობასა თვისსა, დაეცა ფერხთა ქვეშე მეუფისათა, ევედრებოდა და ეტყოდა: „წმიდაო მეუფეო და სახიერო, ნუ განმიშორებ მე მონებისაგან შენისა, რამეთუ ვუწყი ჭეშმარიტად, ვითარმედ ტკბილ არს და ჰამო მონება შენი. მიუგო მეუფემან

და რქვა: „გრწმენინ ჩემი ანდრია, რაოდენცა კეთილნიცა მქონან უნარჩევესი და უქვენაესი, გიხილავს შენ. ამისთვის დაჯერებულ იქმენ, ვითარმედ უკეთუ მმონო გულითა, ჩემი ყოველი შენი არს, და გყო შენ მკვიდრ მეუფეზისა ჩემისა!“ განიღვიძა წმიდამან ძილისაგან და განკვირვებულ იყო ხილვასა მას ზედა, რომელ იხილა მოწყალება ღვთისა აურაცხელი.

თავი მეშვიდე

და ვითრცა დაჰყო თვე ოთხი ეკლესიასა წმიდისა მოწამისა ანასტასიასსა, იხილეს მსახურთა ეკლესიისათა, რამეთუ არა განიკურნების, არამედ უარესად იხილვების მხილველთაგან. და აუწყეს საქმე მისი უფალსა მისსა: „ხოლო მას, ვითარცა ესმა ესე, უბრძანა განხსნა მისი რკინათაგან და განთავისუფლება, ვითარცა ნაღვლიანისა“. ხოლო მათ განუტევეს იგი და იწყო მიერითგან სირბილად ადგილითი-ადგილად, ვითარცა ჰქმნა პირველ წმიდამან სვიმონ სალოსმან.

და ვითარცა შემწუხრდა, მოვიდა ჩემდა უღირსისა მოძღვრისა თვისისა, ოდესცა ვსჯედ მარტო სენაკსა შინა ჩემსა. განიღიმნა მცირედ ჩემდა მომართ და კვალად იწყო ცრემლვად ფრიად. ხოლო მე მოვეხვიე სურვილით და შევიტკბე და ამბორს ვუყავ და ქვე დავვარდი. მივუგე და ვარქვი: „ვითარ გენერე რკინათაგან, რომელთა შინა იტანჯებოდი?“ მაშინ მითხრა მე ყოველი, რაიცა შემთხვეოდა მას. რამეთუ მე ოდენ (ჩუმად, ძლივს) მოძღვარსა მეუბნებოდა ბრძნად, ხოლო რაჟამს განვიდის გარედ, იყვის ვითარცა ნაღვლიანი. და ვითარცა მოეახლა განთიადი, ამბორს მიყო მე და განვიდა რონინებად. ხოლო სამოსლად ემოსა მცირე რაიმე ძონძი. მოვიდა უბანსა არტოპოლისსა და მოუხდეს ვინმე მოყმენი რომელნი იარებოდეს უჯეროდ. კაპილონსა შინა და დასხდეს და მოიღეს ღვინო და იწყეს ხმად და იცინოდეს უწესოდ

და იმღერდეს და სცემდეს ქედსა ანდრიასსა, დაიჭირვიდეს და არა განუტევებდეს განსვლად, რამეთუ ვითარცა ხელი შეერაცხათ და არა მისცეს მას ყოვლადვე სრულებით საზრდელი და არცა თუ წყალი ასვეს. ხოლო იგი განიზრახვიდა გულსა შინა თვისსა, „ვითარმედ, რაჲ ჰყოფად არს ჩემს შორის ამათსა?“ და ერთმა მათგანმან აღიღო ჭიქა ნახევარ-სხმული, რათა შეასვას. მაშინ შეეტყუა წმიდა იგი და მოსტაცა ჭიქა იგი. შეჰკრა თავსა მისსა და ივლტოდა; ხოლო იგინი მიეწივნეს და შეიპყრეს და სცეს ქედსა და კვალად შემოიყვანეს კაპილონადვე. დასხდეს და იწყეს სმაჲ და არა მისცეს საზრდელი წმიდასა მას თვინიერ ცემისა ყვრიმალთასა. ხოლო რაჟამს შემოხდა ჟამი მწუხრისა ენება მათ განბნევა თვისად სადგურად. გამოვიდეს და წმიდა იგი ჰყვა ჯერეთ მათგანვე და ვითარცა მოიზიდვიდეს, ჰქვა მათ ანდრია „ურცხვნო, ბილწნო, და მედგარნო (მზაკვარნო)! აწ რა ვუყო უჟამოდ უკეთუ მემთხვიოს კერკეტნი, რომელ არს ღამე მავალი ერი, მცველი ქალაქისა?“ და ესე სიტყვა მათთვის რქვა, რათა გულისხმა ჰყონ და განეკრძალნენ იგინი. ხოლო მათ არა გულისმხა-ჰყვეს ამისაგან, არამედ განუტევეს იგი. წარვიდა ანდრია და სცნა რაჲ შემთხვევად იყო ყრმათა მათდა. ხოლო მათ განიზრახეს რათა წარვიდენ იგინი მეძავთა დედათა თანა. და იყო ჟამი მეორე ღამისა. ხოლო ნეტარი ანდრია მიიჭრა ყურესა ერთსა ბნელსა და შეურაცხსა. და მადლობდა ღმერთსა, რომელმან იხსნა იგი სოფლისა საცთურთაგან. ხოლო ჭაბუკნი იგი გამოვიდეს მეძავთაგან და უნდა, რათა წარვიდეს სახიდ თვისსა. შეემთხვინეს კერკეტნი (ღამით მცველნი ქალაქისანი) და შეიპყრეს იგინი, შეკრნეს და მოიყვანეს. და ვითარცა წარმოვლიდეს ადგილსა მას, სადა მიწოლილ იყო წმიდა იგი. განძარცვეს მათ და ჰსცემდეს უწყალოდ. ვითარცა იხილა ნეტარმან ანდრია, შეეწყალნეს და ევედრებოდა ღმერთსა მათთვის. შეემთხვია ვინმე მოყვარე ყრმათა მათ და გამოიძია

ყრმანი იგი. მაშინ ყრმათა მათგანი ეტყოდა მოყვასთა თვისთა: დამცა-წყეულ არს ეშმაკი! არა გახსოვთა რაი იგი გვრქვა ჩვენ სალოსმან? მიუგო მოყვასმან: „ხელო (გიჟო) ვითარ არა უწყი, რამეთუ მომავალსა ეშმაკი აუწყებს შტერიანთა (გიჟთა*)? ჩვენ მას ვსტანჯევდით და ეშმაკი, რომელი დამკვიდრებულ არს მისთანა მას აუწყა“. და ჰრქვა მესამემან: არა არს ეგე ეშმაკისაგან, არამედ ტანჯვისა მისისათვის ღმერთმან გვიყო ჩვენ ნაცვალი! ჰრქვა მეოთხემან: განაღა ღმერთი იურვის ხელისა მაგის საურავსა? იგი ეშმაკეულად გაუხდია და ჩვენ ვემღერდით მას. რა ბრალი იყო. უკეთუმცა წმიდა ვინმე ყოფილყო? ჰე ეგრეთ არს, ხოლო იგი ხელი არს. ჩვენ რა ცოდვა გვაქვს მისთვის?“

თავი მერვე

და ვითარცა მოიწია ცისკარი, აღდგა ანდრია ადგილსა მისგან და რბიოდა შორის შუკათა (ფოლორცი-ქუჩა) და უბანთა და დღე ყოველ იმარხავნ შეურევნელად. ხოლო ვითარცა შემწუხრდის, იარებინ ფოლორცთა შინა ქალაქისათა და ეძიებნ ადგილთა, სადა ძაღლნი დაწვიან, რათამცა დაწვა მათთანა. და განასხის ძაღლნი იგი და თვით დაწვის ადგილსა მათსა შიშველი, რამეთუ არა რაი აქვნდა გარნა ძონძი, რომლითა დაიფარვის სიშიშვლე. და რაჟამს იქმნის ჟამი ცისკრისა, განვიდის კვალად სირბილად და ეტყვინ თავსა თვისსა „ჭოი ანდრია საწყალობელო! ვითარ ხარ ძაღლი ძაღლისათანა სწევ, გვალე და ვრბიოდეთ, რომელთა გვსდევს სიკვდილი, რამეთუ ნუ ვინ გონებს შეწევნასა დღესა მას საშინელსა ურთიერთარს. რამეთუ ყოველი კაცი ნაყოფსა ნაშრომისა თვისისასა სჭამს, არამედ ჩვენ ნაშრომითა ჩვენითა

---

* სიგიჟენი განიყოფებიან ათერთმეტად: შმაგად, ხელად, სულელად, ცოფად, ნაღვლიანად, რეგვენად, ტერტერად, შლეგად, შტერად, ფეთიანად შეტიანად (სულხან-საბა, ლექსიკონი, გვ. 58).

ვსცხონდეთ და ვისწრაფოთ ზრუნვად სულისა ჩვენისათვის, რათა დაჯერებულ იქმნას ღმერთი ჩვენს ზედა და გვადიდნეს დიდებასა მას მისსა. მიხედენ ნეტარსა პავლეს, ვითარ დაუტევნა პირველნი იგი და უკანასკნელნი მოიპოვნა კეთილნი“. და ესრეთ რა იქცეოდა ნეტარი ანდრია, მოქალაქენი რომელნიცა არა იცნობდეს, იტყოდეს, ვინ არს ესე ახალი ხელი ყრმა? სხვანი იტყოდეს: ქალაქი ესეოდენი არს უნაღვლოდ და რომელნიმე სცემდიან და რომელნიმე ნერწყვიდიან პირსა მისსა და ეძაგებიან შეხედვად. ხოლო იგი ყოველსავე ქრისტესთვის მოითმენ შიმშილითა, წყურვილითა და სიცივითა და შეურაცხებითა იყოფინ და ილოცავნ ფარულად და ნებავნ, რათა არავის ესმას! არამედ შორს ესმინ ხმა ლოცვისა მისისა და კაცნი ჰგონებდნენ, ვითარმედ სახელით ვისმე ზრახავსო.

თავი მეცხრე

დღესა ერთსა გარდავლიდა კარსა სამეძაოსასა. იხილა იგი მეძავმან სახლით გამო და ჰსთქვა: „ვითარმედ იგი სალოსი არსო!“ ეწია და შეიპყრა და შეითრია სახლსა თვისსა. ხოლო იგი იყო ვითარცა წმიდა და უბიწო. შეჰყვა მას და მოვიდეს სხვანიცა მეძავნი ხილვად მისსა: ეცინოდეს და ჰკითვხიდეს, „ვითარ გახედ შენ ეგრე სალოსად?“ ხოლო იგი არა რასა მიუგებდა სიტყვასა, არამედ მცირეოდენ განიღიმნის. სცემდეს ქედსა მისსა და აიძულებდეს ვითარმედ მოვედ და შემოგვეხე; და ხორცთა მისთა უჟღემლდეს, და შეახებდეს ხორცთა მისთა და ეტყოდეს: „ხელო (გიჟო)! დაჰსწევ ჩვენთანა და აღასრულე ნებაჲ ხორცთა შენა!“ და უკვირდათ მეძავთა მათ და იტყოდეს: „ფიცხელ ნაღვლიანი არს, რომელი იძულებასა ჩვენსა ზედა არს განსრული ხორცთაგან, ანუ შეშა უტყვი!“ ხოლო ერთმან მათგანმან ჰრქვა სხვათა, ჩვენ ვართ ხელნი, რომელნი ვზრახავთ

ბედისათვის. კაცი, რომელი არა სჭამს, არცა სვამს, რად უნდა მას ნება ხორცთა? განუტევოთ და წარვიდეს გზასა თვისსა! და იხილა წმიდამან შორის მეძავთა მათ ეშმაკი მდგომარე, შემწე მეძავთა, შავი და უთმო. და იყო თავსა მისსა ზედა ნაცარი და ბაყლით (ჩირქით) მოდებული და თვალნი მისნი ვითარცა მელნისანი და ზურგსა მისსა ზედა ეკრა ტყავი ძღარბლისა საძაგელი და სქელი და სამშვინელთაგან მისითა გამოვიდოდა სული სიმყრალისა და საძაგლისა. ხოლო ნერწყავნ მას ჟამ-ჟამ წმიდა ანდრია და იგინი გონებდეს, ვითარმედ სახელითა იქმს. და ვითარცა იხილა ეშმაკმან ფრიად საძაგელი და შეურაცხი, მაღალი ხმითა იწყო ყივილად ანდრია: „არიან კაცნი საძაგელნი და შეურაცხნი, რომელთაცა გულსა შინა ვაქვ (ვყევარ) მე, ვითარცა თაფლი ტკბილად. ხოლო შენ სოფელსა ემღერ და ჰკიცხევ სალოსობითა შენითა და მე შემნერწყავ? რამეთუ შენი ეგე სალოსობა არა თუ სიკეთისა შენისათვის თავს გიცს, არამედ ზარმაცობითა შენითა რბი ცუდად!“ და ესმა რა ესე ანდრიას, განიცინნა. მერმე შერისხნა ეშმაკსა და განხდა გარე განქიქებული. იტყოდეს დედანი იგი ურთიერთს; „იხილეთღა შტერი ესე. ვითარ ერჩის ეშმაკთა, რამეთუ იგინი ვერ ხედვიდეს და უბნობა მისი ოდენ ესმოდათ. მაშინ განიზრახეს მათ რათა აღხადონ სამოსელი მისი, რომელნი ემოსა და განყიდონ იგი ღვინოდ. და აღხადეს იგი და განჰყიდეს იგი ოცდაოთხ ფულად და განიყვეს ორ-ორი და წმიდა იგი დაშთა სრულიად ტიტველი. ერთმა მათ მოყვასთაგანმა სთქვა: „არა განუტევოთ იგი შიშველი, არამედ მივსცეთ კელმენი (მსხვილი ჭილობი), რომელი მოისხას“. მოიღეს კელმენი იგი, გახვრიტნეს და გარდააცვეს ყელსა მისსა, და გამოაძიეს გარე, ხოლო მან იწყო სირბილად კელმენითა შუა უბანთა, და რომელნიცა ხედვიდეს, ეტყოდეს: „კარგი ფლასი (ბალნის ძაძა) გახურავს ხელო!“ მიუგო წმიდამან ერსა მას და რქვა: „დღეს მეფემან პატრიარქად შემქმნა მე და ესე სამოსელი შემმოსა“. უკეთუ ვინმე იყვის ღვთის მოყვარე,

მიუპყრის ფული, აღიღის იგი და თვით არავისგან ითხოვდა. ხოლო დღე ყოველ ოც-ოცი ფული ანუ უმცირესი მისციან, იგი ეძიებნ ადგილსა ფარულსავ სადა ხოლო იგი იდვის გლახაკი; თანაწარსვლა ჰყვის და მისცის და კვალად დაჯდის შორის გლახაკთა და ფოლორცთა და იმღერნ. უკეთუ ვინმე მოსტაცის ფული იგი, მიეწიის და მიამთხვიის ხელითა. სხვანი აღდგინ და სციან მას, ხოლო მოფანტის ფული იგი ყოველი და წარვიდის. მაშინ მოჰკრიბიან გლახაკთა მათ, განიყვიან და წარვიდიან.

უბანსა, რომელსა ჰრქვიან ნატიფორო, დღესა ერთსა იმღერდა წმიდა იგი მახლობელად კაპილონისა (სახლი-მოგზაურთა სადგური). ჰსხდეს ვინმე კაცნი და სმიდეს ღვინოსა წურვილსა (დაწურულს). მიდგა ანდრია კარსა და განიცდიდა (ათვალიერებდა, უმზერდა) და ვითარ იხილა იგი მეღვინემან, დაუბრუნდა (მიუბრუნდა), შეუფრთხო და რქვა: „რასა გვჭვრეტ ხელო! წარვედ და მიეგე კლდეთა“ მიუგო წმიდამან და რქვა: სიძვისა ეშმაკი, ვითარცა ციდამტკაველა, გიზის მხართა ზედა და ვითარცა დათვი ჰყავხარ აღვირითა. ეგრეთვე შენ ეშმაკსა მას ჰყავხარ მოსაბლული! მომეც მე ფული ერთი! მიუგო კაცმან მან: არა მაქვს ფული. ჰრქვა ანდრია: ჰოი უბადრუკო! შვიდი ფული გეპყრნეს სახლთა შენთა: „ერთითა იყიდე მხალი და ერთითა ლოპინარი, რომელ არს ცერცვი და ხუთნი გქონან ფარაგსა (ჯიბესა შინა) დაფარული და ლამი (ჰფიქრობ, გინდა) მაგით ღვინის შესმასა“. და ესრეთ თქვა, გაიქცა და წარვიდა. მაშინ ჰრქვა კაცმან გაკვირვებულმან სხვათა მათ მსხდომარეთა: ყოველივე მართალი მრქვა მე ხელმან მან. ესმა მეკაპილონესა და რქვა: „გხედავ შენ უხელეს ხარ მისსა. არათუ იგი უბნობბ, არამედ უბნობს ეშმაკი, რომელ არს მისთანა. რონინებს და ზრახავს მარადის მისთანა. რამეთუ ეშმაკმან არა იცის ვინ ისიძავს, ანუ ვინ იპარავს, ანუ ვისა აქვს განძი. ეშმაკი მისთანა რონინებს და იქმს ნებასა მისსა და ყოველსავე მიუთხრობს“. და ვითარცა ესმა მეკაპილონისაგან, რწმენა კაცსა მას.

თავი მეათე

კვალად სხვასა ჟამსა რონინებდა წმიდა იგი. შეემთხვივნეს მას სამნი მოყმენი ქმნულნი კეთილნი და შვენიერნი ხილვითა და იყვნეს იგინი ღვთის მოყვარენი და მორწმუნენი. ერთსა მათგანსა ეუწყა რაიმე ღვთისა მიერ წმიდისათვის. და მოვიდა სარწმუნოება გულსა მისსა და ჰრქვა სხვათა მათ „ირწმუნენით ჩემი, საყვარელნო, სალოსი იგი მისა არს ქრისტესი!“ ჰრქვა მეორემან: გევედრები, რათა მოვუწოდოთ და ვეუბნოთ. და ჰრქვა პირველმან: „უკეთუ გნებავს, მოვუწოდო“. და წარვიდა მოწოდებად წმიდისა და რქვა „ძმაო უკეთუ გიყვარ, მოვედ და დაჯედ ჩვენთანა მცირედ, რამეთუ მე და ჩემთანა მათ დიდი სურვილი გვაქვს შენდა მომართ“. ხოლო რაჟამს იხილა წმიდამან ჭაბუკი იგი, განიღიმნა და რქვა: „არა ეპიფანე ხარ მოყვარე ჩემი და შვილი ჩემი?“ და ამბორს უყო მას და ჰრქვა: პატრიარქობასა ღირს იქმნები კონსტანტინეპოლს. უპყრა ხელი და წარვიდა მოყვასთათანა, ხოლო მიუთხრა ეპიფანე საკვირველი იგი მოყვასთა თვისთა, ვითარ უწოდა მას სახელით, და რაჟამს ესმა მათ, მადლობდეს ღმერთსა და შეიყვანეს სახლსა მეკაპილონისასა და დასხდეს. აიძულებდეს, რათა პირი იხსნას მათთანა. მოიღეს პური და თევზი და დაუგეს. ხოლო რაჟამს იხილა წმიდამან სარწმუნოება მათი, დაიწყო ფარულად ლოცვა. და იგინი ძრვასა ოდენ ბაგეთასა ხედვიდეს და მერმე ხელითა თვისითა განანაწილა და მისცა თითოეულსა. ჭეშმარიტსა გითხრობთ, ძმანო ჩემნო, და ისმინეთ ჩემი, რამეთუ დღითი-დღე ნახევარი პაქსიმადი (ორცხობილა) იყო საზრდელი მისი, და მაშინცა იგივე მიიღო. ხოლო მარტოდ არა ოდენ ესვა ღვინო. გარნა თუ კვირიაკესა, და უკეთუ ვინმე აიძულოს, იხილოს გემო ღვინისა, რამეთუ ეშმაკსა ესეც აღეღო შური, რომელ მოაგონოს კაცთა, რათა არა რას მისცემდენ და შესჭირდეს, ანუ შიმშილითა

ანუ წყურვილითა და ითხოვოს. ხოლო იგი მოითმენდა, მრავალგზის შეკნინდის (დასუსტდებოდა) შიმშილითა და წყურვილითა, არამედ ითმენდის, და ოდესმე ჰპოვის მწვირეს (შეურაცხი) წყალი, დადვის პირი ჯვარის სახედ და სვის, და რომელთა იხილიან ეძაგებინ და ნერწყვიდიან და რომელნიმე სცემდიან. ხოლო მან არა რა სიტყვა მიუგო. რაჟამს კაპილონსა ეპიფანესა და მოყვასთანა მისთანა იყო, წარვიდა მოძღვარი მისი და ვითარცა ესმა ხმა წმიდისა მის კაცთა შორის, მათ ვითარცა პირი იხსნეს, ამბორს უყვეს და დაუტევეს მუნ და წარვიდეს. და მეკაპილონელნცა განვიდეს საქმისა რასათვისიმე. და დარჩა წმიდა იგი მარტო. და ვითარცა არა სადათ ვინ იყო, აღსდგა და აღიპყრნა ხელნი ზეცად, და ევედრებოდა ღმერთსა სამთა მათთვის. მემოწმების ღმერთი, რომ ქვეყნისაგან ამაღლდა და ჰაერთა ზედა ეკიდა და ესრეთ ილოცვიდა, ხოლო მე შემიპყრა შიშმა და ძრწოლამან. და რაჟამს აღასრულა ლოცვა, გამოვიდა კვალად სირბილად კეთილსა მას გზასა.

თავი მეთერთმეტე

და ვითარცა მოიწია ზამთარი ძნელი, და იყო ყინელი ფიცხელი და საშინელი. რამეთუ მოსწყდებოდეს კაცნი მოსილნიცა სიფიცხისაგან სიცივისა და სახლები აღივსო თოვლითა, კეცები გადმოსცვიოდა თოვლისაგან და ქარისა, სასტიკისა და ხმობდეს ვითარმედ ავსწყდებით სიფიცხისაგან ზამთრისა და სხვანი მოსწყდებოდეს შიმშილითა, რამეთუ ვერ უძლო უძლურთა განსვლა და თხოვა პურისა. ჭურჭელნი დაილეწებოდეს და ხენი განიბრძარვიდეს ნეფხვისაგან (ხმელი ყინვა) და ფრინველნი ჰაერთაგან გარდმოსცვივდებოდეს ქვეყნად. ხოლო მე დიდი წუხილი მაქვნდა ანდრიასათვის, თუ ვითარმე იტვირთავს ჰაერსა მას საშინელსა შიშველი და უხამური,

უზმო და წყურიელი. არა აქვს სართული, არცა ადგილი სადა თავი მიიდრიკოს, არცა კელმენი (მცირე სენაკი), სადა მიიჭრას და ადგილი არა ვუწყი, თუ სადა იყოფის, რათამცა მივედ და ვიხილე, არამედ ვგონებდაცა, ვითარმედ აღსრულებულ არს. რამეთუ მრავალთა დღეთა არა მოტკბა ჰაერი, არცა დაყუდნა სიმძვინვარე მისი, ხოლო შემდგომად ორისა კვირისა დადგა ქარი და რაჟამს შემწუხრდა დღე, მოვიდა იგი ჩემდა სახლად. ხოლო მე ვითარცა ვიხილე, შეძრწუნდა სული ჩემი, აღვსდეგ და მოვეხვიე ჟამ ერთ. მაშინ მრქვა მე „დავსჯდეთ მოძღვარო, და დაყუდენ ტირილისაგან, რათა მოგითხრა“. და ვითარ დავსხედით, მრქვა, “მოიღეთ ტრაპეზი, რათა პირი ვიხსნათ (პური ვჭამოთ) და მერეღა ვიტყოდი“, ხოლო ესე ამისთვის სთქვა, რათამცა ვუბრძანე მსახურთა ჩემთა განბნევა ტრაპეზისა დაგებისათვის და მემცა მარტოდ და მეუბნა. და ვითარცა განვაბნიენ ყოველნი მსახურებად, მრქვა მე: „რად მწუხარე იყავ ჩემთვის და ჰგონებდი. ვითარმედ მომკვდარ ვიყავ სხვათათანა? არა გრწამსა წინასწარმეტყველისა, რომელი იტყვის „ვითარმედ მახლობელ არს მაცხოვარი მათდა, რომელნი განკაფულ არიან გულითა და მდაბალნი სულითა აცხოვნესა. არა უწყი ოდეს მრქვა მე მაცხოვარმან: უკეთუ მმსახურო მე ყოვლითა გულითა, რავდენსა კეთილსა და ნუგეშინისცემასა მნებავს ჰყოფად შენი, ხოლო ამიერითგან გევედრები არა სწუხდე ჩემთვის და ნუცა იტყვი თუ ვიტანჯები, ანუ მელმის რაიმე ჭირისათვის, რამეთუ დიდი სიხარული არს კაცისა აქა ამა სოფელსა შინა. რამეთუ მუნცა რაჟამს განსაცდელი თუ რაიმე შეემთხვიოს ქრისტესთვის“. ხოლო მე რაჟამს მესმა მისგან, რწმენა საკვირველება ქმნილ არს მისთანა, და ამისთვის მამცნებს მე ამას“. ვევედრებოდი და ვეტყოდი, სიყვარულისათვის ქრისტეს ღვთისა. მაუწყე, სადა იყავ სიფიცხესა მას ჰაერთასა? და ნუ დამიმალავ რაიცა შეგმთხვევია.

თავი მეთორმეტე

მაშინ მომიგო წმიდამან და მრქვა მე „საყვარელო ჩემო ღმერთისა მიერ, რასა ეძიებ ჰყოფასა ჩემსა? სადა იყოფიან სხვანი ყოველნი ხელნი, მუნვე არს ადგილი ხელისა. ხოლო მე სიტყვისათვის შენისა მოგითხრა ყოველივე საქმე ჩემი. ჭეშმარიტად გაფუცებ შენ ღმერთსა და შემოქმედსა ცისა და ქვეყანისასა, ვიდრემდის ცოცხალი ვიყო, ნუ ვის უთხრობ საქმესა ჩემსა, რომელსა გითხრობ“. ხოლო მე ვეფუცე დამარხვად მცნებისა მისისა. აღიღო პატიოსანი წმიდა პირი თვისი და იწყო თხრობად ჩემდა და მრქვა: „ვითარცა ვუწყი, საყვარელო მამაო, სიფიცხე იგი ზამთრის მის, და საშინელი სასტიკება, ვერ შემძლებელ ვიყავ მოთმენად ძლიერსა მას ჰაერსა, რამეთუ ვიყავ შიშველი და უხამური და თავღია. და ვითარ უღონო ვიყავ ყოვლით კერძო, შევიჭერ სართულსა ვისმე გლახაკისასა, რათამცა მცირედ მელხინა. ხოლო იგი განრისხდა დამცა არგნითა, გამომდევნა ვითარცა ძაღლი. ამიერითგან არღარა მქონდა ღონე. რათამცა განვერე ჰაერსა მას ფიცხელსა. არამედ განვიწირე თავი ჩემი, ვგონებდი, ვითარმედ მოიწია აღსასრული ჩემი და ვიტყოდი ესრეთ: „კურთხეულ არს მაცხოვარი ღმერთი! უკეთუ მოვკვდე მისთვის, შემერაცხების მე წამებად, რამეთუ ღმერთი სიმართლისა არს!“ და წარვედ ფოლორცსა ბნელსა და ვიხილე მუნ ძაღლი მწოლარე. დავსწევ მახლობლად ძაღლისა მის და ვგონებდი ვითარმედ ძაღლისა მის სიტფომან მცირედ განატფოს ხორცნი ჩემნი. ხოლო რაჟამს მიხილა ძაღლმან, ივლტოდა ჩემგან. ხოლო მე ვეტყოდი თავსა ჩემსა: უბადრუკო ანდრია! ცოდვანი შენნი ძაღლთაცა უწყიან და ეძაგების და გელტვიან და კაცთა ვითარცა ეშმაკეულნი უჩნ და გდევნიან, ვითარცა ძაღლსა. ჭეშმარიტად მოკვდინებად ხარ შენ, ანდრია, ვითარცა ავაზაკი უსახლობით. და ვითარცა

ვსთქვი ესრეთ შეძრწუნებულმან, მოვიქეც სინანულად და ვიწყე ლოცვად, რამეთუ შევიშთობოდი. ხოლო მწარისა სიცივისაგან მომიხდებოდეს ცრემლი და ვევედრებოდი ღმერთსა. აღვიხილენ თვალნი ზეცად მიმართ და ვიტყოდი, მაცხოვარო, რაჲ ჰყოფად არს ჩემდა? და რაჟამს განცივდეს ყოველნი ხორცნი ჩემნი და მომეხვია ყინელი პირსა ჩემსა, მოველოდი აღსასრულსა ჩემსა, მყის მოვიდა ჰაერისა სიტფო რაიმე მყუდრო და შემემოსა გარემოს ხორცთა ჩემთა. და ვითარ აღვიხილენ თვალნი, ვიხილენ კაცნი ვინმე შვენიერნი მოსრულნი ჩემდა. და ამას არა ჩვენებასა შინა ვიხილავდი, არამედ მღვიძარებასა. ხოლო პირი ჭაბუკისა მის ბრწყინავდა, ვითარცა მზე, და ეპყრა რტო ოქროსა და რტო იგი იყო მოთხზულ გარემო ვარდითა დრაჰკნითა, რომელ არს შროშანი. რამეთუ არს ვარდი იგი და ყვავილი ყვავილთაგან სამოთხისათა, და არა ამის სოფლისათა. მომიგო და მრქვა: „ანდრია სადა იყოფოდი?“ ხოლო მე ვარქუ: ბნელთა და აჩრდილთა ამა სოფლისათა. და რაჟამს ესმა სიტყვა ესე, შემახო რტოთა მით პირსა ჩემსა და მრქვა მე: „მიიღე ამიერითგან ძალი ცხოვრებისა, რათა გვამი შენი იქნას უვნებელ და არა რაj შეგეხებოდეს“. და სიტყვისა მასთანა მომეფინა მსწრაფლ სუნი სურნელებისა ძლიერად და მსწრაფლი, ვითარცა ელვაჲ. და მასვე ჟამსა განვძლიერდი და მესმა ხმა ძლიერ ზეგარდამო, რომელი ეტყოდა კაცსა მას, რომელსა ეპყრა რტო ოქროსა, წარიყვანე ეგე განსასვენებელსა სამოთხისა ჩემისასა და მუნ განუსვენე ორ კვირიაკესა ოდენ. და მერმე მოიყვანე ადგილსავე ამას, რამეთუ მნებავს, რათა იქცეოდეს შვებათა მისთა“. ხოლო იტყოდა წმიდა იგი, ვითარმედ მსწრაფლ მოვიდა ჩემდა ძილი ტკბილი და ღრმა და ჰამო. არა უწყი, თუ რა ვიქმენ ფრიადისა მის სიტკბოებისა და სიამისა. და ორი კვირიაკე, ვითარცა სახმილავი ერთი ღამისა, წარხდა წინაშე ჩემსა. ვხედევდი სამოთხესა მას მშვენიერსა და განვისვენებდი და განკვირვებული ვიტყოდი:

ესრეთ მაუწყამცა, თუ ვინმცა სადა ვარ, რამეთუ საყოფელი ჩემი არს კონსტანტინეპოლეს და მე აქა რასა ვიქმ? და შემიპყრა განკვირვებამან, თუ ვითარ იქმნა ესე ჩემდა. და კვალად მოვეგე ცნობასა და ვიტყოდი თავით ჩემით თურმე ვარ ნაღვლიანი თუ არა, რასა ვეძიებ საქმეთა ჩემთა, რაჟამს ვხედავ კეთილთა მათ მიუწდომელთა, რად არა ვმადლობ სახელსა ღმერთისა საგალობელსა.

ხოლო მემოსა სამოსელი სპეტაკი და შემკობილი თვლებითა პატიოსნითა და ვიხარებდი მის მიერ და გვირგვინი, რომელი მედგა თავსა ჩემსა, შეთხზულ იყო ყოველთაგან ყვავილთა ფერად-ფერადთასა და ხამლნი, რომელნი მესხნეს ფერხთა ჩემთა, იყო ოქრო ღვედულნი და სარტყელი მოწეული წელთა ჩემთა, და ვხედავდი ჰაერსა სამოთხისათა, ვითარცა ცეცხლსა მნათობსა და ბრწყინვალესა და სურნელება, რომელი მოაქვნდა ნიავთა სამოთხისათა, ვერ შემძლებელ ვარ მოთხრობად და ვერცა გულისხმისყოფად სიამოვნისა მათისა. და ვრონინებდი მას შინა, ვითარცა მეფე რაი რონინებს მტილსა შინა განსვენებად თვისსა. და ვხედავდი ნერგთა ხეთასა ფრიად შვენიერთა და ნერგულთა ხელითა ღვთისათა. ხოლო არა მსგავს იყვნეს ხეთა ამათ, რომელთა აწ ვხედავთ სოფელსა ამას შინა, არამედ იყვნეს ვრცელ და შვენიერ. და ცვარი მადლისა წვეთინ მწვერვალთა მათთაგან ქვეყანასა ზედა, და აქვნდა სურნელება სამო, ხოლო უფროს საკვირველება ესე იყო, რამეთუ არა ერთი სურნელება აქვნდა, არამედ ყოველნი თითოეულად მოფენდიან სხვასა და სხვა სურნელებასა. ყვავილნი და ნაყოფნი მათნი მარადის განუქარვებელ და დაუჭნობელ იყვნიან, შეუცვალებელ და დაუკლებელ ზეგარდამოსა ბრძანებისა მიერ. და იყვნეს სხვანიცა ხენი, ნაყოფითა და ფურცელითა შემკულნი, და ნაყოფი ესხა შვენიერი და მოუგონებელი. და სხდეს ხეთა მათ ზედა ფრინველნი ფერად-ფერადნი და გვარიანთა სახითა

შვენიერად შემკულნი ფრიად. დასხდიან ფურცელთა მათ ზედა, ღაღადებდიან ხმითა ტკბილითა შვენიერითა სხვითა და სხვითა და ხმითა მათთა სიმაღლე განისმოდა კიდეთა ცისათა და ფერთა მათ მფირნველთასა მენება განცდა და ვერ შევუძლე. რამეთუ ყოვლითა თითო სახენი და თითო ფერნი ხილვანი უვიდოდეს. ვიხილე მათ შორის მფრინველი ერთი, რომელი უზესთაეს იყო. მათ ყოველთა დაუშვენიერეს და უცხო ყოველთა დაბადებულთა რომელიცა უხილავ თვალსა კაცისასა. და ვინმცა იყოს განცდად შემძლებელ შვენიერებას მისსა! და ხეთა მათ, რომელთა გითხრობ, ესრეთ სდგეს მწყობრად მიწყობილად, რაზომცა ლაშქარი მწყობრად და მწყობრად და ვითარცა ვხედევდი უხილავთა მათ კეთილთა, არღარა მწადოდა ხილვად ბნელისა ამის სოფლისა. ხოლო რაჟამს ვიქცეოდი გზათა მათ შორის ვრცელთა განფენილთა, ვიხილე მდინარე დიდი შორის სამოთხესა, რომელი მორწყვოდა ნაყოფთა მათ სამოთხისათა და მფრინველნი შთამოვიდოდეს და სმიდეს მისგან და კვალად იქციან ხეთავე მათთა და ხმობდიან ხმითა ჰამოთა, ვითარცა ებნისა და ორღანოსათა.

თავი მეცამეტე

და ყო ვენახიცა გარემოს მდინარესა მას და ფურცელნი ვაზისანი ყოველნი იყვნეს ოქროს ფერნი და ელვიდეს, ვითარცა სანთელი აღნთებული, და მტევანი ესხა ფრიად და ფურცელნი იგი ოქროსანი აგრილობდეს მტევანსა მას. და იყო ვენახი იგი განფენილ შუა სამოთხესა და შუა ვენახსა მას უყო ლოდი დიდი, რომელი იქადაგების სახედ მხსნელისა ჩვენისა იესო ქრისტესა, ლოდი საკიდური. და რაჟამს ვიხილე იგი, აღვივსე სიხარულითა და მხიარულება უცხო მოეფინა გულსა შინა ჩემსა. ვსდეგ მუნ ჟამ რაოდენიმე და განვიცდიდი. ამოხდა ნიავი მყუდრო და ჰამო

და მოიღო სურნელება რაიმე უხილავი. ხოლო მე ვჰგონებდი, ვითარმედ ჭეშმარიტად ანგელოზნი აკმევენ წინაშე ძისა ღვთისა და მიერ გარდამოხდა სურნელებაი ესე. და რაჟამს დასცხრა სურნელება და ნიავი იგი, მესმა ხმა ქარისა დიდი და ძლიერი მრავლით კერძო. და რაჟამს მივჰხედენ ქარსა მას, იყო იგი ვითარცა თოვლი სპეტაკი და ღრუბელი ჩნდა და ვიხილე მის ქარისა კერძო. სხვა ხეჲ და მოიღო ქარმან სურნელება მის ხისა უამესი და უსაკვირველესი ყოვლითა მით, რომელნი პირველ მეყნოსნეს. და დამავიწყდა პირველი იგი და მექმნეს უკანასკნელნი. და სხვანი ფრინველნი ვიხილე საშინელნი, რომლითა აღიძრა სული ჩემი. და გრწმენინ ჩემნი. მამაო არა უწყი ჭეშმარიტად, რამეთუ ფრინველნი იყვნეს თუ ანგელოზნი და კვალად ვიხილე ჩრდილოთ კერძო ქარი სასტიკი, ვითარცა ნათელი წითელი და ბერვიდა მდუმრიად და სძრავნ ფურცელთა მათ შვენიერთა. და გამოვალნ სუნნელებაჲ ხეთა მათგან და მოჰფინის ნიავი ჰამო შორის სამოთხისა. და ვჰსდეგ ჟამ რაოდენმე ზარ-განხდილი და ვრძწოდი საკვირველებისა მისთვის და სურნელებისა და ვიტყოდი, ვითარმედ „ვინ არს ესე ჩემდა, რომელ ღირს ვიქმენ ხილვად დაუსრულებელთა მათ კეთილთა?“

და კვალად მოვიდა ქარი მესამე და სხვანი ყოველნი დაყუდ-ნეს. და ვითარცა განვიცდიდი ყოველსა საშვებელსა წმიდათასა და დიდებისა უკვდავსა და უცვალებელსა* მართალთათვის განმზადებულსა, კვალად მოხდა ქარი სამხრით და ფერი მისი იყო, ვითარცა პორფირი, და სუნი მოაქვნდა, ვითარცა ვარდისა და შროშანისა და ჰბერავდა ნაყოფთა მათ, და იძვროდიან ფურცელნი მათ ხეთანი, და გამოვალნ სურნელებაჲ და ვჰგონებ, ვითარმედ არავის სადა ეყნოსა კაცთაგანსა სოფელსა ამას შინა ესე ვითარი სურნელებაჲ.

* სამშია უცვალებელი დაუსრულებელი ეს უფრო მართლიად არის წახმარებული. სამშია ნაყოფი, მეოთხეში სამყოფთა, რომელიც მართლიად უნდა ჩაითვალოს.

და სხვანი მრავალნი მომითხრნა წმიდამან ანდრია მე უღირსსა მოძღვარსა მისსა, რომელი აწ თქვენ გითხრობ მის მიერ თქმულსა. და იტყოდა ესრეთ ვსთქვათ, თუ ვითარ სახედ ვიყავ ხორცთა შინა თვინიერ უხორცოთა, არა ვუწყი, ღმერთმან უწყის მხოლომან. რამეთუ თვალნი მესხნეს მე და არა ვუწყი თუ რა განვიცადე, ანუ რაჲ იყო ხილვა იგი, თუ სულმან ოდენ იხილა. ანუ ხორცთაცა, გარნა ვჰგონებ ხორცთაცა ვიყავ, არამედ სული იხილვიდა.

და ქარმან მეოთხემან ოდეს მოჰბერა, გამოხდა სუნნელება, ვითარცა ნელსაცხებელისა, და მოვიდა საყნოსელთა ჩემთა და სიამოვნითა მისითა განვედი გონებისაგან. და ვუწყოდეცა ესე. ვითარმედ სამოთხესა შინა ვარ. და მოვიდა სიხარული რაიმე უზომო, განიხარა სულმან ჩემმან და აღივსო ნუგეშინისცემითა და სხვაცა საკვირველი ისმინე, რამეთუ რაოდენიცა დღე დავყავ მუნ, ღამე არა ვიხილე ყოვლადვე, არამედ დღე იყო ყოვლადვე ნათელი და სიხარული დიდი.

თავი მეთოთხმეტე

ჟამს ერთსა მოვიდა ჩემდა განკვირვება და ვჰგონებდი, ვითარმედ ცად აღვიტაცე სამოთხეს ყოფასა მას ჩემსა. და ვიხილე ჭაბუკი შვენიერი, რომელსა ემოსა ქლამინდა და პირი მისი ბრწყინავდა, ვითარცა მზეჲ. და უბრძანა ჩემთვის მსახურთა მისთა, ვითარმედ წარიყვანეთ! თვითცა წინ მიძღოდა. ხოლო მე შევუდეგ და ვიხილე ჯვარი დიდი და შვენიერი, რომელსა უმღერდეს (მიუძღოდა) ოთხი დროშანი და ღრუბელი ნათლისა აგრილობდა, და ჰყვებოდა ზედა ჯვარსა მას. და დროშანი იგი, მეწამულნი და ელვარენი, და ორნი სპეტაკნი, ვითარცა თოვლნი და გარემოს ჯვარსა მას მოადგნენ მგალობელნი და გალობდეს ხმითა მშვენიერითა და მიუთხრობელითა, და მოსილ იყვნეს სპეტაკებითა შვენიერითა და გალობასა ჯვარისასა გალობდეს.

მოვიდა წმიდა მოძღვარი იგი ჩემი, რომელსა ემოსა ქლამინდი, თაყვანისცა და ამბორს უყო წმიდასა მას ჯვარსა და მიბრძანა მეცა თაყვანისცემად და შემთხვევად. და ვითარცა შევემთხვიე, მოვიღე სურნელება მისგან, ეგე ვითარ ჰამო, რომელი სამოთხესა შინა არა მეყნოსა, რაჟამს მოვხედენ გარემოს ჩემსა, სადა ვსდეგ, ვიხილე სიღრმე საშინელი, ვითარცა ზღვისა უფსკრულისა და შევძრწუნდი საშინლად შიშითა დიდითა და ქლამინდოსანსა მას ვარქუ: „უფალო, რომელსა ამას ვსტკეპნი, აჰა ქვეყანა არს და ფერხნი ჩემნი არა მოეკიდებიან, რამეთუ ღრუბელსა ზედა ვრონინებ და ვხედავ სიღრმესა საშინელსა და მეშინის, ნუ უკვე შთავვარდე მე ქვე, უკეთუ შენ არა მიპყრა ხელსა ჩემსა?“ ხოლო მან მრქვა მე ნუ გეშინინ, რამეთუ კვალად უმაღლესსა ცად აღსვლად ხარ. და მიპყრა ხელი, რომელა ემოსა ქლამინდი და აღმიყვნა სიმტკიცესა ზედა მეორისა ცისასა. ხოლო იყო ხილვა ცისა მის, ვითარცა თოვლი სპეტაკი. და ვიხილენ მუნ ორნი ჯვარნი პატიოსანნი: ერთი იგი, რომელი მეხილვა ქვემოსა ცასა, იგი იყო და ერთი სხვაჲ და გალობდეს გარემოს მისსა გალობასა მასვე, რომელი ქვემო მესმისა. და იყო ცასა ზედა ჰაერი წითელი, ვითარცა ძოწეული და საყოფელი და განსასვენებელი იყო ყრმათა უმანკოთა, რომელნი იყვნეს გარემოს ჯვარითა მათთანა. ხოლო ჩვენ ამბორს ვუყავთ ჯვართა მათ, რომელნი იყვნეს მუნ, დიდითა შიშითა და სიხარულითა, ვითარ იგი პირველ ქვემოსა და ვიყნოსე მათგან სურნელება მიუთხრობელი და აჰა ესერა ჰაერისა მისგან წითლისა გამოხდა ალი საშინელი და მეგონა, ვითარმედ მოსწევდა ყოველსავე ქეყანასა და ძრწოლამან, და ვარქუ ქლამინდოსანსა მას, “შემეწიე მე ცეცხლისა მისგან!“ ხოლო მან მრქვა, ნუ გეშინინ, რამეთუ კვალად უმაღლესსაცასა აღსვლად ვართ. მიპყრა ხელი და ვიპოვენით მესამესა ცასა ზედა. ხოლო ხილვა ცათა არა ესეთი არს, ვითარმედ ვხედვათ ქვეყანით აღმართ ზედა, არამედ ცისა არს, ვითარცა ფიცარი ვაკე,

მსგავსი ოქროსა გარდაფენილი, დაპირველ აღსვლისა კართა მათ ცისათა, ვიხილენ სამნი პატიოსანნი ჯვარნი, რომელნი ბრწყინვიდეს, ვითარცა ელვანი დიდნი და საშინელნი. ქვემოთა მათ ორთა ზემორე ჯვარზედა უვრცელეს იყვნეს და ვხედევდ, ვითარცა ცეცხლსა რასამე და შორის ცეცხლსა მას ჰდგეს. და მოვიდა ქლამინდოსანი, რომელი წინამიძღოდა მე და შევიდ შორის ბრწყინვალესა მას და თაყვანი სცა, ხოლო მე შევძრწუნდი ცეცხლისა მისგან და ვერ შევუძელე შესვლად მას შინა, არამედ შორით თაყვანისვეც და თანაწარვჰხედ. და რაჟამს აღვიწიენით მესამესა ცასა ზედა, იყო კრეტსაბმელი, ვითარცა ელვა განფე-ნილი და კრეტსაბმელსა მას შინა სდგა სიმრავლე მხედრობათა ზეცისათა, რომელნი აქებდეს და ადიდებდეს ღმერთსა. წარვვლეთ იგიცა და მივიწიენით კვალად სხვასა კრეტსაბმელსა, რომელი იყო პორფიროვანი, იისფერი. თანა წარვხედით მასცა და მივედით ადგილსა რასამე წმიდასა და ვიხილეთ მუნ სხვა ეზო მობმული საშინელი და მშვენიერი, ვითარცა ოქრო წმინდა ელვიდა და ხელი ოდენ ბრწყინვალე ჩანდა, რომელმან შეგვიპყრნა ორნივე და შეგვიყვანა და დაგვადგინა მახლობლად მის საშველებელისა (საბურველისა). ხოლო დგეს კრეტსაბმელსა მას შინაგნით დასნი ურიცხვნი ანგელოსთანი ბრწყინვალენი, შიშით და ძრწოლით მოძერწულნი და იხედვიდეს სიმაღლედ მიმართ და ეპყრა ხელთა მათთა სამწერობლები საშინელები და ჰსდგეს განყოფილნი იმიერ და ამიერ და მრქვა მე ქლამინდოსანმან „რაჟამს უკუნ ხადონ საბურველი ესე, მაშინ (იხილო) ძე კაცისა მჯდომარე იესო მარჯვენით მამისა, დავარდი და თაყვანისეც ყოვლითა შიშითა და გულითა და გონებითა შენითა, მას შეხედენ და ისმინენ რასა იტყოდეს შენდა მომართ“. და იგი თვით წარვიდა ჩემგან. ხოლო მე ვხედავდი საბურველსა მას და ვიხილე ტრედი ერთი დიდი და საშინელი, რომელი ჯდა საბურველსა მას ზედა, ხოლო იყო თავი ტრედისა მის ოქროისა

და მკერდი იის ფერი და ფრთენი წითელნი, ძოწეულის ფერნი, ფერხნი წითელნი ვითრაცა ფერი ვარდისა და თვალთაგან მისთა გამოვიდოდა ბრწყინვალება, ხოლო მე ვითარცა ვხედავდი განკვირვებული, აღფრინდა ტრედი იგი სიმაღლესა მას ცათასა, და ვითარცა ესე იქმნა, მოხადეს საბურველი იგი. ხოლო მე ვხედავდი სიმაღლედ მიმართ, ვინაცა ჰხედვიდეს დასნი ანგელოსთანი. და ვიხილე საყდარი საშინელი დამოკიდებული ჰაერთა შორის, რომელი არავის ეპყრა, არამედ თვით სდგა თავით თვისით და გამოვიდოდა მიერ ბრწყინვალება, არამედ არა თუ ერთი იყო ვითარცა ცეცხლისა, არამედ იყო ვითარცა თოვლი სპეტაკი და ფრიად უსპეტაკესიცა. და ჰსჯდა საყდართა ზედა მათ მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე ძე ღვთისა. ხოლო სამოსელი, რომელ ემოსა ჩნდა ვითარცა პორფირი და ბისონი. და რაჟამს ვიხილე, შევსძრწუნდი შიშითა დიდითა და ვსთქუ ესრეთ: „ჰოი ჩემდა საწყალობელისა ამის, თუ ვითარ სათნო იყო და მიჩვენა მე ღვთაება თვისი უხილავი“. არამედ არათუ ვითარცა კაცსა ვხედევდი, არამედ ვითარცა მზესა, რომელი აღმოდის აღმოსავლით და განსთხინის მწვერვალნი თვისნი და ვერვინ განიცდინ და ეგრედ ჩნდა ხილვა მისა და ვერცა შემძლებელ ვიქმენ განცდად პირისა მისისა, არამედ თაყვანის ვეც სამგზის და რაჟამს აღვსდეგ, მეგულვებოდა, რათა განვიცადო პირი მისი, არამედ ვერ შევუძლე.

თავი მეთხუთმეტე

გამოვიდა ხმაᲲ ბრწყინვალებისა მისგან და მოვიდა ჩემდა. ხოლო ხმა მისი იყო, ვითარცა გრგვინვა ქუხილისა, და ჰაერი იგი ცისა შეძრწუნებულ იქმნა ხმისა მისგან და გარდამოვარდა და დაეცა ქვეშე. ხოლო ხმა იგი მისი ტკბილ და ჰამო (საამო) და მესმნეს მისგან სამნი სიტყვანი და გულისხმავყვენ და განიხარა

სულმან ჩემმან, და კვალად მომიგნა მეორედ სამნი სიტყვანი, ხოლო მესამედ, რომელი მომიგნა სამნი სიტყვანი, იყვნეს იგინი საშინელნი და შესაძრწუნებელნი, და რაჟამს ესმათ ანგელოზთა მათ მუნ მდგომარეთა, შეძრწუნდეს და ხმაჰყვეს ხმითა მაღლითა და საშინელითა. და ვჰგონებ, ვითარმედ ხმანი იგი ანგელოზთანი ჩემდა მომართ იყვნეს.

ხოლო მე ვითარცა მესმნეს სიტყვანი იგი, ვითარცა აღსრულ ვიყავ, ეგრეთვე გარდამოვედ ადგილსა მას სამოთხისასა, ვინაცა (საიდანაც) აღტაცებულ ვიქმენ. და მიკვირდა, თუ სადა ვიყავ, ანუ სადათ მოვედ კვალად აქავე რაჟამს განვიცდიდი ადგილსა მას სივრცესა მის მხოლოისასა, ფრიად მიკვირდა, თუ კვალად მუნვე ვიპოვე და ვიტყოდი გულსა შინა ჩემსა, თუ მე მარტო ვარ აქა, ანუ სხვაცა ვინმე არს? და რაჟამს განვიზრახევდი ამას, ვიხილე ვაკე დიდი და არა იყვნეს ხენი, არამედ მწვანილნი და ყვავილნი, ფერად-ფერადნი ვარდნი და შროშანი, და სხვანი ყვავილნი და წყარონი შვენიერნი, რომელნი გამოსცემდეს რძესა და თაფლსა, და სურნელება გამოყვებოდა ჰამო და ტკბილი. ხოლო მე ვითარცა ვიხილე განსასვენებელი ადგილი იგი, განვკვირდი ფრიად საკვირველებათა მათთვის ღვთისათა! ვიხილე კაცი ვინმე, რომელსა ემოსა სამოსელი ბრწყინვალე და ელვარე, ვითარცა თოვლი, და ეპყრა ხელთა მისთა ჯვარი. მომეახლა და მრქვა მე „ჯვარი მაცხოვარისა ჩვენისა იესო ქრისტესი მარადის ჩვენთანა, არამედ ნეტარ არს იგი, რომელი იქმნეს სალოს, რამეთუ ფრიად ბრძენი არს იგი!“ და მერმე მრქვა „წარვედ მცირედ ჟამ მუნვე, სადაით მოყვანებულ იქმენ!“ უცხო და დიდი საკვირველი არს ესე, რამეთუ არავინ მოსრულ არს სოფლით და კვალადვე ქცეულ არს მუნვე სოფლად. გარნა ქრისტე ძე ღვთისა, არამედ შენ ამისთვის მოხვედ, რამეთუ აღასრულე მცნება მისი და შეიყვარე იგი და სალოს იქმენ მისთვის. აწ რომელნიცა გიხილავს კეთილნი ეგე მიუწდომელნი, უწყოდე, რამეთუ მართალთა ყოველთა აქა

ეგულებისთ მოსვლად და დამკვიდრებად განსასვენებელსა ამას. იხილე სამოთხე ქრისტესი, ვუწი, რამეთუ იხილე და გიკვირს! მაუწყე: „ამას უფრო ჯერებულ ხარ, ანუ სოფელსა მას, სადათ მოხველ შენ? იხილეღა, თუ ვითარისა ამის კეთილისაგან უნაწილო იქმნებიან და განვარდებიან ცოდვილნი? ვინ სადად მოიყვანა ცოდვილთაგანი აქა, ანუ სადა იხილნა კეთილნი ესე დაუსრულებელნი? ხოლო ამას რა მეტყოდა მე ღიმილად მხიარულ იყო ჩემდა მომართ, და მრქვა მე, ვითარმედ, რომელსა ჰხედავ, არს საყოფელი დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. ხოლო იგი არა არს აქა, არამედ იქცევის სოფელსა შინა, ჰხედავს და ჰფარავს, რომელნი ევედრებიან ძესა მისსა სოფლისა ბრალთა შენდობისათვის. ჯერ იყო, რათა გეხილა ადგილი, სადა იყოფის წმიდა ღვთისმშობელი, არამედ არა შესაძლო არს! წუთ წარვედ, სადათ მოსრულ ხარ, ვითარცა გიბრძანა მაცხოვარმან ღმერთმან ჩვენმან!“ და უბნობასა ამას შინა მიმეძინა ძილი ჰამო, ვითარცა მარადის ვიყავ სოფელსა ამას შინა. აწ ძმანო ჩემნო, განვიფრთხოთ მოსწრაფებითა, რათა ღირს ვიქმნეთ მიწევნად კეთილსა მის მიუწდომელსა.

თავი მეთექვსმეტე

და რაჟამს მომითხარა მე ეს ყოველი წმიდამან ანდრია, მე მოძღვარსა თვისსა, განვჰკვირდი, რამეთუ რომელი იგი მესმა მისგან, იყო საშინელ და საკვირველ, და გარემოს მისსა ფშოდა სუნი შვენიერი სუნელთა ყვავილთა, და ღამე ყოველ მითხრობდა ამათ ყოველითა კეთილთა თხრობათა. და რაჟამს განცისკრნა, განვიდა კვალად სირბილადვე და სალოსობად, და მიერ დღითაგან არღარა ეუწყებიან ძილისათვის, არამედ სდგის მწუხრიდგან ვიდრე განთენებამდე. ილოცავნ და ევედრებიან ღმერთსა, და დღე ყოველ იქცევინ ერსა შორის და აჩვენებენ

თავსა თვისსა მთვრალ, და იჭირებინ მიდამო და რომელნიმე სცემდიან მას და სხვანი თმითა ათრევდიან. არცა შიშისათვის ღვთისა ერიდებოდეს და არცა ქრისტიანობისათვის წყალობდეს და უწყალოდ სტანჯვიდეს. ხოლო წმიდა იგი მოითმენდა ყოველსავე სიხარულით სამოთხისა სურვილით, რომელი ეხილვა.

თავი მეჩვიდმეტე

ხოლო ეშმაკმან, მბრძოლმან კეთილისამან, აღიღო შური ვნებად მისსა. გარნა ვერა რასა ავნებდა და ვერცა შეეხებოდა. ჟამსა ერთსა იქმნა უძლურ და ბერ დედაკაცად შეიცვალა. დაჯდა გზასა ზედა საეროსა, სტიროდა და იტყოდა ესრეთ: „ვარ გლახაკი და ბერი, და არავინ მიტევის. მიხილა მე ეშმაკეულმან ანდრია, ესე ვითარი ძვირი განიზრახა ჩემთვის, რამეთუ უნდა ჩემდა შეგინება და მე არა ნება ვეც. და მგვემა მე და ეშმაკეულ ვიქმენ და არა მიტევებს ცხოვრებად და რაჲ ვჰყო უცხომან ბერმან გლახაკმან და მრავალთა სენთაგან ტანჯულმან? უგუნური იგი შემაგინებდა მე, მფხვრიდა (მაგლეჯდა) თმათა და მცემდა პირსა და ყიოდა“. ხოლო რომელნი წარვლიდიან, იხილიან რა იგი შეშფოთებული, ჰგონებდიან, ვითარმედ ბერი ვინმე არს საწყალი და არა უწყოდეს, რომელ ეშმაკი არს. და ეტყოდა იგი ერსა მას: „შემიწყალეთ მე ძმანო ქალაქისანო, რომელი უცხო ვარ მე ქალაქისა ამისაგან, რამეთუ სამართალი მეგულვა აქა. აღვიღე სიგლახაკე ჩემი და მოვედ, რათა ვიმართლო, და ვჰპოვე სენაკი მცირე იპოდრომსა, რომელ არს ცხენთა სარბიელ და მუნ დავჯედ. მოვიდა ვინმე ეშმაკეული ჟამსა შუაღამისასა და წარმიღო სიგლახაკე ჩემი და ივლტოდა, და კვალად მეორესა ღამესა მოვიდა რა, შევიპყარ და ხმა ვჰყავ, ვითარმედ მეძავი არს, მოიქცა და მითრია მე თმითა თავისა ჩემისთა და შემმუსრა

და დამცა მე ქვეყანასა ზედა და გამომიკრიბნა ნაწლევნი და კბილნი ჩალეწნა. ერნო ქალაქისანო! მითხარით, რათა აღგიარო სიგლახაკე ჩემი მისგან? რაჲ ვჰყო? ვიცი რამეთუ ანდრია არს დამამდაბლებელი ჩემი!“

ხოლო ვითარცა ესმა ერთა მათ ზრახვა მისი, ჰსთქვეს, ვითარმედ ეშმაკეული და ხელი არს ესე! დაუტევეს და რომელიმე ეტყოდეს, მორამოგვეც და გიჩვენოთ მპარავი იგი შენი და რაცა ჰკითხიან ყოვლისავე პასუხი მიუგოს.

ხოლო ნეტარი იგი ანდრია ჰსდგა მახლობელად მისსა და ილოცვიდა ფარულად, რამეთუ ვუწყი საქმე იგი და განზრახვა ეშმაკისა. და მერმე მორბიოდა მსწრაფლ მუნ და იხილა ეშმაკი იგი, რომელი ჯდა ვითარცა ბერი დედაკაცი, ხოლო სხვათა მათ ვითარცა იხილეს ანდრია განიბნინეს მისგან, და წმიდამან მიხედნა რისხვით და ჰრქვა: „სტიროდე ბერო დაბნელებულო! სტიროდე მატყუარო და ურცხვინოვო! მოიგონენ საქმენი შენნი ღმრთისაგან და წმიდათა მისთაგან დაწყეულო ეშმაკო“. დადრკა ანდრია და აღიღო მიწა და შეზილა, ვითარცა ქვა და შესტყორცნა პირსა მისსა და შეუბერა სამგზის ჯვარის სახედ. ხოლო იგი შეიქმნა გველად დიდად და შესძვრა სახლსა ვისმე დედაკაცისასა, და ვითარცა იხილა დედაკაცმან გველი იგი, შეშინდა და დაუტევა სახლი იგი და ივლტოდა, ჰხმა უყო მეგობართა და მეზობელთა თვისთა: „მოჰკალთ გველი ესე“ და ვითარ შევიდეს სახლსა მას, ძიება ჰყვეს და ვერღარა ჰპოვეს გველი იგი, რამეთუ ეშმაკი იყო და წარვიდა.

თავი მეთვრამეტე

კვალად ჰრბიოდა ნეტარი ანდრია, ჩვეულებისამებრ თვისისა მღერად და სირბილად იპოდრომსა შინა, და როკვასა შინა შეემთხვია მოყმე იგი ეპიფანე, რომელი იყო ერთი მათ სამთაგანი,

რომელ პირველ ეხილვა მათ დღეთა წმიდასა მასთანა კაპილონსა შინა. დასხდეს და იუბნეს, და ვითარცა იხილა წმიდამან ანდრია, გულისხმაჰყო, ვითარმედ ეშმაკი მბრძოლი არს მისდა გულისიტყვითა, რამეთუ იყო იგი შეშფოთებულ. ხოლო ვითარცა მიეახლა ანდრია, უპყრა ხელი ეპიფანეს და ეძიებდა ადგილსა, რათამცა ეუბნა მას და ვითარცა მივიდეს ადგილსა ფარულსა კაცთაგან, იწყო სწავლად მისდა და ჰრქვა: „იხილე შვილო საქმენი და მანქანებანი ეშმაკისანი? ოდესმე შეიქმნების დედაკაცად და ოდესმე სარკინოზად –შავად! იხილე, საყვარელო შვილო ჩემო, ვითარ შეგემთხვია შენ, გაგინებდა და გეხებოდა შენ აბაში იგი“. ვითარცა ესმა ეპიფანეს და უკვირდა უწყება მისი*, რამეთუ პირველ ანდრიასა შემთხვევადმდე შემთხვეულ იყო ეპიფანეს და ეშმაკი იგი სახითა შავითა აბაშისათა, ვითარცა ვაჭარი სარკინოზთა და შეშინებული იყო ეპიფანე, რამეთუ აღეღო შური ეშმაკსა მას ეპიფანესთვის მარხვისა, ლოცვისა და წესიერად ქცევისა მისისა და სიწმიდისათვის ხორცთა მისთასა ბრძოდა მას მეშურნე იგი კეთილისა, რამეთუ იყოცა იგი ჭაბუკ, ვითარ წლისა ათჩვიდმეტისა მოსწრაფვე ყოვლისა სიმართლისა საქმეთა. ხოლო იყო იგი ხილვითა შვენიერ და სიტყვითა ბრძენ და მოსწავლე გულისხმისყოფითა და შემუსვრილი ეუბნებინ, ვისაც იხილვიდა და ევედრებოდა მათ, რათა ასწავლოს მას საღმრთო გზა, ხოლო მოძღვარნი და ფილოსფოსნი განკვირვებულ იყვნენ მისთვის, რომელ მახვილ იყო სიტყვითა და ჰპოვნიერ, რასაც კითხვიდიან. და მრავალგზის გამოსცადეს იგი სიტყვისგებითა ფილოსოფოსთა სიტყვითა სიბრძნისათა. ესრეთ მიუგის, რომელ ყოველნი განკვირნის და ვერღარა იკადრიან წინააღმდგომად მისდა. ვითარცა პირველ ვსთქუ, ვითარმედ ანდრიამ უპყრა ხელი ეპიფანეს და ეძიებდა ადგილსა

* აბაშელნი, ანუ აბისინელნი, რომელიც უწოდებენ თავიანთ თავს შიონად, შოანად, სუანად, ხოლო ქვეყანას აბაშეთად. კანი აქვთ შავი.

ფარულსა, რათამცა ეუბნა მას და რაჟამს იხილეს ეპიფანე, ეპყრა ხელი წმიდასა ანდრიას, ეტყოდიან მას „არა გეწყალისა სიყრმე შენი? რასა რონინებ ხელსა მაგასთასა? ნუ უკვე შეიშუროს ეშმაკმან ქმნულეობა კეთილი შენი და შემოვიდეს შენდა, ვითარცა შესრულ არს მაგისთანა, რამეთუ ფრიადი ღონენი არიან ეშმაკისანი მაგის შორის!“ მიუგო ეპიფანე მათ და ჰრქვა: „ღვთის მოყვარენო ძმანო ჩემნო! პირველ შემთხვევასა ამის (ვნების) მოყვარე იყო ჩემი და სულიერი სიყვარული გვაქვნდა ურთიერთარს. ხოლო აწ, ოდეს შეემთხვია ვნებაი ესე, ჯერ არს, რათა იგივე სიყვარული გვაქვნდეს პირველ, ვითარცა წერილ არს: “თუ ვისმე ესვის მოყვასი და იხილოს ჭირი რასამე, უღირს მას, რათა დასდვას სული თვისი მისთვის“ და ამით ესე ვითარითა სიტყვითა მიუგებდა ერთა მათ.

რამეთუ მცნება მიეღო ნეტარისა ანდრიასაგან, რათა არავის უთხრას შრომა და მოქალაქეობა მისი. და ჰპოვეს ადგილი უდაბნო და დასხთა მუნ და იწყო ეპიფანე მითხრობად ანდრიასა, თუ ვითარ შეემთხვია მას ეშმაკი სახითა შავისა ჰაბაშისათა. და ესხნეს თვალნი, ვითარცა ველურისა რასამე მხეცისანი. დამხვდა უბანსა, რომელსა ჰქვიან ისხინ, შუა ქალაქსა კონსტანტინეპოლისასა, რომელსა ემოსა სამოსელი შავი და ესხნეს მოგუნი, საცმელი რამე თიხის მიწისანი, ჯდა და ისხმადა ფერხთა. და ვითარცა წარვიდა, მრქვა მე: არა ეპიფანე ხარ, ძე იოანესი, რომელსა იტყვიან კაცნი, ვითარმედ წმიდა დასთრგუნავს ეშმაკსა? აწ მე შენთვის ვჰქმნა ბადეჲ და ვთხარო მთხრებლი (ამოვთხარო ორმო) და დავბურო, რათა, რაჟამს დათრგუნო, შთავარდე ჯურღმულსა მას, რამეთუ იარები და იტყვი ჩემთვის ძვირსა!“

ხოლო მე ზრახვასა და სიქადულსა მისსა ზედა შევსძრწუნდი და პასუხი ვერ ვუძღი მიგებად, რამეთუ ვიტყოდი, თუ ვინ არს ესე, რომელი შემემთხვია და სარჩელი აღმიდგინა? და

შიში დამეცა მე და ვითარ განვიზრახევდი ამას და რეცა რაჲ მე დამედგა (ამის ფიქრში ვიყავი თუ როგორ მეშველნა ჩემის თავისთვის), და მუნთქუესვე (მაშინვე) შენ შემემთხვიე და რაიცა შემთხვეულ იყო ჩემდა, ყოველივე მაუწყე მე.

თავი მეცხრამეტე

ჰრქვა წმიდამან ანდრია: „შვილო! აბაში იგი, რომელი იხილე, ასისთავი არს ეშმაკთა, რომელნი მსახურებენ სამოელსა, ფიცხელი იგი, რომელი ისწრაფის განსაცდელთა მიცემად მრავალთა, რომელთა უყვარს ღმერთი, მრავლისა გულის სიტყვისა აღძვრითა, მეძაობითა, მამათმავლობითა, არამედ შენ შვილო ჩემო, ეკრძალე ვნებათა ამათგან და უწყოდე საცთურნი მისნი, ილოცვიდე და ევედრებოდე ღმერთსა, რამეთუ ყრმა ხარ შენ და დღითი-დღე ამისთვის გემტერების, რამეთუ დაგიძს (გაქვს) ღვთისათანა სასოება და სიყვარული, შური აუღია სიმდაბლისა და შემუსვრილებისა და სიბრძნისა მაგის შენისათვის, რამეთუ ჰხედავს ამათ ყოველთა სათნოებათა შენთა და მისთვის განიხერხების (ძალზედ იფხრიწება) და შფოთავს. და იხილე თუ რაოდენნი ღონენი ჰქონან, უკეთუ არა ხვიდოდე კეთილად.

ხოლო შენ რაჟამს ილოცვიდე დაიმდაბლე სული შენი მარხვითა და შეიმოსე სიმართლე, სიმდაბლე და შემუსვრილება, და დაიცევ მარადის ქმნულება ხატისა შენისა და გონება შენი წმიდად და უბოწოდ, რამეთუ, რომელმან ჰქმნეს ცოდვაჲ, მონა ცოდვისა იქმნების, რამეთუ ორნი საქმენი დამკვიდრებულ არიან შორის კაცთა სიმართლე და ცოდვაჲ. სიმართლე არს ღვთისა, ხოლო ცოდვა ეშმაკისა. ხოლო შენ, შვილო ჩემო მაცხოვარისა ჩვენისა იესო ქრისტესა იქმენ საყვარელ, მუშაკ და დაგიცვას შენ სიბოროტისაგან (საბრხისაგან) მისისა (ეშმაკისა).

რაჟამს იგი ესმნეს სიტყვანი ესე ეპიფანეს, ვითარცა მარგარიტნი სცრემლვოდა ფრიად. და დაალტო პატიოსანი პირი თვისი, რამეთუ ფრიად შეძრწუნდა სწავლასა მისსა ზედა კეთილსა რამეთუ მცნებანი მისნი ყოველნი მიუთხრნა დაფარულად ყრმასა მას, სადა რაჟამს აღასრულეს უბნობა იგი საღმრთო და სულიერი, ამბორს უყვეს ურთიერთარს სიყვარულითა მით სიწმიდისათა და განიყვანეს და წარვიდეს თვითოეული თვისსა გზასა.

თავი მეოცე

მცირედ რაჲ მე მნებავს სიტყვა ეპიფანეს თვისცა, რათა უწყოდეთ, ვითარ კეთილი და ღვთისმოყვარე იყო, რამეთუ მარადის იმარხავნ პირველსა კვირიაკესა წმიდათა მარხვათასა, არა ჭამის და არცა სვის, არამედ შეურევნელად აღასრულებდა, და შაბათსა თეოდორობისასა ეზიარებოდა და ეგრეთ მიიღოს მცირედი საზრდელი ოსპნი დამბალნი და ამით წესით აღასრულებდა მარხვათა.

დღესა ერთსა უნდა, რაითამცა შეეგნო (შეედგა დაედგა) ოსპი იგი და ნუგეშინისეცა მითა, ხოლო მოიწია ჟამი წირვის აღსრულებისა და იყო იგი სენაკსა თვისსა მარტოდ. რამეთუ არავის სხვასა უტევებდა მსახურებად თვისსა, გინა გბოლვად (შენელებად შეჭამადისა), არამედ თვით ქმნის იგი. ხოლო, ვითარცა რეკეს ჟამის წირვისა, წარვიდა ეკლესიად და არავის ამცნო ცერცვისა ნახვად. და ვითარცა ილოცვიდა, მოაგონა ეშმაკმან, მარადის მოძულემან კეთილისამან, თუ ვითარ დაუტევე ცერცვი იგი უკაცურად, რათა არა განირყვნეს ცეცხლსა ზედა და ერთის კვირიაკით მარხულსა გარდაგივლიეს და იგი არს ნუგეშინისცემა შენი და ამით მიზეზითა უნდა განყვანება მისი ეკლესიით პირველისა ჟამისა განტევებისა. და ჰრქვა მას

გულის სიტყვამან „წარვედ და იხილე იგი, განაღათუ ეკლესია არს სადა წარგიხდების და კვალად მოვედ და ილოცევდით, და სხვანი ესე ვითარნი გულის სიტყვანი მოაგონის ეშმაკმან. ხოლო ეპიფანე ჰსცნა, რამეთუ ბრძოლა არს ეშმაკისა, მიუგო გონებასა თვისსა და ჰსთქვა, „წყეულ იყავნ შენ ეშმაკო! უკეთუ ენებოს ღმერთსა, მან განაგოს საზრდელისა ჩემისათვის, რამეთუ იგი არს, რომელი მიანიჭებს ყოველსა საზრდელსა და მანვე დაიცვის ცხოვრება ჩემი“. დაიწერა პირჯვარი და დაადგრა ვიდრე აღსასრულამდე წირვისა მის. და ვითარცა მივიდა სახლად თვისსა, იხილნა ყოველნი სახლეულნი თვისნი განუქარვებულნი, რამეთუ სენაკისა მისისაგან გამოვიდოდა სუნნელება რაჲ მე უცხო და ჰამო. და ყოველნი შეშინებულ იყვნეს და ჰრქვეს ეპიფანეს: „მოვედ, უფალო, და იხილე, სუნნელება რაიმე გამოვალს კელენით (მცირე სენაკი) შენით“. და ვითარცა მოეახლა, ეყნოსა მასცა სუნნელება იგი და განკვირდა. და რაჟამს შევიდა კელენსა თვისსა, იხილა საცეცხლე იგი სავსე ნახშირითა, და ყრმა ერთი მშვენიერი და გრძელი ჰასაკითა და პირი მისი ბრწყინვიდა ვითარცა მზე. და ემოსა სამოსელი ფრიად პატიოსანი და ჯდა მახლობელად საცეცხლესა მას და კაზმიდა საჭმელსა მისსა. განკვირდა ეპიფანე და განიცდიდა და იხილოს ჟამ ერთ, ვითარცა შანთი და მარჯვენე ხელი მისი ეპყრა გამოწვდით სამოსლისაგან თვისისა და კაზმავნ კოჭობსა (მცირე ქოთანი) მას და იხილავს გემოსა საჭმლისასა. და ხელი შეჰყო სამოსელსავე თვისსა და დაიჭირა სახელითა და გამოიღო მანდილი მცირე და განხსნა ნაკრავი და აღმოიღო მუნით საზავებელი და ჯვრის სახეთ მოაპკურა და განეყარა კოჭობსა მას. შეხედა ეპიფანეს და განიღიმნა და აღფრინდდა ცად. განიხარა ეპიფანე სიხარულითა დიდითა და დაჰსდგა აღმოსავალით კერძო და აღიპყრნა ხელნი თვისნი ცად მიმართ, სტიროდა მხურვალითა ცრემლითა და იტყოდა „ვინ ვარ მე, მაცხოვარო,

უღირსი ესე, რომელსა მომივლინე ანგელოსი შენი მსახურებად ჩემდა? ვმადლობ კაცთმოყვარებასა შენსა, ქრისტე მეუფეო, რომელი მწყალობ, ვითარცა გნებავს!“ და მივიდა ხილვად კოჭობისა მის, და ჰპოვა სუნნელი, ვითარცა ნელსაცხებელი, საჭმელი იგი და განკვირვებული ადიდებდა ღმერთსა, მიიღო და პირი იხსნა ცერცვითა მით, რომელი შეენელა ანგელოზსა მას, ხოლო ვითარცა ესე ეპიფანე, განძლიერდა და სული წმიდა შევიდა გვამსა მისსა და მოიქცა ყოვლითა გულითა მსახურებად ღვთისათ და უკვირდა თუ ვითარ ესე მსწრაფლ დაუტევა სიყვარული სოფლისა და ღმერთი მხოლო ოდენ შეიყვარა.

თავი ოცდამეერთე

დღესა ერთსა წარვიდა ეპიფანე ეკლესიად, ილოცვიდა და რაჟამს აღასრულა ლოცვა, მოვიდა და დაჯდა ბჭისა კარსა ზედა მამისა თვისისასა და მამაცა მისა მისთანავე იყო. წარმოვლო ანდრია, ვითარცა აქვნდა ჩვეულება სიმღერით და სალმობით. იხილა იგი ეპიფანემან და ამბორს უყო და ეგულებოდა, რათამცა შეიყვანოს სახლსა თვისსა და არა უნდა, რათამცა სცნას ვინმე, თუ იცნობს მას. ჰრქვა მამასა თვისსა „უფალო ჩემო მამაო, ჰხედავ კაცსა ამას, თუ ვითარ რონინებს შიშველი? და ვგონებ, ვითარმედ მტერისაგან იგვემების და მეშინის, ნუ უკვე მოკვდეს! თუ ჯერ არს, მოვუწოდოთ სახლად ჩვენდა და რომელი მოგვანიჭა ჩვენ სახიერმა ღმერთმან, მისგანი დავუგოთ მას, და ვასვათ სასმელი მაღლისათვის სულთა ჩვენთასა, რამეთუ პოვნად გვიძს ნაწილი მისი ცათა მეუფისაგან“,

რაჟამს ესმა მამასა მისსა, ამბორს უყო ძესა თვისსა და რქვა: შენ ხარ სული პირისა ჩემისა და ნათელი თვალთა ჩემთა. განზრახვისა მაგისათვის მე რასა მკითხავ? და წარვედ და რაიცა გნებავს იგი ჰქმენ შენ, რამეთუ ჩემი ყოველი შენი არს. მიუგო ეპიფანე და

ჰრქვა: ფიცი მეცა, მამაო ეგე! არამედ წერილ არს, ვითარმედ „არა არს ჯეროან შვილისაგან აღსრულებად საქმისა კეთილისა და არცა ბოროტისა, თვინიერ ბრძანებისა მამისა თვისისა“. გაიხარა სიტყვასა ზედა შვილისა თვისისა საყვარელისასა და ჰრქვა: მოუწოდე შვილო! მაშინ ეპიფანე სრბით ეწია ანდრიას, უპყრა ხელი მისი და უნდა შეყვანება სახლსა თვისსა. და ვითარცა მიიწინეს ბჭეთა ზედა სახლისათა, მამამისი არღარა იყო მუნ. ხოლო ნეტარმან ანდრია არა ინება შევლად, არამედ გარეშე ბჭისა კართა ზედა დასჯდა და მეცნიერნი ანდრიასანი და სხვანი, რომელნიცა წარვლიდეს, იხილეს რა შიშველი, ვითარცა ხელისა, შემოკრიბეს ხილვად მისა. ხოლო რომელნიმე სწყევდეს ბოროტსა ეშმაკსა და იტყოდეს: ესე ვითარღა განურყვნია კაცი?! და რომელნიმე ფოლსა (ფულსა) მისცემდეს და რომელნიმე ღვინოსა და იგი შეურაცხ იქმნებოდა, ვითარცა ხელი და არა რას აღიღებდა.

და რაჟამს ჰსხდეს ბჭეთა ზედა მის კარისათა, მოვიდა საჭურისი ვინმე, რომელი იყო პატივითა სპათარ-კოფიკლარი (მხედრობით აღმწერელი) მეფისაგან წარჩინებული ერსა შორის. ხოლო იყო იგი პირითა შვენიერ, ვითარცა ვარდი და სპეტაკ, ვითარცა თოვლი, და თმითა მწითურ და მოკაზმულ, და სამოსლითა პატიოსნითა შემოსილ, და სუნი მუშკისა ფრიად მოსდიოდა მისგან. ხოლო იყო იგი თანაზრდილ და მეცნიერ ეპიფანესა, და აქვნდათ სიყვარული ურთიერთარს, ხოლო აქვნდეს საჭურისსა მას ფინიკი ოცდაათი. რაჟამს იხილა ნეტარი ანდრია შიშველი, ჰკითხა ეპიფანეს: საყვარელო ძმაო ჩემო! ვინა არს ესე, ანუ რად რონინებს შიშველი, რამეთუ არს ზამთარი ესე ფიცხელი და ყინული სასტიკი, ანუ ვითარ იტვირთავს ეგე! ვჰგონებ, ზღვასა შინა გვემულ არს. მიუგო ეპიფანე: „საყვარელო ძმაო, რა გითხრა? რა ვუწყი, ეშმაკსა წარუტყვენავს და იარების, ვითარცა ხელი. და რომელიცა ვნებულ იყვნეს ეშმაკისაგან, ესე

ვითარითა სახით არიან“. ხოლო ნებსით ამას იტყოდა ეპიფანე, რათა არა განცხადნენ საქმენი წმიდისანი. და ვითარცა ესმა საჭურისსა მას, გამოიხვნა ფინიკნი იგი და მიუპყრა ნეტარსა ანდრიას და ჰრქვა: ჟამისად არა რა მე გეპოვა ჩემთანა, უკეთუმცა მორამომეცა (ამ ჟამად ამის მეტი არა მომეპოვება რაო), ხოლო წმიდამან ანდრია უწყოდა საქმენი მის საჭურისისანი, მიხედნა განრისხებულმან და ჰრქვა, ეგე ფასი არს ნასიძვისა შენისა და ხელნი მაგას არა სჭამენ! ხოლო საჭურისმან ვერ გულისხმაჰყო თუ რად ჰრქვა. მიუგო საჭურისმან წმიდასა მას: ესე ფინიკი არს და შენ იტყვი ნიჭი არს ნასიძავისა? მიუგო ნეტარმან: „წარვედ მზაკვარო, და დაწევ ცხედარსა ზედა უფლისა შენისასა: დაჰშვერ შრომითა ბოროტითა, მიიხვენ სხვანიცა ფინიკნი საწყალობელო! არა იხილო ნათელი ღვთისა! ვუწყი მე რასა ვიქმ, ანუ ვითარ არა გრცხვენინ ანგელოზისა მისგან, რომელი ზედა ადგს ქრისტიანეთა? ჰოი რაჲ მე ჰყოფად გიძს საქმისა მისთვის, რომელსა შენ იქმ? რამეთუ ეშმაკსა ეგულვების შეყვანებაჲ შენი სამოელისათანა ჯოჯოხეთს, უკეთუ არა შეინანო! და ვჰგონებ საქმესა მაგას უკეთურსა, რომელსაცა შენ იქმ, მოიწიოს შენ ზედა საშინელი განსაცდელი და გარდამოსხდეს ზეცით ელვა და დაგწვან შენ, და მერმესაცა ცეცხლსა ვერვე განერე!“

თავი ოცდამეორე

რაჟამს ესმა საჭურისსა მას, შეშინდა და იქმნა პირი ვითრაცა ცეცხლითა გაწითლებული და დაადგრა უტყვად. ჰრქვა ეპიფანე საჭურისსა მას: “რასათვის ეგრეთ სირცხვილეულ იქმენ? მე განაღა გითხარ, ხელი არს და რასაცა იტყვის, არა უწყის? და შენ უკეთუ გაქვს რაჲ მაგათ საქმეთაგანი, დაუტევე და მოიქეც კეთილისა მიმართ. და ნუ გიკვირს, საყვარელო ძმაო, რამეთუ ყრმა ხარ და ეშმაკი მანქანა არს და მზაკვარი. და ყოვლადვე გვბრძავს, რათა შეგვითხზიეს გულისთქმანი ცოდვათანი, რამეთუ არა

უძს მას სხვა საქმეჲ, არცა საურავი, გარნა ჩვენი ოდენ ბრძოლა!“ და რაჟამს ესმა ესე საჭურისსა მას, წარვიდა სირცხვილეული. ხოლო უპყრა ხელი პატიოსანმან ეპიფანე ნეტარსა ანდრიას და შეიყვანა სენაკად თვისად, და ჰპოვეს ტრაპეზი დაგებულ, და დასხდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა და მიიღეს საზრდელი და შემდგომად პირის ხსნისა, ჰრქვა ეპიფანე ნეტარსა ანდრიას: „რად ესრეთ ფიცხელად ამხილე და შეაძრწუნე მოყვასი ჩემი, საჭურისი იგი?“ მიუგო ნეტარმან გრწმენინ ჩემი, საყვარელო, ნებსით (განგებ) ჰქმენ, რათა განეყენოს სიყვარულისაგან შენისა და არღარა მოვიდოდეს შენდა და უკეთუმცა არა ყოფილიყო მოყვარე შენი, არამცა ასმიოდა ჩემგან!

ჰრქვა ეპიფანე: „ვუწყი მეცა, მონაო ღვთისაო, გარნა ყრმა არს საჭურისი იგი და მონა არს უფლისა თვისისა და უკეთუ უფალი თვისი აიძულებდეს მას რასამე ბოროტსა, მას რაჲ ხელეწიფების წინა აღდგომად მისა?“

ჰრქვა მას წმიდამან: ვუწყი, რამეთუ ზედა აძს მონასა მსახურება ხორციელი და მოთმენა უღირს ყოველსავე ჭირსა შინა, გარეშე (გარდა) ვნებასა სულიერსა (სულიერს ვნებაში თავისუფალიაო მონაო) არა აქვს მორჩილება და სმენად უფლისა თვისისა და მსახურებასა ეშმაკისასა შესვლად (შევრდომა).

მიუგო ეპიფანე: „რამეთუ მონასა, რომელსაცა საქმისა აღსრულება ებრძანოს უფლისაგან ხორციელისა, გინა სულიერისა, ბოროტისა, ანუ კეთილისა, ვითარ არა აღასრულოს და შევარდეს ტანჯვასა უფლისა თვისისასა?“

ჰრქვა წმიდამან: მაგისთვის, შვილო, უკეთუ იტანჯოს კაცი სულიერისა საქმისათვს, მაცხოვარის ჩვენისა იესო ქრისტეს მოწამე არს, ვითარცა წერილ არს, წმიდასა სახარებასა შინა: „ნეტარ იყვნენ თქვენ, რაჟამს გდევნიდნენ და გყვედრიდნენ“, და მერმე იტყვის: „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“, ესრეთ უღირს მონასა.

თავი ოცდამესამე

ხოლო ეპიფანეს მამისათანა იყო მონა ერთი და მსახურებდა საღვაწლის საქმესა, და ჰკაზმიდა დღითი-დღე. ხოლო ამას ვუწყი რაჲ წმიდისათვის, ვითარმედ მონა არს ქრისტესი, დაეცა ფერხთათანა წმიდისათა და იწყო ტირილად. ევედრებოდა მას და ეტყოდა: „წმიდაო ღვთისაო, მნებავს, რათა ვიქმნე მე ესრეთ, ვითარ შენ ხარ!“ ვითარცა ესმა ნეტარსა ანდრიას, ეუწყა სულისა წმიდისა მიერ, რამეთუ რომლისაცა სათხოველსა ითხოვს, მიანიჭებდა ღმერთი მას. და უნდა რათამცა ეუბნა მარტოდ მონასა მას და მასცა (მისცა) სულმან საღმრთომან წმიდისა ანდრიას ენაჲ სული, რომელ მონასა მას ესმოდა და ეუბნა მას რაჲცა ენება,

ჰრქვა მონამან, უკეთუმცა ვუწყოდე ეგე ყოველი, არამცა ვექენებოდე (ვეხვეწებოდი) სიწმიდესა შენსა?

ჰრქვა წმიდამან: „ნუ უკვე ვერ შეუძლე მოთმინებად ღვაწლითა ნელ, ვითარ ჰყოფილხარ, ეგრეთ იყოფოდე, სიწმიდით და შემუსვრილებით, ვითარცა სათნო არს უფლისა ცხოვრებითა კეთილითა. ევლტოდე მეძაობასა, მამამავლობასა, მთვრალობასა და ძვირის მოხსენებასა და სხვათა ცოდვისა საქმეთა და ნუ შეხვალ საჭიროთა და განსაცდელთა ამათ!“

მიუგო მონამან: „უკეთუ არა გნებავს სმენა საწყლისა ამის ვედრებისა ჩემისაგან, მაუწყე მე, რათა არღარა გაწყინებდე!“

და ვითარ უბნობდეს, ანუ რომლითა ენითა, უკვირდა ეპიფანეს, რამეთუ ანდრია იცოდა ასურული და რაჲცა ოდენ მონისაგან მოესმინა, და ვითარ სიტყვას უგებდეს ურთიერთარს ჰსთქვა ეპიფანე „ეჰა დიდი საკვირველი ღმერთი, რამეთუ ჭეშმარიტად არს სიტყვა იგი წინასწარმეტყველისა, ვითარმედ „საკვირველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა!“ ხოლო ნეტარი ანდრია ევედრა ღმერთსა მონისა მისთვის, რათა მოანიჭოს

სათხოველი ყრმისა მის და ესმა ხმა ზეგარდმო, რომელი ეტყოდა „განუტევე ყრმა ეგე, არა მოვალს საზომსა მაგას და მე გიჩვენო შენ მაგისთვის, რათა სცნა და სცნას მაგან ყრმამანცა: ნუ უკვე ჰგონებდეს შენთვის, ვითარმედ ვერ შემძლებელ ხარ მოღებად სათხოველსა შენსა ზეცით, რაიცა გთნდეს“.

მიუგო ნეტარმან ანდრია ანგელოზსა მას, რომელი მისთანა მარადის სდგა: „მოიღე ჭიქა იგი და აღავსე და შეასუ ყრმასა მაგას, ვითარ მე შემასუ, რაჟამს მეგულებოდა ყოფად ესე ვითარად“ და შეასვა ანგელოზმან უხილავად ყრმასა მას და მასვე ჟამსა იწყო მსგავსად, ვითარცა იხილა ეპიფანე, შეშინდა, ნუ უკვე განუწყრეს მამა მისი ყრმასა მას და ჰრქვა წმიდასა ანდრიას: „გევედრები, მონაო ღვთისაო! ნუ იქმ საქმესა ამას მონასა ზედა მამისა ჩემისასა, ვითარმედ ნუ უკვე გახელდეს და წარწყმდეს, და კეთილისა წილ თქვას მამამან ჩემმან, ვითარმედ მონა ჩემი წარსწყმდესო, და მეცა მომიძულოს!“ არცა ნეტარს ანდრიას ენება, რათამცა გულკლებულ იქმნა ეპიფანე.

მიუგო კვალად წმიდა ანდრია ანგელოზსა მას: „აღიღე ნიჭი ესე, რომელი მიანიჭე ყრმასა მას!“ და აღიღო ანგელოსმან მან ღმერთისამან ნიჭი იგი, ცნობისა, ვითარცა იყო პირველად. ხოლო გულკლებულ იქმნა მონა იგი ფრიად და ევედრებოდა წმიდასა მას, რათა იყოს სალოსადვე. მიუგო ნეტარმან ანდრია და ჰრქვა: „ყრმაო, შენ ჰგონებდი, ვითარმედ მე ვერ შემძლებელ ვიყავ ჰყოფად ნებასა შენსა? აწ იხილე და გრწმენინ ჩემი, უკეთუ მენებოს სახელითა მაცხოვარისა ჩემისა იესო ქრისტესითა, სხვა უფროსიღა ამისა ვჰქმნე, არამედ უფალი შენი ეპიფანე არა ჰლამის, რათა იქმენ შენ სალოს!“ მაშინ მოვინშევიდა (ვინმე მოვიდა) მოყვასთაგანი მის ყრმისა და ჰრქვა ვითარმედ „გიწესს (გიზახის) შენი უფალი“ და წარვიდა ყრმა იგი მიერ.

და ვითარცა შემწუხრდა, ევედრებოდა ეპიფანე ნეტარსა მას, რათა დაადგრეს მას ღამესა სენაკსა მას მისსა. ხოლო მან

ჰყო ეგრეთ და ვითარცა მოიწია ჟამი მესამე ღამისა, იყვნეს მონანი იგი ეპიფანეს მსახურებასა შინა უფლისა თვისისასა, რაჟამს მოიცალეს მსახურებისაგან და დადგნენ წინაშე მისსა. ხოლო მას უბრძანა მათ დასხდომა და რაჟამს დასხდეს გარემოს ეპიფანესა ანდრია ხედვიდა თვითეულისა საქმეთა კეთილთაცა და ბოროტთაცა, და უნდა, რათა ასწავოს მათ კრძალვა. იწყო უბნობად, ვითარცა მაგალითითა და უთხრობდა ყოველთა საქმეთა მათთა, ხოლო მათ, ვითარცა ესმა ესე, შეძრწუნდეს და აღივსნეს სირცხვილითა და რომელთამე პირნი განწითლებოდეს და რომელნიმე თრთოდეს სირცხვილითა, და რომელნიმე გარე განვიდოდეს მხილებულნი სინდისისაგან, რათა არა ესმოდის, რამეთუ უთხრობდა კაცად-კაცადსა საქმეთა მათთათა, რაჲცა ექმნეს, ანუ რომელთა ადგილთა. ხოლო მათ თვითოეულად უწყოდეს, ვითარმედ ჩემთვის ოდენ იტყოდა შეშინდებოდეს და მოვიდოდეს სინანულად.

თავი ოცდამეოთხე

ხოლო რაჟამს იხილა ეშმაკმან, ვითარმედ მონანი იგი სიტყვითა წმიდისათა მოიქცევიან სინანულად და დაუტევებენ ბოროტთა საქმეთა, განრიხსდა ფრიად და იღრჭენდა კბილთა თავისთა. მოუწოდა სხვათა ეშმაკთაცა და იწყეს სიცილად, რათამცა დაახრწივეს (დახრწევა-დაშლა) წმიდა იგი სწავლისაგან სულისა სარგებელისა.

ხოლო ნეტარსა ანდრიას ესმა რა სიცილი იგი მათი, მანცა განიღიმნა, ხოლო რაჟამს იხილეს მონათა მათ სიცილი იგი ანდრიასი, განჰკვირნეს და იტყოდეს, თუ რაჲმე არს სიცილი ესე? და უნდა ცნობად მიზეზი სიცილისა მისისა, რამეთუ არა ესმოდა მათ სიცილი ეშმაკთა. და ვითარცა გულისხმაჰყო, რამეთუ ჰნებავს ცნობად სიცილისა მისისა ერთა მათ, მიექცა მარჯვენათა

კერძო და ჰრქვა ანგელოზსა მას: „განახვებთ გულსა მსმენელთა მაგათთანი, რათა ესმოდეთ სიცილი იგი ეშმაკთა!“ და ვითარცა აღუხვნა გულნი მათნი ანგელოსმან, მაშინ ესმოდათ სიცილი იგი ეშმაკთა და უბნობაჲ, რამეთუ ვითარცა უჯერონი დედანი და მეძავნი, ეგრეთ ზრახვიდეს. მიუგეს მონათა მათ ეპიფანეს: „უფალო, ვინა არიან ურცხვინონი იგი დედანი, რომელნი ესრეთ უჯეროდ ჰზრახავენ და ჰსდგანან გარემოს ჩვენსა?“

მიუგო ეპიფანე და ჰრქვა: ესენი ეშმაკნი არიან ცოდვითა ჩვენთათვის მოხარულნი და გვეკვიცხვიან ჩვენ. და ვითარცა ესმა მონათა მათ, ინანდეს და ბრალთა მათთა აღიარებდეს. და მერმე თაყვანისცეს წმიდასა მას და წარვიდეს თითოეული ადგილსა თვისსა. და იტყოდეს ურთერთარს: „ჭეშმარიტად დიდი საკვირველი ვიხილეთ დღეს, რამეთუ ყოველნი ცოდვანი ჩვენნი მოგვითხრნა ჩვენ გლახაკმან მან!“ ჰრქვა ერთმან მათგანმან მოყვასთა თვისთა: გრწმენინ ჩემი, ძმანო, რამეთუ რაოდენიცა რაჲ მექმნა დაფარული საიდუმლო გულისა ჩემისა, ყოველი მითხრა! და იტყოდეს ზოგნი მათგანნი, ვითარმედ „წმიდა ვინმე არს“ და სხვანი იტყოდეს, ვითარმედ „ეშმაკეული არს და იგი აუწყებს გულის სიტყვათა ესე ვითართა“. დაწვეს ძილად ყოველნი სარეცელთა მათთა ზედა. ხოლო ეპიფანეს აქვნდა კანონი, რამეთუ დაუტევის ცხედარი თვისი და დაწვის ქვეყანასა ზედა (დედამიწაზედ) ჟამსა ძილისასა და წმიდისა (ანდრიასათვის) გარდაეგო თვისი ცხედარი, რათა განისვენოს. ხოლო მან (წმიდამან ანდრია) დაუტევა და შთავიდა ავლინსა (სანაგვესა) და მიწვა სკორეთა (განავალი) ზედა, და რაჟამს მოიწია ჟამი ცისკრისა, განვიდა კვალად შრომას კეთილისა მის სარბიელსა.

მოუწოდა ეპიფანე ყრმასა მას, რომელსა ეუბნებოდა წმიდა იგი ასურულად და ჰკითხა, ვითარმედ: „რასა ეტყოდა იდუმალ ასურულისა ენითა?“ ხოლო მონასა მას უყვარდა ეპიფანე და

ყოველივე უთხრა და ჰრქვა – უფალო, ამიერიდგან შენ იღვაწე სულისა ჩემისა ცხოვრებისათვის, მაჩვენე მე გზა ნებისა ღვთისა, და ვითარცა ესმა ეპიფანეს, ცრემლეოდა და უკვირდა. მოეხვია ყრმასა მას და ამბორს უყო და ეტყოდა: „იხილე წყალობა ღვთისა, რომელ გიჩვენა შენ გზა კეთილი. აწ ძმაო, იგივე შემძლებელ არს სულისა შენისა ცხოვნებად. მე ამიერითგან, ვითარცა ძმა ჩემი საყვარელი და შვილი სულიერი ეგრე მიპყრე შენ“. და შეიყვარა ეპიფანემ ყრმა იგი ყოვლითა გულითა, და შეეწეოდა ყოველსა გზასა საღმრთოსა.

თავი ოცდამეხუთე

ხოლო ნეტარი ანდრია, რაჟამს განვიდა ეპიფანეს სახლისაგან, ისწრაფდა მისვლად ადგილსა ფარულსა, რათა აღასრულოს ლოცვა თვისი, და არავინ უწყის თუ სადა არს სიცივეთა და ყინელთაა-ნეფხვისათა (ნეფხვი - ხმელი ყინვა) იტანჯების იგი და ყოველნი სძულობდიან მას, და ყრმანი ქალაქისანი ჰნერწყვიდეს პირსა მისსა და სცემდეს თავსა მისსა და მოაბიან საბელი ქედსა და ითრევდიან შუა ფოლოცსა შინა და ნახშირითა მოუსვარიან პირი მისა და თითო სახედ სტანჯვიდიან ყოველნი მოქალაქენი.

მოვიდა უბანსა, რომელსა ჰქვიან არტოპოლი, და ღვთის-მოშიშითა კაცთა მისციან ფული, რამეთუ ეწყალოდათ მათ. იხილიან რა იგი ბაყლიანთა (მწიკვლიანი, გასვრილი) ძონძთა მიერ მობლარდნილი, და ეტყოდიან: „სადა იყავ, ცოფო (გიჟო) ამათ დღეთა!“ მიუდის ანდრია და ჰრქვის: „ხელნო, ვითარ არა უწყით, რამეთუ მე ვარ ურცხვინოჲ და აღვირჩიე თქვენებრთა სხვათა ურცხვინოთა რკინობაჲ (ბრძოლა, ჭიდილი) და ვერკინებოდე მათ (ეშმაკთა), და თქვენ ხართ ხელნი, რომელნი მკითხავთ მე!“ და ესმოდათ რა ესე მისგან, განიცინიან,

რამეთუ უწყოდეს სამე მისა, რამეთუ ურცხინოთა რკინობასა, რომელსაცა იტყოდა, რამეთუ ღვთისთვის დღე ყოველ ებრძოდა იგი ეშმაკთა და მისციან მას რომელთამე პური და რომელთამე ფული და რომელთა ცერცვი და ხილი, ვითარცა ვინ ჰყიდდა სამხარსა თვისსა, ხოლო მას წარიღის და განუყვის გლახაკთა, და რომელთამე ეწყალოდა და მისციან სამოსელი. ხოლო მას ღამე მორაუვიდის გლახაკი, შესტყორცის სამოსელი იგი და თვით განიქცის და გლახაკმან მან მიიღის სამოსელი იგი და შეიმოსის, და მოქალაქენი უწოდეს მას მთავარაეპისკოპოზის ყრმად.

კვალად დღესა ერთსა, კაპილონისა (მგზავრების სახლი, გზათა ზედა აგებული, განსასვენებლა) სიახლოვესა მიუქცია დათხევად წყლისა, რომელ არს სახმარი ხორცითა. წარვიდა ვინმე ყრმა და იხილა იგი და ხმა უყო მეკაპილონესა მისთვის. გამოვიდა მეკაპილონე იგი და იხილა, აღიღო არგანი (კვერთხი, ჯოხი) და სცა მას წმიდასა (ანდრიას), ვიდრემდის განძღებოდა იგი ცემითა მისითა. წარვლიდეს სხვანიცა ვინმე უწყალონი კაცნი, ვითარცა მხეცნი (მძვინვარენი), რომელთა ეპყრათ არგანები და სცემდეს იგინიცა უწყალოდ, განზრახვითა ეშმაკისათა, ვითარცა უსულოსა რასამე. სულთ ითქვნა (ამოიხვნეშა) წმიდამან მწარედ ტკივილისა მისგან ფიცხელისა, მოვიდა და მოეხვია ფერხთა მის მცელმელისათა და ამბორს უყოფდა და ილოცვიდა მისთვის. ხოლო რომელთა იხილეს, ეტყოდეს „ნახეთ ცოფი ეგე, ვითარ ეხვევის ფერხთა, ვითარცა ძაღლი“ და წარვიდა ნეტარი ცემული და ტანჯული ყურესა ერთსა ბნელსა, რათა მცირედ განისვენოს და ვითარცა წარვლინდეს ერნი, იხილეს და იტყოდეს ურთიერთარს: „იხილეთ ცოფი იგი, რამეთუ დედაკაცსა წარჰკიდებია!“ ხოლო ღმერთმან იცოდა ყოველივე საქმე მისი, რომელ ჭეშმარიტი მონა მისი არს, რომლისათვისცა მოითმენდა ყოველსა ღვაწლსა.

ურმის გადავლა

დღესა ერთსა იყო მწოლარე და მისძინებოდა და წარვლიდა გზასა მას ზედა ურემი. ხოლო იყვნეს მეურმენი იგი მთვრალნი და არა უწყოდეს თუ წევს ვინმე იქა. გარდავლნეს პირველ ხართა და დატკეპნეს და შემდგომად ურემმა გარდავლო საშვალ-ოდენ მუცელი წმიდა ანდრიასი. ხოლო ვითარცა იხილეს ერთა ქალაქისათა, შერისხნეს მეურმეთა მათ ჰრქვეს: „ვითარ ვერ ნახეთ და დატკეპნეთ კაცი იგი?“ ხოლო მეურმეთა მათ ჰრქვეს: „ვინ დაჰპატიჟა კაცი იგი?“ ხოლო ერთა მათ დასწყევნეს იგინი: „ღმერთმან თქვენ მოგეცინ ცნობა და სული მისი!“ ხოლო მართალსა მას არა რაჲ ევნო მადლითა ღვთისათა. მაშინ განკვირდეს, რომელთა იგი იხილეს და იტყოდეს ურთიერთარს: „რაჲ არს ესე, რამეთუ ურემმან გარდავლო და არა მოკვდა? არამედ ღმერთმანვე დაიცვა, ანუ ეშმაკმან, რომელი დამკვიდრებულ არს მისთანა, ზე იტვირთა სიმძიმე იგი ურმისა მის და განარინა იგი? და სხვანი იყტყოდეს: არა, არამედ უფალი მოწყალე არს და იხილნა უძლურებანი მისნი და დაიცვა“. ხოლო იგი ყოველსავე ამას ნებსით თავს იღებდა, ქრისტესთვის მოითმენდა და მოეძულა სოფელი ესე და ყოველივე რაჲ არს სოფლისა ამას (იოან. 2, 15).

სიცხის მოთმენა

სხვა საკვირველი ჰქმნა ნეტარმან მან უზესთაესი შეწევნით ღვთისათა. რამეთუ დღესა შინა მკისათა, რაჟამს იყვის სიცხე ფრიადი და ყოველნი ჩრდილოთა ადგილთა ეძიებდიან, მოიმთვრალის თავი თვისი და მივიდის შესაცხუნებელთა სიცხისათა და დაეცის მუნ და არცა საზრდელი მიიღის და არცა სასმელი, და იდგის გზასა ზედა, ვითარცა მთვრალი, და რომელნი

წარმოვლიდიან, გარდამოეკიდნიან (გადაალაჯებდნენ) მის ზედა, განწყრიან და სციან არგანითა, ზოგთა ფერხთითა დათრგუნიან და სხვათა გაითრიან გზისაგან კიდე და იგი არავის მიუგებნ პასუხსა. ხოლო ვითარცა შემწუხრდის, აღდგის და წარვიდის ეკლესიის კართა ზედა და ილოცავნ მუნ, ვიდრე განთენებადმდე.

თავი ოცდამეექვსე

ღამესა ერთსა ჩვეულებისაებრ თვისისა აღდგა ფარულად და ეგულვებოდა წარსვლად, რათა ილოცოს ეკლესიასა შინა და ენება რათამცა არავინ იხილა იგი. ხოლო მივიდა რა ეკლესიასა წმიდასა ღვთისმშობლისასა, რომელი არს ფოროსა მარჯვენით კერძო ფოლოცსა (შუკა, შესახვევი ქუჩისა), აჰა ყრმა ვინმე წარვლენილი უფლისა თვისისაგან საქმისა რისათვისმე. მიეწია უკანა ანდრიას, ხოლო მან არა უწყოდა ყრმისა მისთვის და რაჟამს მიიწია ნეტარი კართა ეკლესიისათა, დასწერა ჯვარი და განეხვნეს კლიტენი. შევიდის და დადგა ლოცვად და ვერ აგრძნა (ვერა სცნა) ყრმისათვის თუ მომიდგს ვინმე უკანაგან ჩემსა, ხოლო ყრმასა მას ენება ცნობად, თუ რასა იქმს ანუ რაჲ ნებავს (ეგულვების). იცნობდა, ვითარმედ ცოფი იგი არს, რომელი რონინებს ფოლორცთა და ვითარცა იხილა კლიტენი იგინი განხმულნი, გაკვირდა და შეძრწუნდა ფრიად და იტყოდა ესრეთ: „ესე სასწაული დიდი არს და კაცი ესე წმიდა არს ღვთისა. ვითარ სდევნიან ყოველნი ამას და ხელჰყვიან (სცემენ) მომცა-ვინ-იყვნეს მცემელნი და მტანჯველნი ამისნი, იხილონ, თუ ვითარი წმიდა უტანჯავსთ, და ჩვენ, ცოდვილთა, არა ვუწყით, თუ რაოდენნი დაფარულნი მონანი უსხენ ღმერთსა, ნებისა მისისა აღმასრულებელნი!“ და ამას რა განიზრახავდა, შევიდოდა მალე ეკლესიად, რათა სხვაცა იხილოს სასწაული. და

იხილა ნეტარი ანდრია ზე ჰაერთ დამოკიდებული, ვითარ წყრთა ერთ, და ეგრეთ მლოცველი გარეშემოსილი იყო ღრუბლითა ნათლისათა და სუნნელება მიეფინებოდა მას მიუთხრობელი და განკვირვებამან შეიპყრა ყრმა იგი და განვიდა გარე, რათა წარვიდეს და აღასრულოს საქმე იგი უფლისა თვისისა. ხოლო რაჟამს აღასრულა წმიდამან ანდრია ლოცვა, გამოვიდა და დასწერა ჯვარი და დაეხშნეს კარნი და დაესხნეს კლიტენი, ვითარცა იყო პირველ. მაშინ სცნა ანდრია სულისა მიერ წმიდისა, ვითარმედ ვუწყი ყრმასა მას საქმე მისი. გულკლებულ იქმნა და დადგა ჟამ ერთ და ელოდა, რათა შეიქცეს ყრმა იგი და ამცნოს დაფარვად ხილვისა მის და ვითარცა შეიქცა, მცნება ჩემი და ნუვის უთხრობ რაჲ იხილე, რათა გაქვნდეს მოწყალება ღვთისა. უკეთუ კვლა ინებო ხილვისა ამის გამჟღავნება, მოგევლინოს შენ ეშმაკი და გარონინებდეს განქიქებულსა ქალაქსა ამას შინა, არამედ მე ვრქვა ანგელოსსა შენსა, რათა დაგიცვას და არა გიტეოს თხრობად ვისდამე და მე მელოდეს საურავი მაგისი, და სიტყვა მისი ოდენ ესმოდა ყრმასა მას, ხოლო კაცსა არა ჰხედვიდე, და აღუთქმიდა, ვითარმედ „ჰე უფალო, არავის ვუთხრა და ვჰყო მცნება შენი!“ და წარვიდა ყრმა იგი განკვირვებული და იტყოდა: „დიდ არს ღმერთი ჩვენი მხედველი დაფარულთა, თუ რაოდენნი წმიდანი ჰყვანან დაფარულად, ვითარცა მესმის სასწაული წმიდათაგან, აწ მე ვიხილე თვალითა საქმე იგი, რომლის ვისაც წარვლენილი იყო. მერმე განიზრახვიდა სასწაულისა მითხრობასა, რომელი ეხილვა წმიდისაგან, ხოლო ვითარცა ენება აღება პირისა, იხილა ჭაბუკი შვენიერი და შეშინდა მისგან. და ჰრქვა ჭაბუკმან: „დადუმდი საწყალობელო, ნუ უკვე (რათა არა) შეგიპყრას შენ ეშმაკმან და იქმნე საცინელ ყოველთა“. ხოლო ყრმასა მას ენება კითხვად მისა, ვითარმედ ვინ ხარ შენ? ხოლო მან დასდვა ხელი მისი მარჯვენე პირსა და ჰრქვა „დადუმენ, შვილო!“ და მიეფარა მისგან.

თავი ოცდამეშვიდე

დღესა ერთსა ჟამსა წნეხისასა (ყურძნის წურვისას) ქულბასა (ბაზრის სახლი, დუქანი) შინა თვისსა დაედვა მეხილესა ლეღვი, დარჩეული დასასყიდად, და მეხილესა მას მისძინებოდა მჯდომარესა და ნეტარი ანდრია რონინებდა. შეხედვიდეს ერნი ლეღვსა მას კეკელასა (მშვენიერი, ლამაზი) და უკვირდათ შვენიერება მისა. მოუწოდეს ანდრიას და უჩვენეს ლეღვი იგი და ეტყოდეს: „სძინავს მეხილესა მას, ხოლო შენ მივედ და მოჰპარე ლეღვი იგი და სჭამე და განძეღ, ნუ უკვე ესე ვითარსა ლეღვსა არღარა სადა შეხედე შენ!“ ხოლო მას ჰრქვა მათ: „ხილნი ჰამო არსა?“ და მათ ჰრქვეს: „ჰამო არს, სჭამე!“ მაშინ მივიდა და დაჯდა ლეღვსა თანა და იწყო ჭამად. ხოლო იგინი აწვევდეს და ეტყოდეს: „სჭამე, ნუ გეშინინ!“ და ვითარცა შეჭამა ლეღვი იგი ყოველი სრულიად, განიღვიძა მეხილემან მან და კაცნი იგი ყოველნი განიბნინეს, რომელთა ეუწყა ჭამა მისი. ხოლო ნეტარი ანდრია დგა და ღიმიოდა. და იხილა რა მეხილემან, განსწყრა და აღიღო არგანი და სცა მას უწყალოდ და დასცა ქვეყანად და გაგლიჯა და გახადა საწყლად და განხადა მიერ (გააგდო იქიდან). ხოლო მოუხდა ყრმა იგი მცირე, რომელსა ეხილვა მლოცველად და ვითარცა იხილა შესვარული სისხლითა, განკვირდა, მოეხვია და ამბორს უყო და ჰრქვა: „ვინ გიყო ესე? ხოლო წმიდამან მიუგო: „შვილო, ნაყროვანებამან (უწესოდ სიმაძღრე) ჩემმან მიყო ესე, რომელსა ჰხედავ. ვიხილე ლეღვი რჩეული, და ვსჭამე და მისთვის მცეს სამართლად! ჰრქვა ყრმამან: „რაჲმე უყოს ღმერთმან ძლიერთა, რომელნი სტანჯავენ უსუსურთა, თუ არა მოიქცენ სინანულად?“ მიუგო წმიდამან: „ესეთ დაიცევ მცნება ჩემი, რომელი გამცენ შენ: უკეთუმცა არა მოსულ იყო ჭაბუკი და დაედვა ხელი პირსა შენსა, აწცა ეშმაკეული იპოებოდი“. ხოლო ყრმასა მას განუკვირდა, თუ ვითარ ნახა მან ჭაბუკისა ხელის

დადება პირსა ჩემსა! და მოიხსენა პირველი იგი ხილული სასწაული და ადიდებდა ღმერთსა, და წარვიდეს ზოგად ანდრია და ყრმა იგი ადგილსა ფარულსა, რათა იუბნონ და ვითარცა იხილა ეშმაკმან, ვითარმედ უყვარს ყრმა იგი წმიდასა მას, და ვითარ უჩვენა ღმერთმან სასწაული მისი, აღიხვნა სხვანიცა შემწენი თვისნი ეშმაკნი, შურითა სავსემან, და შეემთხვივნეს ფოლორცსა შინა ბნელსა ნეტარსა ანდრიას და ყრმასა, და რისხვით ჰრქვეს წმიდასა: „არა კმა არს შენდა, რომელ სოფელსა ემღერ? შენ აწ სხვაცა მიმიხვამ ჩემგან, რომელნი ჰყოფენ ნებასა ჩემსა? რა კმა გეყვნესა ეპიფანე და სახლეულნი მისნი, რამეთუ აღიხვენ და განსწმინდენ ცოდვათაგან და შეაწყნარენ ღმერთსა? და აწ გეგულვების მაგისაცა გაწმენდა და მოყვანებად სინანულად?“ და წარმოიტყოდა ყოველთა ცოდვათა მის ყრმისათა მაღლიად.

მაშინ განრისხდა წმიდა იგი და მიუგო ეშმაკსა მას: „ეგე ყოველნი ცოდვანი მისნი აღიხოცნენ და წარწყმიდეს ვედრებითა ჩემითა ღვთისა მიმართ. შენ ურცხვინოო, რა გიძს ამასთანა საბრძოლველი? მე სული ჩემი ამისთვის დავსდვა და არა გაქვს ნაწილი სულისა ამისისათანა, წყეულო!“ მაშინ განრისხნეს ეშმაკნი და ეგულვებოდათ გამოტაცება ყრმისა მის ხელთაგან წმიდისათა, ხოლო მან შერისხნა მათ და დაჰყო ხელი და აღიღო ქვა და შესტყორცნა ეშმაკთა მათ, ხოლო მათ იჭყვირეს და ღორთა სახე შეიმოსეს და განქარდეს ჰაერთ შინა. და მიერ მოვიდა ნეტარი სხვასა კაპილონსა და მიიღეს საზრდელი მან და ყრმამანცა.

თავი ოცდამერვე

მოვიდა სხვაცა ვინმე ჭაბუკი და ივლებდა ხელსა წვერთა თვისთა, და ჰყვა სხვაცა ვინმე მოყმე. და შევიდა კაპილონსა მას და დასხდეს მახლობელად წმიდისა და იწყეს ჭამად პურისა. შეხედნა წმიდამან და ეუწყა საქმენი მისნი უკეთურნი და

ენება, რათამცა ამხილნა ცოდვანი მისნი. იწყო სიმღერად და სალოსობად, ხოლო მათ რაჟამს იხილეს ცოფად და მომღერლად, განიხარეს და იწყეს სიცილად, ჰგონებდეს განაფრთხობასა (გამოფხიზლებასა) მის მიერ სალოსობითა. მიჰყო ხელი წმიდამან ტრაპეზსა მათსა და აღიხუნა პაქსიმანდი (ორცხობილა) და იწყო ჭამად. აღშფოთნა ჭაბუკი იგი და ჰრქვა მას: „არა სჯდე შენსა წინა (რატომ შენ ალაგას არ ზიხარ?), ხელო ეშმაკეულო? სადაცა ჰპოვო უცხო ტაბლა, განმარტებ ხელსა და მპარაო! არა დაჰყოა ხელი (დააყენებ შენ ხელსა), რომელმან განიპარე კომში სამონისა?“ და უხეთქნა ყვრიმალსა ჭაბუკისასა და მეყსეულად დაიყო ყური მისი, რომელსა რქუმა რაჲ (ლაპარაკი), ყოვლადვე არა ესმოდა. ხოლო ვითარცა იხილა მპარავმან მან გამოცხადება საქმეთა თვისთა, დადუმნა და იტყოდა განკვირვებული გულსა შინა თვისსა, სადათმე (საიდგან) უწყის ამან საქმე ესე?

მოემთხვია მოყვასსაცა მისსა (ამხანაგს იმ ჭაბუკისას) და ჰრქვა: „შენცა მეორე ხელო! ესრეთ ურიდად ჰზი და სჭამ ნაპარევსა?“ ხოლო იგი შეშინდა, უარჰყო და ჰრქვა: „არა ვიცი მაგისგანი.“ ჰრქვა წმიდამან: „გრწმენინ ჩემი, უკეთუ კვალად იქმ საქმესა მაგას, ეშმაკეულად განხვალ! მოიქცა და მიუგებდა კაცსა ვისმე და ეტყოდა, უკეთუ მოღაიგონნო, კვალად პარვა, ესხნენ ესენი ეშმაკსა“ (ეშმაკის კერძნი გახდებიანო) და დაუტევა იგინი და წარვიდა. და ვითარცა რონინებდა წმიდა იგი ყრმისა მისთანა, კვალად შეემთხვინეს მას მრავალნი გუნდნი ეშმაკთანი, განრისხებულნი ყრმათა მათთვის მპარავთასა, რამეთუ წმიდისა მიერ მოვიდოდეს სინანულად და იზახდეს მის ზედა, შფოთებდეს და ეტყოდეს: “რად გვავნებ ჩვენ შენითა მაგით სალოსობითა, ჰოი ანდრია? და ვითარცა იხილნა იგინი, ჰრქვა მათ გულისწყრომითა „კვალად გნებავსთა, დაწყეულნო, შფოთი მზაკვრებითა თქვენითა? ვითარ იკადრებთ მიახლებად ხატისა ღვთისა? ვჰფუცავ მაცხოვარსა ჩემსა იესო ქრისტესა,

უბადოჲ დღე დადგრომილ არს თქვენდა! მიეგენით უსუსურნო და შეუძლებელნო, კლდეთა! მე არა მეურვეგის ხმისა თქვენისაგან და ფერხთაგან!“ მიუგეს ეშმაკთა მათ და ჰრქვეს: „ანდრია! უსამართლოდ გვდევნა ჩვენ შეურყეველმა საყდარმან და ძალმან მისმან! მძლავრებით წაგვგვრი კაცთა მაგათ, რამეთუ უჩვენებ საქმეთა და შრომათა შენთა, და იგინი ხედვენ და მოვლენან სინანულად! წარვედ, განგვეშორე ჩვენგან, დაუტევენ, რომელნი ჰყოფენ ნებასა ჩვენსა! ნუ ამცნებ მათ სინანულად! არა კმა არს მათდა, რამეთუ აქვსთ თქმული სახარება და სამოციქულო, რომელი მარადის სწავლის?! შენ, რომლითა სახითა გვბრძანე ჩვენ, სალოსო, სოფლისად ახლად შუამდგომელად გამოჩინებულო! წარვედ ჩვენგან, რამეთუ სჭამ სადაცა მოგვხდეს, ვითარცა დათვი. ვითარცა ვითხოვე ღმრთისაგან იობისათვის და მომცა ხელმწიფება, ეგრეთვე ვითხოვო შენზედაცა და მოვიღო“.

მიუგო ანდრია: „მეცნიერი ვარ შენდა, დაწყეულო, რამეთუ იჭრებიან ნაწლევნი შენნი, ვითარცა ხერხითა, რომლითა მიზეზითა გნებავს ჩემისა შრომისა ამისგან გამოყვანება, ანუ რომლითა მიზეზითა მომითხვრე მე მაცხოვარისაგან? მე ვესავ მასვე მოწყალესა, რომელმან მიხსნან მე ყოველთა მანქანებათა შენთაგან. რომლითა სახითა მომითხოვ მე? ვერცხლის მოყვა-რებისათვის, ნუ ოქროსა სიმდიდრისათვის, ანუ მონათა მოსილობისა და დიდთა ნაქონებისათვის მამულისა? აწ ნუ შეიწყალებ მონაგებითა ჩემითა, აღაოხრენ და დაარღვიენ სახლები ჩემნი, ანუ გასჭრენ თავისა სახვევევლნი ჩემნი, ანუ მოგვნი (ჩექმა) ჩემნი განგლესილნი და ჩაფულანი (ფეხსაცმელი) ჩემნი შვენიერნი, ანუ სართულნი ჩემნი შემკობილნი! რაჲ გშურს ჩემთვის საძაგელო და უსუსურო და ყოვლად ბილწო? სამოსელი ესე ჩოხისა, რომელ მმოსავს, ნუ უკვე მას ეშურები? მოგცე შენვე, თუ გნებავს“ და აღიხსნა და შესტყორცნა პირსა მათსა და

შიშველმან იწყო სირბილად. ხოლო ყრმამან აღიღო სამოსელი იგი და კვალად შთააცვა. მაშინ ნეტარმან ამბორს უყო ყრმასა მას და წარვიდა სახიდ თვისსა. ხოლო იგი ვიდოდა ესრეთ მშიერი და წყურიელი, განტევებული და უძილო და განუსვენებელი და ყოველთა დღეთა მისთა ესრეთ აღასრულებდა.

ხოლო ჭაბუკსა მას, რომელსა ამხილა პარვისათვის, დაავიწყდა მცნება მისი და იპარა სხვა უფროსი და რაჟამს იხილა წმიდამან, რამეთუ სულგრძელება არა რას ერგების, მივიდა სახლსა მისსა და განაცოფნა იგი, ხოლო რბინ ფოლორცთა ამათ ცოდვათათვის წამეკიდა მტერი ესე. და ვითარცა განუტევა იგი ეშმაკმან, მოეხსენა ყვრიმლის ცემა იგი წმიდისა და გულკლებულ იქმნა. მივიდა და შეუვრდა წმიდასა ღვთისმშობელსა მონასტერსა შინა, რომელსა ჰრქვიან მიროლეონ და შესტირა საკვირველმოქმედსა მას ხატსა. აღიღო ზეთი კანდლისაგან და იცხო ხორცთა თვისთა და ევედრებოდა წმიდასა ღვთისმშობელსა და ლოცვასა შინა მცირედ მიერულა, და იხილა დედაკაცი ვინმე, რომელი დგა საკურთხეველისა წინა, მოსილი პორფირითა და ბისონითა და მიხედნა განრისხებულმან მის კერძო და ჰრქვა: „დაშავებულო ეშმაკო, წუთ ერთ მანდა ხარაა? განვედ დაბადებულისაგან ძისა და ღვთისა ჩემისა, რამეთუ შემომევედრა ეგე მე“. ჰრქვა ეშმაკმან პირითა მის კაცისათა: „რომელი ძისა შენისათვის სალოს იქმნა, მან მიბრძანა შესვლა ამისსა და ტანჯვად“. მიუგო დედუფალმან და ჰრქვა: „განვედ მსწრაფლ წყეულო და ნუ ზრახავ!“ და მყის განვიდა ეშმაკი იგი და უჩინო იქმნა. ხოლო კაცი იგი მოეგო ცნობასა და ადიდებდა წმიდასა ღვთისმშობელსა მარადის და იტყოდეს: „ვითარი იყო ჭაბუკი ესე პირველ ურჯუკი (ურჯულო) და თავხედ, და აწ ვითარ მოიქცა და შეიმუსრა?“ და სადაცა შეემთხვევინ წმიდა ანდრია, არა ნებავს ჭაბუკსა მას ხილვა მისი, არამედ მოერიდის და დაიმალის და იტყვინ, ფიცხელ არს წმიდა ესე, არამედ მე დიდად სარგებელ მეყო.

თავი ოცდამეცხრე

დღესა ერთსა წარვიდა წმიდა იგი და მოაქვნდათ მდიდარი ვინმე გარდაცვალებული დიდითა პატივითა, ერითა და გალობითა, კეროვნებითა (კელაპტარი) და საცეცხლურებითა, და სტიროდეს მას თვისნი და იგლოვდეს. ხოლო იხილა რა იგი წმიდამან დასდგა და განიცდიდა მათ, და იხილა ერსა მას შორის წინა კაცნი შავნი, ვითარცა ჰინდონი, რომელნი იყვნეს ეშმაკნი უკეთურნი, და რომელნი უმრავლეს იყვნეს ერთა მათ მორწმუნეთა და უკმევდეს წივასა (გამხარი ნეხვი), და ეპყრათ, ვითარცა თხიერი (ტიკჭორი) რაიმე, სავსე ნაცრითა და ჰსხურებდეს პირსა ზედა მას მკვდრისასა, და იცინოდეს და განსცხრებოდეს წინაშე მისსა, ვითარცა მეძავნი დედანი, და სხვანი ძაღლებრ ჰყეფდეს, სხვანი ღორებრ ჭყვიროდეს, და სიხარული დიდ იყო მათ შორის. მოადგებოდეს ცხედარსა და სკორესა მღვრიესა ასხურებდეს მას და სცემდეს პირსა მისსა. და ესმა წმიდასა მას ზეგარდმო, რომელი ეტყოდა: „მგალობელნო, არა იხილოს თქვენგან მან ნათელი ჩემი, რამეთუ გალობათა იტყვით ძაღლსა ზედა: ღმერთო წმიდათა შენთათანა განუსვენე სულსა მიცვალებულისა ამის შესვენებულისასა, რამეთუ ყოველნი ცოდვანი დაუკლებლად ჰკიდავნ მას“. მერმე მოვიდა მთავარიცა ეშმაკი განბოროტებული თვალითა, ვითარცა მხეცი. იხილა რა წმიდა ანდრია, შეეშინდა და ხელთა აქვნდა ნაკვერცხალი და წუნწუბა, და მირბიოდა საფლავსა მას, სადა დაფლვიდენ მკვდარსა მას, და ეგულვებოდა დაწვა მისა სახილველად ყოვლისა ერისა. ხოლო რაჟამს დაფლეს მკვდარი იგი და შემოიქცნეს ერნი, იხილა წმიდამან ანდრია კაცნი ვინმე მშვენიერნი, მდგომარედ მჭმუნვარედ. ჰგონებდა ანდრია თუ სახლეულნი მისნი არიან და არა უწყოდა, თუ იგინი ანგელოზნი არიან. მოუხდა მათ და ეტყოდა: „რაჲსა უზომოდ მწუხარე ხართ

მკვდარსა ამას ზედა?“ მიუგეს ანგელოზთა მათ და ჰრქვეს: „ამისთვის ვსტირთ და ვსწუხთ, რამეთუ აღსრულებული ესე ეშმაკმან წარიყვანა“. მაშინ წმიდამან ანდრია სცნა, ვითარმედ ანგელოსნი ღვთისანი არიან, ევედრებოდა მათ, რათა აუწყონ მას, თუ რაჲ იყო ბოროტი იგი ცოდვა მისი. მიუგეს ანგელოზთა მათ და ჰრქვეს: „ისმინე მონაო ღვთისაო ანდრია, და გაუწყოთ ცოდვაჲ მისი, ვითარცა ხარ ერთგული მსახური წმიდისა სამებისა“.

„კაცი ესე იყო მთავარი და წარჩინებული მეფისა ქალაქსა ამას შინა, ხოლო შეყოფილ იყო ცოდვისა ბილწებისასა, რამეთუ იყო მსიძავ უცხოსათანა და თვისთათანაცა ნათესავთა მამათმავალ, ამპარტავან და მტყუარ და ძვირის მომხსენე, მომხვეჭელ, კაცთ მოძულე და მფუცავ, რომელი არა განაძღებდა პურითა მსახურთა თვისთა, და ყოვლად უწყალო იყო მონათა მიმართ და მსახურთა სახლეულთა, რამეთუ სცემდა მონათა შიშველთა და მოჰკლვიდა მათ და დაფლვიდა ფარულად ქვეშე სადგურთა. აწ მოიწია სიკვდილიცა მისი, და იპოვა განფრდილი (ნებსით თავის გაყიდვა) ყოველითა ცოდვათა შინა უნანელად, და მიითვალეს იგი ეშმაკთა, და რამეთუ არცაღა ღირს იყო გვამი მისი დამარხვად მიწისა შინა ამისთვის მწუხარე ვართ, რამეთუ იქმნა სამღერელ ეშმაკთა საწყალობელი იგი უბადრუკი“.

და რაჟამს მიუთხრეს ყოველნი ნეტარსა ანდრიას, ჰრქვა მათ: „ბრწყინვალებითა შემოსილო! ნუ მწუხარე ხართ, მიიღეთ ნუგეშინისცემა“, და წარვიდეს მისგან ანგელოზნიცა იგი, ხოლო თანა წარმავალთა კაცთა ესმოდა სიტყვა იგი ანდრიას და სხვასა არა რასა ჰხედვიდეს. იტყოდეს ურთიერთარს: „იხილეთ ცოფი ესე, ვითარ მიდგომილ არს და ეუბნების ყურესა იმას?“ და ერთმან მათგანმან აჭენა (ხელი ასწია, წაჰკრა) მას. ხოლო მან ჰრქვა მათ: „წარვედით ხელნო გზასა თქვენსა, ხოლო მათ ჰრქვეს: „ხელი შენ ხარ, რომელი ეუბნები მაგას“. განიცინა წმიდამან და

მივიდა ადგილსა ფარულსა, და მოიხსენა კაცი იგი ცოდვილი და დაიწყო მდუღარითა ცრემლითა ვედრებად ღვთისა და ილოცვიდა მისთვის ესრეთ: „ღმერთო, დიდო და საშინელო, შემოქმედო ცათა და ქვეყანისაო! გევედრები უღირსი ესე, რათა იხსნე გვამი იგი ცოდვილი დაწვისაგან ეშმაკთასა, რათა არა განკიცხონ სრულიად და განიხაროს მძლავრმან ჯოჯოხეთმან და ვეშაპმან უწყალომან შთამოქმედმან. ისმინე ვედრება ჩემი ცოდვილისა ამის მონისა შენისა“.

ხოლო ამას რაჲ ილოცვიდა წმიდა იგი, გამოჩნდა ზეცით ღრუბელი ნათლისა და აღიტაცა იგი და დაადგინა საფლავსა ზედა მის ცოდვილისასა და მოვიდა ანგელოზი ზეცით და აწვნდა ხელთა მისთა კვერთხი ცეცხლისა და განაოტნა ეშმაკნი იგი და არა უტევა მათ დაწვად გვამისა მისისა ლოცვითა წმიდისა ანდრიასითა.

თავი ოცდამეათე

და ვითარცა შემწუხრდა, წარვიდა ლოცვად ტაძარსა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისასა და ილოცვიდა მას შინა განთენებამდე, ვითარცა ჩვეულ იყო და ვითარცა დარეკეს ცისკრის ჟამი, მოვიდა ეპიფანეცა მუნვე ეკლესიად ლოცვად. ხოლო ესრეთ იტყოდა ფიცით: „ვითარმედ რაჟამს მივხედენ წმიდასა ანდრიას, მდგომარესა ერსა მას შორის სამოსლითა მით ძველითა, ოდესმე ჰსჩანან ქვეყანისაგან ამაღლებულად მდგომარე, მგზნებარე, ვითარცა ალი ცეცხლისა და ოდესმე სპეტაკ, ვითარცა თოვლი, და პირი მისი ნათობნ, ვითრაცა მზე“. ხოლო ეპიფანე განკვირვებული ადიდებდა ღმერთსა, და აღივსო სული მისი სიხარულითა და ვითარცა განიყარა კრებული იგი მიმოიხილა და არავინ იხილა. შეუვარდა ფერხთა ნეტარისა ანდრიასთა და ჰრქვა: „მაკურთხე მამაო, სულიერი შვილი შენი!“

და ვითარცა იხილა ესრეთ ლმობიერად, ჰრქვა მას ანდრია: „შენ ლოცვა ჰყავ ჩემთვის, მეუფეო, და მაკურთხე, რამეთუ შენგან მიხს კურთხევაჲ და შენი ჯერ არს, რამეთუ ვიხილე დღეს ძალი ღვთისა, რამეთუ მდგომარე იყავ შენ მხიარულთა პირითა წინაშე მისა, შორის წმიდისა ეკლესიასა დიდსა სოფიასა და გემოსა შენ სამოსელი სამღვდელოჲ, და მოვიდა შენზედა ხელი მაცხოვრისა და შეგმოსა შენ ომფორი მხართა შენთა ზედა“. და კვალად ვიხილენ ორნი კაცნი ბრწყინვალენი და გაგხადეს სამოსელი, და დააჭრელეს და განიშვენეს და იტყოდეს ურთიერთარს: „ვითარღა შეგაჰვს და შვენის სამოსელი მამათმთავარს ეპიფანეს, და რამეთუ არს შინაგანცა მის შვენიერი და ერთმან მათგანმან გამოსახა ჯვარი შუბლსა ზესა შენსა და ამბორს გიყო და წარვიდა. და ეგრეთვე მეორემან გამოსახა ჯვარი ყოველთა ასოთა შენთა და ამბორს გიყო და წარვიდა. და ესე რომელი ვიხილე ჭეშმარიტად ეკლესიის მოძღვრად და მასწავლელი ერისა მორწმუნისა დაიდგინო შენ, რამეთუ ესე ყოველი ვიხილე მე შენთვის, ხოლო შენ არ გიხილავნ ჯერთ. ამისთვის ვითხოვ კურთხევასა შენსა, რათა ლოცვა ჰყო ჩემთვის საწყალობელისა!“ და ვითარცა მიუთხრა ესე ყოველი, ამბორს უყვეს ურთიერთარს და დასხდეს. იწყო წმიდამან სიტყვად ეპიფანეს და წესსა ეკლესიისასა მწყემსობისათვის და თქვა: „გევედრები შენ, საყვარელო შვილო ჩემო, სიყვარულისათვის ღვთისა, რათა ცრემლნი შემატნე ფრიადი კვალადცა განწენდისათვის სულისა შენისა და ხორცთა. და იყო მწყემს ჭეშმარიტ, კეთილის მოყვარე და შეიმოსე სიმდაბლე და დუმილი, რათა განწმიდეს გული შენი, ვითარცა ოქრო, ძვირუხსენებლობა, კეთილისყოფა, ისწრაფე სწავლა მშვიდობისა; სიყვარული გაქუნდინ ყოველთა მიმართ, და ლოცვა სამარადისო გაქვნდინ პირსა შენსა. იყავ გლახაკთ მოწყალე, მონაზონთმოყვარე, ღვთის მოშიში, ჭეშმარიტებასა ზედა მდაბალ, მყუდრო, მომთმენი, სულგრძელ,

ნუცა ამპარტავან, ნუცა მცონარე და ღმერთმან გადიდოს შენ. ყოვლითა გულითა შენითა მოიგე სიყვარული ღვთისა, რათა უმეტეს აღგამაღლოს შენ. და იყავ ყოვლითურთ წესიერ და განკრძალულ, ვითარცა შვენის მწყემსსა ეკლესიისასა, რათა ყოველნი მხილველნი სახისა და ქცევისა შენისანი ადიდებდნენ ღმერთსა და იყო მწყემს საყვარელ და პატივცემულ და იხარებდენ შენზედა. უკეთუ ესე ყოველი მცნებანი ჩემნი დაიმარხნე, არა გრცხვენეს არცა საწუთოსა ამას და არცა საუკუნესა წინაშე ქრისტესა. და ესე ყოველ, რაოდენი გარქვ შენ, ნუვის გამოუცხადებ კაცთაგანსა და ღმერთი მშვიდობისა იყავნ შენთანა!“ და შევიდეს ეკლესიად და იკითხვიდეს წიგნთა, და დაჯდა ეპიფანე სკამთა ზედა, ხოლო ნეტარი ანდრია ქვეყანასა ზედა, ვითარცა გლახაკი მოსილი ძონძითა დაბებკულითა, და ჰხედვიდეს რა ერნი იგი, იტყოდეს ურთიერთარს: „რად მოვიდა ცოფი ესე? ეკლესია არს ესე და სახლსა რაჲსამე შემოვიდა, და სხვანი სხვასა რასამე იტყოდეს, რეცა კაცისა მიერ ვნებულად“.

თავი ოცდამეთერთმეტე

და ვითარცა დაჯდა იგი ეკლესიასა შინა, იხილა მაცთური ეშმაკი განმძლავრებული საკრავსა შორის ეკლესიისასა, რამეთუ ებრძვინ კაცთა მიზეზთა საჭიროთა საქმეთათა, რათამცა განიყვანა ეკლესიით და დაკლებულ ყვნა იგინი ნიჭითა ღვთისათა. რამეთუ მოიგონებნ, ვითარმედ განვედ აწ და ჰქმენ იგი რამე, და კვალად მოვედ და ილოცე, რამეთუ ეკლესია აქავე არს და საქმისა აღსრულებისათვის რაჲ ბრალი გაქვნდეს? და მრავალნი განიყვანიცა და დააჭირვნა ნიჭნი ზეცისანი და დაავიწყა სიტყვა იგი სახარებისა, რომელსა იტყვის: „ნუ ზრუნავთ თავისა თქვენისათვის, რაჲ სვათ, ნუცა ხორცთა თქვენთვის რაჲ შეიმოსოთ, არამედ ეძიებდით პირველად

სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“ (მათ. 25, 33).

და კვალად იხილა სხვა ეშმაკი, რომელმან მოაუძლურის და დააძინის, გინა თუ აზრახებნ ცუდად, რათა არა ისმენდეს სიტყვასა წერილთასა. იხილნა რა ეშმაკი იგი ესრეთ მოქმედნი, შერისხნა მათ და ჰრქვა: „ყოვლად მზაკვარნო! ვიდრემდის ღონე ჰყოფთ და დააკლებთ კაცთა სმენად სიტყვათა წიგნთასა სარგებელთა სულისათა, არამედ განამზადებთ ზრუნვითა ცუდთა?“

მოიქცა ლოცვად, ილოცვიდა და იტყოდა: „შენ, ღმერთო ძლიერო! მოავლინე რისხვა შენი და განასხენ მაცდურნი ესე“. ამას რა იტყოდა ანდრია ცეცხლი გამოვიდა საკურთხევლით და შეწვნა და განაბნივა ეშმაკნი იგი. მაშინ განიფრთხვეს კაცთა მათ ეშმაკთაგან მომავალისა ზრახვისა და საცთურისა (ძილისა მისგან და სიმძიმისაგან) და ისმენდეს გულ-მოდგინედ სიტყვათა წმიდათა წერილთასა.

და რაჟამს განუტევეს ჟამისა, ამბორს უყო ეპიფანეს და წარვიდა რონინებად, იმღერინ და როკავენ და იტყველებნ ხელთა (ხელთა ხელზედ მიიდებდა, ტაშს უკრავდა) და ყოველნი ხედვიდეს მას, ვითარცა ნაღვლიანსა, ხოლო ეპიფანეს მოეხსენებოდა სწავლანი იგი წმიდისანი, და განკვირვებულ იყო სიბრძნესა ზედა მისსა. და ჰზინ რა თვისაგან სახლსა შინა, სულ-ითქვამნ და იტყვინ: „დიდება შენდა ღმერთო, თუ ვითარ ნათელი მოგიცემია კონსტანტინეპოლის და არა უწყიან კაცთა! ჭეშმარიტ არს სიტყვა იგი შენი: „ვითარმედ ჰხედვედით ხედვიდენ და ვერ იხილონ“ (მათ. 13, 140), და ვითარცა შემწუხრდა, ევედრებოდა ნეტარი ეპიფანე ღმერთსა, რათა გამოუცხადოს ანდრიასათვის, თუ რომელი შრომათა მისთაგანი უფროს სთნავს ღმერთსა, რომელსა იგი ჰყოფს ქვეყანასა ზედა, ანუ სადა არს სამკვიდრებელი მისა ცათა შინა, წინაშე შენსა მეუფეო“. ამას რა

განიზრახვიდა ეპიფანე, მცირედ მიერულა და იხილა ადგილი შვენიერ და იყვნეს ნერგნი, რომელნიმე განხმელ და რომელნიმე დამწვარ, და რომელსამე აქვნდა ნაყოფისა წილ ეკალი, და რომელთამე აქვნდა ნაყოფისა წილ ფურცელი დაბზარილი, ხოლო იყო მათ შორის ხე მაღალი და მშვენიერ და რტო ფენილი და ნაყოფიერ და ყოველთაგან ნაყოფთა ქვეყანაისათა იყო მის ზედა. ჰხედვიდა და უკვირდა ხისა მის ყოვლად ნაყოფიერებაჲ. მივიდა ძირთა მისთანა და იხილა მერცხალი მჯდომარე ხესა მას ზედა, დიდად შვენიერი იყო მერცხლი იგი, მერცხლისა და სხვა ვითარცა იადონისა, და ხმობნ, ვითარცა მერცხალი, და ოდესმე ვითარცა იადონი, და იყო საკვირველი და შვენიერი. და მასვე ხესა ზედა სხდეს სხვანიცა მფრინველნი, ვითარცა ვარსკვლავნი ბრწყინვალენი და იცხებდეს ფერხთა თვისთა.

განკვირდნა ეპიფანე ხილვასა მას და სიხარულისა მისგან სდიოდეს ცრემლნი თვალთაგან მისთა და ვითარცა ხედვიდა იგი, მოსილი სპეტაკითა ფრიად პატიოსნითა და ჰრქვა ეპიფანეს: „შენ გეტყვი, ჭაბუკო! ვინ გიწოდა შენ შემოსვლად აქა?“ ჰრქვა ეპიფანე: „ისმინე მონისა შენისა, პატიოსანო მღვდელო, რამეთუ მოვიდოდე გზასა ჩემსა, მივემთხვიე ადგილსა ამას და ვიხილე საკვირველებაჲ ესე და შევექეც განცდასა მისსა და დავშთი აქა. და მესმა ხმაჲ შვენიერთა ამათ მფრინველთასა, რომელი ესე შენიცა გესმის, უფალო ჩემო!“ ჰრქვა მღვდელმან: „წარმოვედ ჩემთანა და სხვა უკეთესი გიჩვენო შენ“. და შეუდგა მას და წარვიდეს. ხოლო მღვდელსა მას ეპყრნეს ერთსა ხელსა შინა სახარება და ერთსა კონდაკნი. მოვიდეს მტილსა მას შინა და იხილეს პალატი ჰშვენიერი და სხვანიცა პალატნი ბრწყინვალენი. და შევიდა მღვდელი იგი, ხოლო ეპიფანე შეძრწუნებული იყო. და შევიდეს სახლსა ერთსა ყოვლითურთ შემკულსა, რომელსა შინა დგა საყდრები ჰშვენიერნი, რომელნი გამოსცემდეს ელვარებასა. ხოლო უმაღლესსა მას საყდარსა მჯდომარე იყო მეუფე

საშინელი და განუცდელი ხილვითა და ბრწყინვიდა, ვითარცა მზე, დიდებითა და შვენიერებითა, და სდგეს გარემოსა მისსა ბევრნი ბევრეულთანი და ათასნი ათასეულთანი ანგელოსნი და განწყობილნი ძალნი მხედრობათანი. ხოლო ეპიფანე შეიპყრა შიშმან, და დავარდეს მღვდელი იგი და ეპიფანე და თაყვანისცეს მეუფესა მას. და იყვნეს ვითარ ჟამ ერთ ქვემდებარენი და ვითარცა აღდგეს, ჰრქვა მეუფემან მღვდელსა მას: „ესე არსა ყრმა, რომელნი მევედრებოდა საყვარელისა ჩემისა ანდრიასათვის ჩვენებად?“ მიუგო მღდველმან მან: „ჰე მეუფეო!“ ჰრქვა მეუფემან ეპიფანეს: „ხე იგი, რომელ გიხილავს სავსე ნაყოფითა ყოვლითა, სახე მისი არს, რომელმან აღასრულა ნება ჩემი და მერცხალი იგი და იადონი სული არს წმიდა, რომელმან წმიდა ჰყოს ყოვლითა სიტკბოებითა სულიერისა მის ხმისათა, რაჟამს დაემკვიდროს ღირსთათანა“. და ჰრქვა მეუფემან მღვდელსა მას: „წარიყვანე და უჩვენე, თუ სადა განისვენებს ანდრია წმიდათათანა“. აღიყვანა იგი მღვდელმან სახლსა ბრწყინვალესა, და მუნ იხილა ნეტარი ანდრია ხილვითა შვენიერითა, ვითარცა მზე ჰბრწყინავდა პირითა, ხელნი მისნი ელვარე იყო, ვითარცა ოქრო წმიდა, ფერხთა მისთა ესხნეს ხამლნი, ვითარცა ალი ცეცხლისა, და სამოსელი მისი აჩვენებდა ფერად-ფერადთა ყვავილთა და გვირგვინი თავსა მისსა, რომელსა აქვნდა ბრწყინვალება ჯვარისა და ხელსა ერთსა ეტვირთა ჯვარი და მეორესა სკიპტრა, რომელი ეპყრა ანგელოზთა, რომელსა ზედა წერილ იყო წითლითა: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს“. იხილა რაჲ ესე ყოველი, ეპიფანე დიდად განკვირვებულ იქმნა, ხოლო მღვდელმან ჰრქვა მას: „რასა განკვირვებულ იქმენ ხილვისა ამისთვის და ჩვენებისა? უკეთუ ცხადად იხილო მღვიძარემან, რაჲ ყოფად გიძს? ვითარცა გენება და ევედრე ღმერთსა, აღგისრულა თხოვა შენი. ისწრაფე, რათა შენცა ღირს იქმნე მოსვლად ადგილსა ამას“. ესერა თქვა, განიღვიძა ძილისაგან, და გალობდეს საცისკროსა

და შეიპყრა განკვირვებამან ხილვისა მისთვის და იტყოდა, თუ ვითარმე ღირს ვიქმენ ცოდვილი ხილვასა ამას, და ადიდებდა განთიადისასა მოვიდა სართულად თვისსა და დასდგა ლოცვად ვიდრე მესამედ ჟამამდე და მხურვალითა ცრემლითა იტყოდა: „გმადლობ შენ მაცხოვარო ღმერთო ჩემო, რომელმან მიჩვენე მე უღირსსა ამას ცოდვილსა ესე ვითარ დიდება!“ და აღასრულებდა რა ლოცვასა, მოვიდა ნეტარი ანდრია და მიუთხრა მას ყოველი იგი ხილული თვისი. განიხარა ანდრია და ჰრქვა: „ვინ არს ღმერთი დიდ, ვითარ ღმერთი ჩვენი, რომელმან ქმნის საკვირველი მხოლომან?“ (ფსალმ. 71, 18).

თავი ოცდამეთორმეტე

ვითარცა აქვნდა ჩვეულება ნეტარსა ანდრიას სრბად გზასა ზედა კეთილისა, ღამესა ერთსა მოვიდა ეკლესიასა წმიდათა მოციქულთასა (ეკლესია იგი არს აღშენებულ დიდისა კონსტანტინე მეფისაგან), და რაჟამს მოიწია მახლობელად მისა, ღამე იყო უკუნი (ბნელი), გზასა ზედა ხნარცვი (ჯურღმული) ფრიად ღრმა და ძნელი. გამოვიდა ეშმაკი ხნარცვისა მისგან, ვითარცა ჰინდო, შეუპყრნა ფერხნი და შეუბრკმა წმიდასა მას და შთააგდო იგი ხნარცვსა მას. ხოლო მან აღიპყრნა ხელნი და ხმაჰყო წმიდათა მოციქულთა მიმართ და იტყოდა: „წმიდანო, მოციქულნო, რომელთა ყოველი სოფელი განანათლენით, შემეწიენით მეცა საწყალობელსა ამას და აღმომიყვანეთ ჯურღმულისა ამისგან!“ მაშინ გამოვიდა და გამოჩნდა ეკლესიით გამო ჯვარი ბრწყინვალე და გამოკიდებული ჰაერთა ზედა, რომელმან განანათლა ჯურღმული იგი იხილა რა წმიდამან თქვა: „გამოგვიჩნდა ჩვენ ნათელი პირისა შენისა, ღმერთო“. და იხილნა კაცნი ბრწყინვალენი შემდგომად ჯვარისა მომავალნი მისსა, ჯურღმულსა მას, და უპყრეს ხელი მისი და

აღმოიყვანეს მიერ და დაადგინეს გზასა ზედა მართალსა და წარვიდეს. ხოლო ჯვარი იგი წინა უძღოდა მათ და წმიდასა მას ვიდრემდის შევიდოდა ფოლორცსა მას დიდსა და მერმე მიეფარა ჯვარი იგი. იხილა მცირისა მის ეკლესიისა ადგილსა სახე დიდისა ეკლესიისა ხუთ კამარისად ზედ ჯვარისა და მას შინა მჯდომარე იყო მეუფე ჩვენი იესო ქრისტე საყდართა ზედა საშვალ ეკლესიისა, და დასნი ანგელოზთანი და სერაბინნი და ქერაბინნი გარე მოადგეს და განწესებულნი მხედრობანი და ძალნი ზეცისანი დგეს წინაშე მისსა შიშით და ძრწოლით. ხოლო ნეტარმან ანდრია იხილა რა, ხმაჰყო: „მომიხსენე მე მაცხოვარო სასუფეველსა შენსა“.

მოვიდა მისსა და ჰრქვა: „ვითარმედ მცირედისა ჟამისა განსრულებისა გამოჩნდეს მეფე მორწმუნე, რომელმან აღაშენოს ეკლესია, ვითარ ესე ხედავ შენ, რომელსა ადიდებდენ წმიდასა სამებასა“.

თავი ოცდამეცამეტე

და რაჟამს დიდი იგი სრვა მოიწია კონსტანტინეპოლეს შინა, მწუხარე იყო წმიდა ანდრია, და რბიოდა ადგილითი ადგილად, და დაჯდებოდა და სტიროდა და ევედრებოდა ღმერთსა და იტყოდა: „შენ ძეო ღვთისაო, შეიწყალე ქალაქი ესე და ერნი ესე მორწმუნენი და რომელნი მოისრნეს, მოიხსენენ“. ჟამსა ერთსა მიერულა დამაშვრალსა ფრიადისა მისგან ტირილისა. იხილეს იგი ვიეთმე მოქალაქეთ და იტყოდეს: „იხილეთ ესე ცოფი, ვითარ მწუხარე არს? ნუ უკვე მეგობარი მისი მოკვდა“. სხვანი იტყოდეს: „მოთურმე მკვდარ არს დედაბერი მისი და მით ტირის“, და კვალად სხვანი იტყოდეს: „იხილეთ ცოფი სტირის ცოდვათათვის, ვითარცა იტყვის, ვითარმედ ცრემლნი ეშმაკთანი არიან, და ესეცა ეშმაკეულ არს და მით ტირის“ და

სხვანი იტყოდეს: „მომცა ვინ სცნა ცრემლნი ესე ბრძენთა ვის მიეცემოდეს, რომელმან იტირამცა ცოდვათ თვისთათვის და ჰპოვოს შენდობაჲ. სხვანი იტყოდეს: „ვინ უწყის, მოეხსნებიან ტანჯვანი და ჭირნი, რომელთა შორის არის და მისთვის ტირის“. და თანა წარხდიან მას. ხოლო იგი არა დასცხრა ტირილისაგან და ვედრებისა ღვთისა, ვიდრემდის დასცხრებოდა სიკვდილი და ტირილი, და ტირილსა მას შინა აღტაცებული იქმნა, და იხილა თავი თვისი, რამეთუ იპოვა მონასტერსა ანაპოლოსასა, სადა იგი მოქალაქობდა წმიდა დანიელ მესვეტე, რომელი იქმოდა სასწაულთა ურიცხვთა და ევედრებოდა ღმერთსა ყოველისა სოფლისათვის. მისრულიყო ვედრებად წმიდისა მის დიდი მეფე ლეონ და დეოფალი.

ხოლო რაჟამს იხილა წმიდამან დანიელ ნეტარი ანდრია, ჰრქვა მას: „მოვედ, მონაო ღვთისაო, სარწმუნოო, რომელი ბრწყინავ ქალაქსა ამას დიდსა, ვითარცა მზის თვალი, რათა ზოგად ვევედრნეთ ღმერთსა, რამეთუ მოწყალე არს და შემწყნარე, რათა შეიწყალოს ქალაქი იგი სენისა ამისგან დიდისა და დააყენოს სრვა ესე“, და ვითარ ილოცეს, მყოვარ-ჟამ ორთავე იხილეს ცანი განსხმულნი და გარდამოვიდა ელვა, და აღხივნა ეშმაკნი შავნი, ვითარცა ჰინდონი, რომელთა ხელნი შეღალულ იყვნეს სისხლითა კაცთათა, და განხადნა იგინი შორის ქალაქისაგან, და მყის დასხცრა სიკვდილი ერისა მის ლოცვითა წმიდითა მამათა დანიელ და ანდრიასითა.

თავი ოცდამეთოთხმეტე

გარდაიცვალა ქალწული ვინმე, ასული მდიდრისა მოქალაქისა, ქმნილი კეთილი და მოშიში ღვთისა. ხოლო ცოცხალღა რა იყო იგი, ევედრა მშობელთა თვისთა: „ვითარმედ რაჟამს აღვესრულო, დამფალთ მე ეკლესიასა, რომელ არს

გარეშე ქალაქისა, შორის ვენახსა, რომელ იყო სამკვიდრებელი მშობელთა მისთა“. და რაჟამს აღესრულა, მოეხსენა (მოაგონდათ) მშობელთა მისთა სიტყვა მისი, და წარიღეს და დაჰფლეს მუნ ქალი იგი. და იყო მას ჟამსა შინა ვინმე მპარავი გამოჩინებული, რომელი შეუდგა ერსა მას, სადაცა დაფლვიდენ მკვდართა და ვითარცა შემწუხრდის-რა, მოვიდის და განძარცვის. მას ჟამსა იყო მუნ და განიციდა ქალწულისა მის დაფლვასა, რათამცა განძარცვა, და რაჟამს შემწუხრდა, მაშინ ნებითა ღვთისათა წარვიდა წმიდა ანდრია ადგილსა მას. იხილა მან კაცი იგი და ეუწყა, ვითარმედ საფლავის მკრეხელი არს. ჰრქვა მას ანდრია ფარულად: „არა უწყია რასა იტყვის სული წმიდა? „რომელმან იპაროს მკვდრისაგან, არა იხილოს მზე, არცა დღე, არცა ნათელი, არცა კაცი, რამეთუ დაეხშას კარი სახლისა შენისა და შენ ნათელი არა იხილო“. ხოლო მან არა ირწმუნა სიტყვა მისი, არამედ მირიდა, და ჰრქვა მას წმიდამან: „წარვედ და მოიპარე, რათა არა იხილო ნათელი“. მიექცა მპარავი იგი და ჰრქვა: „წარვედ ხელო, ეშმაკი არს შენთანა და მის მიერ ჰზრახავ მაგას, აწ ვიხილო, უკეთუ ჭეშმარიტ არს სიტყვა შენი“. და ვითარ შემწუხრდა, მოვიდა მპარავი იგი მკვდრისა მიმართ და აღხადა საბურველი საფლავისა მის და შთახდა განსაძარცველად მკვდრისა მის და მოხადა საბურველი იგი პირსა მისსა და სახვეველი იგი ტილონი და მერმე ეგულვებოდა რაჲ გამოსვლისა, კვალად დაარწმუნა ეშმაკმან, რათა შინაგანიცა იგი სამოსელი განძარცოს და დაუტეოს ყოვლად შიშველი, და კვალად იქცა და განძარცვა იგიცა. და ახადა პერანგიცა და ვითარცა ეგულებოდა გამოსვლა საფლავით, ეჰა საკვირველი, რამეთუ ბრძანებითა ღვთისათა აღდგა ქალი იგი ზე და ჰსცა ყვრიმალსა მისსა ხელითა ფიცხლად და დაბრმავდა იგი და შეიპყრა ქალმან მან და დააგდო ქვეყნად და დათრგუნა იგი ფერხითა ძლიერად, ვიდრემდის ხმა იგი ბრძოლისა მათისა შორად განისმა და თქვა მისსა მიმართ:

„საწყალობელო, ვითარმე არა გეშინის ღვთისაგან?! არა უწყია, რამეთუ დედაკაცი ვარ? არა კმა გეყოა აღძარცვა სამკაულისა და ტილოსა? ვითარ ესე უწყალო მექმენ და სრულიად განმაშიშვლე და გეგულვებოდა ჩემი სიშიშვლესა წარდგომა შორის ქალწულთა დღესა მას სასჯელისასა? აწ იცან ღმერთი, რომელი აქამომდე არა უწყოდა, და რომელთაცა გიხილონ შეშინდნენ და მსახურებდენ ცოცხალნი მკვდართა, რამეთუ შენ მსაჯული სამართლისა აქვსთ ცხოველთა და მკვდართა“. ესე რა სთქვა, გამოაგდო სამარით კაცი იგი და ჰრქვა: „წარვედ და სტიროდე ცოდვათ შენთა“. ხოლო მან აღიღო სამოსელი თვისი და შეიმოსა ვითარცა იყო პირველ, და მოირტყა და დაიბურა პირი თვისი ხელითა თვისითა და დაწვა და ჰრქვა: „მშვიდობით მას ზედა დავჰსწვე და დავიძინო, რამეთუ შენ ღმერთმან მხოლო სასოებით დამამკვიდრე მე“. და დაიძინა საუკუნოდ. ხოლო კაცი იგი აღსდგა მიერ ზარ-განხდილი შიშისაგან და მიცვრვიდა (იცემდა) პირსა ზედა თვისა, ვიდრე ზღუდემდე ქალაქისა და შეემთხვივნეს რაჲ ამას მეცნიერნი მისნი და ჰკითხვიდეს, თუ რაჲ შეგემთხვია? ხოლო მან არავის უთხრა ჭეშმარიტი, არამედ სხვაჲ და სხვაჲ მიზეზი. მიერითგან კაცი იგი თხოვით იზრდებინ და სწყევდეს თავსა თვისსა და იტყვინ: „სამართლად შემემთხვია მე ესე ვითარი რაჲმე, რამეთუ ესე ვითარივე შეემთხვიოს მათ, რომელთა გული უთქვამს განძღომად ნაპარევითა“. ხოლო უკანასკნელ ყოველივე ჭეშმარიტებით აღიარა მან და ვითარცა ესმათ სხვათა მპარავთა და საფლავის მკრეხელთა, დაუტევეს საქმე იგი ბოროტი და მოიქცეს და შეინანეს. ხოლო ბრმასა მას კაცსა მოეხნა სიტყვა იგი წმიდისა ანდრიასი, ადიდებდა ღმერთსა და იტყოდა: „ვითარმედ წმიდა ღვთისა არს სალოსი იგი, რომელი მასწავებდა“.

თავი ოცდამეთხუთმეტე

ხოლო დღესა წმიდათა მარხვათასა, ვითარცა აქვნდა ჩვეულება, მოვიდა საშუალ ფოლორცსა წმიდა ანდრია, და ოდესმე ხელდებინ, და ოდესმე იმღერინ. და მივიდა ადგილსა მას, სადა სხენან მკერავნი, და არს კართა მათ ზედა გამოსახულნი კაცნი სპილენძისანი შეურაცხნი, და დადგა და შეხედვიდა კერპთა მათ, ხოლო ერნი იგი სცემდეს ქედსა მისსა და ეტყოდეს: „ცოფო, სადა ჰხედავ კერპთა მათ? მიუგო წმიდამან: ხელნო, ამას რომელსა ვხედავ ესე ვითარნივე ხართ თქვენ ბრმანი. ვაი თქვენდა ნაშობნო გველთანო, რამეთუ თქვენ ვერ მოგაქცივნა ღმერთმან. თქვენთა ცოდვათათვის განუღიან კარნი სამოსელს, ჯოჯოხეთისა პეტსა (უფროსი, გამგებელი), და ნებავნ ჯოჯოხეთად შთანთქმა მეძაობისა თქვენისა, რომელნი ისიძავთ ქრმოსანთა დედათა თანა და რომელნიმე ეკრატისთა და რომელნიმე სვინდიკნოზთა თანა, და ამისთვის ეგულვების შთანთქმა თქვენი“. განკვირდეს კაცნი იგი და იტყოდეს: „ღვთისა მიერ იტყვის, ანუ ეშმაკნი ზრახავს მისგამო! ესე ვუწყით, რამეთუ მოქმედნი მისნი ვართ, რომელსა იტყვის, ხოლო მან სადათი (საიდან) სცნა?“ წარმოვიდა მუნით და მოვიდა საშვალ ფოლორცსა, რომელსა ჰქვიან ხალკიდონი, სადაცა ჰყიდიან დედანი სამკაულსა ოქროსასა და მარგარიტისა მოკაზმულსა, და დასდგა მახლობლად მათსა და ეტყოდა: „ვითარ კეთილ არს ბზე ესე და ნაცარი, რომელსა ყიდიან! დიდება შენდა ღმერთო!“ ხოლო იგინი ეცინოდეს, სცემდეს ქედსა და ეტყოდეს, ხელო ესე რომელსა ამას ხედავ ოქრო და მარგარიტი და თვალნი პატიოსანნი არიან და არა ბზეი და ნაცარი. უკეთუ ბზე გინებს, წარვედ უბანსა, ანუ მინდორსა, სადაცა ბზესა ჰყიდიან“. სხვასა ვისმე ბერსა ეკიდა მხარსა ზედა სამოსლები და ყიდდა. ჰრქვა წმიდამან: „რასა ჰყიდი თივასა მაგას?“ განრისხნა ბერი იგი და

ჰრქვა: „წარვედ ხელო, ესე სტავრა (ნაქსოვი სარმისა) არს და არა თივა!“ მიუგო წმიდამან: „წარვედ ბერო, და იძიე საფლავი, რამეთუ მესამესა დღესა აღესრულები!“ და იქმნა ეგრე. და აღესრულა კაცი იგი მოხუცებული მესამესა დღესა, და ვითარცა დაჯდა წმიდა იგი, ოდესმე იხედავნ ზე, ოდესმე ქვე, და ოდესმე იმიერ და ამიერ. მოვიდა მისსა ყრმა ვინმე მცირე და ჰრქვა: „რასა ჰხედავ, ოდეს გარემო იხედავ, ხელო?“ მიუგო წმიდამან: „სიზმარსა ვხედავ ნისლსა და ბნელსა და კვამლსა ამის სოფლისასა და არა სხვასა“. წარვიდა მიერ ნეტარი იგი უბანსა, რომელსა ეწოდების სტაურინოს, სადა იგი მონათა ჰყიდიან. და იყო მუნ მონაზონი ვინმე სათნოებით შემკული, და იყვნეს მისთანა სამნი ვნებანიცა, რამეთუ რომელნიცა მოვიდოდეს მისა აღსარებად, მისცემდეს სახმარსა, რათა განუყოს გლახაკთა. ხოლო იგი თვით შეიკრიბნ და არავის მისცემენ. რამეთუ უყვარდა სიმდიდრეჲ უფროს ღვთისა და კაცისა და სხვითა ყოვლითავე საქმითა სრულ იყო მოღვაწებითა: მარხვითა და ლოცვითა, სიმდაბლითა და სიწმინდითა, არამედ ვნებანიცა ესე სამნი აბრკოლებდეს მას. მოვიდა წმიდა ანდრია მონაზონისა მისთანა და იხილა ვეშაპი, რომელი მოხვეულ იყო ქედსა მისსა, და ბოლო მისი შთავლიდა მხართა მისთა და წელთა მოეხვეოდა და ფერხთა. ხოლო ვეშაპსა მას ესხნეს თავნი სამნი: ერთსა თავსა ზედა ეწერა სიძვირე, ერთსა მრისხანება და ერთსა უწყალოება. ხოლო რაჟამს იხილა წმიდამან, დაუკვირდა. მოვიდა მახლობელად და განიცდიდა მას. ხოლო მონაზონსა მას ეგონა, ვითარმედ გლახაკი არს და ითხოვს მისგან რასმე, ხოლო მან მიუგო და ჰრქვა: „წარვედ კეთილად, ღმერთმან შეგიწყალენ შენ!“ მაშინ მცირედ მირიდა წმიდამან, და იხილა ზედა კერძო მონაზონისა მის ირგვლივ ბნელი რაჲმე და უკუნი და ასონი წერილნი, რომელნი იტყოდა: „ჭოი ვეშაპო ვეცხლის მოყვარებისაო, ძირო ყოვლისა ბოროტისაო!“ და კვალად მივიდა

ზურგით კერძო მისსა და იხილნა ორნი საჭურისნი მდგომარენი – ერთი შავი ჰინდო და ერთი სპეტაკი და სჯიდეს ურთიერთარს მონაზონისა მისთვის. ჰრქვა შავმან მან სპეტაკსა მას: „ცუდად ჰსდგი და სცავ მონაზონსა ამას, რამეთუ ჩემი არს და ნებისა ჩემისა აღმასრულებელი, უწყალო და ვეცხლისმოყვარე, რომელ არს მეორე კერპთმსახურება. და ღვთისათანა არა უძს ნაწილი, და მე მმორჩილებს და ვუყვარვარ ფრიად. რამეთუ საქმენი მაგისნი შემწე ჩემნი არიან და გვამი მაგისი არს ყოვლითურთ სამკვიდრებელი ძალთა ჩემთა“. მიუგო ანგელოზმან ეშმაკსა: „წარვედ მიერ საძაგელო და განეყენე სამკვიდრებელისაგან იესო ქრისტესა, რამეთუ ეგე ჩემი არს წარჩინებული. კეთილი მოღვაწე და მმარხველი, მდაბალი, მშვიდი და მყუდროჲ, მლოცველი და ძვირუხსენებელი. ჰრქუა კვალად ეშმაკმან: „რომელი იგი მსაჯული არს სამართლისა, ესრეთ იტყვის: რომელი იგი არს ვეცხლისმოყვარე და უწყალო, იგი ეშმაკისაგან არისო“. და კვალად „რომელი უფროს შერაცხილ არს?– უწყალო, ანუ მმარხველი და მლოცველი, ანუ მოწყალე და წყლული ცოდვითა? ანუ შემყვარებელი ვეცხლისა? ანუ რომელსა უწესა ბჭედ სიმართლისა, მონად სარწმუნოდ, მოწყალესა, ანუ უწყალოსა?“ მიუგო ანგელოსმან: არა ამას იტყვის ღმერთი: „ვის მივხედნე, გარნა მშვიდსა და მდაბალსა და რომელი ძრწოდეს სიტყვათაგან ჩემთა (ისაია) და კვალად იტყვის, „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა (მათ. 5. 5, 8). მიუგო ეშმაკამან: „სიტყვისა მაგისათვის ძრწის ესე, რამეთუ არა არს მოწყალე სანატრელნი მოწყალენი არიან და შემწყნარებელნი, და ეგე არა არს მოწყალე, ვითარ იტყვი მაგას სანატრელად?“ და კვალად იტყვის: „მოწყალება მნებავს და არა იგი, რომელი ხელითა თვისითა არა მიუპყრობს, არცა განაძღებს მშიერთა“ (ისაია, 6, 6) და უმეტესსაცა ამცნებს ღმერთი, რომელსა ვერ შემძლებელ ვარ თქმად – შენ ვითარ გიპყრიეს ღირსად?“ მიუგო

ანგელოზმან და ჰრქვა: „სასჯელი დიდი მიძს შენთანა, და არა განგიტეო, ვიდრემდის არა ვკითხო მსაჯულსა“. ხოლო რაჟამს ესმა ეშმაკსა მსაჯულისათვის, გულკლებულ იქმნა და ჰკითხა ანგელოზსა მას: „ესემცა ვუწყი, რამეთუ მოვალს კაცთმოყვარება თვისითა კაცთმოყვარებითა და ასწავებს სიყვარულსა და კეთილის ჰყოფასა. შენ რასა მირბი მისსა და ჰკითხავ? ვუწყი, რამეთუ ჩემთანა უძს სასჯელი და თვით ღმერთი ჩემ კერძო არსა? იგი განაბჭობს სამართალსა“ მე არა დაჯერებულ ვარ და არა წარვალ ამიერ!“ კვალად ჰრქვა ანგელოსმან ღვთისამან ეშმაკსა: „მზაკვარო და მაცთურო! მასწავლელი ყოვლისა კეთილისა ღმერთი არს, რომელი ასწავებს ყოველთა სამართალსა, ვითარმედ ნუცა გლახაკსა შეეწევი უსამართლოდ და ნუცა მდიდრისაგან გრცხვენის. ასე არს სამართლისა სიტყვა და ბჭობა, და შენთვისმცა აქცია სიტყვა თვისი? მოვედ ჩემდა სამართალსა ზედა, ანუ ირწმუნე ჩემი და ანუ ვირწმუნო შენი!“ რაჟამს ესმა ეშმაკსა სიტყვა იგი ანგელოსისა, განიხარა და ჰრქვა: „მოვედ და ვიკითხოთ მსაჯულსა (ღმერთსა) მაგისათვის“. მოიქცეს აღმოსავალით კერძო და ჰკითხეს ღმერთსა სასჯელისა მისთვის. ხოლო ეშმაკმან ჰყო პირი თვისი დასავალით კერძო. და ჰკითხა რა ანგელოსმან ღმერთსა, ესმა ხმა, რომელი ეტყოდა: „მე ვამცენ მოციქულთა ჩემთა და ვარქუ: მიიღეთ სული წმიდა და რომელთა მიუტევნეთ ცოდვანი, მიტევებულ იყვნენ წინაშე ჩემსა, და რომელნი შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ“ (იოან. 20. 22-23). და ვარქუ, თუ სულისა წმიდისა წილ მიიღებდით ოქროსა და ვეცხლსა და მიუტევებდით ცოდვასა კაცთასა. რომელსა აქვს მოწყალება, მე ვარ სახლი და განსასვენებელი მისი. ხოლო უწყალოთა მივსცემ უწყალოთა ანგელოსთა, რათა მათთანავე დაისაჯნენ“. ესე რაჲ ხმა ესმა ზეცით და იხილეს საბჭო სამართალი, რაჲ იქმნა, მაშინ თაყვანისცა ანგელოსმან ღმერთისამან ღმერთსა და განეშორა მონაზონისა მისგან და მიეცა იგი ეშმაკსა.

თავი ოცდამეთქვსმეტე

ხოლო ესე ყოველი რა იხილა ნეტარმან ანდრია, განკვირვებულ იქმნა სული მისი და შეძრწუნდა ფრიად, ვითარ ბოროტი იგი ეშმაკი მძლე ექმნა ანგელოსსა მას და სულთ-ითქმიდა მონაზონისა მისთვის და იტყოდა: „ჰოი ჩემდა, ვითარიღა ბერი ესე სწავლული არს და მეცნიერ წერილთა და ვითარ იძლია ვერცხლის მოყვარეობისაგან და დაისაჯა უწყალოებისათვინ და იძლია ანგელოსი ეშმაკის მიერ უკეთურის?! არამედ, ჰოი სახიერო, ნუ სრულიად განსწირავ და ნუ მისცემ მას ხელმწიფებასა ეშმაკისასა, რამეთუ დაბადებული შენი არს“. მაშინ წარვიდა და დაჯდა გზასა ზედა, რომელსა წარმოივლიდა მონაზონი იგი, და მოელოდა, რათა მოვიდეს და ეუბნოს მარტოდ, და ვითარცა მოვიდა, განიხარა წმიდამან, რამეთუ მარტო იყო. აღსდგა და მიეგება მონაზონსა მას. ხოლო იხილა რაჲ ეშმაკმან, რამეთუ მოვალს სწავლად მის მონაზონისა, იწყო ყივილად და იტყოდა: „რასა მოხვალ ბრძოლად ჩემდა, ანდრია? მიკვირდა მე, რაჟამს ისმენდი შენ სარჩელსა ჩემსა და ანგელოსისასა და გესმა ხმა ზეცით, რამეთუ ნაწილად ჩემდა იქმნა მონაზონი ესე. აწ ვითარ გნებავს მიღებად ჩემგან? წარვედ ამიერ და ნუ მბრძავ უსამართლოდ! აწ ოდენ ეგე დღესა და არათუ მეცნიერ ხარ მაგისა და სწავლა შენი არს უხმს“.

და რაჟამს ესე ვითართა სიტყვათა იტყოდა ეშმაკი იგი, იწყო წმიდამან ცრემლით ვედრებად ღმრთისა მიმართ, რათა არავინ იხილნეს იგინი; უპყრა ხელი მარჯვენე და ჰრქვა: „გევერდები, ისმინე ჩემი ყოვლითა გულითა შენითა, გლახაკისა ამის და ჰპოო დიდი სასყიდელი და სარგებელი, რამეთუ დღეს დიდი გლოვა და მწუხარება მოიწია შენ ზედა და შენ მიერ ჩემ ზედა. ვსწუხ და ვერ დავუთმობ მწარესა მას ლმობასა გულისა ჩემისასა, რამეთუ შენ ღვთის მოყვარე კაცი, ვითარ იქმენ ნაწილ ეშმაკისა? რამეთუ

ვითარცა მსგავსი ქერობინთანი ფრთენი გესხნეს (გქონდა) და მიეცი მტერსა ფლობა მოახლებად შენდა და მოგვკვეთნა იგი სრულიად? კვალად იყავ ბრწყინვალე და შვენიერი, ვითარცა ელვა და აქ იქმენ დაშავებულ და ბნელ? ვაი ჩემდა! რამეთუ გესხნეს თვალნი, ვითარცა სერაბინთა-ქერაბინთანი და აქ დაგიბნელნა ეშმაკმან დავეშაპმან! ბრწყინევდი, ვითარცა მთიები, და აქ დაშრიტა ბრწყინავლება შენი მთავარმან ბნელისამან. რად გნებავს, მამაო, მოკვდინება სულისა შენისა? რად მისდრეკ და იქმენ მოყვარე ვეშაპისა მის ვერცხლის მოყვარებისა? არა უწყია, ვითარ სახე გმოსია, ანუ რაჲ წესი უხმს მონაზონებასა? ჰოი მამაო! რად შეიკრებ ოქროსა და იუნჯებ და წარწყმედ სულსა შენსა? რომლისა მიზეზისათვის ჰყოფ უსჯულოებასა მაგას? გიღირდა (უმჯობესი იყო), რათამცა შეგეტკბო უპოვარება, მონაზონება და სათნოებანი! ხოლო შენ ოქრო შეგიკრებეს და მისი პატივი აღგირჩევიეს. მოიხსენე, მამაო, დღე განკითხვისა და დღე განყოფისა სულისა ხორცთაგან, რაჟამს სიკვდილი გარე მოგადგეს! და რომელნი შენ შეიკრიბენ, მტერნი შენნი განიყოფენ. გევედრები მითხარ მე, რომლითა შრომითა მოიგე და გნებავ, რათა თანა წარიტანო სიკვდილსა შენსა? ანუ გიშრომია ოფლითა და მუშაკობითა, რათამცა დაუტევე იგი შვილთა? ანუ მამულისა შენისა სიმართლისაგან გაქვს სიმდიდრე ოქროსა? რად დართავ უცხოთა ცოდვათა შენთა ზედა და მოიპოვებ ყოვლითურთ უწყალოებასა? სხვათა შიის და სწყურის, და განიცივნებიან, და შენ განიცდი ფრიადსა განძსა და გიხარის? ეგე არს წესი მონაზონებისა? რაჟამს განხვიდე სოფლისა ამისგან, უწყია, რაჲ ჰყოფად გიძს? ესრეთ უყვარსა ღმერთსა სიმდიდრე? მას ბაძავაა? ანუ სოფლისა ამისთვის ჯვარს ეცვა მხსნელი ჩვენი? არა გრწამსა, რასა იტყვის: ანუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვერცხლსა, ნუცა თუ ორსა სამოსელსა“ (მათ. 10, 9-10). მიკვირს, ნუცა თუ ვითარ დაივიწყებენ მცნებანი ესე, რომელი არა უმეცარ ხარ

წერილთა? რამეთუ დღეს, ანუ ხვალე ჭეშმარიტად მიცვალებად ვართ ამიერითგან, და რაჲ ვსთესოთ აქა მუნ მოვიმკოთ. არა ჰხედავა, ვითარ ეგე მდგომარე არს ეშმაკი წინაშე შენსა და სული შენი შეპყრობილი ხელთა უპყრიეს, და მცველი იგი ანგელოზი შენი მწუხარე შორს არს შენგან და ტირის შენთვის? არა ჰხედავა ვერცხლის მოყვარეობისა ეშმაკსა-ვეშაპსა სამთავსა, რომელი მორტყმულ არს ქედსა შენსა და განისვენებს შენ ზედა?

იხილე ძმაო, რომელსა ესე გითხრობ და ისმინე ვედრებანი, მტკივნეულნი სიტყვანი ჩემნი, რამეთუ მე საწყალობელსა ამას მესმა ხმა მაცხოვრისა, რამეთუ უარგყო შენ და განუტევა ტკბილითა მათ კეთილთა თვისთაგან და იტყოდა ესრეთ: „რომელსა აქვს მოწყალება, იგი ეზიარების მეუფებასა ჩემსა, ხოლო ეგე ანგარებისა მისისათვის სძაგს სულსა ჩემსა“. აწ გევერდები მამაო, ისმინე გლახაკისა ამის და განიბნიე, რომელი ეგე შეგიკრიბიეს მოქენეთა, საუნჯე ზეცისა გლახაკთა და უღონოთა და უცხოთა მიცემითა, რომელთა იგი არა აქვნდეთ სართული, სადა თავი მიიდრიკონ. ისწრაფე, რათა იქმნე ღვთის მოყვარე კეთილთა საქმეთა. რამეთუ ესე არს მონაზონები, რათა არა სახმართ მოყვარე იყოს, თვინიერ კეთილისა, საქმითა იყოს სახმართ მოყვარე. ნუ გეშინინ დაკლებისათვის ხორცთა სახმარისა, რამეთუ არცა თუ მსახურთა უსჯულოებისათა მოაკლებს ღმერთი საზრდელსა, და უწყოდე, რამეთუ მეუფე იგი ყოველთა სახიერი ღმერთი ჩვენი, ყოველთა მეძავთა და მემრუშეთა და ცოდვილთა, ამას სოფელსა შინა ზრდის მოწყალებითა. შენ ნუ ურწმუნ ხარ სიტყვითა ჩემთა, რამეთუ პირველი სიტყვა და ვედრება ჩემი ესე არს: „ნუმცა რაჲ მოგაქვს მიზეზი საქმისა ამისთვის, რომელსა ესე გეტყვი შენ! და უკეთუ ისმინო ჩემი, ძალმან ღვთისამან შემუსროს ეშმაკი იგი ქვეშე ფერხთა შენთა. რამეთუ აჰა ესერა დგა უკეთური იგი წინაშე შენსა და ისმენს, თუ ვითარ შეიწყნარებ სიტყვათა ჩემთა და

სწავლათა“. იხილა მონაზონმან შავი ეშმაკი იგი, ვითარცა ჰინდოჲ, რომლისა თვალთაგან გამოვიდოდა კვამლი, და უჩვენა ანგელოზიცა იგი მწუხარე ფრიად და განშორებულა მდგომარე და ეტყოდა: „უკეთუ უგულვებელსჰყო მცნება ჩემი, ვუბრძანო, რომელსა ესე ხედავ ეშმაკსა, რომელმან განგაქიქოს ქალაქსა ამას შინა“. ესმა რა ესე ყოველი მონაზონსა, შეძრწუნდა იგი ფრიად და ისწავლა იგი მისი მიიღო და მცნება მისი აღსრულებად აღუთქვა. მაშინ იხილა წმიდამან აღმოსავალით, რამეთუ გამოვიდა ელვა მხურვალე, ვითარცა ცეცხლი და მოვიდა ზედა ვეშაპსა მას, ხოლო იგი ყიოდა, ვითარცა ყორანი, გამოვიდა მონაზონისა მისგან და წარვიდა. მაშინ მოვიდა ანგელოზი ღმრთისა და შერთო მონაზონი იგი რიცხვსა პირველ წარჩინებულთასა.

ხოლო წარვიდოდა რა მისგან ნეტარი ანდრია, ამცნებდა და ეტყოდა, რათა, რომელი იგი ესმა და იხილა, არავის აუწყოს კაცთაგანსა. გრწმენინ ჩემი, დაღაცათუ ცოდვილ ვარ, არამედ ვევედრო შენთვის ღმერთსა, რათა წარიმართოს საქმე შენი კეთილად. ხოლო მონაზონმან აღუთქვა აღსრულება ყოვლისა, რაჲ იგი ამცნო წმიდამან, და ამბორს უყვეს ურთერთარს და წარვიდეს. და ვითარცა მივიდა მონაზონი იგი სახიდ (სახლად, შინ) თვისსა, იწყო განბნევად ყოვლისა მის სიმდიდრისა გლახაკთა და უღონოთა ზედა, და მიერიდგან მოეცა მას მადლი და უმეტესი დიდება მოანიჭა მას ღმერთმან. ამისა შემდგომად უკეთუ მოართვის მას ვინ განსაყოფელი გლახაკთა, მცირე რაჲმეს მიიღებდა, სხვასა უბრძანებდა, რათა ხელითა თვისითა განეყოთ გლახაკთათვის. და მოიხსენებნ იგი მცნებასა მას ნეტარისასა ანდრიასსა და იტყვინ: „რაჲ სარგებელ არს ჩემდა აღმოფხვრად ეკალთა სხვისათა? მოვიღებდე და ვიმარხვიდე და არცა მივსცემდე? არა მიხმს და არცა აღვიღო, არამედ მივსცემდე გლახაკთა, რათა მნატრიდენ, ვითარცა ჩემთათვის და იგი იყო უცხო მიერიდგან, გარეშეექცევის და არღარ ვისგან რას მიიღებნ

და ვითარცა შვენის მონაზონთა, მოქალაქეობითა სათნოთა აღასრულა ცხოვრება თვისი.

ღამესა ერთსა ძილსა შინა იხილა წმიდა ანდრია რეცა (ვითომ) დგა და ხედვიდა მხიარულითა პირთა და უჩვენებდა მას ხეს შვენიერსა, მარტოდ მდგომარესა მას: „არა გაქვს ჩემდა მომართ სიყვარული, რამეთუ მე გიყავ სული შენი ვითარცა ხე იგი შვენიერი ყვავილ შემოსილი, და განგარინე ვეშაპისა მისგან ვერცხლისმოყვარებისა?! აწ ისწრაფე, რათა ნაყოფი ტკბილი გამოიღონ ხეთა შენთა, ვითარცა ხედავ მას, ეგრე მდგომარე არს სული შენი მიერ ჟამითგან, რაჟამს ისმინე ჩემი და განაბნიე ოქრო იგი შენი“. განიღვიძა მონაზონმან მან და მოიკვეთა მისგან ყოველი ვნება სულისა და წარემატებოდა კეთილად.

თავი ოცდამეჩვიდმეტე

შეეყო ჭაბუკი ვინმე ეპიფანეს კეთილისა სწავლად, რომელნიცა პირველ ვახსენეთ, რომელნი იყვნეს სამნი და ასწავებნ და ეგრეთცა იქმნას. ხოლო ეპიფანე ყოველსა კეთილსა საქმესა და სიმდაბლესა, ხოლო იგი არა საღმრთოდ, არამედ ქებისათვის კაცთამიერისად ჰყოფდა მას ყოველსავე, ვითარ იგი ყოველთა მიერ საქებელი იყო ეპიფანე, რათა იგიცა ეგრეთვე იქებოდეს და მიმავალი მლოცველად ეკლესიად, ჰსთქვეს მისთვის: „იხილეთღა, ვითარ კეთილად იქცევის ჭაბუკი ესე? რამეთუ არცა ისიძვის და არცა რაჲ უწესოსა იქმს!“ ხოლო იგი არა იყო ეგრეთ, ვითარ იგინი ჰგონებდეს მას წმიდად და იგი ისიძვიდა იდუმალ და სჩანდა იგი მმარხველად და მლოცველად და არა იყო ეგრეთ, არამედ იგი უდებ და დახსნილ იყო და აქებდიან რაj, იგი ზვაობნ და ამპარტავნობდინ.

დღესა ერთსა აღსდგა ეპიფანე ცისკრისა გალობასა და იგიცა მისთანავე, ხოლო განგებით ღვთისათა მოვიდა წმიდა

ანდრია, და ვითარცა იხილა ეპიფანე, მოეხვია და ამბორს უყო თვალთა მისთა. და სხვა სიტყვა არა რაჲ მიუგო, რამეთუ არა უნდა, რათა სცნას ყრმამან მისთვის, თუ ვინ არს, ხოლო ანდრია ჰხედვიდა ჟამ ერთ მკვირნედ (დააკვირდა, დააცქერდა) ყრმასა მას, მერმე მიამთხვია მჯიღითა (მუშტი ჰსცა) პირსა მისსა და ჰრქვა: „წარვედ არა ღირსო, ეპიფანესაგან, რამეთუ არა კეთილად ჰგალობ და არცა მართლიად ჰსდგი!“ ხოლო განრისხნა ჭაბუკი იგი ნეტარისა ანდრიასთვის და შესთქვირნა (მიფრინდა), რათამცა უპყრა თმანი მისნი (ანდრიასი). მიიწივა ეპიფანეჲ და არა უტევა მიახლებად მისსა და ჰრქვა მას: - არა გასმიეს, ნაღვლიანო (გიჟო) სიტყვა იგი წერილისა: „ნუ მიაგებთ ბოროტისა წილ ბოროტსა?“ რამეთუ ესრეთ იტყვის მაცხოვარი: „უკეთუ ვინმე გცეს ყვრიმალსა, მიუპყარ ერთ კერძოცა“ (მათ. 5, 39). რა სთქვან ერთსა ამათ აქა მდგომარეთა? არა განგვიბენ ჩვენ და ღმრთისა მიერცა მოვიღოთ სასჯელი? და კვალად იტყვის ღმერთი: „ვაჲ არს კაცისა მის, რომელსა აქვს ბოროტი გულსა თვისსა“. აწ უკეთუ გინებს ყოფა ჩემთანა, ეგე ვითარსა საქმესა მიაგებ, არამედ დაიმდაბლე სული შენი და შეიმუსრე თავი შენი და იყავნ მშვიდ და მონაზონთ მოყვარე და იყოფოდე მარადის ღმრთისა გზასა, მის წილ ევლტოდე ზვაობასა და ამპარტავნებასა, და სიძვასა, და მრუშებასა და ყოველსა არა წმიდებასა, ხორცთა ნაყროვანებასა და მთვრალობასა, რამეთუ ამათ საქმეთა მიერ მოვალს რისხვა ღვთისა კაცთა ზედა. უკეთუ მცნებათა ჩემთა დაიმარხე, იყავ ჩემთანა, რამეთუ ყრმა ხარ და დიდსა შრომასა გიღირს შესვლა.

ღმერთი მდაბალთა მიანიჭებს მადლსა, ხოლო ამპარტავანთა განსდევნის რისხვით. ხოლო გულსა მის ყრმისასა ეშმაკი შესულიყო და ყოველი ესე სწავლა მძიმე უჩნდა. დაუტევა და წარვიდა, რამეთუ ჰრქვა გულსა შინა თვისსა „ვითარ განვიხარო სოფელსა ამას შინა?“ და მიერიდგან იყო მორჩილ ბორტოთა

საქმეთა. ჟამ ერთ მოიგონის კეთილიცა და კვალად მიიქცის ბოროტსავე. მოიწივნის მის ზედა განსაცდელნი დიდნი და გულის კლებანი და სიგლახაკე, რამეთუ ითხოვნ პურსა და მით იზრდებინ. ხოლო ეპიფანეს შეეწყალა და ევედრა წმიდასა, რათა ჰყოს წყალობა მისთვის. ხოლო მან სთქვა: „არა შვილო, რამეთუ ხორცთა ღვაწლნი და ტანჯვანი სულსა ფრიად არგებენ, და რაჟამს იხილოს მაცხოვარმან და სცნას, ვითარმედ შეიმუსრა და მოვიდა სიმდაბლესა, შეიწყალებს პირველსავე საზომსა. რამეთუ სახიერ არს და მოწყალე და არა ნებავს სიკვდილი ცოდვილისა. რომელი ოდესმე მოიქცეს გულითა წმიდითა, ყოველთავე ცოდვათა აღეხოცს და პირველსავე პატივსა მისცემს, სახიერი და ტკბილი, არ აყვედრებს პირველ-ქმნულთა ძვირთა“. ჰრქვა ეპიფანე: „მაუწყე მე, მონაო ღვთისაო, თუ ვითარ შევიდა მსწრაფლ განსაცდელსა ამას?“ მიუგო წმიდამან: შვილო ჩემო, საქმენი მისნი, რომლითა განარისხა ღმერთი, ესენი არიან: ცუდი (ტყუილი) ფიცი, შფოთისმოყვარეობა და ამპარტავნება. რამეთუ ცოდვანი მისნი მსგავს არიან კაცისა, რომელი იქმოდის საჭმელითა და აქვნდეს ზოგი (სიმრავლე) სანოვაგითა, (რის გამოც) იგი განირყვნების და შეიგინების და უხმს (უნდა კიდეც), რათა მართალიცა იყოს! თავი ყოვლისა სიკეთისა სიწმიდე და სიმდაბლე არს, და სიყვარული. აწ (საჭიროა), რათა ჭირითა ამით ხორცითა წუთ ერთ ჟამსა განვვლოთ მოთმინებითა და ვმადლობდეთ ღმერთსა, და ეგრეთ ღირს ვიქმნეთ მიწევნად ზეცისა სასუფევლსა.

თავი ოცდამეთვრამეტე

იყო ვინმე ჭაბუკი სახელით იოანე, საყვარელი მეგობარი ეპიფანესი, რამეთუ ზოგად ესწავა მას ფილოსოფოსობა. დღესა ერთსა სხდეს ორნივე გზასა ზედა და უბნობდნენ. წარმოუვლიდა

დედაკაცი ვინმე, და რაჟამს იხილნა იგინი, იწყო შვენებად ტანისა და სვლისა, რათამცა აცთუნა ვინმე მათგანი სიძვად მისთანა. ხოლო რაჟამს იხილა იგი ეპიფანე, მიიქცია პირი მისგან და სთქვა: „იხილეთღა საწყალობელი, ვითარ აღუძრავს ეშმაკსა ცთუნებად ვისდამე?“ ხოლო იოანე შეხედვიდა მას ვნებულად.

ხოლო ვითარცა აგრძნა ეპიფანე მეძავი იგი, განაძო რისხვითა მიერ. და ვიდოდა მუნით მეძავი იგი რისხვით. და ჰრქვა იოანე ეპიფანეს: „დედაკაცმან მან აღძრა გული ჩემი გულის სიტყვითა სიძვისათა. კეთილ არს, უკეთუ აღიძრას, წინა აღვუდგე?“ ჰრქვა ეპიფანე უკეთუ კულა მიაყოვნო თანა გონება და დაიტკბო იგი გულსა შენსა, შერაცხილ არს იგი ცოდვად – სიძვად. ჰკითხა იოანე: „ვუწყი, რამეთუ დედაკაცი ეშმაკსა არა დაუბადებიეს და უკეთუმცა ღმერთსა არა სთნდა, ეგე ვითარად არა დაბადებდა დედაკაცსა. ჰრქვა ეპიფანე: „ნუ იტყვი სიტყვასა უგუნურსა! ჭეშმარიტად არა იცი რასა იტყვი! მითხრა მე, რომელსა გკითხავ: ღმერთმან დანა კი მოგვცა, არამედ არა უბრძანებიეს თუ დაასობდით ერთი-ერთსა და მოკლავდითო, არამედ მისი სამსახურებელი გვიჩვენა, რათა ხორცსა და შეშასა ესე ვითარსა განვკვეთდეთ. და კვალად საბელი მოგვეცა არა თუ ამისთვის, რათა მოვიშთობდეთ თავთა ჩვენთა, არამედ ვიმსახურებდეთ, სადაც იგი სახმარ იყოს. კვალად კვერთხი მიქმნა არა ურთიერთარს საგვემელად, არამედ შემწედ უძლურებისა. ეგრეთვე დედაკაცი დაბადა, რათა განმრავლდეს კაცთა ნათესავი წესითა სჯულიერისა ქორწინებისათა და არა სიძვითა და ტაცებითა, არამედ იყოს რაჲ კაცი ჟამსა სიჭაბუკისასა, მოიყვანოს თავისა თვისისა ცოლი ქალწული და ბრძენი, განზრახვითა (რჩევითა და კითხვითა) სახლეულთა და ნათესავთა თვისთა და დასდვას მის ზედა ცხოვრება საღმრთოითა სიყვარულითა: კვალად არა მიხედვითა სხვისა დედაკაცისათა, არამედ ვითარცა არიან გვრიტნი შეუღვლილნი, ეგრეთ ჯერ არს მეუღლეობაj

უბრალო და წესიერი, რამეთუ იტყვის სჯულითა დაცვასა შიშითა ღვთისათა. ეგრეთვე დედაკაცი ნებითა ღვთისათა შეეუღლოს რაჲ ქმარსა თვისსა და შვნეს შვილნი და განსწავლოს იგი ნებითა ღვთისათა. ხოლო უკეთუ შევარდეს მრუშებასა, იქმნა გარდამავალ სჯულისა და დაისაჯოს, უკეთუ მას შინა მოკვდეს. რამეთუ კაცი საქმეთა ბოროტთა, ვითარცა დაბრმობილი, გინა ვითარცა პირუტყვი, მცთომ არს. არამედ უკანასკნელსა მას დღესა ცხადად ემხილებიან საქმენი მისნი. ესე ვითარცა სიტყვითა სარგებელითა სულისათა იტყოდა ეპიფანე იოანეს მიმართ და იოანემ მიუგო: „ნეტარ არს პირნი და ბაგენი შენნი, შვენიერნი და პატიოსანნი, რომელნი ესე ვითარცა შენ, არამედ ვერ შემძლებელ ვარ. მნებავს მიცემა გლახაკთა, არამედ არცა ოქრო მაქვს, არცა ვერცხლი. ჰრქვა ეპიფანე: სიტყვათა მაგათ შენთა ძალი არა რაჲ აქვს, რამეთუ ვითარცა იტყვის ღმერთი: „სასმელი ერთი გრილი უმჯობეს არს სახიერებით და სიყვარულით, ვიდრე მრავალთა სანოვაგეთა (მიწოდება, მიცემა) შფოთით და გულისწყრომით, და სიტყვა კეთილი უმჯობეს არს მისაცემელსა შერისხვითა და მანკიერებით“. და კვალად, რომელსა ეგე იტყვი: „მნებავს სიწმინდე ხორცთა, ხოლო ეშმაკი მბრძავს“. ეშმაკსა არა აქვს ძალი უნებლებით ქმნისა ბოროტისა ვისამე, არამედ იგი მოაგონებს ოდენ (მარტო). რაჟამს შენ თანა მიჰყვე, ჰპოებს ადგილსა და იქმს ნებასა თვისსა შენ ძლით, და უკეთუ განაგდო მის მიერ მოგონება მსწრაფლ და არა რომლისა შენ ვერ შემძლებელ ხარ ქმნად? არა ძალგიძსა მისვლად ეკლესიად ჟამსა ლოცვისასა, გინა მარხვა და სიყვარული კაცთა და გონება ძალისა ჩვენისა არა რას ეძიებს ჩვენგან, არამედ დაიცევ, რათა არა უზომოდ ნაყროვანებამდე, არცა დაითვრებოდე ღვინითა, ევლტოდე სიძვასა, უკეთუ ვერ დაუთმობ, შეირთე ცოლი, რამეთუ ჭაბუკი ხარ. ლოცვად შემძლებელ ხარ, არა გაყენებს სიბერე, არცა უძლურება, არამედ ჰყვავი, ვითარცა ხე. კვალად ესეცა ირწმუნე, ძმაო, ვითარმედ

სოფელსა ამას შინა არცარა შემოვიღეთ (შემოვიტანეთ) და ვერცა რაჲსა წარღებად ხელგეწიფების, თვინიერ კეთილთა საქმეთა, და არა რაჲ გვაქვს მიზეზი ამისთვის. აწ უკეთუ გიყვარს ღმერთი, ივლტოდე სიძვისაგან, ნაყროვანებისა, მთვრალობისა, გულისთქმის, განცდისაგან პირთასა, და ყოველთაგან სახეთა მავნებელთა სულისათა. და უკეთუ ამათ და ესრეთ ვითარცა საქმეთა განეშორო, ჰპოვო ღვთისაგან სასყიდელი, რამეთუ უეჭველად ყოველსა საქმენი ჩვენნი წარმოგვიდგებიან დღესა მას სასჯელისასა, კეთილნიცა და ბოროტნიცა, და ყოველი პირი დაიყოს მაშინ, რაჟამს ღმერთი იყოს მსაჯულად.

და ვითარ იგი ამას ასწავებდა ეპიფამე იოანეს, მოვიდა წმიდა ანდრია, სადა იგი სხდის, ხოლო ეპიფანემ იხილა რა იგი, აღსდგა და მიეგება და მოიკითხეს ურთიერთარს და წარვიდეს ადგილსა ფარულსა. ჰრქვა წმიდამან ეპიფანეს: „საყვარელო! მცნებანი, რომელთა ეტყოდი ყრმასა მაგას, წარსწყმიდენ ცუდად, რამეთუ არა ყურადიხვამს იგი“. ჰრქვა ეპიფანე: „ვითარ სახედ, მამაო პატიოსანო? მიუგო ნეტარმან: რამეთუ რა ოდეს ისმინოს შენი და არცა მოიქცეს ბოროტისაგან, რამეთუ აქა ვიყავ სულითა შენთანა. აწ ისმინე, თუ რაჲ არიან საქმენი მისნი: რამეთუ არს იგი მსიძავ, და მემრუშე, და მამათმავალ, და აგარ და ენება მაცხოვარსა განყვანება მისი ამიერ სოფლით, არამედ ანგელოზმან მცველმან მისმან გამოითხოვა იგი ღვთისაგან, რათა მიანიჭოს წელიწადი ერთი, ნუ უკვე შეინანოს. და ისმინა ღმერთმან ანგელოზისა და მისცა წელიწადი ესე ერთი, და აწ მიუღია ბრძანება ანგელოზსა მას, რომელი ბუგრისა მიერ მოსრავს კაცთა. უკეთუ მოიქცეს და შეინანოს, იყოს ცოცხალ მრავალთა წელთა და ესეცა უწყოდე, შვილო ჩემო! რამეთუ ანგელოზი იგი მცველი კაცისა, მრავალ გზის გამოითხოვს ღმერთისაგან დღეთა კაცისათა, რათამცა შეინანა და ცნობდა, და ღმერთი მიანიჭებს თხოვნასა მისსა, ხოლო ვაჲ არს მისსა, რომელი არა მოვალს სინანულად და ურჩ

არს და ულმობელ. და სცოდავს ურიდად და მივალს სასჯელსა საუკუნესასა!“

ჰრქვა ეპიფანემ: „მამაო პატიოსანო! უკეთუ ესრეთ არს, მიბრძანე, რათა ვამხილო მას, ნუ უკვე მოვიდეს სინანულადა? ჰრქვა წმიდამან: „შვილო! არა ისმენს შენსა, არამედ ამხილო რაჲ, განიცინებს და განგკიცხავს, რამეთუ ღმერთმან დადვა დღე იგი სიკვდილისა საშინელად მისსა, ხოლო მას არცა ეშინის, არცა ელმის.

თავი ოცდამეცხრამეტე

და ვითარცა განსრულდა წელიწადი იგი, იხილა ეპიფანემ ჩვენებასა შინა ნეტარი ანდრია, რამეთუ უპყრა მას ხელი დ წარიყვანა ადგილსა რასამე წყვდიადსა ბნელსა, და აქუნდა მას სანთელი, რომელი უნათობდა ორთავე, და იყო ადგილი იგი ქვესკნელი, საპყრობილე სულთა. დადგა მას ზედა მცველი კაცი ვინმე, ფრიად უშვერი და სასტიკი და იყვნეს საპყრობილესა მას შინა ვითარცა სახედ მელნი და კვერნანი, და სხვასა ადგილსა, ვითარცა გველნი და იქედნენი, და სხვასა ვითარცა ჭიანი და მხეცნი მრავალფერნი, და სხვა ადგილი იყო ბნელი, სავსე სიმყრალითა საძაგელებითა და იყვნეს მას შინა შემწყვდეულნი სულნი, ვითარცა მელნი და ძაღლნი.

ჰრქვა ეპიფანე ანდრიასა: „რასა მოვედით აქა და ვხედავთ საძაგელსა ამას ადგილსა? ანუ ესე არს შრომათა ჩვენთა მოსაგებელი?“ ჰრქვა მას ანდრია: „არა თუ ჩვენი არს შვილო ადგილი ესე სიმყრალისა, არამედ მეგობრისა შენისა იოანესი, რომელი დაუმკვიდრებიეს საქმეთა მისთა ბოროტთა; და სკორე ესე და მწვირე მისი ნამუშაკევი არს, რომლითაცა ერეოდა სოფელსა ამას შინა და ესე ადგილი არს ყოველთა მეძავთა და მემრუშეთა, რომელთა არა შეინანონ. და ეკიდა ბნელსა მას შინა

დაფაჲ, რომელსა ზედა წერილ იყო: აჰა ესე არს სახლი იოანე კელეფსტონისა, რომელსა შინა იტანჯებოდეს საუკუნოდ.

ჰრქვა ეპიფანე ანდრიას: „ვაიმე ცოდვილსა ამას! რა არს სკორე ესე მამაო?“

ჰრქვა ანდრია: ესე არს ნაშრომი სულისა მისისა, რამეთუ, რომელი ესრეთ შვრებოდეს მამაკაცი, გინა თუ დედაკაცი, ამით იზრდებოდეს აღდგომამდე მკვდართა და მერმე სულითა და ხორცით მივალნ საუკუნეთა მათ სატანჯველთა.

ჰრქვა ეპიფანემ ანდრიას: „მამაო, რაისა სახენი არიან ჭიანი ესე, გინა ძაღლნი, ანუ მელანი და გველნი?“, მიუგო მას ანდრია: „ესე სახენი სულნი ცოდვილთანი არიან“. ჰრქვა ეპიფანე: ვაიმე უფალო ჩემო, და ესე ჭიანი არიან სულნი კაცთანი? მიუგო წმიდამან ანდრია: „არა, შვილო, ნუ იყოფინ, არამედ სხვადასხვა არიან ცოდვილთა სულნი, რამეთუ ჭიანი და ღრიანკალნი სახე არიან კაცის მკვლელთა, და გველნი იგი და ვეშაპნი კერპთ მსახურთა, რომელთაცა იგინი მსახურებდეს მათივე მსგავსება აქვთ, ხოლო მეძავნი და მემრუშენი ვითარცა მტვერი მწულილი და მწვირე ბნელისა მწარე, არამედ მგრძნობელთა სახე იქმენ იგივე. ხოლო მამათმავალთა სახე არიან ძაღლნი, მპარავთა სახე მგელნი მტაცებელნი, მზაკვართა კაცთა სულისა სახე არიან მელნი, ვერცხლისმოყვარებისანი არიან კვერნანი, რომელნი შეიკრებენ ბუდეთა უნდოსა რასამე ქვეშე ქვეყანისა; ეგრეთვე ნაყროვანთა და მომთვრალეთა სახე არიან ცხენნი, რომელთა მოქმედნი წარვლენ სატანჯველსა საუკუნესა“.

განიღვიძა ეპიფანე ძილისაგან და შეძრწუნებულ იქმნა ჩვენებისა მისთვის და რაჲ გათენდა, მოვიდა მისი კაცი და აუწყა, ვითარმედ მეგობარი შენი იოანე ყვავილისა მიერ ბუგრისა (მომსვრელისა) დამძიმდა და განწირულ არს. ვითარცა ესმა ეპიფანეს, იწყო ცრემლად და თქვა: აჰა ჩვენება იგი, რომელი ვიხილე, მოიწია, და ვითარცა მივიდა მისსა, ჰპოვა

იგი მწარე სიმძიმესა შინა. და მოახსენა სიტყვა იგი ნეტარისა ანდრიასი, რომელი ჰრქვა: „პირველ წელიწადისა მოქცევისა მიიცვალოსო“. და აჰა იხილა იოანემ ეპიფანე და ჰრქვა: ლოცვა ჰყავ ჩემთვის, წმიდაო ღვთისაო, რამეთუ მოიწია ჟამი ჩემი. ვინ უწყის? მოთუაქციოს მოწყალებად ჩემდა, რათამცა შემიწყალა მაცხოვარმან და მცირედი დრო მცეს, რათამცა შევინანე ბრალთა ჩემთა სიმრავლენი. ჰრქვა ეპიფანე: „ღმერთი მოწყალე არს, ძმაო, და მან უწყის ყოველივე, მე რასა შემძლებელ ვარ?“ და ვითარცა იყო სიმძიმესა მას შინა, ელმოდეს ნაწლევნი მისნი და დაისხნეს ნასხმანი ძვალთა მისთანი. ხოლო მოკვდა რა იგი, შემდგომად მცირედთა დღეთა, ეპიფანეს შეემთხვია ნეტარი ანდრია უბანსა ფოროსასა, და რაცა იგი ეხილვა ჩვენებით, ყოველივე მიუთხრა და ჰრქვა ანდრია ეპიფანეს: „იხილე ძმაო, სადა იგი მივედით და ვიხილეთ საყოფელი მეგობრისა შენისა იოანესი? და წარიკითხე საშინელი იგი დაფა მის წერილთსა? იხილნეა სულთა ცოდვილთა სახენი და შინაგანი იგი საყოფელი და აჩრდილი იგი ჯოჯოხეთისანი? ვევედრნეთ უკვე ღმერთსა ძმაო, რათა გვიხსნეს მისგან!“ მიუგო ეპიფანემ: ვიხილე მამაო სულიერო! არამედ ევედრე ღმერთსა ჩემთვის, რათა არა მივიდე მუნ, ჰრქვა წმიდამან ანდრია: „მე ვესავ ღმერთსა, რათა გეშინოდეს და იქცეოდე კეთილად და დაიმკვიდრო სასუფეველი ცათა!“ ამისა შემდგომად ამბორს უყვეს ურთიერთარს და წარვიდეს.

თავი მეორმოცე

იყო ვინმე დედაკაცი უბანსა ნეორისასა, მორწმუნე და მოშიში ღვთისა და ესვა მას ქმარი სიძვის მოყვარე. და რაცა ჰპოვოს სახლსა შინა, ყოველივე განსცის მეძავთა ზედა. ხოლო დედაკაცი იგი ფრიად მწუხარე იყო და ეძიებდა კაცსა სულიერსა, რათა იხსნას ქმარი მისი ხელთაგან ეშმაკისათა.

მოვიდა ვინმე დედაკაცი და ჰრქვა მას, ვითარმედ არს ვინმე კაცი ხელოვანი, რომელი შეფუცვით ჰყოფს ყოველსა, რაჲცა გენებოსა. მაშინ დედაკაცი იგი მივიდა კაცისა მასთანა და ჰპოვა მუნ ერი მრავალი, რომელნი იკურნებოდეს მისგან. და რაჟამს ყოველნი განვიდეს, მიუთხრა მას საქმე თვისი და ქმრისა თვისისა, ვითარმედ მოიყვანებს მეძავთა, და დალია ყოველი მონაგები სახლისა ჩემისა და ქმნა ქმრისაცა ჩემისა კუნება, და მიიღე ჩემგან მძულობს მე. აწ მესმა შენთვის, ვითარმედ კაცი ბრძენი ხარ და წმიდა, და მოვედ შენდა, რათა სასყიდელი შენი! ჰრქვა მას კაცმან მან: „ვითარ გნებავს ყოველივე ვქმნა, რათა ანუ მოკვდეს, ანუ ნაღვლიან იქმნას? მითხარ მე და ვჰყო, ვითარ გნებავს!“ მიუგო დედაკაცმან: არა მნებავს მე სხვა, გარნა რათა ვუყვარდე მე და არა მივიდეს სხვასა დედაკაცისთანა. ჰრქვა კაცმან მან: ვჰყო ეგრეთ, ვითარ გნებავს, გარნა პირველად აღმიარენ სიყრმითგანი ცოდვანი შენნი და ყოველნი საქმენი შენნი. და უთხრა დედაკაცმან საქმენი თვისნი ყოველნი. მან ხელოვანმან (მკითხავი, ხელოვანი) წინასწარ უთხრის: „ესეცა გიქმნიეს“. და ადგილიცა და ჟამი ყოველივე აუწყის, რამეთუ ეშმაკი უთხრობდა მას ყოველსავე, ხოლო დედაკაცი განკვირდის და ვერღარა მიუგო. ჰგონებდ, ვითარმედ წმიდა ვინმე არს და ჰრქვა: „დედაკაცო, წარვედ სახიდ (შინ) შენდა და შეკაზმე კანდელი და ზეთი და უღელი და პატრუქი და სარტყელი შენი, და მე მოვიდე დღესა ოთხშაბათსა და შევკაზმო, ვითარ ჯერ იყოს!“ წარვიდა დედაკაცი და ჰყო ეგრეთ. მაშინ მოვიდა კაცი იგი და შთაასხა ზეთი კანდელსა და აღანთო, და იწყო ვედრებად ეშმაკისა და ჩურჩნად (მცირე ჩურჩული), და აღიღო სარტყელი მისი და დანასკვა ოთხნი ნასკვი და მოარტყა წელთა მის დედაკაცისათა და ჰრქვა: „მომეც დრამაჲ ოთხი და მივსცე შენთვის გლახაკთა“. ხოლო მან მისცა მას და მიერითგან მოსწყვიდა კაცი იგი სიძვისაგან და შეიყვარა ცოლი თვისი.

და შემდგომად ექვსისა დღისა, იხილა ჩვენებით დედაკაცმან, ვითარმედ სდგა ვაკეს ერთსა მარტო და მოვიდა მისა ჰინდო (არაბი) ერთი შავი და მოეხვია მას, და აკოცებდა და ეტყოდა: „კეთილად გპოვე, დედოფალო ჩემო, მოვედ და დავსწევთ ერთად. შენცა მოყმე ხარ და მეცა. დიდათ მსუროდა შენთვის, ვითარცა თვისისა ცოლისა. აწ დავსწვე შენთანა და განვსძღე სიყვარულითა შენითა“.

ესმა ესე დედაკაცსა, შეუვიდა ძრწოლა და ეტყოდა მას: „წარვედ ჩემგან, წყეულო, რამეთუ არა მივის მამაკაცი, თვინიერ ქმრისა ჩემისა“. და ეშმაკი იგი აიძულებდა დაწოლად მისთანა. განიღვიძა დედაკაცმან მან შეშინებულმან და იტყოდა: „სადათ მპოვა აწ წყეულმან ეშმაკამან?“ და კვალად მიიძინა და იხილა ძაღლი შავი ფრიად დიდი და დასდვა პირი პირსა ზედა მისსა და ვითარცა კაცი აკოცებდა მას. ხოლო იგი გაჰნკრთა და იტყოდა: “ვაჲ მე, ვაჲ მე, ცოდვილსა ამას! რამეთუ ეშმაკი მებრძვის და არა მიტევებს განსვენებად რაიმე ჰვყო, არა ვუწყი“.

კვალად სხვასა ღამესა იხილა, ვითარმცა სდგა იგი იპოდრომსა შინა და აკოცებდა კერპთა მათ, რომელნი მუნ მდგომარე იყვნეს და მოვიდა ძაღლი მაღალი და სდევნიდა მას. ესრეთ სტანჯავენ ყოველთა ღამეთა და არა უტევებენ მას ძილად. და ვითარცა შესჭირდა, იწყო მარხვად და ლოცვად და ვედრებად ღმრთისა, რათა აუწყოს, თუ ვინა არს მანქანება იგი ეშმაკისა, რომელი ბრძავს მას, რათ შეეწიოს და განათავისუფლოს იგი.

იხილა ღამესა ერთსა ჩვენებით, რამეთუ სალოცავნი და ხატნი მისნი იყვნეს დასავლეთ კერძო, და მასცა (იმასაც) დასავალით ეყო პირი მისი. მოვიდა ვინმე ჭაბუკი და ჰრქვა: „რამეთუ, რომელთა ხატთა დასავალით ხედავ, იგი მწამლველმან და გრძნეულმან ჰყო და რამეთუ განგაშორა ღმერთი შენგან და მიგცა ეშმაკსა, და მიგაქცია დასავალით!“ ვითარცა ესმა ესე დედაკაცსა, რამეთუ ხატსა იგი შესვარულ იყო მწვირითა და გამოვიდოდა

მათგან სიმყრალე საშინელი. მიუგო დედაკაცმან მან ჭაბუკსა მას შიშით და ჰრქვა: „უფალო, ვის უქმნიეს ესე?“ ხოლო მან ჰრქვა გრძნეულსა მას, რომელსა ჰქვიან ვირღინოს, მან ჰყო ესე, და ჰხედავ, რამეთუ არღარა სჩანს ძალი ხატთა? არამედ განეშორა სიმყრალისა მისგან საძაგელებისა. და რაჟამს მიხედნა კანდელსა, იყო იგი სავსე ფისითა და ზედა უღელსა ეწერა სახელი ანტესი და შესაწირავი ეშმაკთა. ხოლო რაჟამს იხილა ესე ყოველი, მიეფარა მისგან. განიღვიძა დედაკაცმან და სცნა ძალი ჩვენებისა მის და თქვა: „რამე ვყო მე საწყალობელმან ამან. მე ვგონებდი სარგებლობისათვის, ვგონებდი, ვითარცა კეთილსა მწყემსსა და ეგრე მივმართე და იგი იყო მგელი ბოროტი და მაცთური. მენება, რათამცა მოვიღე შეწევნა, ხოლო მე ვპოვე წარწყმედა სულისა!“ და აბრალებდა დედაკაცი იგი თავსა თვისსა საქმისა მისთვის და ეძიებდა ღონესა კურნებისასა, ხოლო იყო სახლი მისი მახლობელად ეპიფანესა და იცოდა, რამეთუ კაცი ბრძენი არს და უმზირდა, ვითარცა მოვიდოდა ეკლესიით სოფია წმიდით, მოვიდოდა პირველივე ბჭის კართა ზედა მის დედაკაცისათა. და ვითარცა მორავიდა ეპიფანე, შეუვარდა დედაკაცი იგი ფერხთა მისთა და მიუთხრა ყოველი შემთხვეული მისდა, ხოლო მას, ვითარცა ესმა, სულთითქვნა და ჰრქვა: „შეჩვენებულმცა ხარ, ეშმაკო, რომელი ბრძავ დაუძინებელად ნათესავსა კაცთასა“. და ჰრქვა დედაკაცსა მას: „წარვედ და დასწვი სარტყელი იგი, და კანდელი იგი შემუსრე და ხატნი მომგვარენ მე, და რაჲცა ღმერთსა ენებოს, იგი იქმნას. მე ვუწყი, რამეთუ ეშმაკი იგი ბრძოლასა ჰყოფს ჩემთნა, არამედ არა მეშინის მისგან, შეწევნითა მაცხოვრისა ჩემისა იესო ქრისტესითა და ლოცვითა ღირსისა მამისა, რომელი მარადის ჩემთანა არს“. რამეთუ იტყოდა წმიდისა ანდრიასათვის. ყოველი, რომელი უბრძანა ეპიფანე, ეგრეთ ჰქმნა დედაკაცმან მან და ხატნი იგი მიგვარნა მას. მაშინ იხილა კვალად დედაკაცმან ჩვენებით შავი იგი, რომელი

პირველ ეხილვა, რამეთუ იყო იგი ყოვლად შიშველი და ხორცნი მისნი წყლულ. დადგა გარეშე კარსა მისსა თავდადრეკილი და არა იკადრებდა შინა შესვლად.

მოვიდა მისსა ზედა სხვა მსგავს მის, შავი და იხილნა რა ფიცხელი წყლულება მისი, ჰრქვა მას: „რაჲ არს წყლულება ესე შენი? ხოლო მან მიუგო: „ეპიფანემან მიქმნა მე. დედაკაცსა ამას ვეტყვი წელთა მისთა, ხოლო მან დამწვა მე. დაფიცებულ ვიყავ მოყვასის ჩემის ვირღინოზისგან, რათა არა განვეშორო მის დედაკაცისაგან. აწ დასწვა მან სარტყელი იგი და მე საწყალობელ ვიქმენ გარნა რა ვუყო ეპიფანეს ნაცვლად მისსა, რამეთუ განმყო მე ცოლისაგან ჩემისა? იხილე და ყოველი მტერობა ჩვენი დავსდვათ მისთანა!“ და ვითარცა განსთენა, წარვიდა დედაკაცი იგი და უთხრა ესე ყოველი ეპიფანეს. ხოლო მას, ვითარცა ესმა ესე, განიღიმნა და ჰრქვა: „ვენახსა ამას, რომელსა სცავს ღმერთი, ვერ განიპარავს მპარავი ყურძენსა!“

თავი ორმოცდამეერთე

ღამესა ერთსა უკეთურმან მან ეშმაკმან აღიყვანა ბოროტნი იგი ეშმაკნი, მოყვასნი თვისნი, არა წმიდანი სულნი, ფრიად მრავალნი და შუა ღამესა ოდენ მოვიდა სართულსა ეპიფანესა, ხოლო ღმერთმან აღუხვნა სასმენელნი მისნი, და ესმოდა ხმა ეშმაკთა. არა შეეშინდა და არცა შეიძრა, არამედ ეშმაკნი იგი სდგეს შორით და მოუვლენდეს მას გულის სიტყვათა ბოროტთა, რათამცა შეარყიეს. ხოლო იგი ევედრებოდა ღმერთსა, რათა იხსნას ბრძოლისა მათისაგან, და აღიპყრნა ხელნი და ფსალმუნსა ამას იტყოდა: „აღგიარო შენ ღმერთო, ყოვლითა გულითა ჩემითა“. და ვითარცა სთქვა მუხლი ესე „შერისხენ შენ, წარმართთა და წარწყმდა უღმრთოთა (ფს. 9, 1, 5), მეყსეულად იქმნა ხმა ზეცით, ვითარცა კართა განხმაჲ და გამოვიდა ელვა, და დაეცა

ეშმაკთა მათ, და შეწვნა და განაბნივნა იგინი და უჩინო იქმნეს. ესერა იხილა ეპიფანე, განმხიარულებული ადიდებდა ღმერთსა. და ვითარცა განსთენა, წარვიდა მოძიებად ნეტარისა ანდრიასა. შეემთხვია დედაკაცი იგი და ჰრქვა ეპიფანეს: „ვიხილე ჭეშმარიტად ლოცვითა შენითა განიდევნეს ჩემგან ეშმაკნი იგი ბოროტნი, წმიდაო ღვთისაო! და ვიხილე, რამეთუ ებრძოლე ღამესა ამას და სძლიე მათ“. და მიუგო ეპიფანე: სარწმუნოებამან შენმან მოგანიჭა შენ ძალი, ხოლო მე კაცი ცოდვილი ვარ და არა ძალმიძს შეწევნა. შეემთხვია ეპიფანე ნეტარსა ანდრიას ეზოსა კეთილ ხალკოპრიაზისასა. ვითარცა იხილა იგი, მივიდა მახლობელად მისსა და ჰრქვა: იხილე ვითარ დაიცვა ვენახი კეთილი მევენახემან კეთილმან? გრწმენინ ჩემი, წმიდაო, რამეთუ ფრიად შევძრწუნდი მხეცთა მათგან საცნაურთა, რაჟამს ძლიერად ბრძოლა მიყვეს! ჰრქვა ნეტარმან ანდრია: „ღმერთმან განაბნივა იგინი და უკეთუმცა არა შეგემთხვეოდა ხელთაგან მათთა, რამეთუ ურთიერთარს ჯერ არს სიმძიმეთა ტვირთვა მოყვასთა“ (გალ. 6,2). ჰრქვა ეპიფანე: „გევედრები, მაუწყე სარტყელი და ოთხნი იგი ნასკვნი, ანუ კანდელი და ზეთი, და წყალი, და უღელი და პატრუქი. რაჲ არიან, ანუ ვითარ შეეწია ეშმაკი დედაკაცსა მას მოქცევად ქმრისა მისისა? ესე ვუწყი, რამეთუ მოქცევა ბოროტისაგან კეთილ არს და ეშმაკი მოშურნე არს კეთილისა. მიუგო ნეტარმან: უკეთუ გნებავს ცნობად, ისმინე შვილო ეპიფანე! ჩვეულება აქვს ეშმაკსა, რაჟამს შევიდეს პირველ კაცისათანა, აწურთის ყოველსა საქმესა ღვთის მსახურებისასა განშორებად. არათუ ღმერთი განეშორების ნებსით თვისით კაცისაგან, არამედ რაჟამს იხილნეს ცოდვანი განმრავლებულად და ბოროტნი იგი სიმყრალენი და საძაგელნი, რომელსა შინა იქცევიან, ვერ თავს იდვას კეთილმან მცველმან და განეშოროს მისგან. მაშინღა ჰპოვოს იგი ეშმაკმან მან მოცალედ და შევიდის მისსა. რამეთუ ეშმაკსა ხელეწიფების, რათამცა უნებლიეთცა

მიიყვანა კაცი ცოდვად, არამედ მოაგონებს და ვითარცა ქარი ეკვეთების და წარვიდის, და სხვა ძალი არა აქვს და მით ესჯების კაცთა. რამეთუ იტყვის ეშმაკი: ოდეს მიგითრიე მძლავრებით, ანუ ოდეს მოგაბენ ჯაჭვნი? მე მოგაგონენ ოდენ და შენ აღასრულე ნება შენი. ესრეთ მოვიდა ეშმაკი დედაკაცისა მის, რამეთუ ჰხედვიდა იგი ვითარმედ მორწმუნე არს დედაკაცი იგი და თუ მოვაგონო ბოროტი, არა მსწრაფლ ისმენს, არამედ შთავუგდო გულსა, რამეთუ ეგონა (ეგონოს) მოქცევა ქმრისა თვისისა და მით წარსწყმიდოს იგი. ამისთვის წარიყვანა იგი გრძნეულისთანა.

იხილე რაჲ ჰყო ეშმაკმან და ვითარ ებრძოლა სულსა მართალსა და თვით დაემკვიდრა სულისა წმიდისა წილ, და რაჲცა იგი უთხრა გრძნეულმან მან, ყოველივე ნებსით თვისით აქმნინა დედაკაცსა მას, რამეთუ ჰრქვა: შემიკმაზე კანდელი, ზეთი და უღელი, და პატრუქი და სარტყელი და ცეცხლი, რამეთუ ეგულვა ჭეშმარიტად მოძარცვა ნათლისღებისა. ხოლო კანდელი იგი იყო სახე ემბაზისა, და ფისი იგი – სახე წყლისა ნათლისღებისა, ზეთი –ბარსაბონისა, პატრუქი და ზეთი – სახე სანთელთა, რომელნი აღანთიან ნათლისღებასა. ხოლო სარტყელი იგი იყო ნაცვლად სარტყლისა მის, რომელსა მოატრყამენ ახალსა ნათელღებულსა. და ყოველი ესე, რომელი ითხოვა გრძნეულმან დედაკაცისაგან, მიიღო ხელითა მისითა და ყოველი ნათლისღებისა სახე მიუღია ზაკვითა თვისითა და ვნებითა მოსძარცვა ქრისტიანობაჲ. ამისთვის ეტყოდა შავი იგი: „დასწევ ჩემთანა, რამეთუ ცოლი ჩემი ხარ და არა ქრისტესი“ და ხატი იგი, რომელი შებღალული უჩვენა, რამეთუ წყალობაცა მისი აღხდილ იყო (დედაკაციას) მისგან. და კანდელი, რომელი აღენთო, არა ცხოვრებისათვის იყო, არამედ მსხვერპლი ეშმაკთა. და მორტყმა წელთა (წიაღთა), ეშმაკეულ ჰყო, რომელი შევიდა მისდა, რათა არა განეშოროს ეშმაკი იგი.

ჰრქვა ეპიფანემ ანდრიას: „საკვირველ არს ღმერთი შენ მიერ, მამაო, რომელ არა რაჲ დაგეფარვის! გარნა ვითარ იცი:

სიყრმითგან, ანუ აწ უსწავიეს კაცსა მას ხელოვნება იგი გრძნებისა, რომელ საქმეთაცა კაცისათა მიუთხრობს, რაჲცა იგი ექმნას?“

მიუგო წმიდამან: „შვილო, ეშმაკი არაოდეს დასცხრების ბრძოლად ქრისტიანეთა, და რაცა ჰქმნის კაცმან უწყის ეშმაკმან და რაჟამს ვინ მივიდის გრძნეულისა მიმართ კითხვად რაისამე, იგი ჰკითხავს ეშმაკსა და ეშმაკი მოუთხრობს საქმეთა მისთა და იგიცა მიუთხრობს კაცისა მის მიერ ქმნილთა. და მას კაცსა ესმიან საქმენი მისნი გრძნეულისაგან და გონებნ მას წმიდად ღვთისა. რამეთუ ვითარცა ანგელოზი უდგს კაცსა ღვთისმოყვარესა და აუწყებს მოწევნადსა ყოველსა, ეგრეთვე ეშმაკი აუწყებს მსახურსა თვისსა“. ისმინა რა ესე ეპიფანემ, განკვირვებული ადიდებდა ღმერთსა და ამბორს უყვეს ურთიერთარს და წარვიდეს.

თავი ორმოცდამეორე

რაჟამს აღესრულნეს დღენი წმიდათა მარხვათანი და მოიწია ბზობა, ვითარცა არს წესი ქრისტიანეთა, ჯვარითა და კეროვნებითა და ბაიაჲთა, გალობდა ერი ურიცხვი ქალაქსა შინა სამეუფოსათა კონსტანტინეპოლეს და მივიდოდეს სოფია წმინდად. და იხილა წმიდამან ანდრია ბერიკაცი ვინმე შვენიერი, რომელი იყო დავით წინასწარმეტყველი, და სხვანი წინასწარმეტყველნი მისთანი, და ერი ფრიადი. და ეპყრათ ხელთა მათთა ბაია და ჯვრები. ბრწყინვალე იგი მოხუცებული და ერი მისი გალობდენ გალობასა მშვენიერსა ხმითა ტკბილითა და აწვევდეს ურთიერთარს პირველ შესვლად საკურთხეველად. და ეპყრა შვენიერსა მას მოხუცებულსა ხელთა მისთა ქნარი, სცემდა და შეაწყობდა გალობასა და ესრეთ გალობდა. ესმა რა წმიდასა ანდრიას ხმაჲ იგი, აღივსო სიხარულითა და მანცა იწყო გალობად ფსალმუნისა (ფსალ. 131, 1) ამის „მოიხსენე მაცხოვარო დავით და ყოველივე სიმშვიდე მისი. რამეთუ გვესმა დედუფლისა ჩვენისა მიერ და ვჰპოვეთ იგი ადგილსა

სიბრძნისა მისისასა დიდად შვენიერ“. დედუფლისამიერ სმენა ითარგმნების ეკლესიასა შინა დიდსა წმიდასა სოფიასა, რომელი ესმა წინასწარმეტყველის დავითის მიერ ხმა საგალობელისა ებნისა. სიბრძნისა მისისა, სწავლა არს და გალობა სწავლათა, რომელი იგი ესმა ნეტარსა ანდრიას და ვითარცა იტყოდა ამას, ჰსდგეს ვინმე მუნ ფილოსოფოსნი. ესმათ რა ესე მისგან, განკიცხეს და ჰრქვეს: „არა მართლად ფსალმუნებ, სალოსო, რამეთუ არა არს სიტყვა ესე ფსალმუნი დავითისა, რომელსა იტყვი „დედუფლისა ჩვენისა მიერ და ადგილსა სიბრძნისასა“. მიუგო ანდრია: სახლი და განსასვენებელი ღვთისა არს ეკლესია, მოცთომილნო! თქვენ, რომელნი ფილოსოფოსნი ხართ, ხელნო? მე ვარ ღრმა და ბრძენი ფილოსოფოსი! ჩემგან ისწავეთ ამიერიდგან! ხოლო მათ განიცინეს და განეშორეს მისგან. და იტყოდა წმიდა იგი ანდრია, ვითარმედ „ვიხილე დავით წინასწარმეტყველი სხვათა წინასწარმეტყველთა შორის, უზესთაეს დიდებითა და პატივითა, ვითარცა სთქვა პირველივე „განეღო მე ადგილი ღმრთისა და საყოფელი ღვთისა იაკობისი“.

და ვითარცა მოიწია დიდი აღვსებაჲ კვირიაკესა (აღდგომა), წარვიდა ნეტარი ანდრია სოფია წმიდას. და ვითარცა ილოცა, გამოვიდა და დაჯდა კართა ზედა ეკლესიისათა, სადა იგი არიან ჟამნი (მზის საათი) რვალისანი, და განიცდიდა ერთა, რომელნი შევიდოდეს ეკლესიად. რამეთუ მბრძანებელი იყო ღვთისა მიერ, რათა იხილნეს კაცნი ცოდვილნი და მართალნი. და ხედვიდეს მათ, რომელთა კეთილად აღასრულნეს დღენი წმიდათა მარხვათანი და რომელთა ხენეშად (ცუდად, საზიზღრულად). და რაჟამს აღასრულეს წმიდაჲ ჟამის წირვაჲ და განუტევეს ერი, ხედავენ წმიდა ანდრია, ღვთისა მიერ, რამეთუ რომელთამე პირნი სპეტაკ იყვნიან, ვითარცა თოვლი, და რომელთამე ბრწყინვალე, ვითარცა მზის თვალი, რომელთა იგი აღასრულნეს დღენი წმიდათა მარხვათანი ლოცვითა, გლახაკთ მოწყალებითა, მღვიძარებითა და მარხვითა. და ჰხედავნ მათ და ადიდებს

ღმერთსა. კვალად სხვათა ჰხედვიდა, რომელთა პირნი ნათელ არიან და განისვენებენ მათ ზედა სული წმიდა, რომელთ წმიდად დაიცვნიან თავნი თვისნი სიძვისაგან, და ძვირის ხსენებისა, და სხვისა ყოვლისა ცოდვისა. და სხვათა ჰხედავნ მოსილთა ოქრო ქსოვილითა და ბრწყინვალედ და ტრედი სპეტაკი თავთა ზედა მათთა ასხურებენ სურნელებასა, რომელი იგი იყო სახე ანგელოზისა. და იყვნენ საქმენი მათნი იგი კეთილნი, განძღება მშიერთა და შემოსა შიშველთა, ღწვაჲ პყრობილთა, სიმდაბლე და შემუსვრილება გულისა. და კვალად სხვანი. იხილნა, რომელთა ემოსათ სამოსელი პატიოსანი და იყვნეს მოხარულ პირნი მათნი, რომელთა თავთა ზედა იყო გვირგვინი შეთხზული რტოთაგან ზეთისხილისათასა. და იყვნეს იგინი, ვითარცა ასულნი მეფისანი, შემკულნი მარგალიტითა მიერ და თვალთა პატიოსანთა მეფისანი, და იგინი იყვნეს, რომელნი სიწმიდით ცხოვრებდეს და ნაშრომთაგან ხელთა მათთასა ჰყოფდეს მოწყალებასა.

და სხვათა პირებსა ჰხედვიდა შემუსვრილსა და წყლულსა და უშვერსა და შებღალულსა მწვირითა. რომელთამე ემღერდიან ძაღლნი და მხეცნი, და რომელთამე გველნი სწოვდენ გულსა ულხინებელად, და მყვარნი (ბაყაყნი), და ჭიანი ფერხთა მათთა. და ესრეთ უწყალოდ იტანჯებოდეს. და მცველნი იგი ანგელოზნი მჭმუნვარედ მდგომარე იყვნიან განშორებულად მათგან. რამეთუ იყვნეს კაცნი იგი მეზვერენი, უძღებნი, მამათმავალნი, გარდარეულად მცოდველნი, რომელსა შინა მარადის, ვითარცა ღორნი, იმწუპებოდეს და სჩნდეს დღენი წმიდათა მარხვათანი, რომელსა შინა ღვთისმოყვარენი იშვებენ და განიწმედენ ბრალთა მათთა. ხოლო იგინი გარდავლიდეს ნაყროვანებით, მთვრალობითა, სიძვითა და უწყალოებითა და არა ეშინოდათ მსაჯულისა მისგან საშინელისა, და არცა ხორცნი მათნი მისცნეს მსხვერპლად ეშმაკთა და მას დაემონნეს. და

მათ შორის განისვენებდა იგი (ეშმაკი) გუნდით მისითურთ. და რაჟამს გარდაიცვალნენ, ვითარცა ძაღლნი გარდაიცვალნენ, და განიხრწნენ საფლავსა შინა, და იქმნენ საჭმელ მატლთა. რამეთუ ხორცნი ცოდვილთანი საძაგელ არიან, ხოლო მართალთანი სუნნელ და კეთილ.

კვალად სხვანი იხილნა შიშველნი, და თვალნი მათნი და პირნი – კვამლიანი და დაშავებულნი, და ვითარცა მხეცნი განველურებულ, რომელთა ქედთა მოებნეს სავზელნი ეშმაკთა და მიიზიდვიდეს და სხვანი უწერტდეს მახვილითა და სცემდეს. ხოლო ჰაერთა შინა წერილ იყო: „ესენი არიან გრძნეულნი და მწამლველნი“, რომელთა ხილვისათვის ფრიად ცრემლეოდა წმიდა ანდრია.

სხვანი იხილნა შავად და შიშველად, რომელთა აქვნდეს ხელთა მათთა მახვილნი (დანანი) შესვარულნი სისხლითა, და თავთა მათთა ზედა ასხდეს იქედნენი, სავსენი მაკვდინებელითა წამლითა. და იყო მათთვის წერილი ჰაერთა შინა: „ესენი არიან კაცის მკვლელნი და უსამართლოდ მომხვეჭნი“. და მას სახესა არა თუ მამათა ოდენ ხედვიდა, არამედ დედათა, ყოველსა ერსა და ყრმათაცა. და იტყოდა ნეტარი იგი, „ვითარმედ ფიცხელი და ბოროტ არს გულისთქმა იგი ცოდვისა“[1]. სხვანი იხილნა, რომელთა ემოსა სამოსელი ძველი და შეურაცხი, და დედანი მავალად მათთანა, რომელთა ტანთა ესხნეს ეკალნი, და ჭიანი ეხვეოდეს ხორცთა მათთა და სწოვდეს ასოთა მათთა, რომელნი იყვნეს მრისხანენი, მცემელნი, უწყალონი და მწუნობარნი[2],

[1] ვითარმედ ფიცხელი გულისთქმა სიძვისა გონებისა მიყვანებითა, სწორია კაცის კვლისა.

[2] მესამეში იხილნა დედანი მრავლად მათთანა ესმა ტანთა მათთა ეკალი და კუროს თავი და ეხვეოდეს ქვეწარმავალნი წამლიანნი (შხამიანნი) და სწოვდეს ხორცთა მათთა ულხინებელად. შენი იყვნეს გულმწყრალნი, მცემელნი ძნელნი, ძვირის მომხსენენი, ფიცხელნი, უწყალონი, ამპარტავანნი, მწუნებელნი და ესე ვითარნი საქმენი ეშმაკისანი არიან და ღმერთი არა დაიმკვიდრებს მათ შორის.

რომელნი იგი არიან საქმენი ეშმაკისანი და ღმერთი არა დაიმკვიდრებს მათ შორის.

სხვანი იხილნა, რომელთა გვამნი (თავით ფერხამდე) სავსე იყვნეს ნაცრითა და მტვერითა, და პირნი მათნი ვითარცა მხეცთა ველურთანი, სავსენი გულისწყრომითა. და ყურთა მათთა დამოკიდებულ იყვნეს იქედნენი და ასპიტნი ბოლოებითა. დაიყვნეს პირნი მათნი და თვალნი, რათა არა იხილონ ნათელი და არცა ესმნეს სიტყვანი წიგნისა ეკლესიას შინა! ესენი იყვნეს შემასმენელნი მოყვასთანი და უსამართლონი, რომელთა მისცნიან კაცნი სატანჯველსა და საპყრობილესა, ძვირის მომხსენენი, მემტერენი, ამპარტავანნი, მაგინებელნი, ბოროტისა მაბრალობელნი, მგმობარნი და სხვათა ყოველთა ბოროტთა მომქმედნი.

თავი ორმოცდამესამე

და განიყარა რაჲ ერი იგი, ანდრია, განიპყრნა ხელნი და იწყო ლოცვად და იტყოდა, ვითარმედ „ფრიად შეძრწუნდა სული ჩემი, ღმერთო, ხილვისა ამისთვის“. და ესმა ხმა ზეგარდამო, ვითარმედ მცირედისა ხილვისათვის შეძრწუნდა ანდრია?! მე უმრავლესად ვხედავ ბოროტთა საქმეთა კაცთასა, არამედ მოველი მოქცევასა და სინანულსა! და მნებავს, რათა ისწავნენ საქმენი ჩემნი და გზანი! ესე ხმა ესმა, განიხარა და თქვა: „ჰოი, მაცხოვარო ღმერთო ჩემო! ჭეშმარიტ არს მსჯავრი შენი, ვითრაცა იტყვის გულითადი შენი დავით: კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმა ჰყო, ჰბაძვიდა იგი პირუტყვთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ“ (ფსალმ. 48, 13).

და წარვიდა მიერ და მივიდა ქულბაქსა მეღვინისასა. იხილა რა იგი კაცმან მან, აღიღო გრწყილი (რწყილი) და მიუპყრა მას და ჰრქვა: ცოფო, რად უწოდენ ამას, ზოგი გრწყილად და ზოგნი

წილად? ჰრქვა მას ანდრია: „ხელო, არა უწყია გრწყილი უკბენს ხორცთა ძლიერად და აქავნებს, ამისთვის ეწოდების გრწყილი“. ხოლო კაცმან განიღიმნა და აღავსო ჭიქა ღვინითა და მისცა მას. მიიღო იგი ანდრია და შესვა და დაჰკრა ქვეყანასა და წარვიდა და ვითარ რბიოდა, შეემთხვია მდიდარი. ჰრქვა წმიდამან: „მომეც რაᲘმე!“ მიუგო მდიდარმან არა მაქვს, ცოფო!

მიუგო წმიდამან: „ჭეშმარიტად ჰსთქვა ლოდმან საკიდურმან (იესო ქრისტემან) „ვითარმედ საბელი მანქანისა ვერ (შემძლებელ) არს განსვლად ხვრელსა ნემსისა, ეგრეთ მდიდარი შესვლად სასუფეველსა ცათასა“ (მათ. 19, 24). ჰრქვა მდიდარმან ჭეშმარიტად არსა ხვრელი ნემსისა, სადამცა ვინ განვლო?!

ჰრქვა წმიდამან: „უკეთუ ვინ არა წარვლოს გზა იწრო და საჭირო, ვერ მიიწიოს ცხოვრებასა! შენ ხარ მსუქანი სიმდიდ-რითა - არა უწყი, რასა ზრახავ? რამეთუ ვირი თუ იყოს მშვიდი, განვლოს ფოლორცსა იწროსა, ხოლო თუ მწიხნარი, ვერ ძალუძს განსვლად“. განიცინნა კაცმან მან და ჰრქვა: დაღათუ ხელი ხარ, კარგათ მაგინე!

ჰრქვა მას ანდრია: „მომეც მე დრაჰკანი, (ოთხის დრამის წონა ოქრო), რამეთუ გლახკი ვარ!“

მიუგო მდიდარმან მან: არა მაქვს მე დრაჰკანი.

ჰრქვა წმიდამან: მომეც მე კერმაᲘ (წვრილი ფული).

და ჰრქვა მდიდარმან: არცა იგი მაქვს.

და კვალად ჰრქვა წმიდამან: „მომეც კოტორი (ნატეხი პური), ანუ ფოლო ერთი“. ამისთვის ეტყოდა მას, რამეთუ იყო ძვირი და უწყალო.

ჰრქვა მდიდარმან რამეთუ არა ხედავ მდიდარ ვარ და დიდი წარსაგებელი მიხმს?

ჰრქვა წმიდამან: „მსგავს ხარ ფუტკრისა, რომელნი უქმად შევლენ და გამოვლენ სკასა, ვითარცა ჯინჭველნი ფურცელსა. და ვითარცა ზღვაᲘ არა განძღების შედინებითა, ეგრეთვე

გული მდიდართა არა განძღების უძღებებითა“. და რაჟამს იხილა, ვითარმედ არა რას ერგების სიტყვა იგი მისი, დაუტევა და წარვიდა და ეტყოდა: „მაშინ ისმინო (მომიგონებ), ოდეს ყოველივე უნებლიედ დაუტეო და შიშველი განხვიდე“.

და იტყოდა გულსა თვისსა: „ჰოი ვითარღა შუპყრივართ ეშმაკსა და დაუბრმივართ სრულიად? ვითარ ვიხილოთ ღმერთი, ანუ რაჲ სიტყვა მივუგოთ, რომელნი არა ვიქმთ მოწყალებასა, და ვართ უძრავ კეთილისა მიმართ, ვითარცა ქვანი უსულონი! სოფელსა ამას შინა ამაოსა ვიშვენით და სხვად სოფლად მივიცვალებით. და რა სიტყვა მივუგოთ თვალუხვავსა მას მსაჯულსა უკანასკნელსა მას დღესა მოვედ, საწყალობელო სულო ჩემო, და ვიქმოდეთ საქმესა ჩვენსა, და ვფქვიდეთ წისქვილსა ჩვენსა იფქლასა წმინდასა უღვარძლოს. რამეთუ არა ვშორავთ ჟამსა წარსვლისასა, და სადა იგი მისვლად ვართ, მივისწრაფოთ განსასვენებელად, სადა იგი მართალნი განისვენებენ. გვალე, საწყალო სახედარო ჩემო, ვისწრაფოთ, რათა არა გვეწიოს ბნელი. რამეთუ ხორცნი აქა გვისხენ დატევებად, და სული წარყვანებად. მივეგებნეთ მეუფესა მომავალსა გუნდითა თანა ანგელოზთასა!“ ამას რა იტყოდა, აღიმღერნა და წარვიდა.

იხილეს რა იგი მექულბაქეთა მათ მომავალი ხდომით, იწყეს სიცილად, და იტყოდეს: „დააბით ვირი ესე“. და ჰრქვა წმიდამან: „დაჰფალთ ეგე, დაჰფალეთ ეგე, რამეთუ მკვდარ არს. და კვალად ჰრქვა: „ვირი ჩემი დაღათუ მოკვდეს, ცოცხალივე არს, ხოლო ვირი თქვენი, უკეთუ მოკვდეს და არა დაჰფლათ, ვერ იტვირთავთ სიმყრალესა მისსა“.

თავი ორმოცდამეოთხე

მათ დღეთა შინა იწყო ეშმაკმან ბრძოლად ეპიფანესა სულითა სიძვისათა, რათამცა დასცა იგი. ხოლო მან არა დაუფარა ესე

წმიდასა ანდრიას, არამედ იწყო ცრემლით ვედრებად ღმრთისა, იმარხვიდა და ილოცვიდა, რათა განსდევნოს მისგან ბრძოლა იგი და არა მიუშვას დაცემად. ხოლო ეშმაკი ძლიერად ბრძოდა მას. და მოუხდა ღამე, ძილსა შინა, ვითარცა დედაკაცი, და ენება დაბრკოლება მისი. ხოლო მან განაფრთხო ძილისაგან და აღსდგა ლოცვად, იცემნ მკერდსა, და დაეცა ქვეყანასა, და იდრეკდა მუხლთა, და აღიღო მარილი მჯიღითა (მუჭითა) მისითა და შთაიყარა პირსა, რათა დასწვას გული, და მოაწყუროს და დაავიწყდეს გულის სიტყვაჲ იგი. და ჰქმნა ეგრეთ. მოკვდა და დასცხრა ბრძოლა იგი შეწყვიტა გულისათა მარილის მიერ. და ვითარცა მიერულა ეპიფანეს, იხილა ეშმაკი იგი სიძვისა, ვითარცა ღორი მწუმპებელი მწვირესა მყრალსა და ფშვინვიდა ძლიერად.

მოვიდა ჭაბუკი შვენიერი სპეტაკითა მოსილი და აქვნდა ჭიქა ხელთა შინა თვისთა. და მიუპყრა ღორისა სახესა მას ეშმაკსა, რათა შესვას. ხოლო იგი არა მიიღებდა და ჰრქვა ანგელოზსა მას: „რომლისა მიზეზისათვის გნებავს მაგისი შესმად ჩემდა?“

მიუგო ანგელოზმან: „შენ ჰქმენ, რომელ მსახურსა ღვთისასა მარილმან დასწვა, და დიდი სასჯელი მიგეხდების მისთვის დღესა მას განკითხვისასა“. მიუგო დაბნელებულმან მან ეშმაკმან: ვაჲმე, რამეთუ მეგულვებოდა მომადლება მამისა ჩემისა და შევვარდი განსაცდელსა! და აღიღო ჭიქა იგი უნებლიედ და შესვა სავსე სიმწარითა. და ვითარცა განიღვიძა ეპიფანე, იყო განკვირვებული ფრიად და ადიდებდა ღმერთსა.

თავი ორმოცდამეხუთე

და შემდგომად მცირედთა დღეთა შეემთხვია ნეტარი ანდრია ეპიფანეს, განიღიმნა და ჰრქვა მას: „ცხვარი ვარ ჯოგთა კეთილთა და მიყვარს მარილი და ვლოკავ მას“. და ვითარცა

ესმა ესე ეპიფანეს განჰკვირდა და ჰრქვა არცა ეგე დაგეფარა შენ ნეტარო მამაო? ესრეთ დამიტევე მე, შვილი შენი, რომელ ეშმაკმან დამწვა მე გული ჩემი. მიუგო ნეტარმან ანდრია და ჰრქვა: „თუ არა გამოიცადოს მხედარი ბრძოლასა შინა, არა იქების. ეგრეთვე, რომელი ისწრაფდეს პოვნად გვირგვინისა, უხმს დათმენა ღვაწლთა და თავსდებობა ჭირთა. სოფელი ესე, შვილო, მსგავს არს კვამლსა განქარვებადისა, და კაცი, რომელი არა იჭირვიდეს ღვთისათვის, მკვდრად შერაცხილ არს სოფელსა შინა, და რომელი არა ჰზრუნვიდეს საუკუნესათვის, ცოფ არს იგი. ხოლო შენ, შვილო ჩემო, მცირისა მაგისთვის ტანჯვისა და ჭირისა ტკბილი იგი სამოთხის ქება მოგეცემის. ნუ სულმოკლე იქმნები, ძმაო! არამედ მოიგე მოთმინებაჲ, რათა დაიმკვიდრო სასუფეველი, რამეთუ დღეს ვართ და ხვალე არღარა, და ვითარცა სიზმარი ჰყოფილი, უჩინო ვიქმნებით. და რომელთა სძინავნ და არა ზრუნვენ მერმისისათვის დღისა, ვითარცა აჩრდილნი, წარვლენ და საუკუნესა განსვენებისა წილ, მოელის მათ ჭირი და ტანჯვა. ხოლო შენ, შვილო, ჭირითა (მაგათ) აქათთა წილ, მიიღო სიტკბოებაჲ და განსვენებაჲ. მოითმინე, რათა მოიღო სასყიდელი და დაიმკვიდრო სასუფეველი ცათა. რამეთუ ამის სოფლისა შვენიერება და დიდება, ვითარცა კვამლი და ნისლი, განქარდების, და მოსურნეთა და მოყვარეთა მისთა დაუტევებს ჭირთა და უბადრუკებისა. და ჩვენცა, უკეთუ არა ვზრუნვიდეთ სულთა ჩვენთათვის, მუნ საუკუნოდ ვიტანჯებოდეთ. არა აღმოგიკითხავსა წიგნსა, ვითარ იგი დიდი გულის კლება და წუხილი აქვთ მართალთა სოფელსა ამას შინა? და ვითარცა ფრთხილნი მარკინელნი (მოჭიდავენი), ებრძვიან მტერსა უხილავსა სიმდაბლითა, და მოთმინებითა და მღვიძარებითა ისწრაფიან აღსრულებად მცნებათა ღმრთისათა, ვითარცა იტყვის ეზრა წინასწარმეტყველი: „რამეთუ კაცმან, რომელმან არა ისიძვოს და არცა იმრუშოს, და ყოვლისაგან

გზისა უკეთურისა გარე მოაქციოს ალაგნი მისნი, იგი ვითარცა საკმეველი სუნნელი, მივიდეს წინაშე ღვთისა. ხოლო მეძავი და მემრუშე საძაგელად არს შერაცხილ წინაშე ღვთისა“.

და უფროსად, რომელი მეცნიერ იყოს წმიდითა წერილი, ისიძვიდეს და არა მოიქცეს, და არა შეინანოს აღსარებითა და ცრემლითა, უმეტეს იტანჯოს იგი.

ბრძნად იგი შერაცხილ არს წინაშე ღვთისა, რომელმან შეინანოს ცოდვანი თვისნი, უმეცრებით და მეცნიერებით ქმნილნი. იგი მარადის სწყევს და დასწვავს ეშმაკსა. ხოლო ცოდვილთა და უნანელთა მოელის სასჯელი. და შენ შვილო, მაგისთვის ნუ სულმოკლე იქმნები, ნუმცა მწუხარე ხარ, რამეთუ ჰბრძავ ეშმაკთა. უკეთუ არა თავს იდვა ჭირი ხორცთა, ვერ განსძღე პურისა მისგან ცხოველისა ზეცისათა“. და რაჟამს ასწავა ესე ყოველი, მისცა მშვიდობა და წარვიდა.

თავი ორმოცდამეექვსე

და ვითარცა წარვიდა ეპიფანე სახიდ თვისა, მოვიდა ვინმე და უთხრა, ვითარმედ მეგობარი შენი საყვარელი რაფიელ, სნეულ არს ფიცხელად და გიწესს (გიწოდებს), რათა გიხილოს შენ“. ხოლო მან იწყო ცრემლვად და წარვიდა ხილვად მისსა, და ვითარცა შევიდა სახიდ მისსა, იხილა იგი დამძიმებულად და დაჯდა მახლობლად მისსა და სცნა სულითა, რამეთუ გარდაიცვლების. იწყო მწუხარებად, რამეთუ უყვარდა იგი ფრიად, და ხედვიდა ჭირსა შინა და კვნესასა ფიცხელსა, რამეთუ ხმა ხვრინვისა, ვითარცა გრგვინვა, გამოვიდოდა მისგან.

ჰკითხა ეპიფანე: „ძმაო საყვარელო! რა გელმის რომელ ესე გაიჭრები და ღაღადებ?“ ხოლო იგი მოეგო ცნობასა და ჰრქვა: ვაიმე, ტკბილო, ძმაო ჩემო! რამეთუ, რომელიცა რაჲ მექმნა კეთილითა საქმეთაგანი, ჰსძლეს ბოროტთა საქმეთა ჩემთა, და

წარიღეს ეშმაკთა და ეუფლნეს სულსა ჩემსა ძალნი ბნელისანი. რამეთუ ვიხილე ანგელოსი ღვთისა და ეშმაკიცა მისთანა, და ჰსწონდეს საქმეთა ჩემთა. და ანგელოსი იგი ღვთისა შესწუხნა და მრქვა მე, „ჩოი საწყალობელო! ვერა რაჲ იღვაწე სულისა შენისათვის, რათამცა კვალად შესძინემცა სასწორსა ამას? და წარვიდა ჩემგან. და ვჰგონებ, ვითარმედ ვერ ვიპოვე სასუფეველისა კერძოთათანა, არამედ კერძოდ ჯოჯოხეთისა“.

და ვითარცა ესმა ეშმაკთა უბნობა იგი მისი ეპიფანეს მიმართ, შერისხნა სნეულსა მას, რამეთუ მიეღო ხელმწიფება მის ზედა. და შევიდა განრისხებული გვამსა მისსა და განაფიცხა გვამი მისი სენითურთ, და იწყო ვაებად და ყივილად უძნელეს პირველისა. ხოლო ეპიფანე, ვითარცა იხილა საწყალობელი იგი და ტანჯვა მისი, იწყო ცრემლვად და ვედრებად ღვთისა ლმობიერად, რათა იხსნას სული მისი ხელთაგან ეშმაკთასა. იხილა რა ესე ეშმაკმან, შეეშინდა ეპიფანეს სიტყვათაგან „ნუ უკვე (ვაჲთუ) ისმინოს მისი ღმერთმან და მოწყალე ექმნას სნეულსა!“ იწყო შეჭირვებად მისსა და უნდა გარდამოგდებაჲ მისი ცხედრით და შთაჭრა გარდასახედავსა მას. ხოლო ლოცვითა ეპიფანესითა ვერღარა იკადრა გარდამოგდება, არამედ განაფიცხა გული მისი და იწყო გლეჯად წვერთა თვისთა. და წარმოაგდო ენა და, ვითარცა ძაღლი, შეჰყეფდა კაცთა. და დაეცა შიში, რომელნი იყვნეს სახლსა მას და ჰკითხვიდეს ეპიფანეს: „ვინა აქვს ეშმაკსა ესე ვითარი ხელმწიფებაჲ და შეენდობის ესრეთ ტანჯვაჲ კაცთა?!“

ჰრქვა ეპიფანე - შემინდევით მე, ძმანო, რამეთუ არა მიწევნილ ვარ საზომსა მაგას, რათამცა ვუწყოდე საქმენი კაცთა კეთილნი, გინა ბოროტნი! არამედ ამას ვჰგონებ, ვითარმედ ყოფილ არს შორის მაგისსა ცოდვა რაიმე დაფარული, რომელი არა აღუარებია მოძღვრისათვის და არცა შეუნანებია, და ამისთვის იტანჯების კაცი ესე საწყალობელითა სიკვდილითა!“ და აღესრულა კაცი იგი.

შემდგომად მცირედითა დღეთა შეემთხვია ეპიფანეს ნეტარი ანდრია და მიუთხრა მას კაცისა მის, რაფაელისათვის, ყოველი იგი ხილული. და ევედრა ეპიფანე, რათა აუწყოს საქმე მისი და ეშმაკისა მიერ ტანჯვა მისი. მაშინ წმიდა იგი ანდრია სდუმნა ჟამ ერთ. მერმე ჰრქვა: „შვილო ჩემო! იგი საწყალობელი იყო მემრუშე და ძვირის მომხსენე, რამეთუ ნათესავთა და სვინდიკოზთა და ქმრის ცოლთა დედათანა იმრუშის და დაუტევის ცოლი თვისი და მხევალისათანა ისიძავნ! და უძვირესი ესე იყო, რამეთუ აქვნდა პატივი დიაკონობისა, და არა ეშინოდა ღვთისა, არამედ ურიდად მიუხდებოდა წმიდისა და პატიოსანსა ხორცსა და სისხლსა ქრისტესასა, და ერევინ სამღვდელოთა ჭურჭელთა, ჰგონებდა დაფარვად ღვთისაგან. ამისთვის იტყვის მოციქული პავლე ეპისტოლეთა შინა თვისთა, ვითარმედ „მღვდელთა და დიაკონთა, რომელთა ნებავს ხელთდასხმა ღვდელად, გინა დიაკვნად, არსმცა წმიდა და შეუხებელ პირველითგან, რათა არა სასჯელსა ეშმაკისასა შევარდეს, და უკეთუ დაეპყრას ცოდვასა და დაეცეს, ჯერ არს მისსა, რათა აღუაროს სულიერსა მოძღვარსა თვისსა და ღირსებით შეინანოს შენდობა, და ნუ იქმნების, ვითარცა წყალი შეყინებული, რათა არა მიეცეს ხელთა ეშმაკისათა უნანელობით“.

თავი ორმოცდამეშვიდე

ჰკითხა ეპიფანემ წმიდასა ანდრიას: „მამაო სულიერო! მაუწყე თარგმანი მუხლისა ამის: „რამეთუ სასმელი ხელთა შინა უფლისათა ღვინო ურწყოჲთა სავსე არს სხმულითა (სახმილითა), და მიდრკა ამიერ მუნ; ხოლო თხლე მისი არა მოაკლდეს წარმოიცალიერა, სვან იგი ყოველთა ცოდვილთა ქვეყანისათა?“

მიუგო წმიდამან ანდრიამ: ქრისტემან ღმერთმან ჩვენმან თქვა: „მოვედით ჩემდა, რომელთა გწყურისთ და სვით“,

რამეთუ სასმელი არს ღვთაებისა და კაცებისა. ღვინო ურწყული, სხმული და სავსე, მხოლოდშობილი ძეჲ, უთესლოდ შობილი - სიტყვაჲ ღვთისაჲ და კვალად ვითარცა ღვინო ურწყული, თვინიერ ჭურჭლისა ვერ შესაძლებელ არს დადგრომად ეგრეთვე, უკეთუმცა ძე ღვთისა არა ხორცითა შემოსილ იყო კაცობრივითა სიბრძნემცა, და სული ძეთა კაცთასა, ვითარ (როგორ შეიძლებოდა) მოეცა? „სასმელი ხელთა შინა ღვთისათა, ღვინო ურწყოჲ, რაჟამს იგი ჰსთქვა: „მამაო ხელთა შენთა შეववედრებ სულსა ჩემსა?!“ და თარგმანება მაგისი სიტყვა აჰა ესე არს, განხორციელება და ვნება, ვითარცა იტყვის „ვითარმედ სასმელი, რომელი მომცა მე მამამან არა შევსვა?“ და კვალად ვითარმედ ღვინო მოწყალებისა ღვთისასა არა რაჲ შეერთვის, არამედ მარადის მოუკლებლად ჰგიეს და აქვს „ცხოვრება თვისი ყოვლადვე სამება ერთ არსება“. მოვიდეთ აწ აქაცა: „სვან იგი ყოველთა ცოდვილთა ქვეყანისათა“, რამეთუ სიტყვა ღვთისა განხორციელებული მოვიდა ურიასტანად ისრაელთათვის, რათა გულისხმაჰყონ ღვთაება მისი. და მათ იხილეს და არა რწმენა. და რაჟამს იხილა მამამან ურწმუნოება მათი, რომელთა იგი ჯვარს აცვეს და დაკიდეს, მას ჟამსა სასმელი იგი, რომელი ეპყრა ხელთა მისთა, რომელ არს მოწყალება, მისცა ნათესავსა წარმართთასა, რომელნი იყვნეს კერპთმსახურნი და ცოდვილნი, ხოლო აწ მორწმუნე და კეთილ! კვალად: „და მიდრკა ამიერ მუნ, ხოლო თხლე მისი არა წარმოაცალიერა, ესე არს, რამეთუ სახარება და სარწმუნოება და მოციქულნი მოდრკეს ქადაგებად და მასწავლელად. და ნიჭი სულისა წმიდისა ჩვენზედა მოეფინა. ხოლო თხლე მისი არს ურიათა იგი მოლოდებაჲ, რამეთუ განიბნინეს ყოველთა შორის თესლთა და ნათესავითი ნათესავად, სმენ თხლისა მისგან და მოელიან მოსვლასა ანტესსა“.

კვალად ჰკითხა ეპიფანე: „რაჲ არს ძალი მუხლისა მის, ვითარცა პირუტყვი შევირაცხე შენ წინაშე და მარადის შენთანა ვარ“.

მიუგო წმიდამან ანდრიამ: „ეგე წინასწარმეტყველმან თქვა ღვთისა მიერ, რამეთუ „სიტყვა ღვთისა განკაცნა“. რამეთუ კაცა იტყვის პირუტყვად, ხოლო ძე ღვთისა იქმნა კაც და ჰრქვა მამასა: „მე შენ ძლით კაც ვიქმენ, ხოლო ღვთაებასა შენსა არა განვეშორე“.

ჰკითხა ეპიფანემ ანდრიას: „რასათვის იტყვის მაცხოვარი სახარებასა შინა, ვითარმედ ნუ მრავლისმეტყველებთ, რაჟამს ილოცვიდეთ?“

მიუგო წმიდამან: მრავლისმეტყველება არს შვილო, რაჟამს ჰსდგე ლოცვად, ჯერ არს, რათა ითხოვდე ბრალთა შენდობასა და ცოდვათა განხსნასა, და არა იტყოდე: „მომხედენ ღმერთო, რათა გავმდიდრდე, გინა ვიქმნე მთავარ, ანუ შვილთათვის, ანუ საჭმელთათვის და სასმელთა, რომელ ვითხოვდეთ და ვზრუნვიდეთ, იგი არს მრავლისმეტყველებაჲ.

კვალად ჰკითხა ეპიფანემ: ესეცა მაუწყე, მამაო წმიდაო, უკეთუ ეშმაკნი და ანგელოსნი ერთ არიან მსგავს სახითა, ანუ სხვითა და სხვითა სახითა არიან?

მიუგო წმიდამან: „ესე უწყოდე შვილო, რამეთუ პირველ ერთ სახედ დაებადნეს ყოველნი. არამედ უკანასკნელ ეშმაკნი იქმნა ბნელ და შავ, ხოლო წმიდანი ანგელოსნი არიან სპეტაკ და ბრწყინვალე“.

ჰკითხა ეპიფანემ: გევედრები, რათა მაუწყო ესეცა, სადა არიან აქ სულნი მართალთანი, ანუ ვითარსა განსასვენებელსა, ვიდრე მეორედ მოსვლამდე?

მიუგო ნეტარმან: „სულნი მართალთანი არიან მახლობელად სამოთხესა და ხედვენ სამკვიდრებელსა თვისსა და იხარებენ ვიდრე აღსასრულამდე. რამეთუ სულნი ოდენ მარტოდ ვერ მიიღებენ სრულსა დიდებასა, არამედ რაჟამს აღსდგენ ხორცნი, მაშინ მიიღებენ სრულსა დიდებასა და პატივსა, ოდეს შეერთდნენ თვისსა ხორცთათანა. ეგრეთვე ცოდვილთა არა მიუღებიეს სრული ტანჯვა, არამედ ხედვენ და ეუწყების მათ,

ვითრსა ტანჯვასა მიემთხვეოდიან. და რაჟამს აღსდგენ, მიიღონ მათცა სატანჯველი საუკუნო.

ჰკითხა ეპიფანემ: „რასათვის იტყვის სოლომონ, ვითარმედ ღმერთმან აღმაშენა მე და პირველ საუკუნეთა დამაფუძნა მე და პირველ გზათა მისთა დამადგინა მე?“

მიუგო წმიდამან, რამეთუ სიტყვისა მაგისთვის მოსცთა და მწვალებელ იქმნა არიოზ, ოდეს სთქვა, „ვითარმედ ძე, ვითარცა საფუძველი არს აღშენებული ღვთისა?“ უფალ ეწოდების მამასა, რამეთუ მამა ღმერთი არს, რამეთუ უფალმან მოგონებითა და განზრახვითა დაგვბადნა კაცნი და მოგვცა ჩვენ სიბრძნე თვისი და ყოვლითა სწავლულებითა განმსწავლნა. რამეთუ დასაბამი ყოვლისა სიბრძნე არს. რამეთუ პირველ ყოვლისა შესაქმისა სიბრძნე დაებადა, რამეთუ სიბრძნითა განაგნა უფალმან ყოველნი არსნი. და ნუ ვინმე ურწმუნო არს სიტყვასა ამას, ვითარმედ ძისათვის არს თქმული სიტყვა ესე, რომელ არს განხორციელებული სიტყვა ღვთისა. და სთქვა ესრეთ: „უფალმან და მამამან აღაშენა ჩემ შორის კაცება არა თუ ღვთაება. რამეთუ ღვთაებითა თანასწორი მამისა ვარ, და შემქმნა მე ძედ კაცისა და ნებითა ჩემითა მომავლინა მე სოფლად და არა უნებლიედ. და პირველ საუკუნეთა დამამტკიცა მე, და პირველ ბორცვთა დამბადა, და პირველ ჩემსა არა რაჲ დაბადა“. და თქვა ღმერთმან „და იქმნეს ნებითა ძისა და სულისა წმიდისათა“. რამეთუ ესე განზრახვა საუკუნითგანვე იყო, რომელიცა უკანასკნელ ძემან აღასრულა ხორცთ შესხმითა თვსითა, ხოლო ღვთაებრ თვით ხელმწიფე და თანასწორი არს მამისა და სულისა წმიდისა.

ჰრქვა ეპიფანემ: „ვითარ არა უწყოდა ესე ყოველი არიოზ?“

მიუგო წმიდამან რამეთუ არა დამკვიდრებულ იყო მის შორის სული ღვთისა.

ჰკითხა ეპიფანემ: „ვითარ სახედ იტყვის წინასწარმეტყველი „ღმერთო სახელითა შენითა მაცხოვნე მე და ძალითა შენითა მისაჯე მე?“

მიუგო წმიდამან: სიტყვასა მაგას იტყვის ეკლესიაჲ და წინასწარმეტყველისა მიერ მოგვითხრობს, რამეთუ „სახელსა ღმერთისასა მოგვითხრობს“, ესე იგი არს, იესო ქრისტეს მეუფესა ჩვენსა ხადის ეკლესია და იტყვის ესრეთ სახედ: „რამეთუ შენ ხარ ღმერთი და გნებავს, რათა იქმნე კაც ჭეშმარიტად, რამეთუ იესო ითარგმნების ებრაულითა ვითა მაცხოვარი, ანუ ძალი (ძალად) ერისა და ისმინა ღმერთმან ვედრებაჲ ეკლესიისა, რაჟამს ცეცხლისა ენანი სულმან წმიდამან გარდამოუვლინა სახელითა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესითა სიონს შინა.

ჰკითხა ეპიფანემ: „რასათვის თქვა პავლე მოციქულმან, რამეთუ „ყოველი ცოდვა, რომელი სცოდოს კაცმან, გარეშე ხორცთა არს, ხოლო რომელი ისიძვიდეს ხორცთა მიმართ თვისთა სცოდავს?“

მიუგო წმიდამან: ყოველი ცოდვა სულისა ვნებითა ოდენ იშვების. ხოლო სული ოდენ მიიღებს ცოდვის ნაცვალსა და აქავე შეიგინების, და ხორცნიცა ვერა რას სცნობენ. არამედ რომელი ისიძვიდეს სულისაგან, ხორცნიცა განიხრწნებიან. რამეთუ უკეთუ ძვირი უყო ძმასა, ავნებ სულსა შენსა და სხვაცა ესე ვითარი არს, ხოლო რომელი ისიძვიდეს, წარწყმედს სულსა და ხორცსა საუკუნოდ, უკეთუ არა შეინანოს. ხოლო ქორწინებითა არა ცოდა არს, უკეთუ ეგნენ წესიერად, არამედ არიან ერთ ხორც და არა აქვს დედაკაცსა ხელმწიფებაჲ თვისთა ხორცთა ზედა, არამედ მამაკაცსა. და ეგრეთვე არა აქვს ხელმწიფებაჲ მამაკაცსა თვისთა ხორცთა ზედა, არამედ დედაკაცსა. რამეთუ ხორცნი მათნი ურთიერთისანი არიან. უკეთუ ისიძვოს მამაკაცმან, შეიგინებიან ხორცნი დედაკაცისანი, და უკეთუ ისიძვოს დედაკაცმან, ეგრეთვე შეაგინებს ხორცთა ქმრისათა, ვითარცა იტყვის სახარება: „რომელი განტევებულსა შეირთავს, მანცა იმრუშა“.

ჰკითხა ეპიფანემ: „რასათვის იტყვის ანგარებასა, ანუ ვინ არს იგი?“

მიუგო წმიდამან: ანგარი და უძღები არს, მომხვეჭელი და მიმღებელი უსამართლოდ და მაჭირვებელი გლახაკთა.

ჰკითხა ეპიფანემ: „რაჲ არს თარგმანი მუხლისა ამის „შვილნი შენნი, ვითარცა ახალ ნერგნი ზეთისხილისანი გარემოს ტაბლისა შენისა?“

მიუგო წმიდამან იხილე წმიდა ეკლესია და საკურთხეველი მისი ჟამსა მსხვერპლის შეწირვისასა. და იხილე გარემო ტრაპეზსა წმიდასა ახალ ნათელღებულნი, დგომილ იყვნეს რაჲ კეროვნებითა, განათლებულნი და შობილნი სულისა წმიდისა მიერ, იგინი არიან, ვითარცა ზეთისხილისანი, სიპოხითა სულიერითა, მსხმონი შორის საკურთხეველსა.

ჰკითხა ეპიფანემ: „რასათვის თქვა წინასწარმეტყველმან ესაია ნუ უკვე მკვდართა ცხოვრება არა იხილონ და არცა მკურნალთა აღადგინონ და აღგიარონ შენ?“

მიუგო წმიდამან: წინასწარმეტყველი დავით ღაღადებს ხმითა მაღლითა და იტყვის: „კერპნი წარმართთანი ქმნილნი არიან და ცხოვრება არა აქვსთ“ და ვინმე არს მკურნალი? მღვდელნი მათნი, რომელნი მსახურებენ, რომელნი ღმერთმან შემუსრნა და არღარა აღდგებიან.

ჰკითხა ეპიფანემ: „ვითარ გამოითარგმანების მუხლი ესე „მუნ აღმოუცენო რქაჲ დავითს და განუმზადო სანთელი ცხებულსა ჩემსა?“

მიუგო წმიდამან: მუნ აღმოუცენო რქაჲ ესე არს ქრისტე, თესლისაგან დავითისა, შობილი ქალწულისაგან მარიამისა. ხოლო სანთელი განმზადებული იოანე ნათლისმცემელი არს და წინამორბედი, რომელმან უჩვენა ერსა თითითა ღვთისითა და ჰრქვა: „აჰა ქრისტე, ტარიგი ღვთისა, რომელმან აღიხვნა ცოდვანი სოფლისანი“. რამეთუ ესე არს კრავი ღვთისა, დაკლული ყოვლისა სოფლისათვის და შეწირული მსხვერპლად მამისა, მოტევებისათვის ბრალთა ადამის ნათესავისათა. რამეთუ დავით და სოლომონ, და ყოველნი წინასწარმეტყველნი

მას მოელოდეს და ჯოჯოხეთით გამო ღაღადებდეს, რათა მოვიდეს მათდა რქაჲ იგი საძლეველი მტერთა და იხსნეს იგინი. პირველ ყოვლისა სოლომონ სთქვა: „აჰა ძე ღვთისა მოვიდა“. ხოლო დავით და ისაია, და ყოველთა წინასწარმეტყველთა ღაღადჰყვეს. და ადამ, ვითარცა ძილისაგან განიღვიძა, განკრთა და ჰსთქვა: „აღმოიყვანე, ღმერთო ჯოჯოხეთით სული ჩემი“. და მყის ყოველნი სულნი წმიდათანი მისთანა გამოვიდეს.

ჰკითხა ეპიფანემ: „რაჲ არს თარგმანება მუხლისა ამას „წამებანი ღმრთისანი სარწმუნო არიან და გონიერ?“

მიუგო წმიდამან: სული წმიდა იწოდების წამებად სახელსა ღმრთისასა, ვითარცა იტყვის სახარებაჲ: „ვითარმედ მან ჰსწამოს ჩემთვის და თქვენცა მოწამე ხართ“. და კვალად იორდანესაცა სწამებს, რაჟამს გარდამოხდა სული წმიდა სახედ ტრედისა და ხმა ისმა ზეცით: „ეგე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი სათნო ვიყავ!“ და მოსვლასა სულისა წმიდისასა, რაჟამს მოციქულთა მოუვლინა და სხვათა მრავალთა წამებულთა ზედა, ესე არს მეტყველება ამის სიტყვისა.

და ვითარცა ესე იუბნეს, ურთიერთარს ამბორს უყვეს და განიყარნეს. ხოლო ეპიფანე განკვირვებულ იყო სიბრძნესა მისსა ზედა და იტყოდა: „სული წმიდა საკუთრად მკვიდრ არს მისთანა და იგი იტყვის პირით მისით, და ვინ შემძლებელ არს ესრეთ განმარტებად სიტყვათა წერილთასა?“

თავი ორმოცდამერვე

და ვითარაცა რბიოდა ნეტარი ანდრია ჩვეულებისამებრ თვისისა, შეემთხვია ჭაბუკსა ვისმე დაიკონს, და რაჟამს მიეახლა, ჰკრა წინა ხელითა ფიცხლად ყვრიმალსა მისსა და ჰრქვა: „ესრეთ შეაგინებ სულსა შენსა? არა კმა გეყო, რომელ ისიძავ? არამედ იქმ მრუშებისაცა და შეხვალ ბოროტად თვისთა შენთა თანა? ვფუცავ ღმერთსა, უკეთუ განვეშორო საქმესა მაგას, მოგივლინო ცხროჲ

(ციებ-ცხელება), რომელი გახურვებდეს და გაძრწოლებდეს სამ წელ და ვერ განთავისფლდე“. და წარვიდა მყის. ხოლო დიაკონი იგი განჰკვირდა სულითა ცნობასა მისსა ზედა. რამეთუ ექმნა ცოდვა იგი მას ღამესა შინა. და მიერითგან იწყო სინანულად და დაუტევა პირველი იგი უწესოებაჲ. იმარხავნ და ილოცავნ და ევედრებინ ღმერთსა, პირველთა მათ ბრალთა მისთათვის.

თავი ორმოცდამეცხრე

ხოლო წმიდა იგი წარვიდა ბჭეთა ზედა ვისმე მდიდრისათა და იწყო როკვად. და იყო დღესასწაული წმიდისა მოწამისა თვირსოსი (14 ქრისტეშობისთვე), და იხილა კაცი ვინმე, რომელი მოვიდოდა კრებულისა მისგან. და ვითარცა განიცადა წმიდამან და იხილა, რამეთუ დაბეჭდულ იყო პირი მისი და ფრიად უშვერ, და ეშმაკნი წინა და უკანა უვიდოდა, შავნი და საძაგელნი ხილვითა, და რომელნიმე მივიდიან, ხელთა იტყველვიდეს და განსცხრებოდეს გარემოს მისსა. ხოლო ნეტარი, ვითარცა ხედვიდა ამას, მწუხარე იყო და გულისხმაჰყო, რამეთუ აღსასრული კაცისა მის მოახლებულ არს და სული მისი წარვალს სატანჯველად. რამეთუ სიყრმით მისითგან ბოროტ საქმეთა შეყოფილ იყო. და გულისხმაჰყო, რამეთუ აღსასრული კაცისა მის მოახლებულ არს და სული მისი წარვალს სატანჯველად. რამეთუ სიყრმით მისითგან ბოროტ საქმეთა შეყოფილ იყო: მეძაობასა და მემრუშეობასა და ეკლესიასა არაოდეს შევიდი ლოცვად, გინა ზიარებად, და ყოველი მონაგები მისი მეძავთა და მემღერეთა თანა წარეგო.

ხოლო ანდრია შეუდგა უკანით კერძო, რათა იხილოს სახლი მისი, და ვითარცა ისწავა ადგილი იგი, მოვიდა ხვალისა დღესა, რათა სცნას, თუ რა შეემთხვევა საწყალობელსა მას კაცსა. და შევიდა სახლსა მას, ჰპოვა უბადრუკი იგი კაცი სულთბრძოლასა

შინა და ტანჯვასა საზარელსა და უშვერსა. რამეთუ, ვითარცა იყო განსვლაჲ სულისა მისისა ხორცთაგან, ზრახავნ და არა იცის, რასა იტყვინ. და ჰგონებდა, რამეთუ ეშმაკნი იქმოდესვე (ათქმევინებდნენ) ყოველსა მას სიტყვასა, რომელსა ხედვიდა წმიდა იგი. რამეთუ ხედვიდა კვალად, თაგვი იგი შევიდის პირსა მისსა, გამოვიდის და ჰყეფავენ ძაღლებრ, და ჭყვირიან ღორებრ, ღმუინ ვითარცა მგელი და ვითარცა გველი ისტვენნ. და განსცოფნა იგი სრულიად და იქმნა საჩვენებელ ყოველთა. და ესრეთ საწყალობელად აღესრულა. ვითარცა იხილა ესე წმიდამან ანდრიამ, ჰკითხვიდა ანგელოსსა მას, რომელი იყო მისთანა, ვითარმედ „რაჲ არიან ცოდვანი უბადრუკისა ამის კაცისანი, რომელ ესე ბოროტად აღესრულა?“

მიუგო ანგელოსმან: პირველი არს მრუშება, მეორე სიძვა, მამათმავლობა, ანგარება, უწყალოება, მტაცებლობა, რისხვა, შური, ძვირის ზრახვა, უდებება (უსაქმურება), ზაკვა, გინება და სხვანი ყოველნი ბოროტნი საქმენი. და ამასთანა დაბეჭდულ არს აღუარებლობა ცოდვათა, რომელი დამბეჭდველ ექმნა პირსა მისსა. რამეთუ რომელმან არა აღიარეს ცოდვანი თვისნი, დაბეჭდავს პირსა მისსა ეშმაკი და წარვალს ბნელსა მას გარესკნელსა.

და ვითარცა დაფლეს გვამი მის საწყალობლისა, მოვიდეს ნუგეშინისცემად მეუღლისა მისისა და ჰკითხვიდეს, თუ „ვითარ იყო ცხოვრება მისი?“ და იტყოდა მეუღლე მისი და თქვა: მე რადგან (რაც ხანი) შევეყავ მას, არა მიხილავს წარსვლა მისი ეკლესიად, არამედ დღე და ღამე ეშმაკთა უდგებინ სიძვად, და მრუშებად, და მთვრალობად, და ყოველსავე ბოროტსა მოსწრაფედ აღასრულებენ. და ოდეს მოვიდეს შინა, მტანჯავნ მე და მგვემნე. გუშინდელსა მწუხრსა მოვიდა და დაწვა ჩემთანა. ხოლო მე ვუთხრობდი და ვეტყოდი სულისა ცხოვრებისათვის „ვიდრემდის იქმ საქმეთა ბოროტთა? სიკვდილი მარადის

თანაუდგეს კაცსა! დღესა ანუ ხვალე მოვსწყდებით და ვინ გვიხსნეს ჩვენ სატანჯველისა მისგან საშინელისა? ჰხედავ, რამეთუ არცა ეკლესიად მიხვალ, არცა გლახაკთათვის იღწვი და კეთილსა ყოვლად არას იქმ, არამედ მარადის ზაკვასა და ტყუილსა იწვრთი: არცა ოდენ ხორცსა და სისხლსა ქრისტესა ეზიარები! იხილე თუ რასა ინივთებ სულისა შენისათვის? და სიკვდილისა ჟამი უცნაური არს. არცა სიჭაბუკესა ჰრიდებს, არცა სიბერესა, არამედ ყოველსა სწორებით წარიტაცებს! და მე მეშინის შენთვის, ნუ უკვე სასჯელად მიხვიდე, რამეთუ ყოველნი დღენი შენნი ძვირთა საქმეთა შინა წარგივლიან! აწ მცირენი ესე დღენი სინანულითა და კეთილითა ცხოვრებითა აღასრულენ!“ და ესე რა ესმა ჩემგან, მრქვა - რაჲ ვჰყო აწ მე?

და მე ვარქუ: „მნებავს რათა ხვალე ზოგად (ერთად) წარვიდეთ ეკლესიასა წმიდისა მოწამისა თვირსოსა, რამეთუ დღესასწაული მისი არს და ვევედრნეთ მას, რათა შუამდგომელ გვექმნეს ჩვენ წინაშე ღვთისა და ეზიარო და იქმნა ქრისტიანე და შიში ღვთისა გულად-იღო და შეგენდვნეს ცოდვანი შენნი, რამეთუ სახიერ არს და ელის მოქცევასა შენსა. და ვითარცა განთენა, წარვიყვანე ეკლესიასა წმიდასა მოწამისასა და მე ვილოცევდ, და იგი ჰგმობდა ეკლესიასა და ხატთა და ჯვართა და არცა თუ ჯვარი დაისახა გულსა, არამედ ჩამოუშვნა ხელნი და ვითარცა მოკიცხარი, მდგომარე იყო. ხოლო მე ვითარცა აღვასრულე ლოცვა ჩემი, მივიქეც მისსა და ვარქუ მას: „საწყალობელო! რასა სდგი, ვითარცა ქვაჲ უსულო? არცა ილოცავ, არცა ევედრები ღმერთსა? დაღაცათუ ღვთისა არღა გეშინის, კაცისა ვითარ აღარ გრცხვენინ?“ მომიგო და მრქვა მე: „ვის ვევედრო, ანუ ვისა მიმართ ვილოცო?“ ხოლო მე ვუჩვენენ ხატნი წმიდათანი. და ვითარცა მიხედნა, მრქვა მე: „არამედ რაჲ ძალუძს შეწევნად ჩემდა უსიტყვითა და უსულოთა?“ და სიტყვასა ამას ზედა განვიდა ეკლესიით და ვიდოდა. ხოლო მე შემიპყრა შიშმან და

ვევედრებოდი წმიდათა, რათა არა შეურაცხონ (ჩაუთვალონ) ცოდვად უგუნურებაჲ მისი. და ვითარცა ვილოცევდ, დამეცა განკვირვება ხატისა გამო წმიდისა მოწამისა: „მე შევუნდო და არა შევრისხო, არამედ ღმერთი მართალმსაჯულ არს და არა თავს იდებს შეურაცხყოფასა ქმნილთა მისთაგან. ამისთვისცა ხვალე მწუხრ იხილო, რაჲ წინაუძს საწყალობელსა მას, და ვითარმედ ვერვინ შემძლებელ არს შეურაცხყოფად ღვთისა და თვით შეურაცხ იქმნებს წინაშე ღვთისა და კაცთა. რამეთუ რაიცა ვინ ჰსთესოს, იგიცა მოიმკოს, კეთილი გინა ბოროტი. შენ შემოხვედ, რათა კეთილი შესძინე ქმარსა შენსა, ხოლო იგი განდგა სრულიად ღვთისაგან და შეეწყნარა ეშმაკს“. ხოლო მე ვითრაცა მესმა ხატისა მისგან, შიშითა შეპყრობილ ვიქმენ და ვსტიროდი მწარედ. და ვითარცა მოვედ სახლად ჩემდა, ვპოვე იგი, რამეთუ განეხურვა და ფრიად საწყალობელად კვნესოდა. და ვითარცა განთენა, თქვენცა უწყით საქმე მისი, თუ ვითარითა სატანჯველითა განვიდა ცხოვრებისა ამისგან. მაშინ ყოველნი, რომელთა ესმა, შეიპყრა შიშმან და თქვეს: „ჭეშმარიტად ვერვინ შემძლებელ არს კაცი მოკიცხვად ღმერთისა!“ ესე ყოველი რაჲ გვესმა დედაკაცისაგან, მივეცით დიდება ღმერთსა.

თავი ორმოცდამეათე

ვიდოდა რა წმიდა ანდრია მახლობელად სვეტსა მას, რომელი შექმნა დიდმან მეფემან კონსტანტინემ საშუალ ფოლორცსა, და არს სვეტსა მას ზედა კაცი, რომელსა უპყრიეს ხელთა ვაშლი დაზე და მას ვაშლსა არს ჯვარი, და თავსა ზედა მის კაცისასა არიან ქრისტეს სამსჭვალნი, რომელნი შემსჭვალნეს უხრწნელსა გვერდსა მისსა, რამეთუ ჰფარავს და სცავს ქალქსა მას ყოვლისა მანქანებისა ეშმაკთასა. ამის სვეტსა ძირსა სჯდა დედაკაცი ვინმე, რომელსა ელოცა მუნ და იხილა სულითა

წმიდა ანდრია, რაჟამს იგი რბიოდა, რამეთუ, ვითარცა სვეტი ნათლისა, სჩანდა და ბრწყინავდა. ხოლო ყრმანი ქალაქისანი, ვითარცა ცოფნი, ჰსდევნეს და სტანჯავდეს. ხოლო წმიდა იგი ყოველსავე ულმობელად მოითმენდა. და მრავალგზის ფრიად ჰგვემიან მრავალ სახედ, რომლისათვის ყოველთა უკვირნ ტანჯვასა მას შინა მოთმინება მისი, და იტყოდენ „მაცხოვარო, ნუ გვიჩვენებ, ნუცა მტერთა ჩვენთა ესე ვითარცა ტანჯულსა“, რამეთუ არა უწყოდეს, რომელ მას ყოველსავე ქრისტესათვის თავს იდებდეს! და ეშმაკნი, ვითარცა შავნი ინდონი მათთანა, და იტყოდეს: „ღმერთო! ისმინე ლოცვისა ამათისაცა“ და სხვა ამისი მსგავსი: „ნუღარმცა აღსდგების ხდომად ჩვენდა, რამეთუ ფრიდ სასტიკად მხდომ არს ჩვენდა სიფიცხლისა მისისათვის ვერ შემძლებელ იყო მსახურებად უფალთა თვისთა, და ამისთვის მოიგონა სალოსობა ესე და ემღერის სოფელსა“. და ამას ყოველსა ხედვიდის ღირსი იგი დედაკაცი და ესმოდა რაოდენიცა მიამთხვიან კაცთა მათ, სწერდეს ეშმაკნი. ესმა კვალად დედაკაცსა მას ხმისაგან ეშმაკთასა, რომელნი იტყოდეს: „რამეთუ ესე არს ჩვენი ნუგეშინისცემა, რომლითა ვირგებთ, რამეთუ, რომელნიცა მას სცემენ და სტანჯავენ, იგინი სულსა თვისსა ავნებენ, ჩვენსა ნებას იქმან და ჩვენ შეგვეწევიან“. ესმა რა ესე წმიდასა ანდრიას, ჰრქვა ეშმაკთა მათ, ნუ სწერთ მაგას თქვენთანა, რამეთუ მე ვედრებულ ვარ ღმერთისადმი, რათა მტანჯველთა ჩემთა არა შეერაცხოს ცოდვად, რომელსა იქმენ ჩემზედა! და ვითარცა ესე სიტყვა აღასრულა მან ეშმაკთა მიმართ, იხილა დედაკაცმან ცანი განხმულნი და კაცი ერთი ბრწყინვალე გრძელი (მაღალი), ჰასაკითა მდგომარე ბჭეთა ცისათა, და მიერ გამოვიდოდეს ფრინველნი შვენიერნი და შორის მათსა ტრედი ერთი სპეტაკი, რომელი მოვიდა ზედა ანდრიასა და დაჯდა თავსა მისსა. და მისცა რტო შვენიერი ნერგთაგან სამოთხისათა სავსე სუნელებითა, რომლისა სუნელებამან აღავსო ყოველი

იგი ადგილი და ჰრქვა: „მიიღე ესე, რომელი მოგანიჭა მეუფემან ყოველთამან“ და ტრედი იგი იყო ვითარცა ოქრო წმინდა, და თვალი აქვნდეს მარგარიტისა სახენი, და თავსა მისსა ზედა ჯვარი ყვავილისა მრავალ ფერისა, და გარემოს მისსა ფრინველნი გიხმობდეს ტკბილად და ხმა შვენიერად რაჟამს განიცადა ესე ყოველი დედაკაცმან, განჰკვირდა და თქვა, დიდება შენდა ღმერთო, ვითარნი დაფარულნი მონანი გასხენ ქვეყანასა ზედა და არა უწყიან კაცთა! და ენება დედაკაცსა მას, რათამცა გამოაცხადა საქმე მისი და ვერ უძლო აღმოთქმად. შეემთხვია დედაკაცსა მას წმიდა ანდრია სხვასა დღესა და ჰრქვა: დედაკაცო დაიცევ, რა იგი იხილე და ნუ ვის უთხრობ ცხოვრებასა ჩემსა. ჰრქვა დედაკაცმან მან: „წმიდაო ღვთისაო, ვერ შემძლებელ ვიქმენ ვისამე თხრობად, რამეთუ არა ძალმიძს, არამედ გევედრები, ლოცვა ჰყავ ჩემთვის მაცხოვარისა მიმართ, რათა ვჰპოვო შენდობა ბრალთა ჩემთა დღეს მას განკითხვისასა, და წარვიდა თვისსა საქმესა.

თავი ორმოცდამეთერთმეტე

ღირსი ეპიფანე ევედრა წმიდასა ანდრიას, რათა ითხოვოს მისთვის მადლი ღვთისაგან წინასწარმცნობელობისა, და იქმნა ეგრეთ. რამეთუ მოეცა მას მადლი ლოცვითა წმიდისა ანდრიასათა. და იხილის რა კაცი, სცნის მისთანა კეთილი, გინა ბოროტი. რამეთუ ისმენს ღმერთი თხოვასა მვედრებელთა მისთასა, ვითარცა წერილ არს: „ნება მოშიშთა მისთა ჰყოს ღმერთმან და ლოცვანი მოშიშთა მისთანი ისმინეს და აცხოვნეს იგინი“. იყვნეს გლახაკნი ვინმე მეუღლენი. მახლობელად სახლსა ეპიფანესა და არა ესვა მათ წულნი შვილნი, არამედ რაოდენიცა ესვათ, ყოველნივე ქალნი იყვნენ. და იურვოდეს და ევერდებოდეს ღმერთსა შვილისთვის წულისა (ვაჟისა). დღესა

ერთსა წარმოვლიდა ეპიფანე მახლობელად მის დედაკაცისა. ხოლო (დედაკაცი) იგი აღსდგა და თაყვანისცა. ჰრქვა მას ეპიფანე: „გიხაროდენ დედაკაცო! რამეთუ წული (შვილი) გტვირთავს მუცელსა შენსა და სახელი მისი ეწოდოს ბასილი“. ხოლო დედაკაცი იგი აღივსო სიხარულითა და სთქვა დიდება ღმერთსა, იყავნ სიტყვისაებრ შენისა, წმიდაო ღვთისაო! და ვითარცა მოიწია ჟამი შობისა, შვა დედაკაცმან ყრმა წული. და ოდეს ნათელსცეს, მიმქმელ ექმნა ეპიფანე და უწოდეს სახელი მისი ბასილი.

კვალად იყო ეპიფანე სახლსა ვინმე მეგობრისა მისისა, ხოლო ცოლი მისი იყო მიდგომილ და იგვემებოდა ფრიად და ვერ შვა. მაშინ შეუვრდა დედაკაცი იგი და ეტყოდა: „შემიწყალე მე, მონაო ღვთისაო, და ლოცვა ჰყავ ჩემთვის“!

ჰრქვა მას ეპიფანე: წარვედ მშვიდობით, დედაკაცო და ნუ გეშინინ, რამეთუ ღმერთი არს შენთანა! აჰა ეპისკოპოსი გიტვირთავს მუცელსა შენსა და შვა მშვიდობით. და განსწავლო მშვიდობით სიბრძნესა და ღირს იქმნას იგი პატივსა ეპისკოპოზისასა მიღებად!

კვალად სხვასა ჟამსა სჯიდა ვინმე შვენიერი, რომელი წარვლიდა. და იხილა მის ზედა წერილი, ვითარმედ „შემდგომად სამისა დღისა აღესრულების“. და ეპყრათ კაცთა ვიეთმე ნამგალი და ელოდეს აღსრულებად სამთა მათ დღეთა, რათა მოჰკვეთონ იგი და აღიღონ სული მისი. იხილა რა ეს ეპიფანემ, ცრემლეოდა ფრიად და ჰრქვა მას: „იხილე, ძმაო, რამეთუ შემდგომად სამისა დღისა განხვალ სოფლით. წარვედ და აღიარენ ბრალნი შენნი და ცოდვანი!“ და შემდგომად სამისა დღისა აღესრულა ჭაბუკი იგი. ესე ვითარ მადლი მოეცა ეპიფანეს მადლითა და ვედრებითა წმიდისა ანდრიასითა წინასწარ ცნობითა და სასწაულთასა!

თავი ორმოცდამეთორმეტე

აღიღო შური ეშმაკმან ეპიფანესათვის, რათამცა განხრწნის სიწმინდე მისი. რამეთუ ხედვიდა კეთილთა მათ საქმეთა მისთა და მადლითა, რომელი მონიჭებულ იყო მისდა წინასწარ ცნობისა და მიავლინა მთავარმან ბოროტმან და უკეთურმან მსახურნი იგი თვისნი. და მიართვეს მას ბრძოლა წარვიდა ძიებად ანდრიასა. ჰპოვა იგი და მიუთხრა მას ყოველი.

ხოლო მონამან ქრისტესმან ჰრქვა: „იხილე შვილო ეპიფანე ვითარი მადლი მოგანიჭა შენ მეუფემან დაფარულთა ცნობისა? ხოლო სცნა რა ეშმაკმან ესე ვითარი მადლი შენ შორის, და შენ აღზავენ მას ზედა, ამისთვის მოუშვა შენ ზედა ღმერთმან, რათა დამდაბლდე და შერაცხო თავი შენი, ვითარცა არა რაჲ. რამეთუ უკეთუ არა შეგვეწიოს ღმერთი, ვერას შემძლებელ ვართ და არცა რა ძალგვიძს ბრძოლად მისსა (ეშმაკისა). რამეთუ ყოველი ძალი ჩვენი ღვთისა მიერ არს. აწ უკვე წარვედ ეკლესიასა წმიდისა მოწამისა აკაკისა და ჰპოვო მუნ ხუცესი ეკლესიისა. და რა ჟამს აღასრულოს ჟამის წირვაჲ. წარვალს სახიდ თვისად და ნუ მიხ-ვალ მისსა ორგულებით, არამედ მდაბლად და შემუსვრილებით. ხოლო ესეცა უწყოდე, რამეთუ ხუცესი იგი უღირს არს და არა წმიდა, და არა გარდამოვალს სამწყსოსა მისსა ზედა სული წმიდა, რამეთუ ასწავებს მათ ბოროტსა. მივედ მისსა და აღუარე ბრალი შენი და არქვ, თუ ვითარ გბრძავს ეშმაკი, და მან მოგითხრნეს და აღგიარნეს ბრალნი და ცოდვანი თვისნი, და მანცა ჰპოვოს მოტევება და შენცა განისვენო ბრძოლისაგან და აღესრულოს სიტყვა იგი მაცხოვრისა შენ მიერ „მოვიდეს მთავარი იგი ამის სოფლისა და ჩემთანა ბრალი არა რაჲ ჰპოვოს“. რამეთუ, რაჟამს აღვესრულებოდეთ, მოვალს მთავარი იგი ეშმაკთა და ეძიებს საქმეთა და ცოდვათა ჩვენთა, და რაჟამს ჰპოვოს კაცი უნანელი, მიღებს მთავრობასა მას ზედა, რამეთუ ხელი ღმერთისა მცველ

არს კაცისა. და ეგოს რა მოუქცეველად და უნანელად, აღიარებს ღმერთი მისგან საფარველსა და შეწევნასა მას მისსა და მაშინ უფლებს (მას ზედა) ეშმაკი. ნეტარი არს კაცი იგი, რომელმან გულისხმაჰყოს შიში ღვთისა და მოელოდეს განკრძალულად დღესა მას მეორედ მოსვლისა მისისასა. რამეთუ მარადის გვიღირს მოხსენება. შვილო, დღისა ამის! ნეტარ არს კაცი იგი, ოდეს მოვიდეს მთავარი იგი ამის სოფლისა და მისთანა ჰპოვოს არა რაჲ ბრალი და ვერა რაჲ ირგოს მან კაცისა მისგან, არამედ ანგელოსმან წარიყვანოს იგი სუფევისასა საუკუნესა“.

თავი ორმოცდამეცამეტე

კვირიაკესა ცისკარსა წარმოვლიდა კაცი ვინმე შერაცხილ-თაგანი (წარჩინებული) და მოვიდოდა პალატად. შეემთვხია მას წმიდა ანდრია და გააცხადა. მერმე ჰრქვა: „საწყალობელო რად შეაგინე ღამე ესედ წმიდა ქრისტეს აღდგომისა და არა შეიშინე მისგან? რამეთუ ყოველთა ქრისტიანეთა უღირს კრძალულად დაცვა მისა, და აწ ბაყლიანთა (ჩირქიანი, უწმინდური) გვამითა მიხვალ და შეაგინებ პალატსაცა!“ ხოლო კაცი იგი განჰკვირდა, რამეთუ ღამესა მას დაცემულ იყო უცხოსთანა დედაკაცისა. და უთხრობდა მოყვასთა თვისთა, ვითარმედ რაიცა მექმნა წუხელ მომითხრა მე იმან სალოსმან. მიერითგან შევიდა გულსა მისსა სარწმუნოება წმიდისა მიმართ და გულისხმაჰყო, ვითარმედ ცნობა ესე ღვთისა მიერ აქვს. ჰკითხა ნეტარსა ანდრიას ეპიფანემ რაი უყო ცდომა კაცისა მის, რომელ ესე ამხილე ერსა შორის? ჰრქვა მას წმიდამან: „შვილო ჩემო! მე პირველ ცისკრის დარეკისა, ვიხილე დედაკაცი ვინმე ვითარცა დედოფალი (მორთული მდიდართა) შემოსილი დიდებითა და მაგას კაცსა მოჰყვებოდა, აბრალებდა და ეტყოდა: „სიძვის მოყვარეო, არა კმა გეყოა სრული შვიდეული ერთი? არამედ მოვედ განხრწნად

ჩემდა კვირაძალსა ამას? უწყოს მეუფემან ჩემმან ვერღარა ჰქმნე კვალად! და უკეთუ იკადრო არღარა გაუფლო ცხოვრებად!“ და მე, შვილო ჩემო, შემეწყალა კაცი იგი და ვამხილე, ნუ უკვე (ეგება) განეყენოს ბოროტსა მას საქმესა და შეინანოს, რამეთუ ღმერთი მოწყალე არს!

თავი ორმოცდამეთოთხმეტე

ჰკითხა ეპიფანემ ანდრიას და ჰრქვა: გევედრები მამაო, რათა მაუწყო, თუ რაჲ არს სული კაცისა? დაღაცა თუ ვიცი, მცირედ, არამედ არა ეგრე, ვითარცა სიწმიდემან შენმან.

მიუგო წმიდა ანდრიამ: „შვილო, ესრეთ გულისხმა ჰყავ, რამეთუ სული ღმერთი არს ხორცთა და ნაწევართა ძალსა შინა სულისასა და რაჟამს განეშოროს სული ხორცთაგან, ხორცნი ესე დაშთნენ, ვითარცა თიხანი უხმარნი“.

ჰრქვა ეპიფანემ: ვუწყი ეგე მეცა, წმიდაო მამაო. არამედ გკითხავ, თუ ვითარი სახე აქვს და ანუ ვითარსა მსგავსებასა მიიღებს, რაჟამს განეშოროს ხორცთაგან, ანუ ვითარ იცნობების მართლისა სული, ანუ ცოდვილისა სული, ამისა მნებავს მე უწყება.

მიუგო წმიდამან ანდრია: „სახე სულისა არს შვილო სატვირთავად მსუბუქი და ბრძენი, უნივთო, გონიერი, მყუდრო, ტკბილი, მშვიდი, შვენიერი და წმიდა, და ჰსურის მას ხილვად და ყოფად ანგელოზთა თანა, რამეთუ პირველ, რაჟამს ნათელს იღოს კაცმან, არს გაბრწყინვებულ, ვითარცა მზის თვალი და რაჟამს აღორძინდებოდის, ვითარცა სახითა მოქალაქობდეს, მათცა სახითა შეიმოსების სული იგი კაცისა მას, და განსპეტაკდების და უკეთუ ბოროტად წარვლნეს დღენი თვისნი, სული მისი უშვერ და შავ იქმნების და სული მართალთა, რომელიმე ბრწყინავს, ვითარცა მზე, და რომელნიმე, ვითარცა მთოვარე და

რომელნიმე ვითარცა ნათელი, რომელნიმე ვითარცა ელვა და რომელნიმე, ვითარცა ოქრო, რამეთუ ვითარცა ვინ ისწრაფოს საქმისა კეთილისა მოგებად, ეგრედ სახედცა სული მისი მიიღებს ფერსა და შვენიერებასა. და რომელნი უდებ იქმნეს, ეგრეთვე დააბნელებს, ვითარცა რკინა შავი და ცივი. რაჟამ შევიდეს იგი ცეცხლსა, განხურდების და ნაბერწყალი გამოეცემის, ეგრეთ სახედ არს სული. რამეთუ ჩვენ ვართ, ვითარცა რკინანი შავნი. და უკეთუ შევუდგედ სიწმიდესა, ლოცვისა, მღვიძარებასა, მოწყალებასა, სიმდაბლესა და განვახურვოთ (აღვაფრთოვანოთ იგი) სული თვისი, იქმნას იგი, ვითარცა შანთი ბრწყინვალე და აცხოვნოს იგი, რამეთუ დასაბამსა შექმნა ღმერთმან კაცი თიხისაგან და შთაბერა მას სული ცხოველი. და იქმნა კაცი სულად ცხოველად და ბრწყინვიდა, ვითარცა მზე. ხოლო, რაჟამს ეუფლა ცოდვა და განმრავლდა, მიერიდგან იწყო სულმან კაცისამან დაბნელებად. რამეთუ კაცი, დაცემული ცოდვათა მიერ, მსგავსი არს ღორისა, რომელი იწუნპებოდეს მწვირესა მყრალსა და რაჟამს განვიდის იგი ხორცთაგან, მსგავს არს იგი გონჯისა, სავსესა მღიერითა (საშინელი მუნი). და სული ძვირის მოხსენისა საშინელ არს.

და განიკითხოს კაცად-კაცი და წარივლინეს სადგურითა საუკუნეთა: კეთილის მოქმედნი და მართალნი შვებას და განსვენებასა დაუსრულებელსა, ხოლო ბოროტის მოქმედნი და ცოდვილნი საუკუნესა ბნელსა და ცეცხლსა უშრეტსა. კვალადცა ხორცნი შეიცვლებიან და ჰგიან განუხრწნელად სატანჯველისათვის, ვითარცა იტყვის წმიდა იგი გრიგორი ვითარმედ „აღსასრული საუკუნოჲსა მის მოსაგებელისა არღარა არს, არცა კეთილისა და არცა ბოროტისა უკუნითი უკუნისამდე“.

თავი ორმოცდამეთხუთმეტე

ჰკითხა ეპიფანემ ანდრიას - მაუწყე მამაო, ანგელოზთათვის, თუ ვითარ მოვლიან და განაგებენ ქვეყანას?

ჰრქვა ნეტარმან: „ანგელოსნი ქართანი, და ელვისანი, და თოვლისანი, თუ თრთვილისა ზამთრისანი, და ჰაერისანი, და გამგებელნი ქვეყანისანი, რამეთუ ვითარცა არიან ხორციელნი ქვეყნისა სახმარნი, ეგრეთვე ზეცათა შინა უხორცონი თითო სახედ“.

ჰკითხა ეპიფანემ ყოველნი მხედრობანი ზეცისა ძალთანი ერთითა სახითა არიან, თუ განყოფილ არიან, ვითარცა ხორციელნი?

მიუგო ნეტარმან: „უკეთუმცა ერთსახედ დაბადა, არა რა შეუძლებელ იყო მის მიერ დაბადებაჲ, არამედ ესრეთ სახედ დაჰბადა, ვითარცა ხორციელნი და განაწყენა დასად-დასად. ხოლო ესევე უწყოდე შვილო, ხილვა ქვეყანისა და სახე კაცისა არს შვენიერ, რაიცა დაბადა ღმერთმან. ამისთვის თვით თავადმან ხორცნი კაცობრივნი შეისხნა ქალწულისაგან და განაშვენა იგინი, ხოლო ძალნი საყდარნი, უფლებანი, ხელმწიფებანი და ძალნი, მთავრობანი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი და ყოველნი მხედრობანი, უხორცონი ანგელოზთანი. ხოლო სამოელ თვისითა უკეთურებითა იქმნა ეშმაკ და გარდამოვარდაო ზეცით. არამედ სიტყვა იგი, რომელი გესმს მისთვის, თუ ადამს არა თაყვანის სცაო და მისთვის გარდამოვარდაო ზეცით, ნუ გრწამს! არა არს ესრეთ, არამედ აღიღო შური დიდებისათვის ღვთისა და განიზრახა შორის გუნდისა თვისისა განდგომილება და სთქვა: „დავიდგა ღრუბელთა ზედა საყდარი ჩემი და ვიყო მე მსგავს მაღლისა და ვსუფევდე, ვითარცა იგი და რაჟამს გულსა მოაგონა ესე ვითარი, მეყსეულად გარდამოსთხია იგი (ღმერთმან) განმზრახთა მისთა თანა, და იქმნეს ყოველნი ეშმაკ.

რამეთუ ოდესმე იყო სამოელ დიდი ანგელოზთა მთავარი და ეწოდებოდა სახელი ეოსფროს. და ვითარცა გარდამოვარდა მსახურთა მისთათანა, მიერიდგან სახელი ეწოდა ეშმაკი და სატანა. ხოლო ზეცისა განწყობილნი ათორმეტნი დასნი, რიცხვით თუ რაზომი არს დასი, ვინ შემძლებელ არს აღთვლად? რამეთუ მიუწთომელ და უთვალავ არიან, ვითარცა ჟამსა ვნებისასა. ჰრქვა მხოლოდშობილმან პეტრეს, თავსა მოციქულთასა, ვითარმედ „არა უწყი პეტრე, რამეთუ მყვანან ათორმეტნი დასნი ზეცისა განწყობილთანი, რათამცა ვსძლიე? არამედ ვსულგრძელობ, რათა წერილი აღესრულოს“. და რომელნი იგი გარდამოცვივეს ზეცით, დასი მეთორმეტეჲ, მათსა ადგილსა აღავსებს რიცხვისაგან მართალთასა, რათა მიწისაგანმან დაიმკვიდროს ადგილი იგი ზეცისა, და ესე არა თუ ღირსებისათვის კაცისა, არამედ გარდამეტებულითა სახიერებითა ღვთისათა.

თავი ორმოცდამეთექვსმეტე

ამის შემდგომად უპყრა ხელი ეპიფანემ ნეტარსა ანდრიას და წარიყვანა ეკლესიასა წმიდასა აღათინიკესა, და დასხდეს მუნ ადგილსა ფარულსა. და იწყო ეპიფანემ კითხვად მისსა და ჰრქვა: ამის ყოვლისათანა მაუწყე, მამაო პატიოსანო, პირველ ყოვლისა შესაქმისა, რაჲ შექმნა ღმერთმან უწინარეს?

მიუგო წმიდამან: „ესე უწყოდე შვილო, ყოვლისა უპირატესად, რამეთუ ღმერთი დაუსაბამო არს, ვითარცა იტყვინ იოანე, ძე ქუხილისა. პირველიდგან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღვთისათანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი“. ხოლო დასაბამსა არა რა იყო ქმნულთაგანი, გარნა ღმერთი მხოლო, სამებით დიდებული მამა, ძე და სული წმიდა, და დუმილი იყო და მყუდროებაჲ. მერმე განიზრახა შესაქმე ქვეყანისა, რომელსა ესე ვხედავთ და ნისლი, და ჰაერი, და ღრუბელი, ვითარცა იტყვის

წმიდა ბასილი ექვსთა დღეთა თარგმანებასა შინა, ყოველივე ესე ხილულნი ნაყოფნი და ხენი და მცენარენი ქვეყანისა, და ყოველი იძვრისი (მოძრავი) და მერმე მნათობნი, და ყოველი ესე ხილულნი და უხილავნი ვითარცა გვასწავებს პავლე, ვითარმედ „მის მიერ დაებადნეს, რამეთუ მან სთქვა და იქმნეს, თავადმა ბრძანა და დაებადნეს. რამეთუ სიტყვამან ღვთისამან, პირველ საუკუნეთა და სულისათანა მყოფმან შექმნა ყოველივე და უკანასკნელთა ჟამთა ჩვენისა ცხოვრებისათვის ჯერ იჩინა (ნება იბოძა) შესვლა საშოსა ქალწულისაცა და ვითარცა კაცი ლიტონი (უბრალო), იხილვა ქვეყანასა ზედა.“

ჰკითხა ეპიფანემ მოკლედ მითხარ მე, რაჲ ძალი აქვს სოფელსა ამას, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი „წელიწადთა მისთა არა მოაკლდეს, რომელი განუწესნა ღმერთმან პირველიდგან და რომელნი არიან მას ზედა?“

მიუგო წმიდამან: „არცა მზესა, არცა მთოვარესა, არცა ვარსკვლავთა, არცა წვიმასა, არცა ქარსა არა მოაკლდების, არამედ ყოველნი ესე იმსახურებიან და წესისამებრ მათისა მონებენ კაცთა სახმარსა, ვითარცა ებრძანა მათ, მოუკლებელად რვა ათასსა მას წელსა. და არს ჰამო ფრიად სოფელი ესე, გარნა მოყვარეთა თვისთავე, ხოლო შეეწევის ღვთის მოყვარეთაცა საქმესა კეთილისასა, რათა კეთილად და სიბრძნით განაგონ იგი, რაჟამს ადამ დაიბადა ღვთისა მიერ პირველსა წელსა მერვე ათასისა, მისცნა ანგელოზნი მცველად და აწ ყოველსა კაცსა ქრისტიანეთა ანგელოსი ჰყავს მცველად, ხოლო წარმართთა ყოველთა ნათესავთა თითო, რათა უძღოდეს აღსასრულამდე სოფლისა. ხოლო რაჟამს აღესრულნეს რვა ათასნი წელნი მოავლენს ღმერთი სულსა საშინელსა ქვეყანასა ზედა. და შეირყევის ქვეყანა და ყოველნი კაცნი განახლდებიან. რამეთუ სული იგი ყოველღა ნასხმათა შესძერწავს ერთად და დაეცეს საყვირსა და ყოველნი იგი მკვდარნი აღსდგენ დაუკლებელად

საქმითა მათითა კეთილითა, გინა ბოროტითა და მას ჟამსა გარდამოხდეს მსაჯული, არამედ გარდამეტებულითა მოწყალე-ბითა მისითა. რამეთუ, ვინაიდგან ღვთაებასა მისსა თანა შეეზავა კაცება და საყდართა დასვა მარჯვენით მამისა, რაიღა იჭვიმცა იყო, ანგელოზისათანა წმიდათა მოდასე ყოფად? არამედ ჭეშმარიტ არს და მტკიცე სიტყვა ესე, რათა სამოელის სადგური პირველი დაიმკვიდრონ კაცთა ცათა შინა“.

ჰკითხა ეპიფანემ: მესამედ რაჲ დაჰბადა ღმერთმან შესაქმესა შინა?

მიუგო ანდრიამ: „მესამედ დაბადა ქვესკნელი ბნელი საყოფელი სამოელისა, წყაროები და მდინარენი, ცეცხლი და ნისლი. დასაბამსა მხოლოდ ოდენ სული ღვთისა იქცეოდა ზედა წყალთა. ესე სახედ იქცეოდა სული ღვთისა, ვითარცა ქარი და სამშვინველი (ნიავი მაცხოვნებელი) და აღავსებდა წყალთა მათ ნაშობითა წყლიერთათა. ვითარცა სახედ ფრინველნი რაჲ ატფობნ მართვეთა, ეგრეთ სახედ მისცემდა მათ ცხოვრებასა და კეთილად განაგებდა.“

ჰკითხა ეპიფანემ - რაჲ არს თარგმანი სამებისა წმიდისა, ანუ ვითარ სახედ ვირწმუნოთ მამა, ძე და სული წმიდა?

მიუგო წმიდამან: „იხილეღა (ჯერ) აღშენებულება კაცთა და მერმე გეუწყოს. ბუნება კაცისა არს უხილავი - მამა და სიტყვა კაცისა, საცნაური და ცხადი, არს მსგავსი ძისა და სული კაცისა, უხილავი, არს მსგავსი სულისა წმიდისა, რომელსა აქვს მოგონება და სიტყვის გამოცხადება, და გამოცხადებულისა აღსარებაჲ და მათ სამთაგანვე ერთი იქმნების კაცი და უკეთუ ამათ სამთაგანი რომელიმე აკლდეს, არა არს იგი სრული კაცი. და ესრეთ სახედვე არს ერთარსება სამებისა წმიდისა და მით სახით მსგავს არს ერთობა კაცისა საფუძველითა გონებისათა და სიტყვითა. რამეთუ სხვა არს სიტყვისა, ხოლო სამნივე ერთ არიან, და ერთ განზრახვა, და ერთ ნება, თვინიერ (გარდა)

ხორცთასა. ერთ სახედვე ჰპოვო ერთობაჲ სამებისა წმიდისა. სული ღვთისა, ბუნება მამისა და სიტყვა მხოლოდშობილი ძე მისი. რამეთუ ამათ სამითგან სახეთა არს განგება და ღვთაება და არს განუყოფელიცა და შეურევნელი. მამა არა იცვალების ძედ, ანუ სულად, არცა ძე სულად, ანუ მამად, და არცა სული წმიდა მამად, ანუ ძედ, არამედ ბუნება ერთ არს მამისა და ძისა და სულისა წმიდისა: მამა არს მშობელი, ხოლო ძე არს შობილი და სული წმიდა არცა მშობელი და არცა შობილი, არამედ მხოლოდ მამისგან გამომავალი, თანასწორი ხელმწიფებითა და სუფევითა.

ჰკითხა ეპიფანემ ანდრიას: ნეტარო მამაო, კაცთაგანსა ვის უხილავს ღვთაება, ანუ მსგავს არს კაცისა?

მიუგო წმიდამან: „ნუ იყოფინ! რამეთუ ღვთაება არავის უხილავს! არცა არს კაცისა ხატი არცა ვის ჰგავს. ხოლო ვითარცა ენებოს და რომლითა ხატითა უნდეს, ეჩვენების წმიდათა. და უკეთუ ვინმე უხილავს, ვერვის განუცდია. არამედ მცირედ რაიმე რომელთამე სახედ განუცდია, ვითარმცა ცეცხლი. რამეთუ, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველისა მიერ: „ჩვენებით ძილსა შინა გავუცხადო მონათა ჩემთაო“ და კვალად იტყვის იოანე მახარებელი „ღმერთი არა სადა ვინმე იხილა, გარნა მხოლოდშობილმან ძემან“. ხოლო სამებისა კაცებისათვის ხილვისა წმიდა ბასილი იტყვის ექვსთასა დღეთა შინა, რამეთუ სახლსა აბრამისა იხილვა ხატი კაცისა სამნი, ვითარცა დასწერს მოსე წინასწარმეტყველი“.

ჰკითხა ეპიფანემ: ვითარ უწოდებენ ქრისტესა ღმერთად და კაცად, რამეთუ ღვთაება და კაცება ერთი ძალი არს, და ერთი ღმერთი და კაცი?

მიუგო ნეტარმან: „იტყვის იოანე მახარებელი, ძე ქუხილისა: „სიტყვა ღვთისა განხორციელდა და გვეზიარა ჩვენ და არა განეშორა ღვთაებასა თვისსა, არამედ სიტყვა ღვთისა

ხორცშესხმულ იქმნა ქალწულისა საშოსა შინა და შეიმოსა ბუნება კაცობრივი და არა იცვალა ღვთაებისაგან და ყოვლადვე ჰგიეს უცვალებელად სრული ღვთაებითა და სრული კაცებითა. და ესე კაცობრივნი ხორცნი თვით მოწყალებითა ჩვენისა ხსნისათვის შეიმოსა, არა თუ მას, რათა შეეძინა ღვთაებასა შინა, არამედ კაცება ჩვენი ნაკლულევანი აღავსო.

ჰკითხა ეპიფანემ: ცა ესე, რომელსა ვხედავთ მხოლოდ ესე ოდენ არს, ანუ სხვასა არს მას ზედა?

მიუგო წმიდამან ანდრია: ღრუბელსა ცასა ქვეშე მოწყვედით დამოკიდებულსა, ეგრეთ სახედ ამას ცასა ზედა კერძო ჰკიდავს წყალი, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი: „რომელმან გარდაათხნა ცანი, ვითარცა კარავნი და დართნა წყლითა ზესკნელნი მისნი, დასხნა ღრუბელი აღსავალად თვისა და იქცევის იგი ფრთეთა ზედა ქართასა“.

ჰკითხა ეპიფანემ: ცანი რავდენი არიან, რამეთუ მოსე ერთსა ცასა გვითხრობს?

მიუგო ნეტარმან: მოსე წინასწარმეტყველი ძველად ურიათა ეტყვის: „დასაბამად ჰქმნა ღმერთმან ცა და ქვეყანა“. ხოლო ნეტარი პავლე მოციქული, ქადაგი და ახლისა მის მადლისა გვითხრობს: „ვიცი მე კაცი, რომელი აღიწია ვიდრე მესამე ცადმდე“. აწ მოსე ერთი თქვა, ხოლო პავლე სამთა იტყვის. აწ ვერწმუნოთ პავლეს სიტყვათა, რამეთუ უახლეს ჟამთა გვასწავებს, ხოლო მოსე მრავლისა ჟამისა იყო, და დავით იტყვის: „აქებდით მას ცანი ცათანი“. უწყოდე ძმაო, რამეთუ მრავალ არიან ცანი.

ჰკითხა ეპიფანემ: ცათა ვუწყი, რამეთუ მას შინა მხედრობანი არიან და საყდარნი ღვთისანი, მხოლოდ მინებს ცნობად, ზედა კერძო მათსა რაჲ არს, გევედრები რათა ესეცა მაუწყო.

მიუგო ნეტარმან: „უწყის ღმერთმან, მძიმესა და ღრმასა საქმესა იკითხავ, არამედ ისმინე ჩემი, რომელი ყოველსა ძალსა ცათასა გარდაფენილ არს და ყოველი შეუცავნ და ყოველსა

გარემო არს. ღვთაება მისი არს მამა, და ძე მხოლოდშობილი და სული წმიდა, და საყდარი საშინელი ღვთაებისა არს სიმაღლესა მისსა, და გარემოს მისსა ძალნი ცათანი და ზედა ჰსდგას ჰაერნი ჰამო და ბრწყინვალეჲ, ვითარცა შვენის ღვთაებასა, და ვისაცა ენებოს ცნობაჲ მისი ჰაერის სიშვენიერისა, განიწმიდენ გული თვისი ყოვლისავე ცოდვისაგან, რათა იხილოს იგი, ვითარცა თვით ღმერთი იტყვის: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“.

ჰკითხა ეპიფანემ: შენ ვინა (საიდან) იცი ესე ყოველი, რომელსა იტყვი?

მიუგო ნეტარმან: „რაჟამს განუხვნეს (გაუღოს) ღმერთმან კაცსა თვალნი გულისანი, მსწრაფლ მიიწევის სიღრმესა ცნობისასა“.

ჰკითხა კვალად ეპიფანემ: მაუწყე მე წვიმისათვის ვინა არს, ქვეყანით ამაღლდების, ანუ ზეცით არს ცვარის გამომღებელი?

ჰრქვა ნეტარმან: „ვითარცა იტყვის ღმერთი, ვითარმედ „მშვილდი ჩემი გამოვაჩინო შორის ჰაერთა“. ცის სარტყელი ჩამოდგების ზღვასა, გინა მდინარესა, და ბრძანებითა ღვთისათა აღივსების, ვითარცა თხიერი, წყალითა, და იგი შთაასხამს ღრუბელთა შინა. რამეთუ სიტფონი იგი აღვალს ჰაერთა, და ქარნი შემოკრებენ ღრუბელთა და მოსდგამენ გარემოს ცისარტყელისა ღრუბელთა მათ, ვითარცა ზღუდესა და იგი შთაასხამს საშუალ წყალსა მას, და ღრუბელნი სიმძაფრისაგან ეცემიან ურთიერთარს და გამოვალს ქუხილი, და ესე პირველ მოახლებადმდე წყლისა ღრუბელი ქუხს ხმელად. ხოლო რაჟამს მიეახლნენ ღრუბელნი წყალსა და აღივსნენ სიპონგარხი, მიერითგან იწყებს წვიმად, სადაცა ენებოს. და ვითარცა დაილიოს წყალი მის ადგილსა, ღრუბლითგან გამოსცემენ მერმე ქუხილსა წყალ მოკლებულნი იგი ღრუბელნი, და სხვა ადგილი აღივსების წყლითა, რამეთუ ადგილ-ადგილ დგას წყალთა სიმრავლე და ქარი მძაფრი აღმოიღებს წყალთა მათ და აცრევს,

ვიდრემდის ყოველივე მორწყოს, რომელიცა ღმერთისაგან ებრძანოს ანგელოზსა მას, რომელი ამას ყოველსა განაგებს და ოდესმე თვინიერ ქუხილისა ცა წვიმს, რაჟამს ინებოს ღმერთმან, და მოავლინოს ანგელოსი იგი ჰაერითგან და მრავალგზის ქუხს თვინიერ წვიმისაცა, ესე ყოველი ღვთისა განგებითა არს, ვითარცა სათნო იყოს წინაშე მისსა. ხოლო ცის სარტყელი არს აღთქმისათვის, შუამდგომელი, ვითარცა იტყვის მოსე წინასწარმეტყველი, რაჟამს ნოეს აღუთქვა და ჰრქვა: „ვითარმედ ხედვიდნენ კაცნი ცის სარტყელსა. მაღალ არს მშვილდი ცისა, ნუ შეშინდებიან, დაქცევასა ქვეყანისასა არა მივლენ, რამეთუ მოვიხსენებ აღთქმასა მას, რომელი დავსდევ შორის ჩემსა და შორის ქვეყანასა“.

ჰკითხა ეპიფანემ რასათვის უწოდა იოანე მახარობელსა ძედ ქუხილისად?

მიუგო წმიდამან: „მოციქულთაგანმან არა ვინ იქადაგა ესრეთ საკვირველად და ხმა მაღლად ღვთაებისათვის, ვითარ ამან, ვითარმედ „პირველთაგან იყო სიტყვა“.

ჰკითხა ეპიფანემ: რაჲ არს ელვა, ანუ ვინაჲ იქმნების იგი, გინა თუ რომლისაგან გამოვალს იგი, ანუ რა¡ სარგებელი მოგვეცემის მისმიერ?

მიუგო ნეტარმან: „ღრუბელი რომელი მოდგების, ვითრაცა სვეტი ზღვასა ზედა და ტბასა, გინა ადიდებს წყალსა მას ზედა ჰაერთა შინა და წარმოსთხევს მას და აღავსებს ადგილსა, რომელი განწესებულ არს სადგურად წყალთა ბრძანებითა მათ ყოვლისა დამბადებელისათა. და რაჟამს აღავსოს ადგილი იგი, თვით წარვალს ადგილსა თვისსა. წყალი იგი, რომელი არს ტბისაგან, არს მწარე და მარილიანი და მისაღებელად მწიკვლევანი, ხოლო ელვა, რომელი გამოვალს წყალსა მას მწარესა დასწურავნ და დაატკბობს და წურვასა მისსა იელვებს. ხოლო რაჟამს ეგულვებოდის დატკბობა იგი, მოვალს ანგელოზი

ღვთისა ჯვარითა პატიოსნითა და აკურთხებს წყალსა მას. ხოლო ელვა არს კისკასა (სწრაფად მქცევი) და ვითარცა წამი თვალისა მსწრაფლ მოვალს და მსწრაფლ მიეფარის და არს იგი ღვთისაგან განგებულებითვე მიუწდომელითა ქმნილი და მრავალგზის უწვიმრადცა იელვებს და ვერ მისწვდების სიბრძნესა ღვთისასა. ვითა მას უნდა, უქმნიან ელვანიცა და ქუხილნი. ხოლო ჩვენ რაზომნი მივსწვდეთ, ვსთქვათ, და რაჲ ვიხილოთ, იგი ვირწმუნოთ. მან კულა ვითარ იცის, თვით მან უწყის, მხოლომან სამებამან. და ესე ვუწყოდეთ კვალად, შვილო ჩემო, რამეთუ ესე, რომელ ვუწყოდეთ კვალად, შვილო ჩემო, რამეთუ ესე, რომელ ფიცხელ-ფიცხელნი ქუხილნი იქმენ ქარისაგან ძლიერისა, ვითარმედ, რაჟამს ქუხილნი იქმენ ქარისგან ძლიერისა, განიპყრნენ (განიპნენ) ღრუბელნი და იგინი ეცნენ ურთერთარს, მაშინ ხმა იგი ჭექისა ქარისაგან და ღრუბელთაგან გამოვალს, ხოლო სხვანი მოძღვარნი იტყვიან ელვისათვის, ვითარმედ ალი იგი ცეცხლისა, რომელი ჰსდგას ზედა ცასა, რომლისაგანცა ილია ცეცხლი ზეცით გარდამოიღო, მისი ალი გარდამოეცემისო და ვჰგონებ, თუ ეგრეთ არსო და იგი ცეცხლი დამტკიცებულ არს ზეცას და მისი მან იცის და უწყის მხოლომან სამებამან. და ესეცა უწყოდე კვალად, შვილო ჩემო, რამეთუ ესე, რომელ ფიცხელნი ქუხილნი იქმნებიან, მე ესრეთ ვგონებ, ვითარმედ იგი ცეცხლი ფრიად უმხურვალეს არს და მისგან იქმნებიან და მრავალნი ფრიად უმხურვალეს არს და მისგან იქმნებიან და მრავალნი სწამებენ მისთვის. ხოლო ვითარცა ზემო ვსთქუ, ყოველი ღმერთმან მხოლომან უწყის, ხოლო ჩვენ, ვითარცა კაცობრივ ვსთქუთ, იგი ვირწმუნოთ.“

ჰკითხა ეპიფანემ: რაჲ არს მამაო ჭეშმარიტი სიტყვა, რომელსა იტყვიან, ვითარმედ ილია წინასწარმეტყველი არს ღრუბელთა ზედა განმგე და ეტლთა მისგან გამოვალს ხმა ქუხილისა, რამეთუ ჰსძლევს ვეშაპსაო?

მიუგო ნეტარმან ანდრია: „ნუ იყოფინ, შვილო, ეგე ვითარნი, თუმცა ყოვლადვე, რაჲცა იყო (თუმცა მუდამ ადრე სწამდათ, რაჲცა იყო აქნობამდის), ეგე ვითარნი სიტყვანი რამეთუ უმეცართა კაცთა არს სიტყვა ეგე, და გინა თუ მწვალებელთა ანუ უსჯულოთა და ყოველთავე არა ჯერ არს ქრისტიანეთა ეგე ვითართა სიტყვა რწმუნებად, რამეთუ ილია ცად არა აღსრულ არს, არამედ ფრიად პატივსცა ღმერთმან პირველ აქაბ მეფისაზე. და მისცა ხელმწიფება ჰაერთა ზედა ცვარისა და სახმელისა. და აწ ოდესაცა ვის ენებოს, ევედროს, აქვს კადნიერება წინაშე ღვთისა, მიანიჭებს თხოვასა მვედრებელთა მისთასა, გინა წვიმისათვის, გინა სახმელისათვის. ხოლო ცად არავინ აღსრულ არს, გარნა ძე ღვთისა, მხოლოდშობილი, რომელი იგი გარდამოხდა ზეცით და მისცა ცხოვრებაჲ სოფელსა. ხოლო ესე ვუწყით ილიასათვის, ვითარმედ ცხოველ არს (ცოცხალ არს) ხორცითა, ხოლო ადგილი არავინ უწყის, თუ სადა იყოფების და ეგრეთვე იოანე მახარობელი და ღვთისმეტყველი ხორცითა არს. არამედ ადგილი არავინ უწყის, თუ სადა იყოფების და არცა ვინ ღირს არს ჩვენ უღირსთაგანი ხილვად მისსა, ხოლო მართალნი და წმიდანი კაცნი მრავალგზის იხილვენ და ეგრეთვე ენუქ წინასწარმეტყველიცა ცოცხალ არს და იქცევის ერთა შორის და ვერვინ სცნობს, თუ რომელი არს იგი? რამეთუ, სამნი ესე, რომელნი ვახსენენ, ცოცხალ არიან, ვიდრე მოსვლადმდე ქრისტესა ქვეყანად, და მოსვლასა ანტესა, ესენი გამოჩნდებიან საცხადოდ ერსა შორის, და წინააღუდგების და ებრძვიან უკეთურსა მას, და სძლევენ ყოვლითავე სასწაულითა და შემდგომად ამისა მოიკვლიან მის მიერ. ხოლო ვეშაპისათვის, რომელსა იტყვიან თუ არსო და ტეხისა მიერ მოიკვლისო: მეცა ვსწამენ, ვითარმედ ეგრეთ არს, გარნა არს ილიას მიერ იტყვის, არამედ ანგელოსისა მიერ, რომელი არს დადგინებულ ღმრთისა მიერ და ვეშაპისათვის იტყვიან მრავალნი, ვითარმედ არსო:

იტყვის დავითიცა წინასწარმეტყველი: „აქებდით ღმერთსა ქვეყანით ვეშაპნით, და ჭეშმარიტად არს იგი, ვითარცა ბუდე ეშმაკისა, და ტყავი მისი არს ბუნებით, ვითარცა გველისა, ხოლო ემსგავსების ჰასაკსა კაცისასა. და რაჟამს შევიდეს მუცელსა მისსა ეშმაკი განძვინდების და იქმნების, ვითარცა მთა დიდი და ვითარცა კაცი ეშმაკეული, ეგრეთ ბორგს და ვერღარა დაიდგამს ბუდესა თვისსა, არამედ რონინებს ადგილითი ადგილად. და იწყებს ვნებად და ძიებად კაცისა, რათამცა შთანთქას, რამეთუ ყოვლად ბოროტი ეშმაკი მარადის მტერი არს კაცისა.

ხოლო ყოვლად სახიერსა ღმერთსა, რომელი კაცთა ცხოვრებისათვის ყოველსავე უმჯობესსა ეძიებს, ესეცა მოწყალებითა განუგია. მოავლენს ანგელოზსა მას, რომელი არს ტეხისა, და აქვს მას ცეცხლი და დასწევს მას ეშმაკსა ძალითა ღვთისა კაცთმოყვარებისათა, ხოლო უკეთური სული იგი ეშმაკი, რომელ იგი ვეშაპსა მას შინა, რაჟამს იხილოს, ვითარმედ დაიწვის ბუდე იგი მისი, ადიდებს მას (ბუდისა ტყავსა) და ივლტის და ეძიებს ადგილსა, სადაცა დაიმალა და სადაცა მახლობელად მისა იყოს კაცი, მიმართებს მას, რათა მისთანა დაიმალოს და განერეს (გაშორდეს) დაწვისაგან, რამეთუ ესე უწყის მზაკვარმან, ვითარმედ კაცი უყვარს ღმერთსა უფროს ყოველთა დაბადებულთასა და ეწყალვის (სიკეთეს უკეთებს) იგი, რამეთუ ამის მიზეზითამცა განერა კაცისა მისთანა, რომელი შელტოლვილ იყო პირველ ვეშაპსა შორის. ხოლო ყოვლისავე საქმისა მეცნიერმან ღმერთმან უწყის განზრახვა იგი ეშმაკისა და ღონე, რომელი მოუპოვებიან დაცვისათვის ტყავისა თვისისა. ამცნებს ანგელოზსა და ეტყვის: „რაჟამს შეივლტოდეს კაცისა შორის ნუ ჰრიდებ ნუცა კაცსა მას, არამედ დასწვი მოყვარეცა მტერისათანა, გინა თუ მართალი იყოს იგი. გინა თუ ცოდვილი, მან სასყიდელი მართლისა მიიღენ, რამეთუ უსამართლოდ დაიწვა აქავე ამა საწუთოსა, ხოლო ვეშაპი იგი წარვედინ ბნელსა

მას გარესკნელსა ჯოჯოხეთს, და მოყვასი იგი მისი ეშმაკი, და ყოველნი მისნი თანაშემწენი მიეცნენ სატანჯველსა საუკუნესა. ესე ყოველი ამცნო ღმერთმან მთავარანგელოზსა მას ჰაერთა და ქუხილთასა, და ელვათსა, არამედ სადაცა ჰპოვო ეკლესიათა შორის, ანუ სხვასა ადგილსა, ანუ სახლსა, ანუ ნავსა და რაიცა არს ნაქმარი, დასწვი და ნუ რიდებ ვეშაპსა მას, არამედ უჩინო ჰყავ სრულიად ქვეყნით და ეშმაკი იგი, რომელი შევიდა მას შინა, შეჰკარ ბორკილთა და შთახადე ბნელსა ქვესკნელსა, ვიდრე მეორედ მოსვლამდე, რათა მერმე დაისაჯნენ მთავრისა მათისათანა უკუნითი უკუნისამდე“.

ჰკითხა ეპიფანემ: თოვლი ესე, რომელ გარდამოვალს, ვითარ განსპეტაკნების თოვლად?

მიუგო ნეტარმან: „რაჟამს შემოკრბენ ღრუბელნი ყოველსა ერთსა ადგილსა, მოვალს ანგელოსი იგი, რომელ არს თოვლი საუნჯეთა ზედა და განსპეტაკებს, ვითარცა არს ბრძანებულ მისდა ღვთისა მიერ, და ოდეს გამოვიდოდის საუნჯეთაგან თოვლი იგი, ვითარცა ნაკვეთი დიდროვან არიან ძნისაებრ და ქარნი იგი, რომელნი არიან ზე სიმაღლესა, ფრიად სასტიკნი და ძლიერნი არიან და რაჟამს სცენ თოვლსა მას დიდროანსა, დასჭრიან და დააწულილებენ და სიმძაფრისა მისგან (ქარისა) გარდაიქცევის და იქმნების ესრეთ, ვითარცა ვხედავთ“.

თავი ორმოცდამეჩვიდმეტე

იხილეთღა სახიერება და კაცთმოყვარეობა ღვთისა, მიუთხრობელი, ჩვენ ცოდვილთა მიმართ და უღირსთა, თუ რაოდენითა პატივითა პატივს გვცემს, რამეთუ აღიღებს ზღვისაგან წყალთა მწარეთა და დაატკბობს, და მერმე უბრძანებს ღრუბელთა და გვიწვიმებს. და კვალად სხვა ჰაერი მოვალს, და მოაქვს სეტყვა, და სხვა ჰაერი მოვალს და მოაქვს თრთვილი, და

ყოველივე წამის ყოფითა მისითა აღესრულების და არა რაჲ არს, რათამცა დაეფარა თვალთა მისთა დაუძინებელთა, და ხედავს და განაგებს, და უძღვის. ხოლო მრავალნი უგუნურნი არა აღიარებენ ამას და იტყვიან, ვითარმედ განუგებელად იქმნებიანო საქმენი კაცთანი, არამედ ფრიად სცთებიან, რამეთუ არა არს არცა თუ თმა თავისა, რომელ არს კაცსა ზედა, რომლისაცა ღმერთსა არა განეგოს მისთვის.

მესმა, რამეთუ ოდესმე იტყოდეს კაცნი, ვითარმედ „იგი ვინმე უკეთური და უწყალო კაცი არსო და რად კეთილსა შვებასა შინა არსო? და იგი ვითარმე მართალი იყო, რად მოიწივნეს მას ზედა განსაცდელნიო, და სხვა ვინმე რად ბოროტსა შინა მოკვდაო?“ და ამათ ესე ვითართა მრავალსახეთა უნდოდ და უმეცრად იწვრთიან (იტყვიან) და ნებავს ცნობისა მიუწთომელთა განგებითა ღმრთისათა, ხოლო მას არა მოიგონებენ ხურო, რაჟამს აშენებნ, რომელსამე შეშასა განკვეთონ, და რომელსამე განხერხს, და არა ვინ ჰრქვის, თუ რად იქმ ამას? არამედ თქვის, ვითარმედ ესრეთ სახედ ჯერ არს და ეგრეთ სახედ მკურნალნი რომელსამე ჰკვეთენ და რომელსამე სწვენ ცეცხლითა, და სხვათა ამშევენ, და სხვათა აიძულებენ ჭამად, და არა ვიტყვით, ვითარმედ ბოროტსა საქმესა იქმს, არამედ ვიტყვით, ესრეთ სადამე ჯერ არს. ეგრეთ მომავალსა თითოსა სნეულებისასა. ხოლო ღვთის საქმეთა ესრეთვე უგულისხმოდ ვეძიებთ და ჩვენთა საქმეთა არა გამოვიკვლევთ, რომელთა ღმერთი მოგვხიდის (მოგვიკითხავს). და არა მათი, რომელთა ყოვლადვე არა კაცი ეძიებს. ხოლო უკეთუ უკეთურთა განამდიდრებს და მართალთა რომელთამე აჭირვებს, ამისთვის არს ესე, რამეთუ არცა მართალი იპოების, თუმცა არა აქვნდა ცოდვა, და კვალად არცა ცოდვილი, თუმცა არა ექმნა სიმართლე. ამისთვის იტანჯების კაცი მართალი აქვე სნეულებითა და ჭირითა, გინა სიგლახაკითა, რათა აღიხოცოს ყოველივე ცთომა მისი და მუნ არღარა ბოროტი შეემთხვიოს და

კვალად არიან კაცნი ფრიად ცოდვილნი, და აქვნ რაიმე მცირედ კეთილიცა, და მისთვის მისცის ღმერთმან აქა სიმდიდრე, გინა სიმრთელე, გინა შვილნი კეთილნი, რათა მუნ საუკუნოდ არა რა სასყიდელი თანა ედვას მას კეთილსა ნაცვალი, ვითარცა სახედ ლაზარე გლახაკი. რამეთუ აქვნდა ცთომაცა რაიმე, და მით აქა იტანჯა, და საუკუნოდ წარვიდა განმართლებული, და ეგრეთვე მდიდარსა აქვნდა კეთილი საქმეცა, და აქვე მიიღო მისი ნაცვალი შვება და საუკუნოდ სატანჯველად მივიდა, რამეთუ უკეთუ გექმნას კეთილი რაიმე, და აქავე ცხოვრებასა მიიღო ნაცვალი მისი პატივი, ღმერთსა არღარა თანააძს შენი, ყოველი გარდაუხდია აქა. და ეგრეთვე თუ აქა იტანჯო და შეურაცხ იქმნე, ნაცვალი არს ცოდვათა შენთა და საუკუნოდ გიხაროდენ, ამისთვის შვილო ჩემო, ოდეს იხილო მართალი ჭირსა შინა სთქვი, ნეტარ არს იგი, რამეთუ უკეთუ ცთომა რაიმე აქვნდა, აქავე მიიღებს ნაცვალსა მისსა, რათა მუნ წმიდად წარვიდეს, ხოლო უკეთუ უმეტეს ადრე იტანჯოს, განუმრავლებს სასყიდელსა მისსა ტანჯვა იგი მისი, ვითარცა სახედ იობ მართალი წმიდა იყო და იტანჯა ფრიად, რათა მუნ უმეტესად იდიდოს, და კვალად რაჟამს უსჯულონი და ბოროტის მომქმედნი კაცნი ტანჯვასა შინა იხილნე, ეგრეთ სახედვე გულისხმა ჰყავ, ვითარმედ მიიღებენ აქვე, უკეთუ კეთილი საქმე რაიმე უძღოდა, რათა მუნ უწყალოდ იტანჯნენ. ეგრეთ სახედ სხვისა ყოვლისა კეთილისა უმჯობესად განაგებს ღმერთი, რომელსა ჩვენ ვერ მივსწვთებით გულისხმის ყოფად. და ჩვენ, რომელიცა ვიხილოთ კეთილი, გინა ბოროტი, მადლობით თანა-გვაძთ შეწყნარებად და არა გამოძიებად ესე ვითართა საქმეთა, რომელსა ღმერთი თვისითა სიბრძნითა განაგებს. და ესეცა არს მრავალთა კაცთა შორის უსუსურთა, რაჟამს შეემთხვიოს ვნება, ანუ ჭირი ხორციელი, იწყებენ დრტვინვად (ამბოხებად) და სულმოკლებად. ამის მიერ სასყიდელი მათ წარუწყმდენ უთმინოებითა მათითა

და უფროსად განაფიცხებენ განსაცდელსა მას მოწევნულსა მათ ზედა, და უკეთუ იყოს კაცი გონიერი, უფროსად ჯერ არს მადლობა და დიდება ღვთისა, რათა ესრეთ განსაცდელიცა იგი აღესუბუქებოდეს და სასყიდელიცა დიდი მიეცეს ღვთისაგან მოთმინებისა. და უკეთუ კაცი ლმობიერად და გულსმოდგინედ ღმერთსა ევედრებოდეს განსაცდელსა შინა, დაღათუ ცოდვილ იყოს, ღმერთი სახიერებითა თვისთა ისმენს ვედრებასა მისსა და ჭირისა მის წილ, რომელი განუმზადა მოწევნად მისს ზედა სულიერი, გინა ხორციელი, მისგან გამოიხსნის ყოველივე კაცისა ნებასა დაიმორჩილა ღმერთმან. თუ უნდეს ცხოვნდების და თუ უნდეს წარწყმდების. თვით მფლობელი ბუნება მისცა და ამისთვის სასჯელსა თანამდებ არს, უკეთუ სცოდოს, რამეთუ რა უნებლიეთ სცოდავს, არამედ ნებსით და ეგრეთვე უკეთუ ქმნეს სიმართლე, მადლი მიიღოს, რამეთუ მან გულსმოდგინება აჩვენა. ხოლო ღმერთმან ძალი მისცა და ყოველივე მადლსა ღვთისასა უპყრიეს, და მისითა შეწევნითა განაგებს და ჩვენ არა გვიღირს გამოწვლილვა რომელსამე გულის საქმეთა ჩვენთა, გარნა ოდენ სულისა ჩვენისა ზრუნვა“.

ხოლო რაჟამს აღასრულეს სიტყვა ესე, ევედრა ეპიფანე ანდრიას, რათა წარვიდენ ზოგად ეკლესიასა წმიდისა მოწამისა აკაკისსა, და ევედრნენ მას, რათა შუამდგომელ ექმნეს წინაშე ღმრთისა, რამეთუ დიდი მთავრობა აქვს მას და კადნიერება წინაშე ღვთისა. ჰრქვა ანდრიამ: „მე სულითა ყოვლადვე შენთანა ვარ, ხოლო შენ წარვედ და, რაჟამს შეხვიდე, ნუ მრავლისმეტყველებ, არამედ ლმობიერად და შევრდომით ითხოვდი წყალობასა, და ცრემლითა მხურვალითა ევედრე-ბოდე მოწამესა ქრისტესა და არა უგულებელსჰყოს ვედრება შენი“. ხოლო ეპიფანემ ამბორს უყო ფერხთა მისთა და წარვიდა.

თავი ორმოცდამეთვრამეტე

ხვალისა დღე იყო დღესასწაული წმიდისა იოანე ნათლის-მცემელისა, და წარვიდა ეპიფანე ეკლესიასა მისსა. და აღასრულეს რა წმიდა ჟამის წირვაჲ და განუტევეს ერი, წარვიდა მიერვე ეპიფანე მარხული ეკლესიად წმიდისა მოწამისა აკაკისსა. და იყო ჟამი დღისა მის ვითარ მეშვიდე, და ჰპოვნა კარნი ეკლესიისანი დაკრძალულნი და გარეშე ჰსდგა ეპიფანე ლოცვად და იწყო ცრემლითა ვედრებად წმიდისა მოწამისა და იტყოდა: „წმიდაო და ახოვანო მოწამეო ქრისტესო! ნუ განმიტევებ უკურნებელად“ და დაადგრა მუნვე რეკადმდე და ვითარცა განახვნეს კარნი, შევიდა იგი პირველ ყოველთასა და მოეხვია სამარტვილოსა წმიდისა მოწამისა აკაკისსა და იტყოდა „ყოვლად ბრწყინვალეო მოწამეო ქრისტესო! რომელსა გაქვს ქრისტესმიერი მონიჭებული მადლი სოფლისა და კაცთა განგებად, შემიწყალე მე, უძლური ესე და შებრალული ცოდ-ვითა უფროს ყოველთა კაცთასა, და დამიცევ მე მარჯვენითა მაღლისა ღვთისათა, და განსდევნე ჩემგან ბრძოლაჲ ეშმაკისა მიერ და ნუ მიტევებ მე დანთქმად უფსკრულისა ცოდვისათა, რათა ვადიდო წმიდა სახელი შენი, და ხელმწიფებითა მაგით შენითა ჰსდევნენ მბრძოლნი ჩემნი ეშმაკნი, რამეთუ ძალგიძს და დიდებულ ხარ შენ წინაშე ღვთისა“. და ვითარცა ამას ლოცვასა აღასრულებდა ეპიფანე და სამარტვილოთ ნათელი, ვითარცა ელვა, გამოკრთა და ესმა ხმა, რომელი ეტყოდა, და ხმასა მას თანა სურნელებითა აღივსო ეკლესია იგი. ჰრქვა მოწამემან ეპიფანეს: ვისმინე ხმა ვედრებისა შენისა, რამეთუ უწინარეს მოსვლისა შენისა მოვიდა სწორი მოციქულთა წმიდა ანდრია, და მაუწყა შენთვის ყოველივე. შენ წარვედ მშვიდობით და მე ვევედრო მაცხოვარსა ჩვენსა იესო ქრისტესა, რამეთუ ისმინოს ვედრებისა ჩემისა და არა უგულებელსმყოს მონა თვისი.

ხოლო ეპიფანე აღივსო სიხარულითა და აღიპყრნა ხელნი და იტყოდა: „მოსწრაფე იქმენ ჩემთვის, წმიდაო ღვთისაო, რამეთუ გულის სიტყვანი უკეთურნი მაჭირვებენ მე, რათა ვჰპოვო ლხინება მათგან“. და ამბორს უყო სამარხოსა მოწამისასა და წარვიდა სახიდ თვისსა.

ხოლო იყო ჩვეულება (ჰქონდა) ეპიფანესა, რამეთუ მარადის ხმელსა წევნ, გინა ზინ, რაჟამს არნ სახლსა შინა თვისსა. ღამესა მასვე მიეძინა ეპიფანეს და იხილა გარემოს ცხედარისა თვისისა ერი მრავალნი, სპეტაკითა მოსილნი, და შორის მათსა სდგა წმიდა აკაკი და ვითარცა მარგალიტი, ბრწყინავდა. და ესმა ხმაჲ, რომელი ეტყოდა ეპიფანეს: „ვისმინე ხმა ვედრებისა შენისა და მე და წმიდა ანდრია ვევედრენით შენთვინ ღმერთსა, მეუფესა ჩვენსა, იესო ქრისტესა და მან მოგანიჭა სათხოველი შენი, და ამიერითგან განთავისუფლდე შენ ბრძოლისა მაგისაგან. და ვითარცა ესე სთქვა აღმოიღო ფარაკისაგან (ჯიბე) მისისა ჭურჭელი რაიმე ოქროჲსა შვენიერი და იყვნეს გარეშემო გამოქანდაკებულნი ხატნი: ერთი მაცხოვრისა და ერთი წმიდისა ღვთისმშობლისა და სერაბინ-ქერაბინთა და გამოიღო ჭურჭლისა მისგან სპეტაკი, ვითარცა თოვლი, ევლოგიაჲ, და განზავნა, და მისცნა, და ჰრქვა: „შესვი ესე და წარვედ მშვიდობით“. და ამბორს უყო და უჩინო იქმნა.

ხოლო მან განიღვიძა და იყო პირი მისი დამტკბარ, ვითარცა თაფლითა და იწყო მადლობად ღვთისა და წმიდისა მოწამისა აკაკისა. და ვითარცა განთენნა, აღიღო საკმეველი და სანთელი და წარვიდა ეკლესიად წმიდისა მოწამისა აკაკისსა და შესწირა მადლობა და ვითარცა ილოცვიდა, იხილა წმიდა მოწამე საფსალმუნეთა ზედა მდგომარე და მოელოდა ეპიფანეს და ვითარცა იხილა იგი ჰრქვა მას: „კეთილად მოხვედ, საყვარელო ჩემო ეპიფანე, რამეთუ სიყვარული მართალთა ტკბილ არს და საწადელ, და არა შესაწირავთათვის დ ნიჭთათვის აქვსთ მათ

სიყვარული, არამედ შემუსრვილისა და მდაბლისა გულისა-თვის, და ღვთის მსახურებისა, და სიწმიდისა ხორცთასა. ხოლო მე, საყვარელო ჩემო, არა სხვასა ვეძიებ შენგან, გარნა მოსვლასა შენსა ჩემდა ზედა-ზედას, რათა გაქვნდეს სიყვარული ჩემი და მარადის ხსენება და მე ვიყო შემწედ შენდა ყოველსა ზედა ბრძოლასა მტერისასა“. და ვითარცა ესმოდეს სიტყვანი ესე მოწამისანი ეპიფანეს, შეხედვიდა მას წადიერად, ხოლო მუნ მდგომარეთა ერთა არა ესმოდათ და ვერცა ჰხედვიდნენ, არამედ ჰგონებდეს, ვითარმედ ყრმა ესე ხელი არს და ამისთვის ესრეთ ჰხედავს, ვითარცა რასმე სახესა. ხოლო ნეტარი ეპიფანე ეზიარა და წარვიდა სახიდ თვისად განთავისუფლებული ვნებისა მისგან, შუამდგომელობითა ნეტარისა ანდრიასითა და ადიდებდა ღმერთსა და მონასა მისსა წმიდასა მოწამესა აკაკისა და მარადის მავალნ ეკლესიასა მისსა და იხილავნ წმიდასა მოწამესა.

თავი ორმოცდამეცხრამეტე

უბანსა, რომელსა ჰქვიან ვლაქერნა, ჰსდგა მუნ ეკლესია წმიდისა ღვთისმშობელისა, დედოფლისა ჩვენისა. და არს წესი, რომელ ყოველთა კვირისძალითა მივალს მუნ ყოველი კაცი ლიტანიითა და ერითა დიდითა ყოველთაგან ეკლესიათა კონსტანტინეპოლისათა, და შეუდგიან ერი ფრიადი სანთლე-ბითა და საკმეველითა და გალობითა. და მიიყვანებდნენ ხატთა წინაშე ხატისა წმიდისა ღვთისმშობელისა და ყოველსა ვლაქერნაისა გარემოვლიდიან ლიტანიითა. ერთსა ამას ლიტანიასა იყო წმიდა ანდრია და ეპიფანეცა ერსა მას შორის, და ილოცვიდეს ვითარცა იყო ჟამი მეოთხე ღამისა. იხილა წმიდამან ანდრია და ეპიფანეცა ერსა მას შინა ღვთისმშობელი დედოფალი ჩვენი, მდგომარე ბჭეთა დიდთა ეკლესიისათა, სადა იგი არიან კარნი ვეცხლისანი, და მიმართა (ერსა მას) საკურთხეველით

კერძო, სიმრავლითა ურიცხვითა ანგელოსთათა და ერთა ზეცისათა დასებითა და ხელი ერთი ეპყრა დედოფალისა წმიდისა იოანე ნათლისმცემელსა და მეორე იოანე მახარებელსა, ძესა ქუხილისასა და ერნი იგი ზეცისა უხორცოთანი გარე მოადგეს წმიდასა ღვთისმშობელსა, მოსილნი სამოსლითა სპეტაკითა. ხოლო ანდრია ხედვიდა რა ამას და იხარებდა. მიეახლა ეპიფანეს და ჰრქვა: „შვილო, ხედავსა წმიდასა დედოფალსა?“ ჰრქვა მას ეპიფანემ: ჰე სულიერო მამაო, ვხედავ და ვიხარებ სულითა! და დავარდეს ორნივე პირითა ზედა მათითა. და რაჟამს აღიხილნეს პირსა ზედა დედოფლისასა, ვითარცა ნაკადული წყალთა, ცრემლი თვალთაგან მისთა წმიდათა გარდამოსდიოდა. რამეთუ აღუპყრნა ზეცად ხელნი თვისნი წმიდანი და ევედრებინ ძესა თვისსა ერისა მისთვის, რომელნი შეუდგიან ხატსა მისსა სარწმუნოებით და ლიტანიასა თანა ჰყვებოდიან, რათა შეუნდვეს ცოდვანი მათნი და ვითარცა დაასრულა ლოცვა იგი ძისა მიმართ თვისისა და ღვთისა, აღიხვნა მანკანნი (მომარგალიტული საბურველი) თავისა თვისისანი და მიჰბურა ერსა მას ზედა ყოველსა და ზე ეკიდნეს ჰაერთა და მერმე დასწერა მათ ყოველთა ზედა ჯვარი, და ეგრეთ სახედვე განვიდა დიდებითა. ამას ორნივე იგი, წმიდა ანდრია და ეპიფანე ხედვიდეს, და უკვირდათ, და ადიდებდეს ღმერთსა, ვითარ იგი ტირილით ევედრებოდა დედოფალი ძესა თვისსა სოფლისა ბრალთა შენდობისათვის.

თავი მესამოცე

დღესა ერთსა აღვიდა ნეტარი ანდრია იპოდრომსა და იმღერდა ჩვეულებისამებრ და კაცნი იგი, რომელი ხედვიდენ, სწყალობდეს, და რომელნიმე ეცინებოდეს, და ზოგნი სცემდეს მას. მოვიდა ვინმე მთავართაგანი ქალაქისათა, რომელი იყო

ფრიად მდიდარი. იხილა რა წმიდა ანდრია, ვითარ როკვიდა, შენერწყვა პირსა მისსა. ხოლო წმიდამან ვითარ უწყოდა ყოველი საქმენი მისნი, იწყო მხილებად მისსა და ჰრქვა ერსა მას: „იხილენით მემრუშე და მოკიცხარი ეკლესიათა, რომელი ლოცვისა და ეკლესიისა მიზეზთა იარეზის სამეძაოთა მათ ფარულად!“ რომელი ისმინე, საწყალობელო და გულისხმაჰყავ! რამეთუ მოწევნულ არს აღსასრული შენი, რათა მოხვიდე მუნ და მიიღო ნაცვალი ბოროტთა საქმეთა შენთა. შენ ჰგონებ, ვითარმცა დაავიწყდა ღმერთსა? ნუ ჰგონებ მაგას ყოვლადვე არა რაჲ დაეფარის ღმერთსა, რამეთუ მხედველი არს უჩინოთა და შენნიცა ცოდვანი ცხადად სჩანს მის წინაშე“.

ხოლო ვითარცა ესმა ესე მთავარსა მას, შეუხარნა ცხენსა და წარვიდა. ხოლო იტყოდეს მუნ მდგომარენი, ვითარმედ „არა დააკლო რა სიტყვანი გინებისანი ევხალიტოლარსა, არამედ ყოველი წარმოუთხრა სალოსმან“! და შემდგომად მცირეთა დღეთა დასნეულდა კაცი იგი საწყალობელი და შეიწვნეს ყოველი ნაწლევნი მისნი სიცხითა და მოეხსენა სიტყვა წმიდისა ანდრიასი და იტყოდა: „ჭეშმარიტსა მეტყოდა მე ხელი იგი!“ და იწყო სვლად მკურნალთა თანა და ეკლესიასა, არამედ არა რაჲ სარგებელ ეყო და აღესრულა უნანელი და წარვიდა სატანჯველსა საუკუნოსა.

და ესეცა არა დაეფარა ნეტარსა ანდრიას, ვითარმედ იხილა ცისკარსა მას ანგელოზი მომავალი დასავლით კერძო და ეპყრა ხელთა მისთა ლახვარი ცეცხლისა და ვითარცა მივიდა მახლობელად ცხედარსა მის საწყალობელისასა, იხილა ანგელოსი იგი კაცთა მისთა ლახვარი ცეცხლისა და ვითარცა მივიდა მახლობელად ცხედარსა მის საწყალობელისასა, იხილა ანგელოსი იგი კაცმან მან და იწყო ძრწოლად, და ესმა ხმა ზეცით, რომელი ეტყოდა: „უწყალო ექმენ და ჰგვემე და ეგრეთ გამოიყვანე სული მისი! რამეთუ იმრუშვიდა და ისიძვიდა სოდომელთა

კვალთა, და ნაცვლად ეკლესიათა, სამეძაოთა აშენებდა!“ მაშინ სცა ანგელოსმან ლახვრითა მით ცეცხლისათა გულსა მისსა უწყალოდ და ხმა იგი ცემისა ესმოდა ყოველთა, რომელნი იყვნეს მახლობელად მისდა მსხდომარენი. ხოლო ანგელოზსა ვერ ხედვიდენ იგინი, არამედ წმიდა იგი ოდენ ანდრია ხედვიდა, რამეთუ იყო იგი მას ჟამსა მუნ მისრულ ხილვად საქმისა მის და სენისა საზარელისა. და მე გლახაკსა მოძღვარსა თვისსა მითხრა ტირილით. ხოლო მე ვინებე დაწერად ამისაცა სხვათა თანა ყოველთა ხილვათა, რათა ვეკრძალნეთ, გვესმოდეს რაჲ და ჩვენცა არა უდებ ვიყვნეთ და დღენი ჩვენნი წარვლნეთ უშიშრად, ვითარცა ამან ზემოხსენებულმან საწყალობელმან. რამეთუ ესე ვითარი აქვნდა მას ჩვეულება: ვიდრე მრთელ იყო, შუაღამე აღდგის და განვიდის სიძვად, ხოლო მეუღლე მისი ჰკითხავნ: „უფალო, ვიდრე ხვალ?“ და მან ჰრქვის: ვითარმედ ეკლესიად წარვალ! და წარვიდის მეძავთა თანა, და რაჟამს აღარსულოს სიძვა, მაშინ ეკლესიად მივიდის კაცთა საჩვენებლად. და რომელნიცა ხედვიდეს მას, იტყოდეს „აჰა კაცი მლოცველი და მორწმუნე. ხოლო მას რაჲ ესმინ, აღზვავნებინ და ჰგონებდა, ვითარმედ დაეფარვის ღმერთსა ცოდვა იგი მისი.

თავი სამოცდამეერთე

ამას ყოველთა საქმეთა და ჭირთა რა ხედვიდა ეპიფანე, უკვირდა. დღესა ერთსა ევედრა წმიდასა ანდრიას ეპიფანე, რათა წარჰყვეს სახლსა მისსა და განისვენოს მცირედ შრომათაგან მისთა, შვიდეულსა ერთსა. ხოლო წმიდა იგი დაემორჩილა და წარვიდეს და დასხდეს ზოგად ორნივე. იწყო კითხვად ეპიფანემ ნეტარსა ანდრიასა და ჰრქვა: „მითხარ მე, მამაო, სულიერო და მოძღვარო, ესეცა სხვათავე სულიერთა თხრობათა შენთა თანა, რათა უწყოდეს შვილმან შენმან და სხვათაცა, რომელნი ისმენდეს,

ირგონ ამის ჩვენსა ურთიერთარს კითხვისა და სიყვარულისაგან, რომელი არს შორისა შენსა და ჩემსა, ვითარ არს აღსასრული ამისა სოფლისა, ანუ რომლითა სახითა გულისხმისყოფისათა ეუწყების მის ჟამის კაცთა? და მას ჟამსა რაჲ იქმნებიან სოფელნი და ქალაქნი, გინა ეკლესიანი და ნაწილნი წმიდათანი, ანუ წიგნი საღმრთონი? გევედრები, რათა მაუწყო ესეცა ჭეშმარიტად და ზედ მიწევნით!“

ჰრქვა ნეტარმან: ესე უწყოდე, შვილო ჩემო! რამეთუ ქალაქი ესე, სამეუფეო, უფროს არს და უმდიდრეს ყოველთა ნათესავთა და ქალაქთა, და ეგულვების ნათესავთა უცხოთა მოსვლად და ბრძოლად მისსა სასტიკითა ბრძოლითა და ერთი ურიცხვითა, ხოლო წმიდა ღვთისმშობელი ჰფარავს მას და არა უტევებს აღებად მას.

და ვითარცა ებრძოდენ და დალიონ საჭურველნი მათნი, ყოველი მოაოხრონ და აღიღონ ტყვე და სიმდიდრე ფრიადი და იტყვიან ზოგნი, ვითარმედ სარკინოზნი არიან ნათესავნი იგი, რომელნი მოვლენ, ხოლო მე ვიტყვი, ვითარმედ ნათესავი მწითურთა მოვალს, რომელსა ჰრქვიან რუსნი. და გარემოს ქალაქისა იქმან სრვათ დიდთა და ძვალები მკვდართა დასცვივეს, ვითარცა მიწა, სიმრავლითა ცოდვისათვის ერის მის. რამეთუ არა შეინანეს, რათამცა მოიქცეს ცოდვისაგან, რომელსა იქმოდეს. არამედ მტერთა მათ ზედაცა მოვალს ვაებაჲ ძლიერი და რისხვა ღვთისა ზეცით, რამეთუ ერნი ორპირნი სწერია მათ ზედა მომავალნი და ვჰგონებ, ვითარმედ ანგელოზთა იტყვის ზეცით მომავალად და აქვს მათ მანგალი ცეცხლისა, ვითარცა ელვა, და დასწვავს მათ, რომელ მომთხრობიცა ამბავთა არა განერების მათგან, არამედ ყოველი მოისრვიან!

თავი სამოცდამეორე

ხოლო აღსასრულისათვის სოფლისა გაუწყო შენ, შვილო ჩემო! რამეთუ დღეთა მახლობელთა აღადგენს ღმერთი მეფესა გლახაკსა ვისმე, და გამეფდების კონსტანტინეპოლს და იმეფებს იგი სიმართლითა და ღვთისმოყვარებითა, და იქნების დღეთა მისთა მშვიდობა ერსა შორის. და არა იყოს მას ჟამსა შინა ბრძოლა, არცა ლაშქრობა, არამედ მშვიდობა და დაწყნარება ყოვლისა ქვეყანისა მეფისა მიერ და ყოველნი გლახაკნი გამდიდრდებიან და არს მშვიდობაცა ესე, ვითარ იყო (მშვიდობა) დღეთა მათა ნოესთა. და იქმნებიან ერთობით მდიდარ და ქონიერნი, და იყოს სიხარული დიდი და განსვენება ფრიადი და იქორწინებოდნენ და განქორწინებოდნენ, ვითარცა იტყვის მაცხოვარი სახარებასა შინა, და არა რას ვინ ზრუნვიდეს ამის ცხოვრებისათვის, და ფრიადისა მის მეფისა მშვიდობისაგან, რომელი მაშინ იყოს, აბჯარი და ყოველი საბრძოლველი დალეწონ, და ქმნან ნამგლად საშრომელად ქვეყანისა.

ამის ყოვლისა შემდგომად განილაშქროს მეფემან კერძოთა აღმოსავლეთისათა და წარმოსტყვენოს ყოველი სარკონოზთა ქვეყანა. რამეთუ რისხვა ღვთისა გარდამოევლინოს ყოველსა ზედა თესლსა სარკინოზთა ურჯულოებისა მათისათვის და სიბოროტისა. რამეთუ არა რაჲ აქვთ მათ სარწმუნოება ქრისტესი ღვთისა ჩვენისა დაუსაბამოსა და ცოდვისა მისთვის სოდომელთასა, რომელი მათ შორის მოქმედებს ურიდად. ხოლო მათ დღეთა ოხრებისა მის სარკინოზთასა, მრავალნი მოიქცნენ მათგანი ცთომისა მისგან და აღიარონ ჭეშმარიტი სარწმუნოება ქრისტეს ღვთისა ჩვენისა, და მიიღონ ნიჭი დიდი მეფისა მისგან და დაიპყრას ყოველი ქვეყანა მეფემან მან და განმარტოს ხელი მისი ერთი აღმოსავლით და ერთი დასავლით, ხოლო წელნი მეფობისა მისისანი, რომელთა შინა მეფობდეს,

არიან ოცდაათი და განათავისუფლოს ყოველი ქვეყანა სამეფოთა ხარკისაგან ათორმეტ წელ და ყოველსა ქვეყანასა, სადაცა იპოვნეს ეკლესიანი დარღვეულნი, აღაშენოს და დღეთა შინა მისთა ბჭე არად სახმარ იყოს, რამეთუ ერთი-ერთსა ვერვინ მძლავრობდენ, გინა თუ ავნებდეს და ყოველი ქვეყანა ძრწოდეს სიტყვათაგან მისთა. რამეთუ ღმერთმან დასდგას ზარი მისი ყოველსა კაცსა ზედა დიდსა, გინა მცირესა, და ყოველსა ენასა ზედა, რამეთუ ვერვინ წინა აღუდგების ბრძანებასა მისსა, და ყოველნი ძვირისმოქმედნი და უკეთურნი კაცნი მოისრნენ და ყოველნი დაფარული სიმდიდრენი, რომელნი არიან ქვეყანასა შინა ჟამთა მისთა გამოსჩნდნენ საცხადოდ: ოქრო და ვეცხლი, და ყოველი ჭურჭელი პირველთა კაცთა დაფარული, ცხადად იმსახურონ მის ჟამის კაცთა მიერ. და ყოველი სიმდიდრე მეფისა მის გლახაკთა ზედა წარეგოს, და მთავარნი ყოველნი გამდიდრდნენ, ვითარცა თვით მეფე. და გალხაკნი, ვითარცა მთავარნი გამდიდრდნენ და მოუხდეს ყოველთა უსჯულოთა რისხვა ღვთისმიერი და განიხადნენ ყოველნი ურიანი, და სარკინოზნი სამეფოსაგან მისისა, და ყოველნი მებარბითენი და მომღერალნი, და განმცხრომელნი კაცნი (დამკვრელნი ბარბითისა), სრულიად უმკვიდრო ჰყვნეს საბრძანებელით თვისით, და სიმართლე და ჭეშმარიტება იყოს მისმიერ ყოველსა ქვეყანასა და ძირი ყოვლისა ბოროტისა მოიფხვრას ქვეყანით და შვება და განსვენება მოეფინოს ყოველთა კაცთა ზედა სიხარულითურთ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა.

ხოლო რაჟამს აღესრულოს მეფე იგი ღვთის მსახური და კეთილი, შემდგომად მისსა გამეფდეს, პირველ დაწყება¡ ბოროტისა, თესლი უკეთური და ბილწი, რომლისა სახელი არ იყოს, და დაჰყოფს მეფობასა შინა სამსა წელსა და ნახევარსა და იქმს საქმეთა ბოროტთა და ვითარცა ნისლი, აღვიდოდეს ზეცად. და უკეთურთა ღვთის განსარისხებელთა. რამეთუ

დასდებს წესსა, რათა იქორწინებდენ მამა ასულსა თვისსა თანა, და ძე დედისა თვისსა, და ძმა დასა თანა ნებსით, გინა უნებლიედ. და რომელმან არა ინებოს ჰყოფად ბოროტისა მის საქმისა უსჯულოსა, მოჰკვეთს თავსა და რომელნი მოიკლნენ მის მიერ სარწმუნოებისათვის ქრისტესისა, იწამების და იოანე ნათლისმცემლისათანა იხარებდეს სასუფეველსა ცათასა და ენკრატისთა აქორწინებდეს მონაზონთა და მღვდელთა თანა. ხოლო ესე საქმე განეფინების ყოველსა ადგილსა და თვით ისიძავს დედისა და დასა, და ასულისა თვისისა თანა. და ვითარცა ჰხედვიდენ ყოველნი ერნი ბილწსა მას, ეგრეთ ყოველნი იგი ერნი იქმოდიან მსგავსად მისსა. და ვითარცა ესე ვითარი საქმე იქმნებოდეს, აღივსოს ყოველი ქვეყანა ცოდვითა და ვითარცა ნისლი, აღვიდოდეს ზეცად. და გარდამოავლინის ღმერთმან გულის წყრომითა თვისითა რისხვაჲ ქვეყანასა ზედა: და იქმნეს მეხის ტეხანი სასტიკნი და ელვანი ფიცხელნი, რომელ არაოდეს ყოფილიყოს ეგე ვითარი ქვეყანსა ზედა ყოვლადვე და დაიწვნენ სახლებნი ფრიადნი და მოქმედნი საქმისა მის საძაგელისანი. და ერნი ურიცხვნი, რომელნიმე მოკვდენ შიშისაგან და ზარისა მის საშინელისა.

მათ დღეთა შინა ვაჲ არს ზღვისა და ვაჲ არს ხმელისა! რამეთუ განრისხნა ღმერთი მკვიდრთა ზედა ქვეყანისათა. და მოიწიოს სიყმილი (შიმშილი) საშინელი და მოისრნეს მკვიდრნი მისნი სიყმილითა. და იქმნეს ძრვანი დიდნი და დაეცნეს სახლები, მოისრნეს მოქმედნი უსჯულოებისანი და ურიცხვნი სულნი - ერნი: რამეთუ მზე დაბნელდეს და იქმნეს შავი, ვითარცა მელანი, და მთოვარე, ვითარცა სისხლი. და იყოს ბნელი ქვეყანასა ზედა. და ვარსკვლავნი გარდამოცვივდნენ საშინელისა მის და სასტიკისა ქუხილისაგან და ელვისა. მთანი და ბორცვნი იძრვოდიან და იცვალებოდიან ადგილითი ადგილად. რამეთუ დიდი იყოს დღე იგი და ზარის სახდელი

მოწევნული იგი რისხვა ღვთისა მიერ პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისასა. ხოლო მღვდელნი და დიაკონნი და მორწმუნენი ერნი, რომელნიცა არა შესცვივდენ ვნებასა მას, წინააღუდგენ ბილწსა მას მეფესა სიყვარულისათვის ქრისტესისა. შემდგომად მრავალთა ჭირთა განვლენ უდაბნოთა და მათთა შეეყვნენ (შეეფარებიან), ნაპრალთა კლდისათა მრავალთა ღვაწლითა და შიმშილითა და წყურვილითა და აღესრულნეს ჟამნი იგი. ხოლო დღეთა მათ მწარეთა მის მეფისათა, ნეტარ არს კაცი, რომელი არა იპოვოს მის რომსა, ანუ ქვეყანასა მას, რომელსა ჰქვიან ისმენოპეტრი (არსენოპეტრი), ანუ სტრობილის თემსა კიბირიოსა, ანუ თრაკისა თემსა, რომელსა ჰრქვიან კარიპოლოსა. რამეთუ რომელნი წარვიდენ მათ ადგილთა, იგინი განერეს ამის ყოვლისა განსაცდელისაგან, სულისა სავნებელისა და ხორციელისაგან სატანჯველისა, რამეთუ არიან ადგილი იგი ძნელი და ფიცხელნი კაცთაგან მიუვალნი, ხოლო სხვათა ყოველთა ქალაქთა, გინა ქვეყანათა იქნებოდიან კლვანი და სისხლთა დათხევანი და ბრძოლანი დიდ-დიდნი. შემდგომ ამისა მოკვდეს მეფე იგი უსჯულო და წარვიდეს სატანჯველსა მას საუკუნოსა და ცეცხლსა უშრეტსა.

თავი სამოცდამესამე

და გამეფდეს ამისა შემდგომად მეფე შავი და არის იგი უარის მყოფელი ქრისტესი და წმიდათა მოწამეთა მისთა: „არა მორწ-მუნე და ბილწი, კერპთმსახური, და განახვამს საკერპოთა ტაძართა და მიაქცევს ყოველთა ქვეყანასა თვისსა ღვთისა ცთომილებისა მიმართ და იწყებს ბრძოლად წმიდათა მიმართ ღვთისათა და დასწვავს ეკლესიათა და ცხოველსმყოფელსა ჯვარსა, რომელსა აღმართებენ და ჩამოახრჩობენ დამნაშავეთა კაცთა და იტყვის, ვითარმედ „კაცი იყო და ჰურიათა ძელსა

ჩამოჰკიდეს და მოჰკლესო“. მღვდელი, გინა მოწესე (სამღვდელო რიგი) სადაცა იპოოს, თავსა მოჰკვეთს! და ყოველსა ქვეყანასა განავლენს ქადაგთა ხელმწიფებათა მისცემს ბრძოლად, სადა ვინ იპოვოს, რომელი არა ერჩდეს ბრძანებასა მისსა, რათა მოაკვდინებდენ.

მათ დღეთა შინა აღდგეს ძმა ძმასა ზედა, მამა შვილსა ზედა, შვილი მამასა ზედა და მოჰკვლიდენ ურთიერთსა და შეასმენდნენ მთავართა წინაშე. ხოლო რომელთა დაითმინონ მას ჟამსა და არა უარჰყონ ქრისტე და იწამნენ, იგინი სწორ იყვნენ პირველ მოწამისა სტეფანესა და გვირგვინი მისთანავე მიიღონ. ხოლო კუნძულნი დასავალისანი აღაოხრნეს ყოველნი და დაეშენოს თემსა მაკედონიისასა და თრაკიისასა, ხოლო ვითარცა ესე ყოველი განსაცდელნი იქმნებოდიან, მოიწევს ზეცით ხმა, ვითარცა ელვისა საშინელისა, რომელი შეაძრწუნებდეს ყოველსა კაცსა. და იქმნას სრვაჲ და სიკვდილი ურიცხვი, რამეთუ აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და იყვნენ ბრძოლაში სასტიკნი და კლვანი და იყოს ჭირი, რომელი არა ოდეს ჰყოფილიყოს ქვეყანასა ზედა, რაოდენ ქვეყანასა ზედა კაცნი დაეშენეს. და გამოვალს ზეცით ცეცხლი ალითა საშინელითა და მოეფინების ქვეყანასა ზედა, ვითარცა სახმილი. და სიცხის მისგან და ალისა დაიწვნენ ფრინველნი ცისანი ჰაერთა ზედა და გარდამოცვივდნენ ქვეყანად და შესჭამონ ერთმანეთი. და გამოვიდნენ გველნი ურიცხვნი და უცემდენ კაცთა, რომელნი იყვნენ უნანელნი და უღვთონი და მოსრვიდენ მათ, რამეთუ ესე არიან დღენი შურისგებისანი, რომელთა ზედა შური ჰგოს ღმერთმან ყოველთა მოქმედთა უსჯულობისათა. და უბრძანებს ღმერთი ანგელოსთა მათ, რომელთა აქვთ ბრძანება და მთავრობა ქართა ზედა, რათა შეიკრიბნენ და არღარა ჰქროდიან ქვეყანასა ზედა წესისაებრ. იქმნას დაყუდება დიდი, რათა ყოვლადვე არა იძვროდეს ფურცელი ხეთა. და მოიწიოს სიცხე და ხოსაკი (საშინელი,

შემწველი სიცხე), და შეიწოდენ კაცნი, და ქვეყანა ადუღდეს საშინელისა მისგან სიცხისა, და ინატრიდენ ყოველნი კაცნი სიკვდილსა და არა ჰპოვებდენ. ხოლო რომელთამე ჭირისა მისგან გულისხმა ჰყონ და მოიქცენ სინანულად. ხოლო ნავნი დაეყვნენ სელისაგან უქაროებითა, და მენავენი იგი გმობასა იტყოდიან მაღლისათვის. და განხმეს ყოველნი მწვანვილი თივისა და ხენი და ველნი ყოველნი მოიწვნენ ვითარცა ცეცხლითა და ნადირნი, და პირუტყვნი მოსწყდენ და ფრინველნი შეიტუსნენ, რამეთუ არცა ცვარი, არცა ნოტიო ვინ იხილოს ზეცით მათ დღეთა შინა. ზღვა გარდაიქცეს სისხლად და მესამედი ნაწილი თევზთა მოსწყდეს მას შინა და რისხვა ღვთისა მიერი მოიწიოს ყოველთა ზედა მკვიდრთა ქვეყანისათა ცოდვითა თვის ერისათა, რამეთუ არა შეინანეს მათ, რათამცა მიეტევა მათ, რამეთუ მოწყალე არს ღმერთი და ჰნებავს ცხოვრება კაცთა. ხოლო მათ არა შეინანეს და არცა მოიქცეს, არამედ განხმეს სიყვარული ურთიერთარს და სძაგდეს ყოველთა თითოეული და ყოველნი თავისი თვისისასა ზრუნვასა მიექცნენ, და არღარა აქვნდეს ზრუნვა სხვათა. და ამასა ესე ვითარსა ზრუნვასა შინა და ოხრებასა მოჰკვდეს მეფე იგი უკეთური და წარვიდეს სატანჯველსა საუკუნესა სხვათა თანა მოყვასთა მისთა.

თავი სამოცდამეოთხე

მაშინ აღდგეს სხვა მეფე ქვეყანით ეთიოპიით, რომელ არს სახელი მისი ნობეთი, არს პირველსა თანა ასოსა ანბანისასა, რომელ არს ანი, და მეფობდეს იგი კაცი კეთილი და მონა ღვთისა სარწმუნო. და ჰყოს მან მშვიდობა ქვეყანასა ზედა. და ადიდნეს ქრისტიანენი და პატივსცეს მღვდელთა. და ნაწილნი წმიდათანი შეკრიბნეს და აღაშენნეს ეკლესიანი, რომელნი დაამხვნეს და დაარღვივნეს პირველთა მათ უსჯულოთასა ერი

იგი კუნძულთა კვალად მუნვე აქციოს თვისსა სამკვიდრებელსა და სიკეთისა მისისათვის შეიყვაროს იგი ყოველმან ქევყანამან. და ყოველნი ნათესავნი მორჩილებდენ და ძღვენსა მიჰსცემდენ. და მოიწიოს სიხარული და მხიარულება დიდი მკვიდრთა ზედა ქვეყანისათა დღეთა მისთა. და მოჰკვდეს იგი კეთილთა სიკვდილით. და შემდგომად მისსა აღდგეს სხვა მეფე ჩრდილოს ქვეყანით, რომელსა ჰქვიან არავანისა ქვეყანა, ერთად დაჰყოფს მეფობასა შინა ბერძენთასა წელიწადსა ერთსა, და სადაცა ანუ რომელსა ქვეყანასა არს ნაწილი ძელი ცხოვრებისა ყოველნი შემოჰკრბების, და იქმნების ერთი ძელი, ვითარცა პირველი იყო, რაჟამს შემსჭვალეს მაცხოვარი მას ზედა და მოჰგვარონ იგი მეფესა მას, ხოლო მან აღიღოს და წარიყვანოს იერუსალიმს და მიიყვანოს ადგილსა მას თხემისასა, რომელსა ჰრქვიან გოლგოთა, და მუნ დაასვენოს იგი მას ზედა და გვირგვინი სამეფო აღიხადოს თავისაგან თვისისა, და დამოჰკიდოს იგი ჯვარსა მას და აღიპყრნას ხელნი და თქვას: „მაცხოვარო იესო ქრისტე, განსრულდეს ჟამნი და წელნი რიცხვისა ჩვენისანი, რომელთა შინა განეწესა მეფობაჲ ქრისტიანეთა მეფეთა, და გვირგვინი რომელ მოგვენიჭა ბერძენთა მეფობისა ჯვარისა ძლიერებითა, აწ მიიღე ნიჭი შენი საკვირველი, ჯვარი განმაცხოველებელი, და გვირგვინიცა ესე მეფობისა და ამათთანავე სულიცა ჩემი შეივედრე“.

მას ჟამსა გარდამოვალს ზეცით ანგელოზი ბრძანებისთა ღვთისათა და მიიქვამს ჯვარსა პატიოსანსა და გვირგვინსა მას, და სულსაცა მის მეფისასა წარიყვანებს მათთანა და მიერითგან დასრულდებინ მეფობა ბერძენთა. რამეთუ ქრისტეანეთა მეფეთა პატივი და გვირგვინოსნობა პატიოსნითა ჯვარითა მიეცა და ჯვარისა მიერ ამაღლდების კვალად. ხოლო ნეტარებულნი იყვნენ დღეთა მათ, რომელნი არა იპოვნენ კონსტანტინეპოლესა, არამედ წარვიდნენ და შეეყუდნენ ნაპრალთა კლდისათა, მთათა და ქვაბთა, და სტიროდენ ცოდვათა მათთა თვის, რამეთუ

დღენი ბოროტნი მოიწევიან. არამედ ჯერ არს გულისხმისყოფა და ვედრება ღვთისა, რომელსა აქვნდეს სიბრძნე, რათა არა წარწყმდენ სხვათა თანა სოფლისა სიყვარულითა.

თავი სამოცდამეხუთე

და ამისა შემდგომ აღდგენ სამი ძმანი ხორციელად და დაიპყრან მეფობა კონსტანტინეპოლისა. ხოლო იყვნენ იგინი უწესონი და განმარისხებელნი ღვთისანი, დაჰყონ რეცა მშვიდობა ქალაქსა შინა დღეთა მცირედთა, ვითარ ასორმოცდათ დღე. და მერმე ეშმაკისა ბირებითა შექმნან შფოთი და ბრძოლა ურთიერთარს. და უხუცესი ძმა წარვიდეს თესალონიკისა მთავართა და იყოფოდეს მუნ. და თესალონიკელთა მთავართა ჰრქვან: „კეთილად გპოვენ ერნი ძლევა შემოსილნო, ვებრძოლნეთ მტერთა ჩვენთა და უკუნ ვაქცინეთ, რამეთუ დიდი შემწე გვყავს ჩვენ შორის წმიდა მოწამე დიმიტრი“!

და გამოიყვანეს შვიდით წლიდან ყრმანი ყოველნი მოლაშქრე და მღვდელნი, და მონაზონნი ყოველნი და მოუკაზმოს მათ საჭურველი. და შექმნან ნავნი დიდნი და წარემართნე რომს. და რაჟამს მიიწიონ რომს და დადგეს გარეშე ქალაქისა და ჰრქვას: „გიხაროდენ ქალაქო, რომისა ზღუდეო! რამეთუ მახვილი შენი ლესულ არს და საჭურველი შენი მტკიცეა, რამეთუ სარწმუნოება დაგიმარხეს შეურყეველად! იღვაწე აწცა, რათა არა შეიცვალოს უკუნისამდე შენგან, ვიდრემდის მოიწიოს აღსასრული სოფლისა, და შენ შორისაცა მკვიდრნი ნეტარ არიან, რამეთუ ესე ვითარი ჟამი ეწიფა მათ მეორედ უკუ მოქცევა მეფობისა შენისა შენ შორის და მოირთოს მან ყოველი ქვეყანა დასავლეთისა სამონოთაროისა და ბრძოლანი ვიდრე ვირიტანიადმდე, განემზადოს ბრძოლად, ძმათა თვისთა თანა. ხოლო მეორე ძმა განილაშქრებს მესოპოტამიას, ხარძენთა და

ყოველსა მას კერძოთა სპარსეთისასა მოირთავს, და ჩავალს ვიდრე ალექსანდრიამდე, და მუნ დაიბანაკებს და ელის, რათა მოვიდენ ძმანი მისნი და ბრძოლა უყონ მას. მესამე ძმა გამოვალს კონსტანტინეპოლით და დაიბანაკებს ადგილსა თვისსა, რომელსა ჰქვიან კირიოპოლისი და ანახონიხელია და ტარსონს და სარმენაკთა თემსა, გალატიასა და არავალს, და მოირთავს ყოველსა აკრეთსა, და წარვალს იტალიას ციხესა, რომელსა ჰრქვიან სპელენი, იხილოს იგი და ჰრქვას: „არავინ არს ბრძოლი შენი და არცა გამომღებელი შენი!“ და არა უყოს ბრძოლა ყოვლადვე და წარემართოს იგი ლაშქრითა და მივიდეს ძმათა თვისთა. და შემოკრბენ სამნივე იგი ძმანი მეფენი და ბრძოლა უყონ ურთიერთარს და დასჭრან ერთმანეთი და დაჰყარონ მძორი (კაცთა) მკვდართა, ვითარცა მჭელეული (ეკლეული ყანისა) თივისა და თვით იგინივე სამნიცა მოიკლნენ ბრძოლასა შინა და დაილიოს ლაშქარი კლვითა, და ჰსდიოდეს სისხლი მათი, ვითარცა მდინარე მძაფრი, და შეერიონ ზღვასა, ვითარ ათორმეტ მილიონამდე. და შეიღებოს ზღვა სისხლითა და არა განერეს ერთიცა მათგანი, და დაქვრივდენ დედანი ყოვლისა ქვეყანისანი.

რამეთუ შვიდნი დედანი ეძებდენ ერთსა მამაკაცსა და არა ჰპოვებდენ ქმრად. და მოვიდეს სხვით ქვეყანით და იქორწინებოდიან ბერძენთა თანა დედათა და მათგან იშვნეს შვილნი და აღიზარდნენ და იყოს სიმრავლე დედათა, ვითარცა კოლტი ღორთა მრავალი. ნეტარ იყვნენ და სამგზის სანატრელ, რომელნი მას ჟამსა იპოვნენ უდაბნოთა შინა, და მთათა, და ნაპრალთა კლდისათა ღვთის მსახურებისათვის, და არა ჰხედვიდენ მისაგებელსა მას ცოდვილთასა. და შემდგომად მცირედისა, იხილოს მოსვლაცა ანტესი. და ებრძოდნენ მას და ჰსძლოს ქრისტეს მიერითა შეწევნითა, და მოიკლნენ იგინი მის მიერ და შეიწირნენ მსხუერპლად (ვითარცა კრავნი). ხოლო არა

იპოვებოდეს მამაკაცი ეგე ვითარი (არცა დედაკაცი), რომელიცა მეფედ იქმნა, არამედ ყოველნი დედანი მეძავნი (იქმნენ). მაშინ აღდგეს დედაკაცი ვინმე მგრძნებელი და მოგვი უკეთური თემისაგან, რომელსა ჰქვიან ავქსინოპონტი და მეფობდეს იგი, და დაიპყრას პალატი და განამრავლნეს მწამლვანი და გრძნებანი, და არს იგი ასული ეშმაკისა. და დღეთა მისთა იქმნებოდენ კონსტანტინეპოლის შინა კლვანი და სისხლითა დათხევანი, რომელიცა სძლევდეს მოჰკვლიდეს მოყვასსა და მამა შვილსა და შვილი მამასა, დედა ასულსა და ასული დედასა. რამეთუ ეშმაკნი აღძრვენ მათ ბოროტისყოფად, რათა იხარებდეს მცირედ ჟამ. რამეთუ იცის, ვითარმედ მოახლოვებულ არს მისცა ჟამი, რათა მივიდეს სატანჯველსა საუკუნოდ. წმიდა ეკლესიათა შინა იქმოდიან სიძვასა და მრუშებასა ნათესავთა თვისთა თანა, და ასულთა და დათა თანა, და როკვიდენ ბობღნითა და წინწილითა, და იმღერდენ ბარბიტებითა და სიმღერითა, რომელი არცაღა ვის უხილავს კაცსა, და არცა ასმიეს ქვეყანასა. დედაკაცი იგი მეფე არა თუ ზეცით უწოდეს თავსა თვისსა, არამედ იტყვის, ვითარმედ „ღვთაება ვარ“. და სიტყვასა უგებს ღმერთსა და აგინებს და საკურთხეველთა წმიდათა შეასხამს სკორესა. და განიბანს ასოთა თვისთა ბაყალსა და აპკურებს ერსა ზედა. და რომელთამე ასმევს, რათა სრულიად განაშოროს ღვთისაგან და აგინებს ყოვლად წმიდასა დედოფალსა ჩვენსა ღვთისმშობელსა, და ყოვლად პატიოსანსა ჯვარსა ხატთა წმიდათა და სახარებასა და წმიდათა მოცუქულთა. და შეჰკრებს ყოველთა წიგნთა საღმრთოთა, დასწვავს და ეკლესიათა დაარღვევს. და ეძიებს წმიდათა ნაწილთა, რათა დასწვნეს, ხოლო ვერა ჰპოებს, რამეთუ ანგელოსი ღმრთისა გარდამოვალს ზეცით და აღიხვამს ყოველთა წმიდათა მარტვირთა ნაწილთა და მისცვალებს, სადაცა ღმერთსა ენებოს, ადგილსა დიდებულსა და არა უფლებს დაწვად. და სოფია წმიდასა საკურთხეველსა გარდამოაქცევს და შეაგინებს ბილწთა

გვამთა მისითა, და ეკლესიასა შეიქმს ბოსლად ცხენთათვის. დადგების აღმოსავალით კერძო გულისწყრომითა და ეტყვის ღმერთსა აღმართ მხედველი, „იხილეა რაჲ ვჰყავ შენდა მომართ? საკურთხეველნი შენნი შევაგინენ და ეკლესიანი შენნი დავსცენ! აწ უკვე, თუ ღმერთი ხარ და ძალგიძს, აღმიხვენ შენთანა, რათა სახსენებლი შენი არღარა იყოს ქვეყანასა ზედა. და მე ესენი ვჰქმენ შენდამი! ხოლო შენ ამის ყოვლისათვის თმისაცა ერთისა თავისა ჩემისა ვერ ძალგიძს ვნებად! მაცადე მცირედ, რათა მანდაცა აღმოვიდე შენდა, დავარღვიო სამყარო შენი და საყდარი და ვიხილო, თუ შენ უძლიერესი ხარ, ანუ მე?“ და ნერწყვავს ცასა და ესვრის ქვათა, და სხვათა სიტყვათა გმობისათა, რომელთა იტყვის, ვერ ძალმიძს თქმად, რამეთუ არა ჯერ არიან. მაშინ, ვითარცა იხილოს ღმერთმან, ვითარმედ სრულიად აღიხოცა სარწმუნოება ქალაქისა მისაგან და ყოველნი მკვიდრნი მისნი იქმნეს მორჩილ ეშმაკისა, გარდამოავლენს ზეცით სასწაულსა, ვითარცა ცისარტყელასა. და ჰრქვიან მას მშვილდი ცისა და დაჰსდგების საშუალთ ქალაქისა საშინელებათა დიდითა და ხელი ღვთისა განემარტების ცის სარტყელსა შუა ოდენ ქალაქსა სამეფოსა. და მოსდებს ზეცით და ქვეით, ვითარცა მანგალსა, და იქმნების გრგვინვა და ხმა საშინელი. და ზღვასა ზედა, ვითარცა წისქვილი, იწყებს ბრუნვად ქალაქი, და მერმე გადაიქცევიან და ზღვა ზედა კერძო იქმნების, და დაიფარავნ ზღვაჲ ყოვლითურთ, ვითარცა წისქვილსა. და ზარი, და ოხრა ისმოდეს სამეოცსა მილიონსა“.

თავი სამოცდამეექვსე

აწ გულსიხმაჰყავ, შვილო ჩემო ეპიფანე, და უწყოდე, რამეთუ ესრეთ არს დაქცევა ქალაქისა ამის. არღარა შორს არიან დღენიცა იგი, რომელთა შინა ანტე მოვიდეს და მეფობა ყოველი

დაუტეოს, თვინიერ მეფობისა ურიათასა. რამეთუ გამეფდეს ურია იერუსალიმს, რათა განსრულდენ წელნი იგი ნაკლულნი მერვე ათასისა წლისანი, რომელთა შინა მოვიდეს თვით ანტე და ამას სწამებს წინასწარმეტყველი ესაია და იტყვის, ვითარმედ შემდგომად მათ დღეთა დასასრულსა ყოველთა ნათესავთა და მეფობასა, აღმართა ღმერთმან კარავი იაკობისა დამხობილი, და სხვანი ყოველი სჯულნი დამდაბლდენ. ხოლო ურიანი ყოველისა ქვეყანისაგან განბნეულნი შემოჰკრბენ იერუსალიმად მეფისა მის მათისა, და იყოს სიხრული დიდი მათ შორის, და განმრავლდეს ურიათა (ერი) დიდ ფრიად, ვითარცა იყო დღეთა მათ პირველთა, რაჟამს გამოვიდენ ეგვიპტით და დაეშენნენ კვალად სამკვიდრებელთა მამათა მათთასა, ვითარცა იტყვის პავლე მოციქული, ვითარმედ რაჟამს აღესრულნენ ყოველნი ნათესავნი, მაშინ ისრაილი ცხონდეს. და იპოლიტე მოწამეცა ეწამების, რამეთუ ოდეს ანტე მოვიდეს, ჰპოვებს ნათესავთა ურიათსა და მეფისა სიმტკიცესა, და მაცხოვარმან ჩვენმან, რაჟამს იქცეოდა ქვეყანასა ზედა, ჰრქვა ურიათა, ვითარმედ „მოვედ სახელითა მამისა ჩემისათა და არა შემიწყნარეთ მე. ხოლო რომელი იგი მოვიდეს უკანსკნელ სახელითა თვისითა, იგი შეიწყნაროთ. ამისთვის მოსწყდეთ მისთანა ცოდვათა შინა თქვენთა“.

ხოლო ამისთვის იქმნების შეკრება იგი ურიათა იერუსალიმს და მეფობისა მიცემა, რათა განკითხვასა მას, ოდეს დასჯდეს მსაჯულად ყოველთა ნათესავთა, მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, არა აქვნდეს ურიათა მათ სიტყვისა გება, ვითარმედ „განბნეულ ვიყვენით ყოველთა შორის თესლთა და არა გვაქვნდა სამკვიდრებელი და არცა წინამძღვარი, რათა გვრწმენა შენდა მომართ და ესე არს მიზეზი მათისა კვალად შეკრებისა და მეფობისა მათისა, რათა ყოვლადვე მოუღონ მათგან სიტყვა წინაშე საყდარსა მას ქრისტესა! რამეთუ არა ირწმუნონ,

არცა მაშინ, ოდეს ესე ყოველი უყოს ღმერთმან. არამედ ანტე აღიარონ ღმერთად და წარჰსწყმდეს უმრავლესნი მათგანი. ხოლო რომელთამე გულისხმაჰყონ მას ჟამსა და ცხონდენ რჩეულნი ნეშტნი და სხვანი ყოველნი დაბრმავდენ და ანტესა დაემორჩილნენ და უმეტეს ადრე ნათესავი დანისნი. რამეთუ მათისა ნათესავთაგან აღდგების განდგომილი იგი შვილი ანტე. ხოლო ათერთმეტთა მათ ნათესავთა მეათერთმეტე შეერთვის ნათესავნი ეფრემისი, ძისა იოსებისა. და ყოვლისა ნათესავისა მათისაგან ცხონდების რაჲ ტომისაგან თითოეულისა ათორმეტი ათასი. რამეთუ ეტყვიან ანტესა, ვითარმედ „შენ არა ხარ ქრისტე, არამედ ქრისტე მოვიდა პირველ და იგი არს ჭეშმარიტი მოსალოდებელი. და კვალად მეორედ მოვალს ზეცით!“ მაშინ მოიკვლიან ყოველნი იგი მის მიერ და იწამებიანცა, და იგინი არიან, რომელთა პირისთვის იტყვის პავლე მოციქული: „ვითარმედ ნეშტი ოდენ ცხონდეს“.

თავი სამოცდამეშვიდე

ჰრქვა ეპიფანე: მითხარ ესეცა მამაო! უკეთუ ქალაქი ესე დაიქცეს, სოფია წმიდა რაჲ იქმნების? იტყვიან ვითარმედ ჰაერთა დამოეკიდებისა!

მიუგო ნეტარმან: „რასა იტყვი შვილო? ქალაქი იგი დაიქცევის, სოფია წმიდა ვისთვისღა დაშთების? ოდესღა კაცნი არღარა იყვნენ, ეკლესია რადღა სახმარ არს? სვეტი რომელი დგას ფოროსა საშუალ. მისი თავი ოდენ სჩნდნენ ნიშნად, რათა ოდეს ნავნი წარვლიდენ, ცნან ადგილი კონსტანტინეპოლისა და სტიროდენ მისთვის და იტყოდენ: „ვაჲ, ქალაქო შვენიერო, დიდო ბაბილოვანო, განსასვენებლო ჩვენო, რომელისაგან განმდიდრდეს ყოველნი მენავენი, რაჲ იქმნა შვენიერება და დიდება შენიო? და სტიროდიან ყოველნი, რომელნი ჰხედვიდენ

დაქცევასა მისსა, ორმეოც დღე, და მიერითგან მიიცვალოს მეფობა ჰრომს და თესალონიკეს და უფლებდეს დასავალსა კერძოთა ზედა.

ხოლო ვითარცა მოეახლნენ დღენი აღსასრულისანი, განმრავლდენ ჭირნი ქვეყანასა ზედა და განეხვნენ კარნი წარმართთანი, რომელნი შეაწყვდივნა ალექსანდრე მაკედონელ-მან მეფენი გოგ და მაგოგ სამეოც და ათორმეტნი, ლაშქრითა ურიცხვითა, ვითარცა სიმრავლეჲ მკალთა, ნათესავნი საძა-გელნი და ბილწისა მჭამელნი, და სისხლის მსმელნი, და სჭამდენ კაცსა და ძაღლსა, მყვარსა (ბაყაყი) და თაგვსა.

და ვაჲ არს ქვეყანასა მათ დღეთა შინა! რამეთუ მიეცნენ მკვიდრნი ქვეყანისანი იწროებასა. მზე დაბნელდეს და მთოვა-რესა მოაკლდეს. ხოლო ეკლესიანი იყვნენ სახლსამზარეულო, და ბარძიმ ფეშხუმი შექმნან სამსახურებელად. და ივლტოდიან მკვიდრნი ქვეყანისანი და შევიდნენ კუნძულთა შინა და სტირო-დიან ას ორმოცდა ათ დღე, ვიდრემდე მოვლონ (ლაშქართა) ქვეყანა და მოსწყვიდნენ. და მივიდნენ იგინი ქვეყანასა ისრაილისასა, რომელსა ჰრქვიან მაკედონია და მუნ მოისრნენ იგინი ზეგარდმოითა რისხვითა და არა განერეს ერთიცა მათგანი.

მაშინ აღდგეს ეშმაკი ანტე. იტყვიან ვინმე, ვითარმედ ანტესა ეშმაკი ოდენ აღადგენსო! ანტე არ თუ ეშმაკი არს და კაცისა ხორცთა შეისხამს, არამედ კაცი არს! და ეშმაკი მის შორის დაემკვიდრების ყოვლით ძალით მისითურთ, და იქმს მის მიერ ნებასა თვისსა, რამეთუ განისხნების მათ დღეთა შინა ეშმაკი ბორკილთაგან თვისთა და გამოვალს ბრძოლად კაცთა, რათა აცთუნნეს იგინი, ვითარცა იტყვის იოანე მახარებელი გამოცხადებასა შინა თვისსა და ესაია წინასწარმეტყველი, წიგნსა შინა თვისსა. ხოლო ეკლესიათა აღუდგების ბრძოლად და განასხნეს მორწმუნენი და იქმოდეს ბოროტსა და სტანჯვიდეს ქრისტეს აღმსარებელთა!

მაშინ მოვლენ ენუქ, ილია და იოანე მახარებელი და იქცევიან საცხადოდ ერსა შორის და ჰქადაგებენ ესრეთ, ვითარმედ „ანტე აღდგომილ არს! ეკრძალენით ნუ უკვე ვინმე შეჰსცთეთ მისგან, რამეთუ ეშმაკი არს მაცთური“.

ხოლო შემდგომად მცირედისა ჟამისა მოვიდეს ქრისტე, ჭეშმარიტი ღმერთი, განსჯად ცხოველთა და მკვდართა. და რომელნი წინააღუდგენ სამთა წმიდათა, მათ მახლობელად ცეცხლი გარდამოვალს ზეცით და დასწვავს მათ. და მივლენ სამნივე იგი (წმიდანი) და ბრძოლასა უყოფენ ანტესა მას და ეტყვიან: „შენ არა ხარ ქრისტე ღმერთი, არამედ ეშმაკი მაცდური და ანტე წყეული!“ ხოლო იგი განრისხების და შეიპყრობს მათ, შორის იერუსალიმსა, და მოჰკლავენ მათ, და დაჰყრის ხორცთა მათთა უბანსა ზედა, და არა უტევებს მათ ქვე დამარხვად. და ყოველთა მოყვარეთა მისთა შემოჰკრებს, და ეკიცხევს მათ და ჰგმობს მაღალსაცა (ღმერთსა). ხოლო დაჰყოფენ ხორცნი მათნი მდებარე სამსა დღესა და ნახევარსა და მეოთხესა დღესა მოვალს ზეცით სულიწმიდა, ღმერთი, ვითარცა ტრედი, და შთაბერავს სულსა. მაშინ აღდგებიან ფერხთა ზედა მათთა და აღვლენ ზეცად წინაშე ყოვლისა ერისა, და ისმის ხმა ზეცით, ვითარმედ მოვედით, საყვარელნო ჩემნო! და ღრუბელი ნათლისა წარიყვანებს მათ სამოთხესა შინა!

მაშინ შიში და ძრწოლა დაეცემის ყოველთა ზედა! არამედ არა დაჰსცხრების ბრძოლად ეშმაკი იგი ქრისტიანეთა, მრავალთა ღონითა დასტანჯავს მათ უწყალოდ, და რომელთა მტკიცედ დაიცვან სარწმუნოება ქრისტესი და დაუთმონ სატანჯველითა მრავალ ღონეთა და მწარეთა სანატრელ იყვნენ იგინი!

ყოველნი წმიდანი დიდ არიან წინაშე ღვთისა და დიდებულნი! ხოლო, რომელნი იწამნენ ანტეს მიერ, უზესთაეს იყვნეს იგინი ყოველთასა, რამეთუ ტანჯვანი მათნი უსასტიკეს არიან სხვათა მათ ტანჯვათა. რამეთუ რომელთამე მშიერთა

უჩვენებს პურთა ოცნებით და აზრახებს ხატებასა და სცვალებს მთათა, და ყოველსავე იქმს მიშვებითა ღვთისათა სამსა წელსა და ნახევარსა და ვინ არა ივლტოდეს მისგან! ხოლო ნეტარ არს, რომელი არა იპოვოს მბრძოლ ღვთისა მათ დღეთა შინა, არამედ დაიმარხოს სარწმუნოება იესო ქრისტესი, ძისა ღვთისა, რომელი იშვა ქალწულისა მარიამისაგან უთესლოდ სულისა მიერ წმიდისა.

თავი სამოცდამერვე

ჰრქვა ეპიფანე: „მამაო სულიერო, მაუწყე მე ესეცა, თუ ვითარ სახით დაილევის ქვეყანით ყოველი კაცი, ანუ ვითარ იქმნების მერმე აღდგომა მკვდართა?“

მიუგო ნეტარმან ანდრია და ჰრქვა: „შვილო ჩემო! რომელსა ერსა ქვეყანისასა მოსრვენ ურჯულონი იგი, რომელნი გამოვლენ დარანით, ზოგი შეცაჰსჭამონ მათ, და სხვანი მოსწყვიდეს ანტემან და ურთიერთარს ჰკლვიდენ ყოველთა ადგილთა და რომელთა ირწმუნონ ანტესი, მოავლენს სული მათ ზედა მხეცთა, და ჭიათა ფრთოსანთა და აქვს მათ მახვილნი წამლიანნი ზურგთა მათთა ზედა და კუდთა მათთა და სცემდენ კაცთა მათ და აღანთებენ და დაიწვიან წამლისა მის საშინელისაგან ყოველნი თაყვანისმცემელნი ეშმაკისანი. ხოლო მონანი ღვთისანი და რომელთა აქვნდეს სარწმუნოება ღვთისა, იყვნენ დევნილნი უდაბნოთა შინა, და მთათა ჭირითა დიდითა და ნაკლულევანებითა.

ესე ყოველი არა იქმნეს, მეყვსეულად ღმერთმან მოავლინნეს ანგელოზი თვისნი ზეცით და შეკრიბნეს ყოველნი წმიდანი ყოვლისა ქვეყანისაგან იერუსალიმს, სიონსა შინა, და მოიძინონ ერთბამად, ვითარცა ძილითა ტკბილითა, და დაეწესნეს საუკუნითგანთა მიცვალებულთა თანა. მაშინ შეიპყრობს

ანტესა და ეშმაკსა და მისცემს ცეცხლისა ტბასა ცოცხლივ, რათა იტანჯებოდეს მას შინა უკუნითი უკუნისამდე და მერმე უბრძანებს მთავარანგელოზსა, რათა დასცეს საყვირსა. და აღსდგენ მკვდარნი ხორცითა შემოსილნი. ხოლო რომელნი იპოვნენ მოსვლასა მას მაცხოვრისასა ცოცხლანი, იხილონ მათცა გემი სიკვდილისა, წამსა შინა თვალისასა, ვითარცა იტყვის პავლე მოციქული და მერმე აღსდგენ მიგებებად მაცხოვრისა.

და ესე უწყოდენ ყოველმან კაცმან, რაჟამს გამოვიდენ ნათესავნი ესე ბილწნი, მაშინ დამტკიცებულად აღსასრული სოფლისა მოწევნულ არს, და მოვალს მსაჯული იგი დიდი სჯად და ძიებად საქმეთა მათთაებრსა.

თავი სამოცდამეცხრე

ჰსხდეს ანდრია და ეპიფანე ღამე ყოველ, ვიდრე განთენე-ბამდე, და მეცა, საწყალობელი მოძღვარი მისი, მათთანავე ვიყავ და ესე ყოველი წარმოსთქვეს სარგებელი სულისა, და ვითარცა რეკეს ჟამი წირვისა, წარვიდა ნეტარი ანდრია ეკლესიად, ხოლო ეპიფანე დაადგრა სახლსა შინა და მუნ ილოცვიდა. და ვითარ განსთენა კვალად შეკრბეს და იწყეს უბნობად და იყო მუნ წიგნი ვასილის თქმულთა. უბრძანა ანდრიამ ეპიფანეს კითხვად წიგნისა მის. და იყო იგი თქმული წმიდისა ნათლისღებისათვის სიბრძნისაგან სოლომონისა თარგმანებული და ისმენდა ნეტარი ანდრია წმიდითა გულითა, ხოლო ეპიფანე ცრემლეოდა იკითხვიდა რაჲ.

ჰრქვა ანდრია: „რასათვის ცრემლეოჲ, არამედ სიხარული და მხიარულება ჯერ არს ღვთისა მიერ, ვითარცა იტყვის ღმერთი, რამეთუ შენ კეთილი ნაწილი გამოგირჩევიეს! ხოლო ტირილი მათთვის ჯერ არს, რომელნი იქმან ნებასა ეშმაკისასა, რამეთუ ვიდრე არსღა ნათელი ყოველსა ქვეყანასა ზედა, ჯერ არს მათდა საყვარელი ნათლისა, ვიდრეღა რა ბნელისა“.

ჰრქვა მას ეპიფანემ: ცოდვილი ვარ მამაო სულიერო და მით ვსტირ ცოდვითა ჩემითა.

მიუგო წმიდამან: უკეთუ შენ ცოდვილი ხარ, ჩვენ უკვე რაღა ვართ შვილო?

ჰრქვა ეპიფანე: ოდეს მესმოდეს სიტყვა წიგნისა ამის, ვითარ არა ვსტიროდე, მამაო სულიერო პატიოსანო?!

მიუგო მას ანდრია: წერილი ეგე, რომელი გესმის საკითხავსა მაგას შინა, არა ჩვენთვის არს, არამედ უნანელთათვის (უნათლავთათვის).

კვალად ჰრქვა ეპიფანემ: ჭეშმარიტად ეგრეცა სწერია!

და სიტყვასა თანა მოვიდა სული სუნნელებისა შვენიერი, რომლისა ყნოსამან განაკვირვა გული ჩემი.

ხოლო წმიდა ანდრია ხედვიდა მომღებელსა მასსა კმეველისასა და ეპიფანეს და მე სუნნელება ოდენ მეყნოსებოდა, და ვითრცა აღასრულა კითხვა იგი წიგნისა ეპიფანემ განქარდა სუნნელებაცა იგი.

განუკვირდა ეპიფანეს და ჰკითხა ანდრიას მითხარ, მამაო, გევედრები, რაჲ არს სუნნელება ესე, რომელი მოიწია ჩვენდა?

ჰრქვა მას ანდრია: „ანგელოსნი ღვთისანი იყვნეს მრავალნი და ერთი მათგანი დაჯერებულ იქმნა სმენასა ამის წიგნისასა და აკმია საკმეველი“.

ჰრქვა მას ეპიფანემ: სადა არიან ანგელოსნი, ანუ საცეცხლური რომლითა აკმევდა? ანუ ნაკვერცხალნი, სადა ჰპოვეს, რამეთუ იგინი უხორცო არიან და ჩვენგან არას მიიღებენ სახმარსა.

მიხედა ანდრია და ჰრქვა: „საკვირველსა რასმე მეუბნები, ძმაო! არა თუ გითხარ, ვითარმედ საცეცხლური უპყრიან ნივთიერ ანგელოზსა, ვითარ ესე ჩვენ, რომლითა ვაკმევთ, გინა თუ ჩვენგან ეძიებენ ნაკვერცხალსა, რამეთუ იგინი სულიერნი არიან და აქვს სულიერი, ხოლო ჩვენ ხორციელ ვართ და გვაქვს ხორციელი. ანგელოსთა ღმრთისათა, რაჟამს ენებოს

კმევა საკმევლისა წინაშე წმიდათა, არა აკმევენ საკმეველსა, არამედ სულისა მიერ სუნნელებასა მიჰფენენ, რომელი საყდარსა ღვთაებისასა წინაშე იკმევის, რომლისაგან ყოველი ძალნი ცათანი აღივსებიან სუნნელებითა. და ანგელოსნი, რომელნი ჰსცვენ სამოთხესა, მათ მიერ მიეფინების (სუნნელება) ყვავილთაგან და ცვართა სამოთხისათა კაცთა, რომელნიცა იქმოდიან საქმეთა ღვთისათა, და რომელმან იყნოსოს სუნნელება იგი, განეხვიან თვალნი სულისანი და მიერითგან ხედავნ იგი ყოველთა მათ შვენიერებისათა ზეცისა სასუფეველისასა და იხარებენ მოუკლებელად. რამეთუ სამისა საქმისათვის მიჰფენენ ანგელოსნი სუნნელებასა ამას: პირველად კაცთა მათ, რომელნი იკითხვიდენ წიგნთა საღმრთოთა ზედა ზედ (ხშირად) და აღასრულებდენ სიტყვათა მათ წიგნთასა; მეორედ, რომელი ილოცვიდეს გულითა შემუსვრილითა; მესამედ, რომელი მოითმენდეს მოწევნილთა განსაცდელთა მადლობით და არა ჰსდრტვინვიდეს.

რამეთუ წერილ არს ივლიანე განდგომილისა უსჯულო-სათვის, რაჟამს იგი წარვიდოდა ბრძოლად სპარსეთად და იყო ანტიოქიას, გამოვიდის პალატით თვისით და წარვიდის ფარულად სოფლად, რომელსა ჰრქვიან დაფნი, სადა სდგა კერპი სპილენძისა, აპოლონ ეშმაკისა და ევედრებინ მას, რათა აუწყოს მას, თუ ვითარი ძლევა მოეცემის მას სპარსთა ზედა. და ვითარცა განამრავლა კმევა და ვედრება, გამოეცხადა მას ეშმაკი იგი, რომელ დამკვიდრებულ იყო მის კერპსა შორის და ჰრქვა, ვითარმედ „ბაბილის ძვალთა მიერ ვერ ვიკადრებ უბნობად შენდა და სხვა სიტყვა ვერა რაჲ მიუგო, რამეთუ იგი მახლობელად ეკლესიასა შინა ნაწილნი წმიდასა ბაბილასნი და სამთა მათ ყრმათა, მოწაფეთა მისთანი. უბრძანა უსჯულომან მან, მეფემან ივლიანე, უგულისხმომან, ერსა მას ქრისტიანეთასა, რათა აღიხვენ ნაწილნი იგი წმიდათანი და წარიღონ, სადაც

ენებონ, რათა მოვიდეს ღმერთი იგი ჩემი და მეუბნოს. რაჟამს ესმა ერსა მორწმუნეთა და მოქალაქეთა, მოვიდეს კეროვნებითა და საკმეველითა, და განიყვნეს ნაწილნი მოწამეთანი პატივითა დიდითა და ლიტანიითა, გალობდეს და იტყოდეს: „წყეულ იყავნ ყოველნი, რომელნი ესავ კერპთა და მსახურებდეს მათ, ხოლო იხარებდენ ღმრთისა მიერ ქრისტეს აღმსარებელნი!“ და ვითარცა ესმა ესე უსჯულოსა მას მეფესა, განრიხსნა და უბრძანა ეპარხოზსა (დიდი ვეზირი, მმართველი) ქალაქისასა შეპყრობა ერისა მის და ტანჯვა.

ხოლო შეიპყრა ეპარხოზმან მან და შესხნა (იგინი) საპყრობილესა. და შეიპყრა მათთანა ჭაბუკნი ვინმე, მთავრისა შვილი, სახელით თეოდორე. ასაკითა ვითარ ათორმეტისა-წლისა, შვენიერი ხილვითა და წარმოადგინა წინაშე სამსჯავროსა, და ჰრქვა მას „რაჲ არს ესე ყრმაო? ნუ უკვე შენცა ქრისტიანე ხარ?“

ჰრქვა მას ჭაბუკმან: ჭეშმარიტად ქრისტიანე ვარ და აღმსარებელი ქრისტესი.

ჰრვქა მას ეპისკოპოზმან: „შენ უცება (უვიცი) ხარ და სცდები, არამედ ისმინე ჩემი, ვითარცა მამისა შენის, და უზორე (უკმიე, შესწირე) კერპთა“. ხოლო ვითარცა არა ერჩდა (ჭაბუკი იგი) ნებასა მისსა, განრისხნა ეპარხოზი. იგი და ბრძანა დამოკიდება მისი და ხვრეტა (განგმირვა, ჩხვლეტა) გვერდითა მისთა. და დღე ყოველ სტანჯავდა მას ზეკიდებულსა და ხვრეტილსა უწყალოდ, და მიმწუხრი შენ მრავალჟამ ვიდრემდე მოიკლა მეფე იგი უკეთური, და ყოველნი პყრობილნი ქრისტიანენი განუტევნეს.

მაშინ თეოდორეცა საპყრობილისა მისგან გამოვიდა. ხოლო ჰკითხვიდეს ყრმასა მას თეოდორეს სახლეულნი და მოყვასნი მისნი, ვითარმედ „ოდეს ჩამოგკიდეს და გხვრეტდეს, ვითარ მოითმენდი?“

ხოლო მას არა ენება თხრობა, და რაჟამს აიძულეს, უთხრა მათ, ვითარმედ „ოდეს შთამომკიდეს და იწყეს ხვრეტად ჩემდა,

პირველად მელმოდა და ვგრძნობდი ტკივილთა ფიცხელად. და ვსთქუ თავსა შორის ჩემსა: „თეოდორე! დაითმინე მწარე ესე სატანჯველი, რათა საუკუნოდ გიხაროდენ!“ და ვითარცა ესე ვითარსა სატანჯველსა შინა ვიყავ, ვიხილე ოთხნი საჭურისნი სპეტაკითა მოსილნი, და პურნი უბრწყინვიდეს ვითარცა ვარსკვლავნი. და ერთსა მათგანსა ეპყრნა ლანკანი და მეორესა ტაკუკი სავსე მირონითა სუნნელითა, და ორთა მათ ეპყრა ზეწარი სპეტაკი ვითარცა თოვლი. და ჰრქვა მან, რომელსა ეპყრნა ლანკანი, მოყვასსა თვისსა: „მოიღე მირონი ეგე და შთამოასხი ლანკანსა ამას!“ და ვითარცა შთაასხა, გამოვიდა მისგან სუნნელება ჰამო, რომელ არაოდეს მეყნოსა ეგე ვითარი. და მირონი იგი იყო ბრწყინვალე, ვითარცა მზე. და ვითარცა შევიდა საყნოსელთა ჩემთა სუნნელება იგი, განვძლიერდი და არა ვგრძნობდი ტკივილთა მათ ყოვლადვე. ხოლო მათ მაპკურეს ნელსაცხებელსა მისგან და გარდამომახურეს ზეწარი იგი ბრწყინვალე და მიერითგან ყოვლადვე არა ვგრძნობდი ტკივილსა. არამედ ვითარცა სხვისა ხორცითა ტკივილსა, ეგრეთ შემერაცხა. და ვიდრე გარდამოხსნამდე ჩემთანა ჰსდგეს (იდგნენ), და ვითარცა გარდამომხსნეს, კვალად მცხეს მირონი და წარვიდეს. ხოლო მე გულ-კლებულ ვიქმენ და მინდოდა, რათამცა ეგრეთ ვიტანჯებოდე და იგიცა სუნნელება მეყნოსებოდა. რამეთუ პირველ აქვს ტკივილი სატანჯველისა, ხოლო რაჟამს იხილოს ღმერთმან გულმოდგინება კაცისა, მიუვლენს ანგელოზსა, განაძლიერებს და შეეწევის ღვაწლთა შინა. ხოლო ესე ამისთვის წარმოგითხარ, რათა უწყოდე ანგელოზსა საკმეველისათვის, რომელ მკითხე!“

და ვითარცა ესმა ეპიფანეს, განკვირდა და იტყოდა გულსა შინა თვისსა: „იხილეთღა კაცი, რომელსა უწოდიან სალოსად, ვითარითა სიბრძნითა სავსე არს და შემკობილი?! და რომელნი იგი სოფლისა ბრძენნი არიან, იგინი განცოფნეს! ხოლო ესე ზეცისა

სიბრძნესა მიწევნილ არს!“ და ვითარცა ესე ყოველი წარმოსთქვე, წარვიდეს ეკლესიად ჟამსა მსხვერპლისა შეწირვისასა.

ხოლო ნეტარი ეპიფანე იყო ფრიად სწავლული სიბრძნესა, დაიმარხვიდა მარადის. და ყოვლითა ეკლესიათა ვალს და წმიდათა სახსენებელთა ეზიარებინ და ყოველსა კეთილსა საქმესა ისწრაფინ აღსრულებად. არამედ წმიდა ანდრია ფრიად უზესთაეს იყო მისსა! რამეთუ სულისა წმიდისა მიერ ყოველთა ენათა იტყოდა, რომელნიცა ენებოს, გინა სხვა ვინმე ზრახავნ. წიგნთა საფილოსოფოსთა სრულებით მიწევნილ იყო, და ხორცთა უბიწო იყო. და ქალწული წმიდა ყოვლად შეუხებელი. ხოლო გულის სიტყვა მისა არავინ უწყოდა, თვინიერ ჩემ გლახაკისა. და ეპიფანე იცოდა ყოველი ცხოვრება მისი, ვითარ იქცეოდა საწუთოსა ამას შინა, ანუ ვინ იყო იგი, გინა რომლითა სახითა მოქალაქობდა, ხოლო სხვამან არა ვინ იცოდა.

თავი სამოცდამეათე

ჟამსა ერთსა ვსხედით და მივიღებდით საზრდელსა. ჰკითხა ეპიფანემ ანდრიას: მაუწყე მე მამაო სულიერო, რაჲ ითარგმნების არტოსი?

ჰრქვა ანდრია: „არისხოსა და არტოსა, ესე ორნივე სახელნი არიან პურისა, მწიგნობრობათა და ხელოვნითა სიტყვითა“.

ჰკითხა ეპოფანემ: მაუწყე მამაო, ჭეშმარიტად და ზედ მიწევნით, ვითარი სახე არს ღვთაებისა, ანუ ვითარ ვინ მიიწიოს მისსა გულისხმისყოფასა?

მიუგო წმიდამან ანდრია და ჰრქვა: „შვილო, დასცხერ და ნუ გამოეძიებ ეგე ვითარსა, რამეთუ ღვთაება უხილავ არს და განუცდელი, მიუწთომელი, შეუზღუდავი, უსაზღვრო, უნივთო, უზესთაესი ყოველთა, დაუსაბამო, დაუსრულებელი, ყოვლისა მპყრობელი, ყოვლად ძლიერი, ყოველთა არსთა დამბადებელი,

მამა უშობელი და მშობელი, და ძე მამისაგან გამოსრული. ამას ზედა გრწმენინ წმიდა სამება და თავყვანისცემდი. ხოლო ნუ გამოიწვლილებ ძალსა ღვთაებისასა, რამეთუ ვინ ძიებასა შეუდგეს დაანაქმას და ვერღარა გამოვალს. უკეთუ ქვეყანისასა ვერა გამოვიკვლიეთ, ვითარ გამოვიკვლიეთ ზესკნელისასა? ხოლო უღირსი ესე ვეძიებდი მრავალ გზის ცისა და ქვეყანისა განგებათა, დასასრულსა, და ვერა მივხვდი: ვერცა ყურეთა, ვერცა კიდეთა და განკრთომილი (უცაბედათი, ანაზდეული შიში) გამოველ ვედრებისა მისისაგან. ხოლო ვითარ გამოღა ვეძიებდი, მივიტაცე გონებითა ჩემითა აღმოსავალი კერძო, და ვჰპოვე დასასრულსა ქვეყანისასა, მდინარესა ზედა საშინელსა, რომელსა ზედა არს კიდე ცისა. და ამიერ კერძო ვიხილე ბრწყინვალება საშინელი და ხმა იყო ჩემდა მომართ, რომელი მეტყოდა: „ანდრია! და ესრეთ, გამოღებისაგან გამოუძიებელთა საქმეთა და რომელი ჯერ არს კაცისა სახმარად, გინა საგონებლად მას ჰგონებ!“

და ხმა იგი, რომელი ამას მეტყოდა მე, იყო იგი, ვითარცა ხმა ქუხილისა და აღავსო გონება ჩემი სიხარულითა მიუწთომელითა, და კვალად მრქვა მე, ვითარმედ „ქმნულს ღვთისა კაცი ვერ შემძლებელ არს მითხრობად, შენ ანდრეა ვიდრე ხვალსა, ამისთვის შვილო ჩემო, არა უღირს კაცსა ყოვლადვე ეგე ვითარითა საქმეთა გონება. არამედ ესე არს მაღალი და სრული გზა, რათა კაცი მარადის განაგებდეს, თუ რომლითა სახითა ანუ სათნოებითა, სათნო ეყოს ღმერთსა და ჰყოს ნება მისი! და სატანჯველითა მათ საუკუნეთა განრომასა (განვლას) ზრუნვიდეს, და ცოდვა მოიძულოს სრულიად, სიკვდილი თვისი მარადის წინაშე თვალთა აქვნდეს, და რომელი მას უჩნდეს, რომელი თუმცა სხვამან ჰყო მისა მიმართ, იგი სხვასა ნუ უყოფს. ასე ვითარნი საქმენი ეთხოვებიან. ხოლო საღმრთონი განგებანი მას მხოლოსა მიუტევნეთ და განაგნეს,

ვითარცა იცის და ვითარცა ჰნებავს, და არა ჩვენ, მიწანი ესე და ნაცარნი, ვეძიებდეთ ზეცისა განგებასა ქვეყანასა შესაქმესა. რამეთუ არცა მოსე წინასწარმეტყველმან ჰსთქვა სხვა მეტი, რაჟამს იწყო აღწერად დაბადებისა, გარეშე ამისა (გარდა ამისა), ვითარმედ „დასაბამად ჰქმნა ცა და ქვეყანა“, და სხვანი სახენი ქცეულებანი დაიდუმნა. ხოლო წმიდათა მამათა და მოძღვართა ჰსთქვეს (აღხსნეს), რომელი იგი ჯერ იყო. და მოსცა მათ სულმან წმიდამან შესაქმისათვის ცისა და ქვეყანისა, და ანგელოზთა ბუნებისათვის და ესეცა შიშითვე! და წიგნისა წამებითა და წინასწარმეტყველთა არა შევიდე შეუვალსა სიღრმესა.

ჰკითხა ეპიფანემ: რაჲ არს ძალი ესე მზისა, ანუ რა ხილვა აქვს? რამეთუ ვიხილე მე ოდესმე დაწერილად მხატვართა მიერ, ვითარცა პირი კაცისა ჭეშმარიტი არს ანუ ტყუილი? მაუწყე მე ესე გევედრები!

მიუგო ანდრია და ჰრქვა: „არა მრწამს, თუ პირი მზისა იყოს, ვითარცა პირი კაცისა! თუ გნებავს ცნობა ძალისა მზისა, ისმინე: სთქვა მოსე წინასწარმეტყველმან: ოდეს შეჰქმნა ღმერთმან მნათობნი ესე დიდნი, შეჰქმნა ერთი მფლობელად დღისა და მეორე მფლობელად ღამისა. ხოლო არს მზესა ზედა ცეცხლი მხურვალე და ნათელი, და არა ზომისა უმეტეს მხურვალი, რათა არა ქვეყანა დაჰსწვას, არამედ განატფოს ოდენ (მარტოდ) ჯეროვნად. და კვალად უწყოდე ჭეშმარიტად მზესა ზედა ცეცხლი არს. ამისთვისცა გამოვალს მისგან ცეცხლი, ვითარცა კვესისაგან, და შეიქმს ცეცხლსა სახმარსა კაცისასა. რაჟამს ჭიქით წყალი მიუპყრან მზისა მწვერვალსა, განვლის წყალსა მას ჭიქისასა და აღანთებს აბედსა და კვალად, შენ წინაშე სჩანს მცირედ სიშორისა მისისათვის ჩვენგან. ხოლო არს დიდ ფრიად, და ანგელოზი უძღვის მას და აქცევს ჟამსა შინა წელიწადისათა, და სადაცა უბრძანოს ანგელოზმან მან, მუნცა ჩაივსების. რამეთუ სამსახურებელად კაცთა მოუცემია ღმერთსაცა სხვანი ყოველნი

დაბადებულნი: განსვენება არა აქვს, არამედ ვალს დღე და ღამე. რომელსა ჩაივსების, არს იგი კიდე ცისა, და მდინარე მოსდგამს გარემოს ცისა ყოველისა. კამარა და მზე შთაივსების მდინარესა და მოიპოების კიდესა ქვეყანისასა ჩრდილოთ კერძო მდინარესა მას შინა, და მოვალს აღმოსავალსა მზისასა. ზამთრისა ღამეთა გზა დიდი უძს და მოვალს სამხრით ქვეყანასა და მით ღამენი დიდნი არიან, ხოლო ზაფხულს ჩრდილოთ კერძო საშუალ. მიუგო წმიდამან ანდრია: „იტყვის პავლე მოციქული: რომელმან ცას მოვალს და არიან ღამენი მცირენი და დღენი დიდნი. ესე არს ძალი მზისა“.

ჰკითხა ეპიფანე: ვითარ სახედ თქვა დავით წინასწარ-მეტყველმან ფსალმუნი ესე: „ნუ სდგებიან შენ წინაშე საყდარი უსჯულოებისა, რომელნი იქმან შრომასა ბრძანებულსა ზედა. მოინადირონ სული მართლისა და სისხლსა მას უბრალოსა ბრალეულ ჰყოფდეს?“

მიუგო წმიდამან ანდრია: „ესე ფსალმუნი შვილო, ორკეცად გამოითარგმნების: ერთად, ვითარ შენცა უწყი, რამეთუ მეფობდა საულ, და მეფობდა დავითიცა. და საულ უმზირდა დავითს, რათამცა მოეკლა იგი, სადაც ჰპოვოს დავით ევედრებოდა ღმერთსა და ეტყოდა: ღმერთო, ნუ გთნავს საულ, რამეთუ არა ღირს არს მეფედ: პირველად ასწავის ერსა შენსა ძვირსა ჩემთვის, ხოლო მე, მონა შენი, არას ძვირსა ვეძიებ მას ზედა. იგი მოდგების (ეძიებს) სიკვდილსა ჩემსა. ამისთვის ევედრება დავით მაცხოვარსა ღმერთსა.

ისმინა ღმერთმან დავითისა და განხადა საულ მეფობისაგან და აღამაღლა მის მიერ დევნული დავით, მდაბალი და მშვიდი გულითა.

ჰკითხა ეპიფანემ: რაჲ არს ჯოჯოხეთი ანუ მღვიმე იგი ქვესკნელი, ანუ რაჲ არს სიღრმე იგი უფსკრულისა მის ჯოჯოხეთისა? რაჲ (როგორ) ითარგმნების?

მიუგო წმიდამან ანდრია: „ჯოჯოხეთი მსგავსი არს

საფლავისა. ვითარცა საფლავსა შინა განირყვნების მშვენიერება ხორცთა და შეიცვლების, ეგრეთვე ჯოჯოხეთს შინა შეიცვლების შვენიერება სულისა და იქმნების უშვერ და შავ, და იგივე სახე აქვს მღვიმესა მას.

ჰკითხა ეპიფანემ: რომელნი ნათესავნი მივლენ სასჯელსა ღვთისასა, რაჟამ აღდგეს მკვდარნი, ანუ ვითარ განისჯებიან? ჰქმნეს ცოდვა, მონა არს იგი ცოდვისა ყოველნი მივლენ სასჯელსა, გინათუ მართლმადიდებელნი იყვნენ, გინათუ მწვალებელნი, გინა თუ ურიანი. ხოლო ურიათა რომელთა მოსეს სჯული წმიდად დაემარცხოთ, იგინი უმოლხინეს იყვნენ სხვათა მათ, რომელნი გარდამავალ იყვნენ სჯულისა. და ვიდრე ქრისტეს მოსვლამდე, რომელნი იყვნეს კეთილად მმარხველნი სჯულისანი, კაცნი იგი, სცხონდენ ყოველნი, ხოლო აწინდელნი, ყოველნი სატანჯველად მივლენ, გარნა კეთილის მომქმედნი უმოლხინეს იყვნენ. ეგრეთვე სარკინოზნი მიიღებენ სასჯელსა, გარნა კეთილი ყოფა არა სადა განელტვის (არ დაიმალება) და სასჯელსა უმცირესსა მიიღებენ. არამედ, რომელი პირველითგან განწესებულ არს მათთვის, ყოველნი სწორედ მივლენ, ხოლო ამისთვის მის მივლენ სამსჯავროდ, რათა იხილონ დიდება ქრისტესი და ცნან, რამეთუ ჭეშმარიტი ღმერთი იყო, რომელი იშვა ქალწულისაგან. რამეთუ მათ იცოდენ მოსვლა მისი და არა რწმენა. ამისთვის იხილონ რაჲ, იგლოვდენ მოსვლა მისი და არა რწმენა. ამისთვის იხილონ რაჲ იგლოვდენ, თუ ვითარი დიდება დაიჭირვეს (დაჰკარგეს). ესე ორნივე ნათესავნი მარცხენით სდგენ, ვითარცა იტყვის მაცხოვარი, ვითარმედ „ცოდვილნი დაადგინნეს მარცხენით“.

მაშინ ურიათა წარმოუდგენ წინასწარმეტყველნი და ეტყვიან მათ პირითა მათითა: „ვითარმედ წინასწარვე გაუწყეთ ჩვენ მოსვლა ქრისტესი და რაჟამს იხილეთ, რასათვის არა ირწმუნეთ იგი?“ და ამათ დაუყოფენ პირთა მათთა, რათა

არღარა აქვნდეს სიტყვაჲ. ხოლო ქრისტიანეთა წარმოიდგენს წმიდათა მოციქულთა და მახარებელთა და მღვდელმთავართა, რომელნი ასწავებდეს ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა, და ამით უსიტყველ ჰყოფს ორკერძოვე, რამეთუ არა ირწმუნეს მათ სწავლა, და არცა მოდრკეს შიშად სატანჯველისა. ამისთვისცა იტანჯებოდენ უკუნისამდე. და ესეცა უწყოდე შვილო ჩემო, საყვარელო, რამეთუ ყოველნი მოწაფენი მოძღვართა თანა დგენ. უკეთუ ვინმე ისწავა კეთილი მოძღვრისა კეთილისაგან, გინა მართალი სარწმუნეობა, გინა სხვა რაიმე ისწავა, და მტკიცედ დაიცვა, ჰსდგეს იგი მსწავლელისა თვისისა თანა სიხარულით მარჯვენით საყდარსა ქრისტესა, ხოლო ბოროტის მასწავლელი მოძღვარი და მოწაფე იგი მის მიერ სწავლული, რომლისაცა საქმე უკეთური იყოს, გინა წვალებისა, თავ-თავად დგენ, რათა მისაღებელი, მსგავსად საქმეთა მათთა ვითარცა ექმნათ, მიიღონ.

მართალნი წარვიდენ სასუფევლად მოძღვართა მათთა თანა, ხოლო ცოდვილნი მიეცნენ ანგელოზთა უწყალოთა და წარგზავნე სატანჯველთა საუკუნოდ მოძღვართა მათთა თანა.

ჰკითხა ეპიფანემ: მითხარ მამაო, ვითარ შესაძლებელ არს ესოდენთა მკვდართა (გვამთა) აღდგინება, რამეთუ მრავალნი არიან საუკუნიდგან დაძინებულნი, ანუ რაოდენი გუნდნი ანგელოსთა კმა ეყოს აღმადგინებელად?

მიუგო წმიდამან ანდრიამ: „ღვთისა საკვირველმოქმედებათა ნუ შეხვალ გამოკვლევად, გეშინოდენ და სძრწოდე მისგან. ხოლო აღდგომისათვის ესრეთ უწყოდე: უკეთუ ინებოს ღმერთმან, მოავლინნეს ანგელოზნი და ყოველივე შემოკრიბნეს წამსა თვალისასა სულით და ხორცით.

ჰკითხა ეპიფანემ: დღესა მას განსჯისასა, რა იქმნების ზღვა, ხმელი, მზე და მთოვარე და ვარსკვლავნი? გინა არსა (იქმნება) მაშინ ღამე, ანუ დღე და ჰაერი ესე?

მიუგო წმიდამან ანდრიამ: „რაჟამს მოიწიოს დღე იგი საშინელი, მოსვლა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, წარავლენს იგი ოთხთა მთავარანგელოზთა დასითა თვისითა ოთხთა ყურეთა ქვეყანისათა. და დასდგენ მუნ, და მოელინ ბრძანებასა ღვთისასა ზეგარდამოსა. და რაჟამს უბძანოს მათ ღმერთმან, „დაჰბერეთ საყვირსა!“ მაშინ ცა და ქვეყანა წარიგრაგნოს, ვითარცა იტყვის დავით წინასწარმეტყველი: „დასაბამსა შენ ღმერთო ქვეყანა დააფუძნე და ქმნული ხელთა შენთანი ცანი არიან, იგინი წარხდებიან, ხოლო შენ ჰგიე უკუნისამდე. და ყოველნი, ვითარცა სამოსელნი დაძველდენ, და ვითარცა შესამოსელნი სცვალენ იგინი. ხოლო შენ თავადი იგივე ხარ და წელიწადთა შენთა არა მოაკლდეს“. რამეთუ, ვითარცა სამოსელი შეიცვლების და განახლდების, მაშინ ცა და ქვეყანა და ყოველნი სამკაულნი მათი და ხორცნი ყოველთა კაცთანი განახლდებიან და აღსდგებიან უხრწნელნი. ხოლო ქვეყანა შეიმოსს უხილავსა ძალსა და მიუწთომელსა! და ცანი შეიცვლებიან საკვირველად და ჰაეროვანება და ნათელი ესე ბევრი ათასთა წილ (ერთი ათასად) უბრწყინვალეს ჰნათობდეს.

მაშინ ქვეყანასა ზედა მხეცნი და ფრინველნი და ჭიანი არღარა იყვნენ, არამედ ქვეყანა სუნნელთა საკმეველთა გამომღებელი და ყვავილთა შვენიერთა! შესაკრებელი ყოველთა მართალთა იყოს და ღამე ყოვლად არა არს და არცა იხილვების ბნელი. რამეთუ ღმერთი არს მაშინ ნათელი, დიდება წმიდათა და გვირგვინი, შვენიერება და სიქადული! რამეთუ, ყოვლადვე ხედვა ღვთისა განუქარვებელ არს მათგან და ნეტარ არს, რომელი ღირს იქმნეს მაშინ მას დიდებასა მიმთხვევად! რამეთუ აღსასრული არღარა აქვს, არცა შეცვალება, არამედ ანგელოზთა თანა დიდებისმეტყველებდენ ღვთისა მიერ სულიერსა გალობასა!“

თავი სამოცდამეთერთმეტე

და ვითარცა ამას უთხრობდა ნეტარი ანდრია, მოვიდა ეშმაკი და დადგა შორის მათსა. ხოლო ვითარცა იხილა იგი, ჰრქვა მას: „წარვედ წყეულო და არა წმიდაო სულო!“

ჰრქვა მას ეშმაკმან: შენსა უფროს უწრფელესსა ვერღარავის ვჰპოვებ. უკეთუ გნებავს, გითხრა მე რაიმე მართალი. მოვლენ ჟამნი და გამოვიღო (გამოვიცნო) ჩემი სახელოვნე და ვჰყვნე კაცი უხელოვნეს ჩემსა და უბოროტეს, და ჩვილნი ყრმანი უმანქანეს მოხუცებულთასა იყვნენ. და ჩვენ წელიწადთა მათ ესე ვითარსა სამანქანესა შინა განვისვენოთ, რამეთუ იგინი იქმოდიან საქმეთა ჩვენთა.

ჰრქვა წმიდამან ანდრია: „და შენ ვინა უწყი ეგრეთ, რამეთუ წინასწარ ცნობა არა გაქვს?“

ჰრქვა ეშმაკმან: მესამეთაგან ჟამთა მომავალთა შევატყვებთ, რამეთუ მამა ჩვენი სამოელი ზის ჯოჯოხეთსა შინა და სხვა არა უძს საქმე, გარნა ყოველსა ესე ვითარსა სამანქანესა გვწვრთნის ჩვენ, შვილთა მისთა და მის მიერ ვუწყით.

ჰრქვა წმიდამან: „რომლისა ცოდვისათვის უფრო განიხარებთ, რაჟამს ქმნეს კაცმან?“

მიუგო მას ეშმაკმან: კერპთმსახურებისათვის და გრძნებისათვის და მწვალებლობისათვის, ძვირის ხსენებისათვის და კაცის კვლისა, რამეთუ ყოველი ბოროტი მათ მიერ იშვების: სიძვა და მრუშება.

ჰრქვა წმიდამან: „ოდეს უარჰყვნეს და მოიკვეთნეს საქმენი ეგე კაცმან და ინანდეს იგი გულითა მხურვალითა, რაჲ იყოს მისთანა?“

მიუგო ეშმაკამან: ეგე შენ თვით უწყი, თუ რა არს, მე რაღას მკითხავ? ჩვენ მრავლითა ღონითა ვებრძვით, რათა ვაცთუნოთ კაცი, და მერმე ცთომისა შემდგომ ვიღწვით, რათა არღარა

მოვიდეს სინანულად. ხოლო უკეთუ შეინანოს, კვალადცა ვებრძვითვე და მრავალთა მოვიყვანებთ ნებასავე ჩვენსა მრავლითა ღონითა. რამეთუ ყოველი მოსწრაფება ჩვენი ესე არს, რათა ვაცთუნეთ ქრისტიანენი და მოვიყვანოთ ნებასა ჩვენსა და მრავალთა მოვიყვანებთ (მოვინადირებთ) და წარვსწყმედთ.

რაჟამს ესმა ესე ყოველი წმიდასა ანდრიას ეშმაკისაგან, ნერწყვა მას და დასწერა მას ჯვარი და ჰრქვა: „წარვედ ჩემგან წყეულო, ნუღარა ზრახავ, არამედ შთახედ ჯოჯოხეთად!„ და მყის უჩინო იქმნა.

თავი სამოცდამეთორმეტე

მოვიდეს ორნი ფილოსოფოსნი ეპიფანესა, რათა ეუბნოს საფილოსოფო წიგნთაგან. ხოლო ანდრია ჰრქვა ერთსა მათგანსა: „გკითხავ შენ, ბრძენო, რათა მაუწყო, უკეთუ გიპოვნიეს წიგნთა შენთა შინა, რათამცა სცნა დღე იგი აღსასრულისა შენისა და განეკრძალო მისთვის?“ ხოლო ვითარცა ესმა კაცსა მას, განჰკვირდა ფრიად და ჰრქვა ეპიფანეს: „ვინა უწყის გლახაკმან ამას ესე ვითარისა სიტყვისა თქმა?“

ჰრქვა მას ეპიფანე: რამეთუ სამსჯავროსაგან ზეცისა მოსრულ არს სული სიბრძნისა მას ზედა და აღუვსიეს გვამი მისი და მის მიერ აღმოიტყვის ესე ვითართა სიტყვათა.

ჰრქვა ფილოსოფოსმან: ჰსჩანს რამეთუ სიტყვა მისი ჭეშმარიტსა იტყვის.

მიუგო წმიდამან ანდრია: „მეცნიერ ხარ ჩემთა პირველ, ანუ აწ მიხილე?“ ხოლო მან განიცინა და ჰრქვა მას ანდრია: რასა იცინი? მართლად გეტყვი, აწ უკვე აქავე ევედრე ღმერთსა, სამ დღემდე მეფე მოავლენს მანდატურსა თვისსა და მოგაკვდინებს. წარვედ სახიდ შენდა და განემზადე, რამეთუ სამისა დღისა შემდგომად წარხვალ!“

ჰრქვა ფილოსოფოსმან: და რომელი მეფე განრისხებულ არს ჩემზედა, რამეთუ არა მიცის მე მეფემან ყოვლადვე, თუ ვინა ვარ და არცა რა შემიცოდებია. რაჲ ჰნებავს ჩემგან?

მიუგო წმიდამან: „წარვედ მსწრაფლ, ისმინე სიტყვა ჩემი და განემზადე“.

განწყრა ფილოსოფოსი იგი და ჰრქვა: რაჲ განვემზადო? ვითა ვჰყო? არა ვუწყი რასა იტყვი! მაშინ წმიდამან ანდრიამ უთხრა განცხადებულად: „წარვედ და იყიდე დრაჰკანისა სანთელი და საკმეველი და განრეცხე სამოსელი შენი, რათა შეგმოსონ საფლავსა შენსა, და განუყავ გლახაკთა ვეცხლი შენი!“

ჰრქვა ფილოსოფოსმან: და ვითარ ვუწყოდე, თუ ჭეშმარიტსა იტყვი შენ?

და წმიდამან ანდრია მიუთხრა სიზმარი, რომელი ეხილვა ფილოსოფოსსა მას ოდენ ღამესა. „არა ესრეთ იხილვა, ვითარმედ გეპყრნეს წიგნი და იკითხვიდი. და ვითარ დაასრულე კითხვა დაშთა სამი ფურცელი უკითხავად. და გეპყრნეს სამნი იგი ფურცელნი მარცხენესა ხელსა შენსა და იტყოდი: „სულო ჩემო, ნუ ისწრაფი, სამნიღა ფურცელნი გისხენ, რომლითა განსრულდეს წიგნი იგი“. ნახული მის მიერ (ფილოსოფოსისა), რომელი მიუთხრა წმიდამან ანდრიამ, (კაცი იგი) განჰკვირდა და შეიპყრა შიშმა და ძრწოლამ, და ჰრქვა ეპიფანეს: ცხოველ არს მაცხოვარი იესო ქრისტე, ძე ღვთისა! ჭეშმარიტად ესრეთ მიხილავს სიზმარი ესე ამას ღამესა შინა!

ჰრქვა მას ეპიფანემ: „გულსავსე იქმენ, ძმაო, რამეთუ ყოველი, რომელი გესმა მაგისაგან, ზეცით გარდამო არს და ღმერთი გეტყვის პირით გამო მისით. წარვედ და განემზადე, რამეთუ ჭეშმარიტ არს სიტყვა მისი“. ხოლო კაცი იგი წარვიდა და აღუარნა ცოდვანი თვისნი მოძღვარსა და მონაგები თვისი განუყო გლახაკთა. და სამი იგი დღე წარვლო კეთილითა სინანულითა და აღესრულა სათნოდ ღვთისა. ხოლო რაჟამს

წარვიდა ფილოსოფოსი იგი და მოიწია ღამე, შევიდეს სახლსა ეპიფანე და ანდრია და მიიღეს საზრდელი.

თავი სამოცდამეცამეტე

ხვალისა დღე იყო დღესასწაული შუა ზადიკობისა, და წარვიდეს ორნივე ღამისთევად ეკლესიად. ხოლო ანდრია ჰსდგა გარეშე, ფარულსა ადგილსა, თვისაგან და მუნ ილოცვიდა. ხოლო ეპიფანე შევიდა ეკლესიად ერსა მასთანა და იწყეს ლოცვად. იხილა ეპიფანე ერსა მას შორის სამნი საჭურისნი, სახითა მღვდელთათა მდგომარენი, რომელნი ბრწყინვიდეს, ვითარცა მთიებნი (ცისკრის ვარსკვლავი, მანათობელი). ხოლო ერთი იგი იყო უმაღლესი ყოველთასა, და ორნი იგი უდგეს იმიერ და ამიერ საჭურისსა მას, ვითარცა მსახურნი. და ეპიფანე, ვითარცა ხედვიდა მათ, მახლობელად მათსა, გარნა არა უწყოდა, ვითარმედ ანგელოსნი არიან. და ვითარცა დასხდეს წიგნის კითხვად, მივიდა ეპიფანე მახლობელად მათსა. ჰრქვა მას საშუალმან: „მოვედ წმიდაო მეუფეო და დაჯედ ჩემთანა!“ ხოლო ეპიფანე შეწუხნა, გონებდა, ვითარმედ ესმა სხვათა კაცთა მეუფედ წოდება მისი.

ჰრქვა მას მღვდელმან: ნუ ჰზრუნავ, არა ვის ესმინა სხვასა ხმა ჩემი!

და ვითარცა დასხდეს, თქვა ეპიფანემ გულსა შინა თვისსა: „კაცნი ვინემ არიან, ანუ ანგელოზნი, რომლითა მე ვხედავ?“ ხოლო მან იწყო თხრობად ძალთა ზეცისათა და ამცნებდა კეთილად მოღვაწეობასა და წესსა პატრიარქობისასა. და ჰრქვა მას, ღირსი ხარ პატრიარქად კონსტანტინეპოლისა და მაცხოვრისა მიერ ხელნი დაგესხმიან მღვდელ-მთავრად და სასუფეველსა ცათასა დაემკვიდრები!

და ვითარცა ამას ასწავებდა, და წიგნსა იკითხვიდეს წმიდისა ბასილისასა, რომელი უთქვამს მოწყალებისათვის.

ჰრქვა ანგელოსმან: „ისმინე რასა იტყვის წმიდა ბასილი: “მოწყალებისათვის, ხარმცა მამა ობოლთა, და მსაჯული ქვრივთა, და ნუგეშინისმცემელი მწირთა, შემწე უღონოთა და ჭირვეულთ და დაწუნებულთა და მოწყალე გლახაკთა და ყოვლისა საქმისა კეთილისა სრულებით მოქმედისა!“ და ვითარცა აღასრულეს წიგნის კითხვა, ერთბამად აღდგეს.

მაშინ ანგელოსმან ამბორს უყო ეპიფანეს და ჰრქვა: „მიცნობ ვინა ვარ, ანუ ვინა მოვედ?“

ჰრქვა ეპიფანემ: არა გიცნობ, უფალო, ვინა ხარ, ანუ ვინა მოხვედ?

ჰრქვა ანგელოზმან: „მე ვარ მთავარი მხედრობათა ზეცისათა და მოვივლინე შენდა ღმრთისა მიერ, რათა ამიერიდგან მეცნიერი იყო ჩემდა“. და მყის განვიდა ეკლესიით. ხოლო ეპიფანე შეუდგა უკანა მისსა, თუ რაჲ იქმნა იგი? და ვერღარა იხილა, რამეთუ მიეფარა. ხოლო მან იწყო ტირილად და გულისკლებად, და უკუნ იქცა ეკლესიად. და ვითარცა გათენდა, წარვიდა სახიდ თვისად. ხოლო ანდრია პირველივე წარსულ იყო, და იჯდა ცხედარსა ზედა, და ვითარცა იხილა მან ეპიფანე, ჰრქვა მას: „ბრძანე, წმიდაო მეუფეო, ვითარცა გიბრძანა წმიდამან მთავარანგელოზმან, მამაო ობოლთაო და მსაჯულო ქვრივთაო, რამეთუ ესრეთ გიბრძანა მთავარანგელოზმან, ვითარმედ მე ვარ მთავარი მხედრობათა მეუფისათა!“

ხოლო ეპიფანე განჰკვირდა სულითა ცნობასა ზედა მისსა, რამეთუ ვითარცა მუნ მდგომარემან, ყოველივე წარმოუთხრა, და ეტყოდა ეპიფანე ესრეთ: „საკვირველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა, ღმერთი ისრაილისა!“ ჰრქვა ნეტარმან ანდრია: „არა სამნი იხილნეა ანგელოზნი იგი? თავადი იყო მიქელ მთავარანგელოზი, და ორნი იგი იყვნეს მისნი შემდგომნი ანგელოზნი, რომელთაგან პირველსა მას ჩვენსა უბნობასა მოეფინა სუნნელება, რაჟამს წიგნსა იკითხევდი“.

თავი სამოცდამეთოთხმეტე

და ვითარცა ეს სთქვა, იწყო ტირილად წმიდამან ანდრია და აღიხილნა ზეცად თვალნი და აღიპყრნა ხელნი და სულთით-ქვნა. ჰრქვა ეპიფანემ: „რაჲ არს ესე, მამაო პატიოსანო და მოძღვარო სულიერო? რასა ცრემლოჲ და ჰხედავ ზეცად მიმართ, მაუწყე მეცა, შვილსა შენსა!“ ჰრქვა მას წმიდამან ანდრია: შვილო ჩემო! ამიერითგან უწყებულ იყავნ შენდა, რამეთუ მოიწია აღსასრული ჩემი და განვეშორებით ურთიერთარს, მე და შენ, ხორცთა! ხოლო რაჟამს ესმა ესე ეპიფანეს, შეშფოთნა და ჰრქვა მას: „ვის დამიტოვებ, მამაო, ობოლსა შვილსა შენსა?“ ჰრქვა მას ნეტარმან: ნუ მწუხარე ხარ, შვილო, მიცვალებისა ჩემისათვის! ნეტარ არს ჩემდა, რამეთუ განვალ სოფლისა ამისგან! რამეთუ არა რა სარგებელ მეყოფის და რაცა რას შემძენს, არამედ უფროსად საკრძალავ არს და მაცთურ, და მანქანებანი ეშმაკისანი განფენილ არიან ყოველსა ადგილსა. ხოლო მე ვიდრე (სადაც) მეგულვების წარსვლა ცხოვრებასა მას, მუნ ყოფად არს ანგელოზნი და არს იგი ქვეყანა ნათლისა, ხოლო ესე (ქვეყანა) ბნელი არს. მუნ სამებასა წმიდასა ქებასა შეასხმენ ქერაბიმნი და სერაბიმნი, ხოლო სოფელსა ამას შინა ისმის ცოდვა და ტყუილი. მე, შვილო ჩემო, დავასრულე რიცხვი დღეთა ჩემთა და ამიერითგან არღარა მიხილო ცოცხალი, და არცა გესმეს ხმა ჩემი, ხოლო გაუწყო შენცა, რომელი მოწევნად არს შენ ზედა, რათა მის მიერ გახსოვდე და არა დამივიწყო. რამეთუ შემდგომ აღსრულებასა მამისა შენისა იქმნე შენ მონაზონი და წესიერებისა შენისათვის დაჯერებულ იქმნას ქრისტე ღმერთი და სახელი შენი განადიდოს ქვეყანასა ზედა, და რაჟამს შეიმოსდე სქემასა, სახელი შეგიცვალონ და ღირს იქმნე ხელდასხმასა წმიდისა სოფიასა პატრიარქად და აღსდგენ მრავალნი მწვალებელნი ბრძოლად შენდა, ხოლო შენ სძლო მათ ძალითა ქრისტესითა.

ხოლო გაფუცებ შენ სახელსა მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა, და ყოვლად წმიდასა ღვთისმშობელსა, რაჟამს პატრიარქ იქმნე, ნუ განადიდებ სახელსა ჩემსა ქვეყანასა, და ნურცა ეკლესიასა აღმიშენებ და ნურცა ხატსა ჩემსა გამოსწერ და ნუმცა ვინ მიცნობს, და ნუმცა მადიდებს შენ მიერ.

გრწმენინ ჩემი, ძმაო, უკეთუ არა დაიმარხო ანდერძი ჩემი, განსაცდელსა შევარდე. და მე თვით ვევედრო ქრისტესა ღმერთსა ჩემსა, რათა ყოვლადვე არა ვიდიდო ქვეყანასა ზედა და არცა ხორცნი ჩემნი გამოჩნდეს კაცთა შორის, რამეთუ ვითარცა წარწყმდენ და დაიფარნენ ცოდვილნი, ეგრეთვე ხორცნი ჩემნი დაიფარნენ ხორცთა თანა წმიდისა და ყოვლად სანატრელისა ნიროსთა*, რომელი იყო პირველ ჩემსა, რამეთუ მაცხოვარმან მისთანა ბრძანა, რათა დაისხნენ ხორცნი ჩემნი.

ხოლო შენ, შვილო ჩემო, გაქუნდინ შიში ღმრთისა და სიყვარული მისა ყოვლითა გულითა შენითა, და სახსენებელსა წმიდათასა აღასრულებდი და მადლსა მათსა ეზიარებოდი, და ლოცვასა ჰყოფდი ყოველთა ქრისტიანეთათვის ყოველნი გიყვარდენ, ტყვეთა იხსნიდი, ჭირვეულთა ნუგეშინისცემდი, დაწუნებულთა ხელთა აღუპყრობდი, უცხოთა შეიწყნარებდი, ხოლო მე, უკეთუ ვჰპოვო მადლი წინაშე ქრისტესსა, მარადის სულითა შენთანა ვიყო. რაჟამს მოიწიოს აღსასრული შენი და განხვიდოდე ხორცთაგან, მე მოვიდე პირველ შენდა და გაუწყო შენ ერთობით ვიყვნეთ საუკუნესა მას, და სწორად ვიხარებდეთ დიდებასა მას საუკუნესა და ერთობთ ვიყვნეთ და ვხედვიდეთ უხილავსა და თვალთშეუდგამსა ხატსა მას ღვთისა ჩვენისასა, ვითარცა თვით იტყვის მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე: „სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახურნი ჩემნიო“. და მე მრწამს, ვითარმედ არა ხვებულ გვყნეს ხილვასა მისსა და სმენასა ხმისა მის ტკბილისა.

---

* ხსენება მისი აღსრულების 20 ნოებერს არის.

თავი სამოცდამეთხუთმეტე

ისმინე შვილო! უკეთუ ვისმე ხელთა დასხმიდე მღვდლად, ანუ დიაკონად, ანუ ეპისკოპოსად, ნუცა ჰსწამებ უწესოსა და უღირსა კაცსა და ნუმცა ვისგან შეიშინები (შეიგინები), არამედ ღირსი და წესიერიმცა არს იგი ყოვლითა ხელთდასმხული შენი. და ნუცა შესახედავსა და პირმშვენიერებასა განიცდი (ხედავ), და ნუცა ფრიად სწავლულებასა შეხარბდები, არამედ უკეთუ იყოს გონებითა მდაბალი და მოშიში ღვთისა და სულთა წრფელი, და ჭეშმარიტი იგი გამოირჩიე და მას დასხენ ხელნი და აკურთხენ და ღმერთი გაქვნდეს მარადის წინაშე თვალთა შენთა და რაოდენსაცა აღასრულებდე წმიდასა ჟამის წირვასა, საყდარსა შენსა, ნუ დამივიწყებ მე, არამედ მომიხსენებდე. რამეთუ ვერა რაჲ სიყვარული და კეთილი საქმე ესწორების წმიდასა ჟამის წირვასა და მოიხსენებსა საიდუმლოთა შინა. რაჟამს კრავი იგი უბიწო დაიკვლის და სისხლი მისი ჭეშმარიტი დაითხევის, მაშინ მხოლოდშობილი ძე ღვთისა უხილავად მუნ ჰსდგას და ისმენს თხოვასა მას და ვედრებასა შემწირველთასა, და შენდობასა მვედრებელთასა მიანიჭებს უეჭველად მის მიერ მოხსენებულთა სულთა.

ჰე, შვილო ჩემო! დაიმარხენ სწავლანი ჩემნი გულსა შინა შენსა გლახაკთა სწყალობდი, ობოლთა და ქვრივთა უსჯიდი, სნეულთა და პყრობილთა იკითხევდი და იღწვოდი, უცხოთა შეიწყნარებდი. დაიმარხე მცნება ჩემი და ყოველი, რომელი გამცენ შენ, და წმიდა ღვთისმშობელი იყოს მეოხად შენდა ყოველსა ჟამსა და სიყვარული მამისა და ძისა და სულისა იყავნ შენთანა ყოვლად განუშორებელად!“

თავი სამოცდამეთექვსმეტე

ხოლო ვითარცა ესე ყოველი წარმოსთქვა, მერმე ჰრქვა ეპიფანეს: „აღსდგეთ, შვილო ჩემო და ვილოცოთ“. და მოიდ-რიკნეს მუხლნი ორთავე. მაშინ იწყო ანდრია ლოცვად და იტყოდა: „მამაო ძით და სულით წმიდითურთ, განუყოფელო და შეურევნელო (სუფთა, ნამდვილო)! გევედრები საწყალობელი ესე, გლახაკი, უცხო და უძლური, დავრდომილი და სნეული, რომელსა არა მაქვს სოფელსა ამას შინა, სადა თავი მივიდრიკო! მაცხოვარო, სახელისა შენისათვის, შევიდრეკ მუხლთა ჩემთა წინაშე შენსა, ყოვლისა მპყრობელო, მართალო და წმიდაო სამებაო, საშინელო. რომელი მწყალობელ ხარ და შემწყნარებელ, სულგრძელ და დიდად მოწყალე, მაკურთხე ჩვენ! წყაროო ცხოვრებისაო, უხვი ნიჭი სულისა შენისა წმიდისა მოავლინე ჩვენზედა და მოგვიტევენ შეცოდებანი ჩვენნი ნებსითნი და უნებლიეთნი, საქმითნი და მოგონებითნი, და ყოველნი თანანადებნი ჩვენნი! გევედრები შენ, ეპიფანესთვის მონისა შენისა, მეუფეო სახიერო და კაცთმოყვარეო, განანათლენ თვალნი გულისა მისისანი, და დანერეგე გულსა შინა მისსა სული სიბრძნისა და გონიერებისა, სული სიყვარულისა და მშვიდობისა, სული სიმშვიდისა და მყუდროებისა და წარუძღუ მას ყოველსა ნებასა შენსა და ღირს ჰყავ ასრულებად ყოვლითა მოსწრაფედ და დაუბრკოლებლად!“

და ვითარცა აღასრულა ლოცვა ესე, მსწრაფლ გამობრწყინდა სახლსა მას შინა ნათელი, ვითარცა ელვა, და სული სუნნელებისა საშინელი მოიწია. ხოლო ეპიფანე დავარდა პირსა ზედა შიშითა. და მოიქცა წმიდა ანდრია, უპყრა ხელი მისი და აღადგინა. დასწერა ჯვარი პირსა ზედა მისსა და იწყო ლოცვად ეპიფანეს-თვის და იტყოდა: „მადლო უხილავისა მის ნათლისა მოავლინე

ჩვენ ზედა, სახიერო და კაცთმოყვარეო, ღმერთო ჩვენო! და თქვენ, ყოველნო ძალნო ზეცისანო, ქერაბინნო, სერაბინნო, საყდარნო, უფლებანო, მთავრობანო და ხელმწიფებანო და ყოველნო ძალნო ზეცისანო, შეგვიწყალენით! ლოცვაო ბევრისა ბევრულთა ანგელოზთაო და ვედრებაო ათასთა ათასეულთაო, რომელნი მსახურებთ სამებასა ღმერთსა, ღვთაებასა ძლიერსა, შეეწიენით მონასა თქვენსა ეპიფანეს!

ლოცვითა მოციქულთა, ქადაგთა, მახარებელთა, წინასწარ-მეტყველთა, მღვდელთ მოძღვართა, მამათა, მოწამეთა, და წესიერად ქორწინებულთა კაცთათა, მეუდაბნოეთა და მართალთა მოღვაწეთა, ისმინე ჩემი, ეპიფანე, და ღირს ჰყავ ესე დიდებასა და წყალობასა შენსა, რათა კეთილად მოქალაქობდეს, ვიდრე წოდებადმდე შენ მიერ!“

თავი სამოცდამეჩვიდმეტე

და ვითარცა აღასრულა მოკითხვა ეპიფანესა, ამბორს უყო პირსა მისსა და თვალთა და მკერდსა და ხელთა მისთა, და დაუტევა მას მშვიდობა საუკუნო, და ტიროდა მწარედ. გამოვიდა მიერ და წარვიდა იგი იპოდრომსა მახლობელად ფოლოცსა მას ბნელსა დაბურვილსა კამარითა მზისა დასავალით კერძო, რომელი კარით შევალს იპოდრომად და სხენან მელომენი (მუსიკის გადამეტებულად მოყვარულნი) და არს იგი საყოფელი დედათა მეძავთა. და ამას ადგილსა მოვიდა და ღამე ყოველი ევედრებოდა ღმერთსა ყოვლისა სოფლისა ბრალთა შენდობისათვის. ლოცვასა მას შინა მოიწივა ქვეყანასა ზედა, ადგილსა ბაყლიანსა სავსესა სიმყრალითა, და იხილნა წმიდანი ანგელოსნი, ვითარცა მეგობარნი საყვარელნი. მხიარულად მოვიდეს მისსა და წარიყვანეს სული მისი ზეცასა, ვითარცა მარგალიტი ბრწყინვალე დიდებითა დიდითა. და

მეყსეულად ადგილი იგი, სადა იყო, აღივსო სუნნელებითა მიუთრხობელითა და ყოველი ქალაქი ფშოდა (სუნთქვიდა, იყნოსდა). ხოლო იყო მახლობელად მისსა დედაკაცი გლახაკი სართულსა შინა მცირესა, და ვითარცა ეყნოსა მას სუნი იგი სუნნელებისა, აღიღო სანთელი და მოვიდა ადგილსა მას, სადა იხილნეს პატიოსანნი ხორცნი წმიდისა ანდრეასნი და სუნნელება ფრიადი გამოვიდოდა მისგან. და განჰკვირდა და სთქვა თავით თვისით „წარვიდე და ვუთხრა გარემოსთა ამათ, რათა მოვიდენ და იხილონ საკვირველება ესე დიდი ყოველთა!“

ხოლო რაჟამს მოვიდეს კაცნი იგი, სუნნელება ეგო ეგრეთვე ადგილსა მას, ხოლო ხორცნი წმიდისანი აღარა იპოვნეს, ვითარცა მან პირველვე უთხრა ეპიფანეს.

თავი სამოცდამეთვრამეტე

და ვითარცა აღესრულა წმიდა ანდრია ჟამსა ოდენ ცისკრისასა, და დგა ნეტარი ეპიფანე ლოცვად სახლსა შინა თვისსა, იხილა სული წმიდა (უმანკო) მისი აღმავალი ზეცად, და ბწრყინვიდა იგი მზისა თვალისა უფროს და ერნი ურიცხვნი მოსილნი სპეტაკითა იმიერ და ამიერ ჰყვებოდეს. და ხმა გალობისა საშინელი ესმოდა ანგელოზთა ტკბილი და შეწყობილი, ვითარცა ნესტვისა, ხოლო ეპიფანე შეძრწუნდა ხმისა მისგან და ხილვითა მისგან საშინელისა. და ვითარცა მოეგო გონებასა, აღიპყრნა ხელნი ზეცად აღმოსავლით და იტყოდა: „მომიხსენე მე წმიდაო ღვთისაო, რაჟამს მიხვიდე წინაშე ცათა მეუფისა, ადგილსა მას, რომელთასა (სადაც) განმზადებულ არს შენთვის შვება!“ და იტყოდა ტირილით: „ჰოი ვითარიღა მზე დაიფარა დღეს და სვეტი ცეცხლისა ქალაქისა ამის! ნეტარი ანდრია, ღვთისთვის გლახაკი და უცხო, დღეს იქმნა შვილი ღვთისა და მოქალაქე ზეცისა მის ქალაქისა, და მკვიდრ სასუფეველისა ცათასა!“

ხოლო აღესრულა წმიდა და კეთილად მოღვაწე ანდრია კეთილითა შრომითა შემკობილი და ცისა და სოფლისა დიდი მეოხი და მფარველი თვესა მაისსა კც (ოცდარვასა), და იღვაწა სოფელსა ამას შინა ღვაწლი, მიმსგავსებული ზეცისა უხორცოთა, ხორცისა მის მიწისაგანთა, წელსა სამოცდაექვსსა. უცხო იყო სოფლისაგან, უპოვარი, მშიერი, წყურიელი, ყინულითა და ნეფხვითა გვემული, და კაცთაგან ტანჯული, და სხვანი ურიცხვნი განსაცდელნი ღვთისათვის თავს იხსნა!“

და მე ნიკიფორე, ხუცესმან დიდისა ეკლესიისამან, თვალით ვიხილე და რომელი მომითხრა ნეტარმან ეპიფანე უტყუილითა პირითა (იგი აღვსწერე), სადიდებელად ღვთისა ჩვენისა, იესო ქრისტესსა, რომელსა ჰშვენის პატივი და თაყვანისცემა თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ!“

განსრულდა. დიდება ღმერთსა, სამებით სრულმყოფელსა, ამინ.

თვესა ოქტომბერსა მეორესა დღესა წმიდისა და ნეტარისა ანდრია ქრისტესთვის სალოსისა. ესე იყო დიდისა მეფისა ლეონისზე, წელსა დასაბამითგან ხუთი ათას ცხრაას სამეოცდა ერთსა.

ტროპარი ანდრია სალოსისასა, ხმა ა.

ხმაჲ მოციქულისა შენისა პავლესა ისმინა მეტყველი, ვითარმედ „ჩვენ სულელ ქრისტესთვისა, მონამან შენმან ანდრია, და იქმნა სულელ ქვეყანასა ზედა შენთვის, ქრისტე ღმერთო, ამისთვისცა აწ ხსნებისა მისისა პატივისმცემლნი გევერდებით, აცხოვნენ სულნი ჩვენნი.

კონდაკი ესე:

ნებსით სულელ-ქმნილმან, სოფლისა ამის შვებანი სრულიად მოიძულეს, და ხორცთა ზრახვანი მოაკვდინენ მარხვითა და წყურვილითა და სიცხეთა და სიცივეთა მიერ, და ყინულისა და წვიმისა და თოვლისა და სხვათა ჰაერთა სიმძიმე არად შერაცხე და განსწმიდე თავი თვისი, ვითარცა ოქრო ბრძმედსა შინა, ანდრია ნეტარო.

ზოგიერთ ტერმინთა განმარტებანი

აბზინდი - მწარე ბალახი

ავლინსა - სანაგვესა

ანტეს - ანტიქრისტე რომელიც მომავალში უნდა დაიბადოს მაცხოვრის ანტიპოდი იქნება

არგანი - ჯოხი

არისხოსა - ააჟღრიამულოს

არტოს(ბერძნ. პური) – გაფუებული ცომისაგან დამზადებული პური, რომელიც იკურთხება აღდგომის დღეს განსაკუთრებული ლოცვით, მას ინახავენ კანკელის წინ, ანალოღიაზე ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში. პასექის შაბათს იმტვრევა და ურიგდება მორწმუნეებს როგორც სიწმინდე.

აღსარება - ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი, რომლის დროსაც მორწმუნე უფლის წინაშე აღიარებს და ინანიებს თავის ცოდვებს, ხოლო მღვდელი უფლის სახელით შეუნდობს მას.

განფრდილი ნებსით - თავის გაყიდვა

განხელებულ - გაგიჟებული

გთნდეს - გინდოდეს

დანაკი - ზომიერი დანა

დიდი - საკვირველი

ევლოგიაᲘ - (ბერძ. – დალოცვა) – სეფისკვერი, რომელიც ურიგდება მორწმუნეებს ეკლესიაში, წირვის დამთავრების შემდეგ.

ეკრატისთა და რომელნიმე

ეკრატისთა -რომელნიმე და რომელნიმე

ენკრატისთა - მოწესე, მონაზონი

ეპარხოზსა - წარმართი მთავარი, მმართველი

ვექენებოდე ვეხვეწებოდი

ვლაქერნა -სტამბულის ჩრდილოეთ განაპირას მდებარეობდა, სადაც დაბრძანებეული იყო ღვთისმშობლის სამოსელი, ხატი, თავსაბურავი და სარტყელი

ზადიკი - 1) მსხვერპლი, „ვნება“ იესოსი, დღესასწაული პურისა, – ზატიკად ჩვენდა დაიკლა ქრისტე“ (1 კორინთ. 5, 7); 2) საეკლესიო წიგნი, რომელშიც მოთავსებულია აღდგომიდან სულთმოფენობამდე და ყოველთა წმინდანთა კვირამდე წარმოსათქმელი ლოცვები და საგალობლები; 3) პასექის დღესასწაული, იგივე ერგასი, ზატიკში იგულისხმება პერიოდი აღდგომიდან ყოველთა წმინდანთა კვირამდე. ამ პერიოდში უდიდესი საუფლო დღესასწაულებია: მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომა, ამაღლება და სულთმოფენობა, რის გამოც ამ პერიოდს საეკლესიო მსახურება განსაკუთრებული საზეიმო ხასიათით და ლიტურგიკული თავისებურებებით გამოირჩევა. იცვლება სხვადასხვა ლოცვები და მათი კითხვის წესები.

თხიერი - ტიკჭორი

ისხმადა - იცვამდა ფერხთა

იწუნპებოდეს - შებღალული

კაპილონი - იპოდრომი

კელმენი - ქვეშსაფენი, ჭილოფი

კერმაჲ - წვრილი ფული

კიდონატი - შავი ქვა ოქროსა და ვერცხლის გამოსაცნობი

კისკასა - სწრაფად მქცევი

კოტორი - ნატეხი პური

კრეტსაბმელსა - ფარდა, რომელიც წმიდა წმიდათას (წმიდათა წმიდას) გამოყოფდა ტაძრის დანარჩენი ნაწილისაგან და ფარავდა ღვთის საიდუმლოებას ადამიანთა თვალთაგან, ორად გაირღვა: “კრეტსაბმელი ტაძრისა გაიპო ორად, ზემოდან ქვემოთ, და მიწა შეიძრა და კლდეები დასკდა” (მთ. 27,51).

ლანკანი - ჭურჭელი, (თეფში, ფიალა)და მეორესა ტაკუკი

მომცრო ღვინის ჭურჭელი.

მაკელარი -მეუნჯე, მზრუნველი

მანკანნი - მომარგალიტული საბურველი

მარკინელნი - მოჭიდავენი

მეკაპილონე - ღვინის გამყიდველი

მიცვრვიდა იცემდა პირსა ზედა თვისა

მოგვნი - ჩექმა

მოქენეთა რომელი ეგე შეგკრიბიეს

მფუცავ კაცთ მოძულე და

მყვარნი - ბაყაყნი

მყვარსა - ბაყაყი

მწვირითა - შებღალულსა

ომფორი - ეპისკოპოსის გრძელი და ფართო ბაფთი, მხრებზე სატარებელი. სიმბოლურად აღნიშნავს გზააბნეულ კრავს, რომელიც მაცხოვარმა მოიძია, მხრებზე შეისვა და დაუბრუნა თავის სამწყსოს.

პაქსიმანდი - ორცხობილა

პეტსა ჯოჯოხეთისა - უფროსი, გამგებელი

პორფირი-წითელიფერისგრძელიმანტიადაბისონი-მცენარე, რომლითაც სამოსელი იღებება ელვარე ნაკვერცხლისფრად; ეპისკოპოსის ზედა სამოსი, ბისონი სიმბოლურად მაცხოვრის სუდარას გამოხატავს.

რონინებ - დადიხარ

საბლები - ბაგირი, თოკი

საბრხისაგან - სიბოროტისაგან

სალოს - ღვთისათვის, ქრისტესათვის სულელი, ღვთის გლახა, ქადაგებენ სიმართლისათვის, ამხელენ საზოგადოების მანკიერ მხარეს, ზოგიერთი დაჯილდოებულია წინასწარმეტყველების

მადლით, მათ შორის ბევრია წმინდანად შერაცხილი.

სამარტვილო - წამებულთ საფლავი

სამშია - ნაყოფი

სერაბინნი - (ცეცხლოვანი, ღვთისადმი სიყვარულით ალმოდებული) – ერთ-ერთი წოდება ზეციური იერარქიიდან. ღმერთთან ყველაზე ახლოს მყოფი (ეს. 11, 26) არსებები. სერაფიმები გარშემორტყმულები არიან უფალს, ისინი ორი ფრთით იფარავენ სახეს, როგორც უღირსნი უფლის ცქერისა, ორით იფარავენ ფეხებს, რომ მათ არ უცქიროს ღმერთმა და ორით დაფრინავენ, რათა შეასრულონ მეუფის ყველა განკარგულება, თან განუწყვეტლივ გალობენ და ადიდებენ ღმერთს. ისინი ყველაზე უმაღლესი სულიერი არსებანი არიან და იერარქიაში პირველ ადგილს იკავებენ.

სიყმილი - შიმშილი

სკორე - განავალი

სპათარ-კოფიკლარი - მხედრობით აღმწერელი

სრვა - ავი ჟამი

სტავრა - ნაქსოვი სარმისა

სტრატილატი- მხედართმთავარი

ტრაპეზი (ბერძ. – მაგიდა) ქრისტიანული ეკლესიის საკურთხეველში მდგარი ფარჩებით შემოსილი მაგიდა, რომელზეც სრულდება მსხვერპლშეწირვის რიტუალი. ზოგჯერ ტრაპეზი იხმარება მთელი საკურთხევლის მნიშვნელობითაც, რომელსაც ასევე საყდარსაც უწოდებენ. ტრაპეზი ნაკურთხია და მირონცხებული. მასზე აუცილებლად ასვენია ჯვარი, ილიტონში გახვეული ოდიკი, სახარება და სანაწილე. ამათ გარდა, ტრაპეზზე უნდა ესვენოს სამირონე წმ. მირონით. ტრაპეზი დგას ერთ ან ოთხ ბოძზე, ან კიდევ კიდობანზე. ერთი ბოძი აღნიშნავს ლერწმით გვემულ მაცხოვარს და იმ ლერწმის კვერთხს, რომლითაც ქრისტემ შემუსრა გველის (ბოროტის) თავი. ოთხი ბოძი აღნიშნავს ოთხ მახარებელს, მოციქულებს. კიდობანი წარმოადგენს ხის, ქვის, ვერცხლის

და სხვა მასალისაგან ერთმანეთთან შეერთებულ კედლებს და მოგვაგონებს მოწამეთა საფლავს, რომელზედაც პირველი ტრაპეზები აღიმართებოდა.

უოხჭნოთა - საბოლოო

ფარაგოსაგან - ჯიბე

ფარაკისაგან - ჯიბე

ფოლო - ერთი

ფოლორცთა - ქუჩა

ფოლსა - ფულსა

ფსალმუნი - დავითნი, ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნი. ქართულად ფსალმუნი ეწოდება ამ წიგნში შეტანილ გარკვეულ საგალობლებსაც. ფსალმუნის ავტორია დავით მეფე-წინასწარმეტყველი.

ფშოდა - სუნნელს სუნს ადენდა

ქერაბინნი - ანგელოზთა დასის უმაღლეს საფეხურზე მყოფი ანგელოზი. ქერუბიმი „ცეცხლოვანი ხმლით“ არის შეიარაღებული და სამოთხის კარს იცავს.

ქლამინდი - სამეფო წამოსასხმელი

ღწვაჲ - პყრობილთა

შესთქვირნა - მიფრინდა

ჩაფულანი - ფეხსაცმელი

წუნწუბა - გოგირდი

ხალკოპრიაზისა - ზვიგენის მსგავსი თევზი

ხელი - გიჟი

ხენეშად - ცუდად, საზიზღრულად

ხნარცვი - ჯურღმული

ხოსაკი - საშინელი, შემწველი სიცხე

ჰამო - საამო, კარგი

ჰოროლი - ლახვარი, შუბი

ზანდუკი

წინათქმა.....3
თავიპირველივინაობაწმიდაანდრიასი.....5
თავიმეორეჩვენება.....6
თავი მესამე გასალოსება წმიდა ანდრიასი და
გაგზავნამისიეკლესიადწმ.ანასტასიოსისა.....9
თავი მეოთხე ჩვენება პირველი, როდესაც ჯაჭვით
იყო შეკრული და გამოეცხადა წმ. იოანე მახარობელი.....11
თავიმეხუთემისივეგამოცხადებამეორედ.....12
თავიმეექვსეხილვაპალატისადამეუფისა.....13
თავი მეშვიდე განთავისუფლება მისი და ნახვა
ნიკიფორესი, თვისის მოძღვრისა.....15
თავიმერვედაწყება მისგანსალოსობისა.....17
თავი მეცხრე შეთრევა მისი იძულებითსამეძაო
სახლად მეძავთაგან.....18
თავი მეათე შეხვერდა, გაცნობა სამთა ჭაბუკთა,
რომელთაშორისიყოეპიფანეც.....21
თავი მეთერთმეტე მეორედ მისვლა მისი
ნიკიფორესთან ზამთრის დროს.....22
თავი მეთორმეტე მოთხრობა ანდრიასი, თუ როგორ
დაითმინაყინვა.....24
თავი მეცამეტე მეორე ჩვენება იმ ყინვის დროს.....27
თავი მეთოთხმეტე ჩვენება მესამე -
„ცის“შესახებ.....29
თავიმეთხუთმეტეჩვენებამეოთხე.....32
თავი მეთექვსმეტე განცვიფრება
ნიკიფორესი ანდრიასთვის.....34
თავი მეჩვიდმეტე შურისძიება ეშმაკისა და

გამოცხადება დედაბრის სახედ.....35
თავი მეთვრამეტე შეხვედრა ეპიფანესი
მეორედ და დამოწაფება მისი.....36
თავი მეცხრამეტე ბრძოლა ეშმაკისა ეპიფანესთანდა
ანდრიასმიერმისიდარიგება.....39
თავი მეოცე ეპიფანესთვის- მისის კეთილობისათვის
და გამოცხადებისათვის ანგელოზისა.....40
თავი ოცდამეერთე ანდრიას მიწვევა სახლად
ეპიფანესმიერდამხილებასაჭურისისა.....42
თავი ოცდამეორე შედეგი მხილებისა მის.....44
თავი ოცდამესამე საუბარი ანდრიასი
ასურულად მონასთანდაჩვენება.....46
თავი ოცდამეოთხე მოქცევა მონათა
დასიბრაზეეშმაკისა.....48
თავი ოცდამეხუთე განსვლა ანდრიასი ეპიფანეს სახლიდან
და ტანჯვა მისი, ურმის გადავლა, სიცხის დათმენა.....50
თავი ოცდამეექვსე მისვლა მისი ღვთისმშობლის
ეკლესიადსალოცავად.....53
თავი ოცდამეშვიდე ლეღვის ჭამა ანდრიასგან
დაცემამისიამისათვის.....55
თავი ოცდამერვე პურის ჭამა ჭაბუკთა თანა და მათი მხილება,
ერთისა მათგანის გამოტეხა კომშის ქურდობაში.....56
თავი ოცდამეცხრე დიდებით დამარხვისათვის მდიდრისა
დაა მისი განქიქება.....60
თავი ოცდამეათე დიდებით ხილვა ანდრიასი
ეპიფანესმიერეკლესიაში.....62
თავი ოცდამეთერთმეტე განსაცდელი გონებისა
ლოცვის დროს და ხილვა-ჩვენება ეპიფანესი.....64
თავი ოცდამეთორმეტე შთაგდება ანდრიასი
ჯურღმულში ეშმაკის მიერ.....68

თავი ოცდამეცამეტე. ხილვა წმ. ანდრიასაგან დანიელისა.....69
თავი ოცდამეთოთხმეტე მდიდრის
ქალისგარდაცვალებისათვის.....70
თავი ოცდამეთხუთმეტე ბერისათვის სათნოებით
შემკულისადასამისვნებითმოცულისა.....73
თავი ოცდამეთექვსმეტე მხილება მის
ბერისა ანდრიასაგან.....77
თავი ოცდამეჩვიდმეტე ჭაბუკისათვის კეთილისა
მოქმედისა მოსაჩვენებლად კაცთა.....81
თავი ოცდამეთვრამეტე იოანესთვის -
ეპიფანეს მეგობრისა.....83
თავი ოცდამეცხრამეტე ანდრიას ხილვა
ეპიფანეს მიერ ჩვენებით.....87
თავი მეორმოცედედაკაცისათვის მორწმუნისა.....89
თავი ორმოცდამეერთე ბრძოლა
ეშმაკისა ეპიფანესთან.....93
თავი ორმოცდამეორე გამოცხადებისათვის დავით
მეფისა და რა მოელის საიქიოს კაცის მკვლელთ.....96
თავი ორმოცდამესამე შეძრწუნებისათვის
ეშმაკისა ანდრიასა ჩვენებისა გამო.....100
თავი ორმოცდამეოთხე ბრძოლა
ეშმაკისა ეპიფანესთან.....102
თავი ორმოცდამეხუთე მარილის
ჭამისათვის ეპიფანესგან.....103
თავი ორმოცდამეექვსე რაფიელის, ეპიფანეს
მეგობრისავადგახდომისათვის.....105
თავი ორმოცდამეშვიდე კითხვა მიგება
ეპიფანესი და ანდრიასი.....107
თავი ორმოცდამერვე .შეხვედრა
ანდრიასი ჭაბუკსადიაკონთანა.....113

თავი ორმოცდამეცხრე ანდრიასი და
მდიდრის შეხვედრა.....114
თავი ორმცოდამეათე დედაკაცისათვის
ღირსისადაწმიდისა.....117
თავი ორმოცდამეთერთმეტე კვალად
ეპიფანეს წინასწარმეტყველებისათვის.....119
თავი ორმოცდამეთორმეტე ბრძოლისათვის
ეშმაკისა ეპიფანეს მიმართ.....121
თავი ორმოცდამეცამეტე მდიდარი კაცის - მეძავის
მხილება ანდრიასაგან.....122
თავი ორმოცდამეთოთხმეტე სულისათვის კაცისა
და მის განკითხვისათვის.....123
თავი ორმოცდამეთხუთმეტე სულისათვის
კაცისა ანგელოზთათვის და მათთან მსახურებისა.....125
თავი ორმოცდამეთექვსმეტე ქვეყნის
შესაქმისათვის ბუნების მოვლენათა.....126
თავი ორმოცდამეჩვიდმეტე ღვთის განგება და
მაგალითი ვედრება-ლოცვისა.....136
თავი ორმოცდამეთვრამეტე ეპიფანეს
ლოცვა ეკლესიასა შინა წმ. აკაკისა.....140
თავი ორმოცდამეცხრამეტე ხილვა რომელი
იხილა ანდრია ვლაქერნასა შინა.....142
თავი მესამოცე მდიდრისათვის,
წარჩინებულისა.....143
თავი სამოცდამეერთე წინასწარმეტყველება
შესახებ კონსტანტინეპოლისა დარუსთა.....145
თავი სამოცდამეორე სოფლისა
აღსასრულისათვის.....147
თავი სამოცდამესამე გამეფება შავი მეფისა.....150

თავი სამოცდამეოთხე გამეფება
ეთიოპელისამეფისა.....152
თავისამოცდამეხუთეგამეფებასამთაძმათა.....154
თავი სამოცდამეექვსე მოსვლა ანტე ქრისტესი
დამეფობაურიათა.....157
თავი სამოცდამეშვიდე მოახლოება
ნიშანთა სოფლის აღსასრულისათვის.....159
თავისამოცდამერვეგანსვლაკაცისაქვეყანით.....162
თავი სამოცდამეცხრე ჭეშმარიტი
ქრისტიანის ჭაბუკისათვის.....163
თავი სამოცდამეათე აღდგომისათვის მკვდართა
და ჯოჯოხეთისა.....168
თავი სამოცდამეთერთმეტე საუბარი
წმიდაანდრიასი დაეშმაკისა.....175
თავი სამოცდამეთორმეტე საუბარი ფილოსოფოსთა
დაეპიფანესადაანდრიასთანა.....176
თავი სამოცდამეცამეტე ჩვენებისათვის ეპიფანესი.....178
თავი სამოცდამეთოთხმეტე ანდერძი
წმ. ანდრიასი ეპიფანეს მიმართ.....180
თავი სამოცდამეთხუთმეტე დარიგება ანდრიას
მიერ ეპიფანესა ხელთ დასხმისა და მოხსენებისათვის.....182
თავი სამოცდამეთექვსმეტე ანდრიას და
ეპიფანეს ერთად ლოცვით.....183
თავი სამოცდამეჩვიდმეტე წმ. ანდრიას
აღსრულებისათვის.....184
თავისამოცდამეთვრამეტედასასრული.....185
ტროპარი, კონდაკი.....187
ტერმინთა განმარტებანი.....188
ზანდუკი.....193

ლოცვა ცოცხლებისთვის

იესო ქრისტე ბრძანებს: „ყოველსა, რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქვენ“ (მათე 21, 22).

აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდ-რებელი შენი, ძლევა ღვთივდაცულსა ერსა ჩვენსა მტერთა ზედა მოანიჭე და დაიცავ ჯვარითა შენითა სამკვიდრებელი შენი.

შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ და დაგვიცვენ ჩვენ, ღმერთო, შენითა მადლითა. მოგვიხსენე უფალო:

არქიმანდრიტი ილია (კავსაძე), ნანა (ბახსოლიანი), ნანული (აზიკური), ჯუანშერ, ლია (ამირანაშვილი, მელიქიშვილი), გიორგი (ამირანაშვილი), დანიელ (ამირანაშვილი), ხათუნა (მელიქიშვილი), ალექსანდრე, ნიკოლოზ (ჩიქოვანები), დავით (შიმშილაშვილი), გულბად (ამირანაშვილი), ნინო, შალვა (ამირანაშვილები), ნათელა, გივი (ამირანაშვილი, გუმბარიძე), თენგიზ (გუმბარიძე), ნინო (კავსაძე), ნესტანი (რატიანი), სანდრო, შოთა (ვადაჭკორიები), ნესტანი (კავსაძე), მარიამი, ელისაბედი (შარაშიძეები), დავითი (კავსაძე), თამარი, გოდერძი, სანდრო, ნენე, ქეთევანი, თინათინი (კავსაძეები), მაია, ალექსანდრე (ანდღულაძეები), ანა, ბენუა, ელისაბედი გარანხერები.

ლოცვა გარდაცვალებულისთვის

მოიხსენე, უფალო. სულნი პირველ გარდაცვალებულთა მშობელთა, ძმათა და დათა ჩვენთა და ყოველთა ხორციელთა ნათესავთა ჩვენთა და შეუნდვენ ყოველნი ცოდვანი მათნი ნებსითნი და უნებლიეთნი, და მიანიჭე მათ სასუფეველთა ცათა, და მკვიდრ ჰყვენ იგინი საუკუნეთა კეთილთა შენთა, და რჩეულთა შენთა წმიდათა თანა:

ნიკოლოზი, ზიზილა (ბახსოლიანი, ქევხიშვილი), ნანა (ხაზარაძე), ქეთევან//გულიკო (კავსაძე), სოსო//იოსები (კავსაძე), ირაკლი, ელისაბედი (კავსაძე, მაჭავარიანი). ამბროსი, თამარი (დვალი, ომიაძე). გურამი, ლეილა (კავსაძეები). ანზორი, ცირა (კავსაძე, საყვარელიძე). იასონ, ასინეთ (ამირანაშვილი, ჩხენკელი), შალვა (ამირანაშვილი), ნინო (წერეთელი), ანნა (ბალტუნოვა), ვალენტინა (სტროევა), თამარ, დავით, ვარვარა, ნინო, მარო, გივი (ამირანაშვილები), გიორგი, ელენე (მელიქიშვილი, დოჩანაშვილი), შალვა, დოდო (მელიქიშვილი, კევლიშვილი), ნინო, ოლღა, ვასილი (კევლიშვილები), ჟუჟუნა (მკევლიშვილი), რევი, გულნარა (ჩიქოვანი, გერსამია), ანტონ (ბერაძე), ოთარ (ვარდიაშვილი), პლატონ, ელენე (დეკანოსიძე, ტატიშვილი), უშანგი//ბება (დეკანოსიძე), როლანდ (ხარებავა), გიორგი//ჰასანა (ნადირაძე), ანზორ (მაისურაძე), იზოლდა//ზოტო (ჩხარტიშვილი), როლანდ (ბურჭულაძე), გია ფოცხვერია.